სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

CONTEMPORARY SECURITY CHALLENGES AND PROSPECTS OF THEIR DEVELOPMENT

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2023

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

CONTEMPORARY SECURITY CHALLENGES AND PROSPECTS OF THEIR DEVELOPMENT

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2023

<u>სარედაქციო კოლეგია</u>

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი
ალექსი ბურდულაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი კაკაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ნანი არაბული	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
რომეო გალდავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ლევან ჭოლიკიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი
გივი დუჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2023

ISBN-978-9941-8-5748-5

რუსუდან დალაქიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
შალვა კვეზერელი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
თინათინ ჟორჟოლიანი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
რედაქტორი/კორექტორი	
ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	
დავით სტეფანიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისდისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Davit Razmadze — Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili — Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze — Head of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Aleksi Burduladze — Acting Head of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Giorgi Kakashvili — Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nani Arabuli — Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Romeo Galdava — Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Cholikidze — Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili — Head of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Chiabrishvili — Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Givi Duchidze — Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2023

Rusudan Dalakishvili	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shalva Kvezereli	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Jorjoliani	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Head of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Kveselava	Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Editor/Corrector	
Zurab Mchedlishvili	Editor-in-Chief of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Computer Designer	
Davit Stepanishvili	Main Specialist in Training Courses of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

სარჩევი

ილუზორული „სომხეთის სახელმწიფო“ - „დიადი არმენიის“ რეპლიკა
არჩილ ჩაჩხიანი 11

რეგიონული გაზის „ჰაბი“ შავ ზღვაზე: პრობლემები, პერსპექტივები
ზურაბ გარაყანიძე 21

კიბერპოლიტიკური აგრესია - რუსეთ-უკრაინის კიბერომის მაგალითზე
თორნიკე ზედელაშვილი 28

ჰიბრიდული ომი, რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითი
გიორგი კბილცეცხლაშვილი 37

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის-ნატოს პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ეტაპზე
ლევან ნიკოლეიშვილი 43

ინფორმაციული ომის მნიშვნელობა დასავლეთში
ნათელა ხაჩიძე 49

სისტემური კონსტრუქტივიზმი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში (უკრაინის შემთხვევა)
ნინო ოხანაშვილი 58

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევები
ნიკოლოზ სამხარაძე 65

ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა, მექანიზმები და სააგენტოები
ქეთევან ჩახავა 73

საქართველო, როგორც „რუხი ზონა“ და პლაცდარმი ჰიბრიდული აგრესიის საწარმოებლად
ქეთევან მესხიძე 80

შავი ზღვის რეგიონში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიზნები ცივილიზაციურ კონტექსტში
შადიმან ბიწაძე 91

Content

Illusory "State of Armenia" - Replica of "Great Armenia"
Archil Chachkhiani 12

Black Sea Regional Gas Hub: Problems, Perspectives
Zurab Garakanidze 22

Cyber-Political Aggression - on the Example of the Russian-Ukraine Cyber War
Tornike Zedelashvili 29

Hybrid War, Example of Russia-Ukraine War
Giorgi Kbiltsetskhlashvili 38

The Position of the North Atlantic Alliance-NATO at the Initial Stage of the Russia-Ukraine War
Levan Nikoleishvili 44

The Importance of Information Warfare in the West
Natela Khachidze 50

Systemic Constructivism in Foreign Policy of Russia (the Case of Ukraine)
Nino Okhanashvili 59

Contemporary Challenges of Georgia-EU Relations
Nikoloz Samkharadze 66

Security Policy of the European Union Mechanisms and Agencies
Ketevan Chakhava 74

Georgia as a „Gray Zone" and a Springboard for Hybrid Aggression
Ketevan Meskhidze 81

The Goals of Russia's Aggressive Policy in the Black Sea Region in the Context of Civilization
Shadiman Bitsadze 92

ილუზორული ,,სომხეთის სახელმწიფო“ - ,,დიადი არმენიის“ რეპლიკა

არჩილ ჩაჩხიანი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ამიერკავკასიისა და მსოფლიოს უახლესი ისტორიის ერთი საინტერესო ფენომენი - ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთის“, ანუ, ,,სომხეთის სახელმწიფოს“ თეორიული ბაზისის შექმნის ფორმალური ასპექტები. აღნიშნულია ის ფაქტი, რომ 1919 წლის 28 მაისს სომხეთის რესპუბლიკის (არარატის რესპუბლიკა) დამოუკიდებლობის პირველ წლისთავზე, სომხეთის პარლამენტის სპეციალური აქტით ამიერკავკასიისა (არარატის) და ე.წ. ,,თურქეთის სომხეთების“ (ვანის, არზრუმის, ხარფუთის (იგივე მამურეთ-ულ-აზიზი), ბითლისის, დიარბექირის და სივასის ვილაიეთები) ერთ მთლიან სომხურ ტერიტორიად გაერთიანების დადგენილება იქნა მიღებული. ფორმალურად სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი ე.წ. ,,დიადი არმენიის“ შექმნას, რაც არარატის რესპუბლიკის მმართველი პარტიის ,,დაშნაკცუტიუნის“ პროგრამული დოკუმენტის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა. არარატის რესპუბლიკის პარლამენტში დამატებით 12 დეპუტატიც კი იქნა შეყვანილი ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთიდან", თუმცა, შემდგომ ათწლეულებში ,,დიადი არმენიის“ იდეა ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და თითქოს მივიწყებასაც მიეცა. სომხეთის პირველი რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო ექსპანსიისა და ანექსიის შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან, სომეხთა გარკვეულმა ნაწილმა სამშობლო დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. ასე ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი სომხური დიასპორების გაჩენას.

შემდგომ ათწლეულებში, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მყოფი სომეხი ხალხის ფსიქოლოგიაში ნელ-ნელა დამკვიდრდა აზრი - სომხეთი ცალკე, დიასპორა ცალკე. თუმცა, 1980-იანი წლების ბოლოდან, საბჭოთა კავშირში დაწყებული დეზინტეგრაციული და ცენტრიდანული პროცესების ფონზე, ,,დიადი სომხეთის“ იდეამ გაცოცხლება დაიწყო. ტერმინი ,,თურქეთის სომხეთი“ ნელ-ნელა ტრანსფორმირდა და 1990-იანი წლების დასაწყისისათვის მან მიიღო დასახელება ,,დასავლეთ სომხეთი.“ ,,დასავლეთ სომხეთს“ თემის გაშლა გარკვეული სომხური წრეებისა და სომხური დიასპორების მიერ წარმოებული რეალპოლიტიკის სფეროს დაუბრუნდა. სულ მალე კი, დასავლეთ სომხეთის, როგორც გარკვეულად ადმინისტრირებული ტერიტორიული წარმონაქმნის ფორმალური შექმნის საკითხიც დაისვა. ყარაბაღის მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ე.წ. ,,სომხეთის განმათავისუფლებელი არმიის“ სარდალმა, ლეონიდ აზგალდიანმა, 1980-იანი წლების ბოლოს მეტად ეგზოტიკური სახელმწიფო ორგანოს - ,,ემიგრაციაში მყოფი დასავლეთ სომხეთის მთავრობის“ შექმნის იდეა წამოაყენა. 2004 წლის 17 დეკემბერს კი, მთიან ყარაბაღში, ქალაქ შუშაში, დაარსდა ემიგრაციაში მცხოვრები სომხების წარმომადგენლობითი ორგანო - დასავლეთ სომხეთის სომხების ეროვნული საბჭო. 2011 წლის 4 თებერვალს, პარიზში გამართულ ამ ორგანოს სხდომაზე ,,ემიგრაციაში მყოფი დასავლეთ სომხეთის მთავრობის“ შექმნა გამოცხადდა. იმავე წლის 21 ოქტომბერს კი, მიღებულ იქნა ე.წ. დასავლეთ სომხეთის კონსტიტუცია და სახელმწიფო ატრიბუტები: დროშა და ჰიმნი.

2019 წელს მიღებული დადგენილებით, დასავლეთ სომხეთის პარლამენტის იურისდიქციაში შემდეგი ტერიტორიები გამოცხადდა: ,,ვანი, ბითლისი, არზრუმი (კარინი), ტრაპიზონი (ამშენი), სივასი (სებასტია), დიარბექირი (ტიგრანაკერტი), ხარფუთი (ხარბერდი), ქილიკია (მათ შორის: კესარია, მარაში, ადანა, ზეითუნი, ანტეპი, ანტიოქია), ყარსი (და სურმალი), ჯავახკი, ნახიჭევანი“. ამგვარად, სომეხმა ნაციონალისტებმა ამ არარსებული ჰიპოთეზური ,,დასავლეთ სომხეთის“ ანუ ,,სომხეთის სახელმწიფოს“ საზღვრებში, მიუხედავად მისი ისტორიული და სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, ფორმალურად ყველა ის ტერიტორია და ადგილი ჩართეს, სადაც კი ოდესმე დაედგა სომეხს ფეხი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მივიღეთ ახალი ფორმულა - ,,დიადი არმენია“ არის დღევანდელ სომხეთს დამატებული ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთი“ და კიდევ სომხებით დასახლებული ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიები. ილუზორული ,,დასავლეთ სომხეთი“, ანუ ,,სომხეთის სახელმწიფო“, რომლის დედაქალაქად სომეხი ნაციონალისტების მიერ აღმოსავლეთ თურქეთის უდიდესი ქალაქი, არზრუმია დასახელებული, ისტორიული, და ასევე ილუზორული ,,დიადი არმენიის“ თანამედროვე რეპლიკაა...

საკვანძო სიტყვები:
სევრის ხელშეკრულება, ვუდრო ვილსონი, ,,დიადი არმენია“, სომხური დიასპორა, ,,თურქეთის სომხეთი“, ,,დასავლეთ სომხეთი“, ,,სომხეთის სახელმწიფო“, ლეონიდ აზგალდიანი, კარენ მიქაელიანი, არმენაკ აბრამიანი.

Illusory "State of Armenia" - Replica of "Great Armenia"

Archil Chachkhiani
Associate Professor of Defence Analysis
Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctor of History

Abstract

The article discusses one interesting phenomenon of the recent history of Transcaucasia and the world - the formal aspects of creating of so-called "Western Armenia", i.e., the "Armenian State". It is noted that on May 28, 1919, on the first anniversary of the independence of the Republic of Armenia (Ararat Republic), by a special act of the Parliament of Armenia, was made decision to unify Transcaucasian Armenia (Ararat Rebublic) and so-called "Turkish Armenia" (Van, Erzurum, Kharput (also known as Mamhuret-ul-Aziz), Bitlis, Diyarbakir and Sivas provinces) into a single Armenian territory. Formally, this is how create the foundation of so-called "Great Armenia", which was one of the main requirements of the program document of "Dashnaktsutyun" ruling party of Ararat Republic. Even 12 additional deputies from "Western Armenia" were included in the parliament of the Ararat Republic. However, in the following decades, the idea of "Great Armenia" slowly faded and seemed to be forgotten. After the Russian-Turkish Bolshevik-Kemalist military expansion and annexation of the First Republic of Armenia, from the end of 1920, a certain part of Armenians left their homeland and emigrated. This is how the foundation was laid for the emergence of quite numerous and powerful Armenian diasporas in the world.

In the following decades, in the psychology of the Armenian people living under the Soviet totalitarian regime, the thought - Armenia is separate, diaspora is separate - was slowly established. However, since the end of the 1980s, against the backdrop of the disintegration and centripetal processes that began in the Soviet Union, the idea of "Great Armenia" began to revive. The term "Turkish Armenia" was slowly transformed and by the beginning of the 1990s, it received the name "Western Armenia". The development of the topic "Western Armenia" returned to the sphere of realpolitik produced by certain armenian diasporas. Soon, the question of formal creation of Western Armenia as a certain administered territorial entity was raised. At the end of the 1980s one of the leaders of the Karabakh movement, the commander of so-called " Armenia Liberation Army ", Leonid Azgaldian, put forward the an idea of creating a rather exotic state body - the "Government of Western Armenia in Exile". On December 17, 2004, in the city of Shusha, Nagorno-Karabakh, the representative body of Armenians living in exile - the National Council of Armenians of Western Armenia was founded. On February 4, 2011, at the session of this body held in Paris, the creation of the "Government of Western Armenia in exile" was announced, and on October 21, 2011, the constitution of Western Armenia and the state attributes, flag and anthem were adopted.

According to the resolution adopted in 2019, the following territories were declared under the jurisdiction of the Parliament of Western Armenia: Van, Bitlis, Erzurum (Karin), Trabzon (Amshen), Sivas (Sebastia), Diyarbakir (Tigranakert), Kharput (Kharberd), Cilicia (including: Caesarea , Marash, Adana, Zeytun, Antep, Antioch), Kars (and Surmal), Javakhk, Nakhichevan". In this way, Armenian nationalists formally included in the borders of this non-existent hypothetical "Western Armenia" or "State of Armenia" all the territories and places, where Armenians have ever set foot, regardless of its historical and state affiliation.

As a conclusion, it can be said that we got a new formula - "Great Armenia" is today's Armenia added so-called "Western Armenia", and some other territories of Transcaucasia inhabited by armenians. The illusory "Western Armenia", i.e. the "State of Armenia", which capital named by armenian nationalists is the largest city of Eastern Turkey, Erzurum, is a modern replica of the historical and also illusory "Great Armenia"...

Keywords:
Treaty of Sèvres, Woodrow Wilson, "Great Armenia", Armenian Diaspora, "Turkish Armenia", "Western Armenia", Leonid Azgaldian, Karen Michaelian, Armenak Abramian.

შესავალი

1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიაში მიმდინარე ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური პროცესების ფონზე, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. ორ დღეში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფედერაციის დარჩენილმა წევრებმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმაც გამოაცხადეს. ახლადშექმნილი სომხეთის, ან არარატის რესპუბლიკის დე ფაქტო ტერიტორიას ყოფილის რუსეთის იმპერიის ერევნისა და ალესანდროპოლისის გუბერნიები და ყარსისა და ელიზავეტპოლის ოლქების ნაწილი შეადგენდა. 1919 წლის 28 მაისს კი, არარატის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პირველ წლისთავზე, სომხეთის პარლამენტის სპეციალური აქტით ამიერკავკასიისა და ,,თურქეთის სომხეთების“ (ვანის, არზრუმის, ხარფუთის (იგივე მამურეთ-ულ-აზიზი), ბითლისის, დიარბექირის და სივასის ვილაიეთები) ერთ მთლიან სომხურ ტერიტორიად გაერთიანების დადგენილება იქნა მიღებული. ფორმალურად სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი ახალი და უახლესი ისტორიის თანამედროვე ,,დიადი არმენიის“ თეორიული ბაზისის შექმნას. არარატის რესპუბლიკის პარლამენტში დამატებით 12 დეპუტატიც კი იქნა შეყვანილი ე.წ. ,,თურქეთის სომხეთიდან”, თუმცა, შემდგომ წლებსა და ათწლეულებში ,,დიადი არმენიის“ იდეა ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და თითქოს მივიწყებასაც მიეცა. მიზეზები გასაგებია. სომხეთის პირველი რესპუბლიკის რუსულ-თურქული ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო ექსპანსიისა და ანექსიის შემდეგ, 1920 წლის ბოლოდან, სომეხთა გარკვეულმა ნაწილმა სამშობლო დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. ემიგრანტთა ამ ნაწილმა ძირითადში ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურა. თურქეთიდან და საბჭოეთიდან გასული სომეხი ემიგრანტები ამ ქვეყნებში მაცხოვრებელ ადრე წასულ სომხებს დაემატნენ და ასე ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი სომხური დიასპორების (სომხ. սփիւռք - სპიურკი) გაჩენას.

ძირითადი ნაწილი

შემდგომი ათწლეულების განმავლობაში, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მყოფი სომეხი ხალხის ფსიქოლოგიაში ნელ-ნელა დამკვიდრდა აზრი - სომხეთი ცალკე, დიასპორა ცალკე. თუმცა, 1980-იანი წლების ბოლოდან საბჭოთა კავშირში დაწყებული ცენტრიდანული და დეზინტეგრაციული პროცესების ფონზე, ,,დიადი სომხეთის“ იდეამ გაცოცხლება დაიწყო. ტერმინი ,,თურქეთის სომხეთი“ ნელ-ნელა ტრანსფორმირდა და 1990-იანი წლების დასაწყისისათვის მან მიიღო დასახელება ,,დასავლეთ სომხეთი“. მივიღეთ ახალი ფორმულა - ,,დიადი არმენია“ არის საბჭოთა სომხეთს დამატებული ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთი“ და კიდევ სომხებით დასახლებული ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორიები.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფორმულაში შემავალ ,,დასავლეთ სომხეთს“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და ამ თემის გაშლა გარკვეული სომხური წრეებისა და სომხური დიასპორების მიერ წარმოებული რეალპოლიტიკის სფეროს დაუბრუნდა. სულ მალე კი, სომხურ საზოგადოებაში დასავლეთ სომხეთის, როგორც გარკვეულად ადმინისტრირებული ტერიტორიული წარმონაქმნისა თუ ერთეულის ფორმალური შექმნის საკითხიც დაისვა. ყველაფერი კი, ისევ ამიერკავკასიაში დაიწყო. ყარაბაღის მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა და ომის გმირმა, თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა ე.წ. ,,სომხეთის განმათავისუფლებელი არმიის“ სარდალმა, ლეონიდ აზგალდიანმა 1980-იანი წლების ბოლოს მეტად ეგზოტიკური სახელმწიფო ორგანოს - ,,ემიგრაციაში მყოფი დასავლეთ სომხეთის მთავრობის“ შექმნის იდეა წამოაყენა. თუმცა, თავისი იდეის ხორცშესხმას აზგალდიანი ვერ მოესწრო. 1992 წელს, იგი ყარაბაღის ომის ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა. მაგრამ იდეა არ მომკვდარა. იდეა დარჩა და მან არსებობა გააგრძელა.

ცხადია, ამ იდეის განხორციელებისათვის, პირველ რიგში, ყოფილ ოსმალთა იმპერიაში მცხოვრები სომეხი ხალხისა და მათი შთამომავლების ინტერესების გამომხატველი წარმომადგენლობითი და რაც მთავარია, მაორგანიზებელი და ქმედითი ლეგიტიმური ორგანოს შექმნის საკითხი დაისვა, რომელიც აღნიშნული იდეის ფრთაშესხმისათვის გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებს ჩაატარებდა. და მართლაც, მალე ამ წამოწყებას ცნობილი სომეხი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი და დიპლომატი, კარენ მიქაელიანი ჩაუდგა სათავეში, რომელსაც 1991-1996 წლებში სომხეთის მთავრობასთან არსებული სომხურ დიასპორასთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა.

მიქაელიანმა ქმედითი ღონისძიებების გატარება დაიწყო. მის წინაშე დასმულ პირველად ამოცანას სომხური დიასპორის რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობა და საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში სომხური ფაქტორის გაძლიერება წარმოადგენდა. 1994 წელს, მისი აქტიური მხარდაჭერით იქმნება სომხური თემების კონფედერაცია შტაბ-ბინით ქალაქ სიმფეროპოლში და იწყება მსოფლიო სომხური კონფედერაციის პერიოდული ბიულეტენის გამოცემა. 1996 წელს კი, მიქაელიანი დასავლეთ სომხების კონგრესის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებდნენ იმჟამად ემიგრაციაში მყოფი და თავის დროზე ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სომხების შთამომავლები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონგრესის მიზანი მათი ინტერესების გამომხატველი კომპეტენტური და წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა იყო. თუმცა, ამის შემდგომ, პროცესები თითქოს შეჩერდა და მის განვითარებას ადგილი აღარ ჰქონია.

ეს თემა აქტიური განხილვის საგანი მხოლოდ 2000-იანი წლების დასაწყისში გახდა, მაშინ როდესაც ევროპასა და რიგ ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთი, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, მოქმედ სხვადასხვა სომხურ ჯგუფებსა და ორგანიზაციებში ამ საკითხით დაინტერესდნენ. საქმე დაიძრა და 2004 წლის 17 დეკემბერს, მთიან ყარაბაღში, ქალაქ შუშაში დაარსდა ემიგრაციაში მცხოვრები სომხების წარმომადგენლობითი ორგანო - დასავლეთ სომხეთის სომხების ეროვნული საბჭო, რომელმაც მიიღო დეკლარაცია „დასავლეთ სომხეთის სომხების თვითგამორკვევის უფლების შესახებ“. ეროვნული საბჭოს მიზანს სომეხთა გენოციდის აღიარება, თურქეთის რესპუბლიკისგან სომეხთათვის ტერიტორიული და მორალური კომპენსაციის გადახდა და მსოფლიოს სომხური დიასპორების წარმომადგენელთა რეპატ-

რიაციის საკითხების გადაჭრა წარმოადგენდა.[1] ,,დასავლეთ სომხეთის სომხების ეროვნული საბჭოს“ მიზნები ფაქტობრივად სომეხთა უდიდესი ნაციონალისტური პოლიტიკური გაერთიანების, სომეხთა რევლუციური ფედერაცია - პარტია ,,დაშნაკცუტიუბის“ მიზნების სრული ანალოგი იყო. ამავე დროს, გლობალური მასშტაბით დაიწყო ჯერ კიდევ ფორმალურადაც არარსებული სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეულის, ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთის“ სახელმწიფოებრივი თუ ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნა. ასე მაგალითად, უკვე 2005 წლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში იქმნება ,,დასავლეთ სომხეთის“ ერთობ ეგზოტიკური ჟღერადობის მქონე სახელმწიფოებრივი ორგანო - დასავლეთ სომხეთის თავდაცვის კომიტეტი.(?)

2007 წელს დასავლეთ სომხეთის სომეხთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე საფრანგეთში დაბადებული და გაზრდილი, ყარაბაღის ომის მონაწილე ერთ-ერთი საველე მეთაური, არმენაკ აბრამიანი ხდება. 2011 წლის 4 თებერვალს კი, პარიზში გამართულ ამ ორგანიზაციის სხდომაზე დასავლეთ სომხეთის სომეხთა ეროვნულმა საბჭომ, შემადგენლობით - დ. ბალიანი (რუსეთი), ვ. ღაზაროსიანი (საფრანგეთი), ლ. პეტროსიანი (საქართველო), მ. შაჰბაზიანი (საფრანგეთი), გამოაცხადა ,,ემიგრაციაში მყოფი დასავლეთ სომხეთის მთავრობის“ შექმნა, არმენ სედრაქიანის, ტიგრან ფაშაბეზიანის და დავით ალექსანიანის შემადგენლობით.

შემდგომ საქმიანობაში აქტიური მხარდაჭერის მოპოვების მიზნით დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიმართვას სომეხი ხალხისადმი შემდეგი სახე ჰქონდა:

,,მოგმართავთ თქვენ, დასავლეთ სომხეთის, სომხეთის რესპუბლიკის, არწახის, **ჯავახკის** და მთელ მსოფლიოში მცხოვრებ სომხებს - მონაწილეობა მიიღოთ ჩვენი მთავრობის საქმიანობაში, დაგვეხმაროთ თქვენი ცოდნით, გამოცდილებით და პროფესიული უნარებით.

დასავლეთ სომხეთის სომეხთა ეროვნული საბჭო.

პარიზი, საფრანგეთი, 2011 წლის 4 თებერვალი“.[2] (ხაზგასმა ჩვენია - ა. ჩ.).

,,ემიგრაციაში მყოფი დასავლეთ სომხეთის მთავრობის“ შექმნიდან რამდენიმე თვეში, 2011 წლის 21 ოქტომბერს დასავლეთ სომხეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო დასავლეთ სომხეთის კონსტიტუცია (ავტორი სურიკ ღაზარიანი) და სახელმწიფო ატრიბუტები - დასავლეთ სომხეთის დროშა და ჰიმნი. განვიხილოთ დასავლეთ სომხეთის ეროვნული საბჭოს მიერ გამოცემული დეკრეტი დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის დროშის შესახებ:

,,დასავლეთ სომხეთის ეროვნული საბჭოს 2004 წლის 17 დეკემბრის დეკლარაციის მიხედვით, დასავლეთ სომხეთს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი. ამ დეკლარაციის დებულებების საფუძველზე, დასავლეთ სომხეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ სომხეთის ახალი დროშის დამტკიცების შესახებ.

დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის დროშა დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი სახელმწიფო სიმბოლოა. დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის დროშა ოთხი ფერისაა. ცენტრში ორი სიმბოლოა: მარადისობის რვაქიმიანი გარგარის ნიშანი მუქ ლურჯ რვაკუთხედში, რაც უნივერსალური ჰარმონიის სიმბოლოს გამოხატავს; რვაკუთხედის ოთხი ბოლოდან მომდინარე მუქი ლურჯი სხივები ოთხი მიმართულებით გრძელდება, ისევე როგორც მსოფლიოს ოთხი მხარე, მუქი ლურჯი ჩარჩოშია გარგარისფერი, დროშის ოთხი ნაწილი ღია ცისფერია. დროშა განასახიერებს სომხეთის მთიანეთს როგორც ცივილიზაციის აკვანს. მუქი ლურჯი, სომეხი ხალხის მარადისობის სიმბოლოა. გარგარის ფერი განასახიერებს სომეხი ხალხის სიტყვას, მის გამბედაობას და შემოქმედებითი თავისუფლების სიყვარულს. ღია ცისფერი სომეხი ხალხის განმანათლებლობისა და მოციქულობის სიმბოლოა. თეთრი ფერი კი, სომეხი ხალხის ღვთისმოსაობის სიმბოლოს წარმოადგენს.

დროშის სიგანისა და სიგრძის თანაფარდობა არის 1:2. დროშის სიგანისა და სიგრძის თანაფარდობის შენარჩუნებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო მცირე ან უფრო დიდი ზომის დროშა. გარდამავალი დებულებები:

1. დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის საბოლოო ჩამოყალიბებამდე ამ დადგენილებას აქვს კანონის ძალა.

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან დასავლეთ სომხეთის ეროვნული საბჭოს ყოფილი დროშა გადაეცემა დასავლეთ სომხეთის სომხების ასამბლეას, როგორც ასამბლეის სიმბოლო.

3. დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის დროშის გამოყენება იწყება განკარგულების ხელმოწერის მომენტიდან.

არმენაკ აბრამიანი. დასავლეთ სომხეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე.

პარიზი, საფრანგეთი, 21.10. 2011 წელი.[3]

სურ. 1. ე.წ. „დასავლეთ სომხეთის“ დროშა ე.წ. „დასავლეთ სომხეთის“ გერბი

1 Григорий Анисонян. В Париже состоялся Третий съезд потомков западных армян. Ноев Ковчег. №1 (184). Январь 2012 года.

2 Национальный совет армян Западной Армении формирует Правительство Западной Армении в изгнании. 4 февраля 2011. https://regnum.ru/news/polit/1371768.html

3 Республика Западная Армения (Армения). Единый политико–правовой пакет документов о защите прав Западной Армении и армян Западной Армении (Сборник документов) 5–е дополненное издание. Декларация о формировании Национального Собрания (Парламента) Западной Армении. 2019 г. Ереван, НТ Холдинг, 2019 г. Стр. 36-37.

იგივე არმენაკ აბრამიანის 2015 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცდა დასავლეთ სომხეთის გერბი, რომელიც ფორმით წარმოადგენს ფარს ორი ჩარჩოთი - ლურჯით და გარგარისფერით. ფარზე არის მარადისობის ნიშანი რვაკუთხედში, რომლის სხივების გაგრძელებით ფარი იყოფა ოთხ ნაწილად. გერბის ყველა ფერი იმეორებს დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის დროშის ფერებს - ლურჯი, გარგარისფერი, მუქი ლურჯი, თეთრი. ილუზორული წარმონაქმნის - ,,დასავლეთ სომხეთის" სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურირების შემდგომი პროცესები კი, უფრო გროტესკულ ფერებში განვითარდა. 2015 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სურიკ ღაზარიანის თავმჯდომარეობით შეიქმნა დასავლეთ სომხეთის უმაღლესი საკონსტიტუციო საარბიტრაჟო საბჭო და დასავლეთ სომხეთის მეცნიერებათა აკადემია,(?) 2015 წლის 1 ივნისს კი - დასავლეთ სომხეთის ფეხბურთის ფედერაცია.[4] (Sic!)

2016 წელს დასავლეთ სომხების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ საბჭოთა კავშირის, დამოუკიდებელი სომხეთის და შემდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი ნორატ ტერ-გრიგორიანცი იქნა არჩეული. ეროვნული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე არმენაკ აბრამიანი კი, ამ ილუზორული სახელმწიფო წარმონაქმნის - ,,დასავლეთ სომხეთის" პრეზიდენტი ხდება.

დასავლეთ სომხეთის საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანოს - ეროვნული კრების (პარლამენტის) მიერ 2019 წელს მიღებული დადგენილებით, ამ ორგანოს იურისდიქციაში შემდეგი ტერიტორიები გამოცხადდა:

1. ვანი;
2. ბითლისი;
3. არზრუმი (კარინი);
4. ტრაპიზონი (ამშენი);
5. სივასი (სებასტია);
6. დიარბექირი (**ტიგრანაკერტი**);
7. ხარფუთი (ხარბერდი);
8. ქილიკია (მათ შორის: კესარია, მარაში, ადანა, ზეითუნი, ანტეპი, ანტიოქია);
9. ყარსი (და სურმალი);
10. **ჯავახკი**;
11. ნახიჭევანი.[5] (ხაზგასმები ჩვენია - ა. ჩ.).

ამონარიდში მოყვანილ ხაზგასმებთან დაკავშირებით მცირე კომენტარის გაკეთებაა საჭირო. ე.წ. ,,ჯავახკთან", ანუ, საქართველოს განუყოფელ ნაწილთან, ჯავახეთთან მიმართებაში საკითხი დიდი ხანია გარკვეულია და კარგადაა ცნობილი. შესაბამისად, მის კუთვნილებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებიც არა გვაქვს. ჯავახეთი საქართველოს ისტორიული და ძირძველი კუთხეა, თუმცა, სომხები მას ჯიუტად ისევ და ისევ სომხურ ტერიტორიად თვლიან და მას ,,ჯავახკად" მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა იმპერიიდან, ძირითადში არზრუმის პროვინციიდან, ლტოლვილთა სახით შემოსული სომხური მოსახლეობა აქ მხოლოდ XIX საუკუნეში ჩნდება.

რაც შეეხება მეორე, მაგრამ რიგით პირველ ხაზგასმას (დიარბექირი - ტიგრანაკერტი), აქ მცირე კომენტარის გაკეთებაა საჭირო. ქალაქ დიარბექირის ისტორიული დასახელება ამიდაა და მისი ისტორია ამ ტერიტორიებზე სომეხთა მოსვლამდე დიდი ხნით ადრე იწყება. დაწყებული ძვ. წთ. აღრიცხვის XIII საუკუნიდან ამიდა სირიული ქალაქი იყო, უძველესი არამეული სამეფოს ბით-ზამანის დედაქალაქი. სომხური მოსახლეობა აქ გაცილებით გვიან ჩნდება. ძველი წელთაღრიცხვის 77 წელს სომეხთა მეფე ტიგრან II დიდმა აქ თავისი ახალი სამეფოს დედაქალაქის, ტიგრანაკერტის აშენება გადაწყვიტა, თუმცა, ამ ჩანაფიქრის ბოლომდე ხორცშესხმა არ დასცალდა. სულ რამდენიმე წელიწადში, უკვე ძვ. წთ. აღ. 69 წელს, ლუციუს ლუკულუსის მეთაურობით ქალაქი რომაელებმა აიღეს და იგი რომის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა.

ახალი წელთაღრიცხვის 359 წელს ქალაქი ირანის შაჰმა, შაბურმა დაიპყრო, რომელიც შემდგომ ბიზანტიელების ხელში გადავიდა. 640 წელს კი, ქალაქი არაბებმა აიღეს. სწორედ არაბებმა მისცეს სომხების მიერ ტიგრანაკერტად წოდებულ ამიდას, დასახელება დიარბექირი. 958 წელს ბიზანტიელებმა უკან დაიბრუნეს ქალაქი, რომელიც 1001 წლიდან მერვანიდების ქურთული დინასტიის რეზიდენცია გახდა. თუმცა, ამით ქალაქის დაპყრობების სერია არ დასრულებულა. 1085 წელს ქალაქი თურქმანულმა ტომებმა დაიპყრეს, 1534 წელს კი, იგი ოსმალთა სულთანმა სულეიმან I კანუნმა, იგივე სულეიმან ბრწყინვალემ აიღო და იგი იმპერიის შემადგენლობაში ჩართო. 1847 წლიდან კი, ეს ქალაქი ოსმალეთის ქურთისტანის პროვინციის ცენტრი ხდება. დაწყებული 1923 წლიდან, დიარბექირი, ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრე თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი აღმოსავლური პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი ჩრდილოეთ ქურთისტანის, და ზოგადად, ქურთისტანის არაოფიციალურ დედაქალაქად ითვლება.

როგორც ვხედავთ, უძველესი სირიული ქალაქი ამიდა, არამეელთა სამეფოს დედაქალაქი და დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთი აღმოსავლური ვილაიეთის ცენტრი, დიარბექირი, ანუ, სომეხთა ტიგრანაკერტი, ათასწლეულების განმავლობაში სულ რამდენიმე წელიწადი წარმოადგენდა სომხური სამეფოს არშემდგარ დედაქალაქს. ასე რომ, დიარბექირის სომხურ ქალაქად მოხსენიება არასწორია. თუმცა, სომეხი ექსპანსიონისტები, ისტორიულ რეალიებს არაფრად დაგიდევენ და ჯავახეთისა არ იყოს, დიარბექირს, ქალაქსაც და პროვინციასაც, ,,დიადი არმენიის" შემადგენლობაში მოიაზრებენ.

კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. თუ ყურადღებით დავაკვირდებით ,,სომხური სახელმწიფოს" ,,დიად არმენიაში" ჩართულ ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთის" რუკას, შევამჩნევთ, რომ მისი ერთ-

4 https://cyclowiki.org/wiki/%D0%97%D0%B0%D0%BF%D0%B0%D0%B4%D0%BD%D0%B0%D1%8F_ %D0%90%D1%80%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F

5 Республика Западная Армения (Армения). Единый политико–правовой пакет документов о защите прав Западной Армении и армян Западной Армении (Сборник документов) 5–е дополненное издание. Декларация о формировании Национального Собрания (Парламента) Западной Армении. 2019 г. Ереван, НТ Холдинг, 2019 г. Стр. 35.

ერთი შემადგენელი ნაწილის, ე.წ. ,,ჯავახკის“ ქვეშ სომხების მიერ შემოხაზულია როგორც საქართველოს ჯავახეთის, ასევე სამცხის (მესხეთი) რეგიონები. ეს კი, არც მეტი არც ნაკლები, დღევანდელი ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ახალციხისა და წალკის მუნიციპალიტეტებია. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ამ ილუზორული სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანილია აგრეთვე ცენტრალური ანატოლიის გარკვეული ნაწილი, ხოლო აღმოსავლეთით, მთიან ყარაბაღთან ერთად - დასავლეთ აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი ნაწილიც, დასახელებით - ,,დაბლობი ყარაბაღი“.

როგორც ვხედავთ, სომეხ ნაციონალისტთა ექსპანსიონისტური განწყობები იგივეა და იგი საუკუნეების განმავლობაში არ იცვლება. კიდევ ერთი დასტური - ასე მაგალითად, სომხური წარმომავლობის ამერიკელი ავტორი, არუს არუთიუნიანი (Arus Harutyunyan), მიჩიგანის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მკვლევარი და ჩრდილოეთ ვირჯინიის საზოგადოებრივი კოლეჯის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, 2009 წელს გამოქვეყნებულ თავის სადოქტორო ნაშრომში "Contesting National Identities in an Ethnically Homogeneous State: The Case of Armenian Democratization" (,,ეთნიკურად ერთგვაროვან სახელმწიფოში ეროვნული თვითმყოფადობის გამოწვევა: სომხეთის დემოკრატიზაციის მაგალითი"), წერს: ,,სომეხთა რევოლუციური ფედერაცია (დაშნაკცუტიუნი - ა. ჩ.) მიისწრაფვის სომხური საკითხის გადაჭრისა და ყველა სომეხისათვის ერთიანი სამშობლოს შექმნისაკენ. პარტიამ ნათლად განაცხადა, რომ ისტორიული სამართლიანობა მაშინ იქნება მიღწეული, როცა მოხდება ეთნიკური სომხების რეპატრიაცია ერთიან სომხეთში, **რომელიც არსებული ტერიტორიების გარდა (ანუ დღევანდელი სომხეთი - ა. ჩ.) თავის საზღვრებში მოაქცევს დასავლეთ სომხეთის (აღმოსავლეთ თურქეთი), მთიანი ყარაბაღისა და ნახიჭევანის (აზერბაიჯანი) ტერიტორიებს, ასევე საქართველოს სამხრეთში მდებარე, სომხეთთან მოსაზღვრე სამცხე-ჯავახეთის რეგიონს“**[6] (ხაზგასმა ჩვენია - ა. ჩ.).

როგორც ვხედავთ, სომხური ნაციონალისტური იდეა ,,დიადი არმენიის“ შექმნის და მასში ძირძველი ქართული მიწების ჩართვის შესახებ, არ მომკვდარა. იგი არც შეცვლილა და არც გაფერმკრთალებულა. ალბათ უფრო პირიქით. ქალბატონი არუს არუთიუნიანი სომეხთა ერთიან სამშობლოში ჩასართავად ჯავახეთს აღარ ჯერდება და იგი სამცხესაც წვდება. როგორც ვხედავთ, ფორმალური სახეცვლილება მხოლოდ დასახელებამ და მოქმედმა პირებმა განიცადეს, იდეა კი, უცვლელი დარჩა. აქ მხოლოდ გარკვეული ტერიტორიების სტრუქტურირებასთან გვაქვს საქმე. შემოდის თითქოს ახალი, მაგრამ კარგად დავიწყებული ძველი ცნება - ,,დასავლეთ სომხეთი“. რეალურად ეს იგივე ,,თურქეთის სომხეთია“, მაგრამ დღევანდელი ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთი“ ტერიტორიული განფენილობითა და სიდიდით მნიშვნელოვნად აღემატება გუშინდელ ,,დასავლეთ სომხეთს“, ანუ ,,თურქეთის სომხეთს“. აქ გარდა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ოსმალეთის ექვსი აღმოსავლური ვილაიეთისა (ვანი, არზრუმი, ხარფუთი (იგივე მამურეთ-ულ-აზიზი), ბითლისი, დიარბექირი, სივასი), ჩართულია აგრეთვე ქილიკია და ცენტრალური ანატოლიის დიდი ნაწილი. და აქვე - ცნება ,,დიად არმენიას“ ენაცვლება ცნება ,,ერთიანი სომხეთი“ თუ ,,სომხური სახელმწიფო“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გუშინდელი ,,დიადი არმენია“ ტრანსფორმირდა დღევანდელ თუ ხვალინდელ ,,სომხურ სახელმწიფოში“. საერთო ჯამში, ვიღებთ ახალ ფორმულას - **,,სომხური სახელმწიფო“ წარმოადგენს ,,დასავლეთ სომხეთის“ (ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ექვსი ვილაიეთი), ქილიკიისა და ცენტრალური ანატოლიის, ,,მცირე არმენიის“ (ისტორიული ქართული სპერი), ,,აღმოსავლეთ სომხეთის“ (ყოფილი საბჭოთა და დღევანდელი სომხეთი), ,,არწახის“ (აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღი), აზერბაიჯანის ნახიჭევანის, ,,დაბლობი ყარაბაღის“ (დასავლეთ აზერბაიჯანის დაბლობი) და ,,ჯავახკის“ (საქართველოს ჯავახეთი) ერთობლიობას. ,,დასავლეთ სომხეთშია“ ჩართული საქართველოს ისტორიული კუთხე ტაო-კლარჯეთიც.**

აი ასე, არც მეტი, არც ნაკლები... ყოველივე ზემოთქმულის ფორმალური საფუძვლების სრულად აღქმისა და გააზრებისათვის კი, მოვიყვანთ ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის“ დაარსების ოფიციალურ დეკლარაციას:

,,10 აგვისტოს სევრის ხელშეკრულების ხელმოწერის მორიგი თარიღი აღინიშნა. სომეხი ხალხის უფლებების დაცვისა და რეალიზაციისათვის უმნიშვნელოვანესია სევრის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები სომხეთთან დაკავშირებით, ასევე 1920-იან წლებში პარიზის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები და აშშ-ის 28-ე პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის დამყარების შესახებ. სწორედ ამიტომ, დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკამ (სომხეთის სახელმწიფო) მოახდინა სევრის ხელშეკრულების რატიფიცირება და 2018 წლის მაისში განცხადებით მიმართა გაერო-ს დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის (სომხეთის სახელმწიფო) გაეროში გაწევრიანების შესახებ. ასევე განცხადებით - შეერთებული შტატების 28-ე პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დადგენილ ტერიტორიებზე დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის (სომხეთის სახელმწიფო) დაარსებისა და ცხოვრებაში მისი გატარების შესახებ (ქვეყნდება ქვემოთ).

ცნობა: დასავლეთ სომხეთის სახელმწიფოდ ხელახალი შექმნის რეალობის იდეა 90-იანი წლების დასაწყისში, არწახის დამცველთა რიგებში გაჩნდა. გამოღვიძებისა და აღორძინების იდეის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი განმათავისუფლებელი არმიის დამფუძნებელი ლეონიდ აზგალდიანი (11. 23. 1942. თბილისი - 06. 21. 1992. მარტაკერტი) იყო. იდეამ გამოხმაურება იმ მებრძოლებისა და ინტელიგენციის რიგებში ჰპოვა, რომლებიც ომამდე დასავლეთ სომხეთის სხვადასხვა თემისა და არაპარტიული პატრიოტული გაერთიანებების წევრები იყვნენ. დასავლეთ სომხეთის სახელმწიფოდ აღდგენას ის ფაქტი დაედო საფუძველად, რომ იგი XX საუკუნის 20-იან წლებში სომხეთის სახელმწიფოს უწყვეტობის მემკვიდრე სახელმწიფოს წარმოადგენდა (განგრძობა), რომელიც აღიარებული იყო რიგი საერთაშორისო

6 Harutyunyan, Arus (2009). Contesting National Identities in an Ethnically Homogeneous State: The Case of Armenian Democratization. Kalamazoo, Michigan: Western Michigan University. ISBN 978-1-109-12012-7. Pg. 89. https://scholarworks.wmich.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1669&context=dissertations

დოკუმენტების საფუძველზე:

- რუსეთის მთავრობის (რუსეთის სახკომსაბჭო) 1918 წლის 11 იანვრის დადგენილება „თურქეთის სომხეთის შესახებ“ („დასავლეთ სომხეთის შესახებ“);
- პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს 1920 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება სომხეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობის შესახებ,
- მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სომხეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის შესახებ, 1920 წლის 11 მაისი;
- სომხური ქილიკიის 1920 წლის 4 აგვისტოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია;
- 1920 წლის 10 აგვისტოს სევრის ხელშეკრულების 88-93 მუხლები, რომლებიც სომხეთის სახელმწიფოს ეხება;
- შეერთებული შტატების 28-ე პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის 1920 წლის 22 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება - „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის გადაწყვეტილება თურქეთსა და სომხეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის, სომხეთის საზღვრების ზღვამდე გასვლის და სომხეთის საზღვრის მიმდებარე თურქული ტერიტორიების დემილიტარიზაციის შესახებ“.

არწახის ომის დასრულების შემდეგ პატრიოტები მუშაობდნენ მომავალი ბაზის მომზადებასა და შექმნაზე - დასავლეთ სომხეთის მაცხოვრებელი იმ გადასახლებული და გენოციდს გადარჩენილი სომხების შთამომავალთა ორგანიზებაზე, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ. ასე შეიქმნა დასავლეთ სომხეთის სომეხთა ეროვნული საბჭო, რომელმაც 2004 წლის 17 დეკემბერს შუშაში მიიღო დეკლარაცია „დასავლეთ სომხეთის სომხების თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, ხოლო 2011 წლის 4 თებერვალს - ,,დეკლარაცია ემიგრაციაში მყოფი დასავლეთ სომხეთის მთავრობის ფორმირების დაწყების შესახებ.“

შემდგომში, გაეროს 2007 წლის 13 სექტემბრის „ძირძველი ხალხების უფლებების შესახებ“ დეკლარაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა დასავლეთ სომხეთის სომხების ეროვნული იდენტობისა და მოქალაქეობის ინსტიტუტი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამართლებრივ-პოლიტიკური ჩარჩო. ჩამოყალიბდა დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკა (სომხეთის სახელმწიფო) და მისი სახელმწიფო სტრუქტურები.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის შესაბამისად, 2013 წლიდან დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკამ (სომხეთის სახელმწიფო) ჩამოაყალიბა სახელისუფლებო ორგანოები - ეროვნული კრება (პარლამენტი), მთავრობა და პრეზიდენტის ინსტიტუტი. 2013 წლის ნოემბერში კი, პირველად, ინტერნეტში პირდაპირი ელექტრონული ხმის მიცემით გაიმართა დასავლეთ სომხეთის საპარლამენტო არჩევნები. არჩევნები ჩატარდა 41 ქვეყანაში, აირჩიეს 64 დეპუტატი. ამჟამად (2018 წლის მონაცემებით - ა. ჩ.) დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს წარმოადგენს რადიკ ხამოიანი, პრემიერ-მინისტრს - ტიგრან ფაშაბეზიანი, ხოლო ეროვნული კრების (პარლამენტის) თავმჯდომარეს - არმენ ტერ-სარქისიანი“.[7]

სურ. 2. ილუზორული ,,სომხეთის სახელმწიფო” და მისი შემადგენელი ნაწილები _ სომხეთის რესპუბლიკა (დღევანდელი სომხეთი), ,,დასავლეთ სომხეთი”, ,,არწახი”, ,,დაბლობი ყარაბაღი” და ,,ჯავახეთი”. ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახულია ამ ე.წ ,,სომხეთის სახელმწიფოს” გერბი, ხოლო მარჯვენა კუთხეში _ იგივე ,,სომხეთის სახელმწიფოს” დროშა, რომელიც დღევანდელი სომხეთის, ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთის”, ,,არწახის” და ე.წ. ,,სომხეთის ქილიკიის” დროშების ერთობლიობას წარმოადგენს.

7 Республика Западная Армения предъявляет территориальные требования к Турции. 11.08.2018 https://yerkramas.org/article/142046/respublika-zapadnaya-armeniya-predyavlyaet-territorialnye-trebovaniya-k-turcii

სურ. 3. სომეხთა რევოლუციური ფედერაცია _ ,,დაშნაკცუტიუნის" მიერ დღეისათვის მოთხოვნილი ,,გაერთიანებული სომხეთის" ტერიტორიები. ნარინჯისფერი: ტერიტორიები, სადაც სომხები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ (სომხეთის რესპუბლიკა 98%, მთიანი ყარაბაღი 99%, ჯავახეთი 95%). ყვითელი: სომხებით დაუსახლებელი ან ნაკლებად დასახლებული და მათ მიერ მოთხოვნილი ტერიტორიები: ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთი" და ნახიჭევანი.

წარმოდგენილი მასალების გაცნობისა და გაანალიზების საფუძველზე სომეხმა ნაციონალისტებმა ამ არარსებული ჰიპოთეზური ,,სომხეთის სახელმწიფოს" საზღვრებში, მიუხედავად მისი ისტორიული და სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, ყველა იმ ტერიტორიისა და ადგილის ჩართვა მოინდომეს, სადაც კი ოდესმე დაედგა სომეხს ფეხი. სომხები ისტორიულად ყოველთვის ადვილად იტანდნენ სხვა ქვეყანაში დასახლებას. მათი ცნობილი დევიზი იყო და ნაწილობრივ დღესაც რჩება: ,,ვორდეღ ჰაც ენდეღ გნაც, ენდეღ კაც" (სადაც პურია, იქ გაიქეცი და დასახლდი, იქ გამაგრდიო).[8] ანუ, სადაც თბილი პური ცხვება, იქ არის შენი სამშობლოო, - იტყვის სომეხი. ისიც ფაქტია, რომ საუკუნეების მანძილზე უცხო მხარეში მოხვედრილი სომხობა ცდილობდა გარემოს შეწყობოდა და იგი თავისად ექცია.

საბოლოოდ მივედით შედეგამდე - ირედენტისტულ კონცეფციაზე აგებული ილუზორული ,,სომხეთის სახელმწიფო" ,,დიადი არმენიის" თანამედროვე რეპლიკაა, მისი შემადგენელი ნაწილი - ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთი" კი, თავისი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმით, საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

აღსანიშანავია, რომ ამ ილუზორული ,,სომხეთის სახელმწიფოს" მთავარი შემადგენელი ნაწილის, თვითგამოცხადებული ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის" ე.წ. ,,პრემიერ მინისტრი" ტიგრან ფაშაბეზიანი, ამავე დროს ტერორისტული ორგანიზაცია - სომხეთის გათავისუფლების სომხური საიდუმლო არმიის (ASALA) ვეტერანებისა და ყოფილი პოლიტპატიმრების ორგანიზაცია ,,უხტ არარატის" სამუშაოთა კოორდინატორს წარმოადგენს.

დასკვნა

დღეისათვის ,,დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის" პრეზიდენტად არჩეულია ამ ,,რესპუბლიკის" ეროვნული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე არმენაკ აბრამიანი. ღია წყაროებში დაფიქსირებული მისი ბიოგრაფიული მონაცემები ერთობ მწირია და სომხურ-რუსული წყაროს მიხედვით შემდეგი სახე აქვს: ,,არმენაკ აბრამიანი დაიბადა მარსელში. არწახის განმათავისუფლებელი ბრძოლების მონაწილე. შუშის ოპერაციის დროს ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ საბრძოლო რაზმს. მან აზიარა პირადი შემადგენლობა საბრძოლო ხელოვნებას, შექმნა რა ძველი სომეხი ქურუმების საბრძოლო ხელოვნებაზე დაფუძნებული ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდის უნიკალური სისტემა. არმენაკ აბრამიანი მთელი ომის განმავლობაში წინა ხაზზე იდგა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისი თანამებრძოლები და ახლო მეგობრები იყვნენ არწახის განმათავისუფლებელი არმიის ცნობილი სამხედრო მეთაურები ლეონიდ აზგალდიანი და ვლადიმირ ბალაიანი. ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ არმენაკი საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც ყარაბაღის ომის მოხალისე ვეტერანების კავშირი დააარსა. იგი წარმოადგენს დასავლეთ სომხეთის ეროვნული საბჭოს დამფუძნებელ წევრს და გაეროში ძირძველი ხალხების ყრილობის მთავარ წარმომადგენელს. არმენაკ აბრამიანი არის დასავლეთ სომხეთის სომეხთა ეროვნული საბჭოს მთავარი სპიკერი".[9] სულ ეს არის.

8 ავთანდილ სონღულაშვილი. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბილისი. 2018. გვ. 76. ჯ. ბაქრაძე. ორი წერილი მესხების შესახებ. თბილისი. 1995. გვ. 14.

9 Абрамян Арменак. Биография. http://ru.hayazg.info/%D0%90%D0%B1%D1%80%D0%B0%D0%BC% D1% 8F%D0%BD_%D0%90%D1%80%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%B0%D0%BA

არმენაკ აბრამიანთან და ზოგადად, ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთთან“ დაკავშირებული ერთი მეტად საინტერესო და საგულისხმო ფაქტი, რომელზე ნამდვილად ღირს შეჩერება. 2016 წლის მაის-ივნისში აფხაზეთში ჩატარდა არაღიარებული და ნაწილობრივ აღიარებული 12 ქვეყნის ნაკრებთა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც ე.წ. ,,დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის“ საფეხბურთო ნაკრებიც იღებდა მონაწილეობას. ერთობ ეგზოტიკური იყო იმ ,,ქვეყნების“ ჩამონათვალი, რომლებიც ამ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ - ლაპლანდია, ჩაგოსის კუნძულები, პენჯაბი, პადანია, ქურთისტანი, სომალილენდი... მაგრამ ეს არ არის მთავარი. ჩვენთვის საინტერესო შემდეგი მომენტია. სომეხ სპორტსმენებთან ერთად აფხაზეთში ჩავიდა ვირტუალური ,,დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის“ ოფიციალური დელეგაცია, შემადგენლობით - ამ თვითგამოცხადებული სახელმწიფოს ე.წ. პრეზიდენტი არმენაკ აბრამიანი, ეროვნული პარლამენტის თავმჯდომარე არმენ ტერ-სარქისიანი, პარლამენტის წევრი - ამშენის* სომხების ქალთა საერთაშორისო კავშირის - ,,ამშენკას“ ხელმძღვანელი, საიდა ოგანიანი და რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს დეპუტატი ანუშავან შახნაზარიანი. მეტად საინტერესოა იმ ინტერვიუს შინაარსი, რომელიც აფხაზურმა საინფორმაციო სააგენტო ,,Абхазия-Информ“-მა ჩამოართვა ამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტს, არმენაკ აბრამიანს. ინტერვიუს ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ,,დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის“ მოწყობის სხვადასხვა საკითხს ეხება, ცოტა არ იყოს გროტესკულია, თუმცა, იგი მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ამ ე.წ. ,,რესპუბლიკის“ შესახებ. მიუხედავად ინტერვიუს გროტესკული ჟღერადობისა, მისი შინაარსი ნამდვილად ჩააფიქრებს მკითხველს.

ჟურნალისტი:

- ვინ არიან დასავლეთ სომხეთის მოქალაქეები? და რა ჰქვია თქვენს დედაქალაქს?

არმენაკ აბრამიანი:

- დასავლეთ სომხეთის მოქალაქეები დასავლეთ სომხეთიდან, ხაზს ვუსვამ, სომხეთიდან და არა თურქეთიდან გამოქცეული, და მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ყველა სომეხი, ასევე მსოფლიოში განსახლებული სომეხი ეროვნების ყველა წარმომადგენელია. ანუ, ყველა ის, ვინც არ ცხოვრობს თავის სამშობლოში. ხოლო რაც შეეხება დედაქალაქს, იმ ქვეყნებმა, რომლებმაც გასულ საუკუნეში მოაწერეს ხელი საერთაშორისო ხელშეკრულებას, დასავლეთ სომხეთის დედაქალაქად არზრუმი აღიარეს. მაგრამ გასულ წელს დედაქალაქს თავისი ისტორიული დასახელება კარინი დაუბრუნდა. (არზრუმი - ეს ქალაქის თურქული დასახელებაა).

ჟურნალისტი:

- თავად სომხეთი თუ აღიარებს დასავლეთ სომხეთს როგორც სახელმწიფოს?

არმენაკ აბრამიანი:

- შეგახსენებთ, რომ სომხეთის რესპუბლიკა 1990 წელს შეიქმნა, დასავლეთ სომხეთი კი - 1920 წელს. ასე რომ, აქ საუბარი აღიარებაზე - ზედმეტია.

ჟურნალისტი:

- როგორი ურთიერთობები გაქვთ დღევანდელ თურქეთის რესპუბლიკასთან?

არმენაკ აბრამიანი:

- ჩვენ შორის პირდაპირი კავშირები არ არის. მაგრამ ჩვენ გაეროს ძირძველი ხალხების კომისიის წევრები ვართ და ამიტომ მუდმივად ვადასტურებთ იმას, რომ ვარსებობთ.

ჟურნალისტი:

რა სახელისუფლებო სტრუქტურები არსებობს დასავლეთ სომხეთში?

არმენაკ აბრამიანი:

2004 წლის 17 დეკემბერს შეიქმნა დასავლეთ სომხეთის ეროვნული კრება, რომლის ძირითადი სამუშაო ადგილი პარიზი და ჟენევაა. მთავრობის თავმჯდომარე პრემიერ მინისტრია. სამინისტროების ნაწილი ერევანშია. პრეზიდენტი კი, საფრანგეთში ცხოვრობს (არმენ აბრამიანი იქ დაიბადა - ,,Абхазия-Информ“). დასავლეთ სომხეთის ეროვნული საბჭო დემოკრატიული არჩევნების გზით ირჩევა, ონლაინ ხმის მიცემით. ბოლო არჩევნებში კი, სომხეთის, რუსეთის, საფრანგეთის, აშშ-ისა და სხვა, სულ 41 ქვეყნის 17837-მა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. დასავლეთ სომხეთის მოქალაქეთა ონლაინ

* ამშენები, ამშენელი სომხები, ჰამშილები, ჰემშინები, ჰემშილები, ხემშილები (სომხ. Համշենցիներ, თურქ. Hemşinliler) - ისტორიულ ქართულ მიწებზე, კოლხეთის სამეფოს სამხრეთ რეგიონსა და იმიერტაოში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ძირითადში რიზეს პროვინციაში ლტოლვილების სახით შემოსული და დღეისათვის მცხოვრები სომხების სუბეთნიკური ჯგუფი. ისინი ბიზანტიის იმპერიის ამ მხარეში VIII საუკუნის ბოლოს სომხეთის პროვინცია ვასპურაკანიდან გადმოსახლდნენ, გამოექცნენ რა, არაბთა ექსპანსიას. მდინარე ჭოროხის გადმოლახვის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე V-მ, ერთმორწმუნეობის პრინციპიდან გამომდინარე, სომეხ ლტოლვილთა 12 ათასი ოჯახი გულთბილად მიიღო და თავის ქვეყანაში ნაყოფიერ მიწებზე დასახლების უფლება მისცა. მათ პონტოს მთებში დააარსეს ქალაქი ტამბური, რომელსაც მოგვიანებით ამშენი უწოდეს. ამშენელი სომხები თავდაპირველად ქრისტიანები და სომხური სამოციქულო ეკლესიის წევრები იყვნენ, 1461 წელს კი, ამშენი ოსმალებმა აიღეს და ისინი ნელ-ნელ სუნიტურ ისლამზე მოექცნენ, თუმცა, მათ საკუთარი ენა და კულტურა არ დაუკარგავთ. დღეისათვის დანარჩენი სომხური ეთნოსისგან პრაქტიკულად მოწყვეტილი ეს ეთნიკური ჯგუფი სომხური ენის განსაკუთრებულ დიალექტზე მეტყველებს. საუკუნეების განმავლობაში გამაჰმადიანებული ამშენები (ჰემშილები) თურქული ხელისუფლების მხრიდან არ იდევნებოდნენ. XIX საუკუნისთვის ჰემშილები ოსმალთა იმპერიის ტრაპიზონის ვილაიეთის აღმოსავლეთ რაიონებში ცხოვრობდნენ. XX საუკუნის დასაწყისიდან, I მსოფლიო ომისა და თურქეთის დამოუკიდებლობის ომის პერიოდში კი, ამშენელი სომხების გარკვეულმა ნაწილმა დატოვა თურქეთი და ისინი რუსეთსა და საქართველოში ემიგრირდნენ. II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1944 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მცხოვრები ჰემშილები ე.წ. ,,თურქ მესხებთან" ერთად შუა აზიაში გადაასახლა. 2000-იან წლებში ამშენელთა გარკვეული რაოდენობა ყაზახეთიდან და ყირგიზეთიდან რუსეთში, ძირითადში კრასნოდარის მხარეში გადმოსახლდა. სხვადასხვა შეფასებით, დღეისათვის ამშენელთა რიცხვი მსოფლიოში მილიონ სულს აღწევს. დღეისათვის ამშენები გვხვდებიან აგრეთვე დასავლეთ თურქეთის იზმირის პროვინციაში, ასევე ცენტრალურ აზიასა და რუსეთის ფედერაციაში. მათი გარკვეული რაოდენობა ისევ ცხოვრობს საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში. სოხუმში კი, გამოდის გაზეთი ,,ამშენი".

თვითწარდგინების მექანიზმიც ნათლად არის განსაზღვრული. ამისათვის საკმარისია 100 ხელმოწერის შეგროვება. ჩვენ დასავლეთ სომხეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი საკუთარი დოკუმენტები გვაქვს“.[10]

ინტერვიუს კომენტარი მკითხველისათვის მიგვინდვია. ამ ე.წ. სახელმწიფოს - ,,დასავლეთ სომხეთის რესპუბლიკის“ ტერიტორიული განფენილობისა და მოსახლეობის შესახებ არსებული მონაცემები კი, შემდეგია:

დასავლეთ სომხეთი - სომხეთის ზეგანზე არსებული რესპუბლიკა. ფართობი - 126 000 კვ.კმ. მოსახლეობა - 14 მილიონი. მათგან 8 მილიონი დიასპორაში, 6 მილიონი - ფაქტიური მოსახლეობა;

ეროვნული შემადგენლობა: სომეხი-ქრისტიანები - 8 მილიონი (57%), კრიპტოსომხები - 1 მილიონი (7%), ქურთები - 2 მილიონი (14%), თურქები - 2 მილიონი (14%), სხვა ხალხები - 1 მილიონი (7%);

რესპუბლიკა იმყოფება ფაქტიური თურქული ოკუპაციის ქვეშ. დასავლეთ სომხეთის თურქული ოკუპაციის შემდეგ, მისი მთელი ძირძველი მოსახლეობა დევნილობაში აღმოჩნდა. დღეს მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში დასავლეთ სომხეთიდან ლტოლვილთა დაახლოებით 8 მილიონი შთამომავალი ცხოვრობს. ისინი ცნობილნი არიან დასახელებით ,,სპიურკი“ - სომხური დიასპორა.[11]

აი ასე, არც მეტი, არც ნაკლები... დასკვნა კი, შემდეგია - ილუზორული ,,სომხეთის სახელმწიფო“ ასევე ილუზორული ,,დიადი არმენიის“ თანამედროვე რეპლიკაა...

გამოყენებული ლიტერატურა

სონღულაშვილი ავთანდილი, საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, გამომცემლობა ,,უნივერსალი”, თბილისი. 2018. გვ. 76.

ბაქრაძე ჯ. ორი წერილი მესხების შესახებ. თბილისი. 1995.

Harutyunyan, Arus (2009). Contesting National Identities in an Ethnically Homogeneous State: The Case of Armenian Democratization. Kalamazoo, Michigan: Western Michigan University. ISBN 978-1-109-12012-7. Pg. 89. https://scholarworks.wmich.edu/cgi/ viewcontent.cgi? article=1669&context=dissertations

https://cyclowiki.org/wiki/%D0%97%D0%B0%D0%BF%D0%B0%D0%B4%D0%BD % D0% B0%D1%8F_ %D0%90%D1%80%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1% 8F

Абрамян Арменак. Биография. http://ru.hayazg.info/%D0%90%D0%B1%D1%80% D0% B0%D0%BC% D1%8F%D0%BD_%D0%90%D1%80%D0%BC%D0%B5%D0% BD%D 0% B0%D0%BA

,,Арменак Абрамян: Мы Долгое время шли к тому, чтобы наладить отношения с Абхазией, и вот есть возможность начать этот процесс через спорт”. Apsny-online. Абхазия-Информ. 31.05.2016 19:04. http://apsny.ru/news/index.php?ID=22414&fb_ comment _id=705512782885252_705549466214917

Григорий Анисонян. В Париже состоялся Третий съезд потомков западных армян. Ноев Ковчег. №1

Национальный совет армян Западной Армении формирует Правительство Западной Армении в изгнании. 4 февраля 2011. https://regnum.ru/news/polit/1371768.html

Республика Западная Армения (РЗА). https://m.vk.com/public132081315?offset=10& own=1

Республика Западная Армения (Армения). Единый политико–правовой пакет документов о защите прав Западной Армении и армян Западной Армении (Сборник документов) 5–е дополненное издание. Декларация о формировании Национального Собрания (Парламента) Западной Армении. 2019 г. Ереван, НТ Холдинг, 2019 г.

Республика Западная Армения предъявляет территориальные требования к Турции. 11.08.2018 https://yerkramas.org/article/142046/respublika-zapadnaya-armeniya-predyavlyaet-territorialnye-trebovaniya-k-turcii

10 ,,Арменак Абрамян: Мы Долгое время шли к тому, чтобы наладить отношения с Абхазией, и вот есть возможность начать этот процесс через спорт”. Apsny-online. Абхазия-Информ. 31.05.2016 19:04. http://apsny.ru/news/index.php?ID=22414&fb_ comment_id=705512782885252_705549466214917

11 Республика Западная Армения (РЗА). https://m.vk.com/public132081315?offset=10&own=1

რეგიონული გაზის „ჰაბი“ შავ ზღვაზე: პრობლემები, პერსპექტივები

ზურაბ გარაყანიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

აბსტრაქტი

მსოფლიოში გაზის წარმოება 2021 წელს გაიზარდა თითქმის 5 პროცენტით და მიაღწია რეკორდულ 4,04 ტრილიონ კუბ.მეტრს. ამჟამად მსოფლიოში რუსეთი მეორე უმსხვილესი ბუნებრივი აირის მწარმოებელი და წამყვანი ექსპორტიორია. 2021 წელს რუსეთის აირის ექსპორტი იყო 202 მლრდ კუბ. მეტრი მილსადენის გაზი და 39,6 მლრდ კუბ. მეტრი თხევადი ბუნებრივი გაზი - LNG.[1] უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, რუსეთმა შეწყვიტა ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროპაში, რაც ადრე ევროკავშირის მომარაგების 40% შეადგენდა, რის შემდეგაც ევროპაში ენერგიის ფასები გაიზარდა. თავისი სტრატეგიული მდებარეობით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საქართველოს აქვს პოტენციალი შექმნას LNG „ჰაბი“ რუსეთის გვერდის ავლით გაზის ტრანსპორტირებისთვის ევროპის ბაზრებზე - გამოიყენოს არსებული საპორტო სიმძლავრეები ანაკლიაში, ფოთში, ბათუმში, ყულევში (ეკუთვნის შპს „სოკარ BST“-ს).

ომის დაწყების შემგომ განვითარებული მოვლენები აჩვენებს რუსეთის მთავრობის ინტერესს თურქული გაზის „ჰაბის“ იდეის მიმართ. 2022 წლის სექტემბრის ბოლოს, ბალტიის ზღვის ფსკერზე “ჩრდილოეთ ნაკადის 1 და 2” გაზსადენების აფეთქებიდან ორი დღის შემდეგ, პრეზიდენტები რ. ტ. ერდოღანი და ვ. პუტინი შეთანხმდნენ, რომ დაემატებინათ კიდევ ორი ახალი მილი “თურქული ნაკადის” გაზსადენის გასწვრივ, რომელიც აშკარად არის ევროკავშირის “სამხრეთის გაზის დერეფნის” (SGC) კონკურენტი პროექტი. ევროკავშირის „დერეფანი“ (SGC) გადის აზერბაიჯანსა და საქართველოში, შემდეგ თურქეთის გავლით აღმოსავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში. „თურქული ნაკადის“ მილსადენებიც შედის ევროპის იმ რეგიონში, სადაც მისი კონკურენტი - ევროპული „დერეფანი“ მიდის, კერძოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

სულ ახლახანს, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გადაიქცა ბუნებრივი გაზი საწვავის ერთ-ერთ ძირითად სახეობად. ამ საუკუნის დასაწყისში, ბუნებრივი აირის დაახლოებით 88-90% მიწოდებული იყო გაზსადენებით, გრძელვადიანი ეკონომიკური კონტრაქტებით, უშუალოდ კონკრეტული მიმწოდებლიდან კონკრეტულ მომხმარებლამდე, დანარჩენი - ტანკერებით, თხევადი გაზის (LNG) სახით. 2021 წელს LNG-ის გლობალური იმპორტი, LNG იმპორტიორთა საერთაშორისო ჯგუფის (GIIGNL) ანგარიშის მიხედვით, წინა წელთან შედარებით 4,5%-ით გაიზარდა და 513,7 მილიარდ კუბურ მეტრს (372,3 მლნ ტონა) მიაღწია. ჯგუფის კვლევაში აღნიშნულია, რომ 2021 წელს LNG უკვე იკავებს გლობალური გაზის ბაზრის დაახლოებით 40%-ს, დანარჩენი კი გაზსადენებზე მოდის. 2021 წელს LNG-ის დაახლოებით 73% (375 მილიარდი კუბური მეტრი, ანუ 271,8 მილიონი ტონა) იმპორტირებული იყო აზიის ქვეყნების მიერ. გარდა ამისა, მსოფლიოს LNG მოცულობის მხოლოდ 36,6% გაიყიდა სპოტ ბაზარზე, ე.ი. მცირე პარტიებად - დანარჩენი გაიყიდა გრძელვადიანი ხელშეკრულებებით, რითაც უგულებელყოფილ იქნა თავისუფალი ფასის ფორმირების საბაზრო მექანიზმი. რუსეთ-უკრაინის ომის გამო, ევროკავშირის გაზის მიწოდება „გაზპრომის“ მილსადენებიდან თითქმის შეწყდა და ბრიუსელი უიმედოდ ეძებს ალტერნატიულ მარშრუტებს.

ამგვარი ალტერნატივის იდეა პირველად, “ტრანსკასპიური გაზსადენის” სახით, წამოაყენა აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა 1996 წელს. თუმცა, კასპიის ზღვის სტატუსის გაურკვევლობის გამო და მისი შელფის საზღვრების დელიმიტაციის არ არსებობის მიზეზით, აგრეთვე აზერბაიჯანის, ირანის და თურქმენეთის კონფლიქტური პოზიციის გამო, ეს პროექტი ჯერ არ განხორციელებულა.

რფ-ს მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, 2014 წელს, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) ერთ-ერთი კომპონენტის - „თეთრი ნაკადის“ გაზსადენის და თხევადი გაზის პროექტის AGRI(LNG) დაპროექტება დაიწყო. 2007 წელს პროექტი- „აზერბაიჯანი-საქართველო-უკრაინა-რუმინეთი-უნგრეთი ინტერკონექტორი“ გაურკვეველი დროით გადაიდო. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ყველაზე პერსპექტიული პროექტები საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის, რადგან ორივე გვერდს უვლის არა მარტო რუსეთს, არამედ თურქეთს და, შესაბამისად, ანეიტრალებს მის სატრანზიტო ჰეგემონიას.

საქართველოს ვიცე-პრემიერმა ბ-ნმა ლევან დავითაშვილმა, 2022 წლის 21 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მთავრობა მუშაობს პროექტზე, რომლითაც კასპიის ზღვის სანაპიროდან ევროპაში გაზი საქართველოს გავლით მიეწოდება. მისი თქმით პროექტი, რომელშიც ასევე მონაწილეობენ აზერბაიჯანი, რუმინეთი და უნგრეთი, უკვე დაწყებულია 2015 წელს და ითვალისწინებს გეგმას, რომლითაც „... გაზი გათხევადდება საქართველოს ტერიტორიაზე, შემდეგ კი ხელახლა მოხდება მისი რეგაზიფიკაცია რუმინეთში. სამწუხაროდ, ეს პროექტი შეჩერდა და შემდგომი განვითარება არ ჰქონია“, - განაცხადა მან და დასძინა, რომ „... ევროპა განსაკუთრებით დაინტერესებულია გაზის მიწოდების ალტერნატიული წყაროებით, როცა ყველა საუბრობს ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაზე. ამ პროექტმა განსაკუთრებული აქტუალობა 2022 წელს მოიპოვა“.

საკვანძო სიტყვები:
შავი ზღვა, სამხრეთის გაზის დერეფანი, გაზის ჰაბი, თხევადი გაზი, საქართველო, ევროკავშირი.

1 https://www.aa.com.tr/en/europe/russia-struggles-to-make-up-for-europes-gap-in-natural-gas-exports/2717651.

Black Sea Regional Gas Hub: Problems, Perspectives

Zurab Garakanidze
Associate Professor of State Resource Management
Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctor of Economics

Abstract

In 2021 global natural gas production has increased by nearly 5 percent and reached a record - 4.04 trillion cubic meters. Russia currently ranks as the world's second largest natural gas producer and is the leading exporter. In 2021, Russia's natural gas exports were 202 billion cubic meters of pipeline gas, and 39.6 billion cubic meters of liquefied natural gas (LNG). [Source: Russia struggles to make up for Europe's gap in natural gas exports. https://www.aa.com.tr/en/europe/russia-struggles-to-make-up-for-europes-gap-in-natural-gas-exports/2717651]. Since the war in Ukraine, Russia has cut natural gas exports to Europe, which previously relied on the country for 40 percent of EU's supply, resulting in skyrocketing energy prices in the Europe. Georgia, with its strategic location on the Black Sea's eastern shore, has the potential of creating a LNG hub to transport gas to European markets bypass Russia - to use existing port facilities at Anaklia, Poti, Batumi. Kulevi (belongs to Socar BST Ltd.)

Recent developments show the interest of the Russian government in the idea of a Turkish gas hub. In September 2022, two days after the explosion of the "North Stream 1 and 2" gas pipelines on the bottom of the Baltic Sea, Presidents R.-T. Erdogan and V. Putin agreed to add two more new gas pipelines along the "Turkish Stream", which is clearly a competing project of the EU's "Southern Gas Corridor" (SGC) passing through Azerbaijan and Georgia, since these two pipelines will enter the region, where its competitor - the European "corridor" "goes", namely in South-Eastern Europe.

More recently, since the 70s of the last century, the natural gas has become one of the main types of fuel. At the beginning of this century, about 88-90% of natural gas was delivered by gas pipelines under long-term economic contracts directly from a specific supplier to a specific customer, the rest - by tankers, in the form of liquefied gas (LNG). In 2021, global LNG imports, according to the report of the International LNG Importers Group (GIIGNL), increased by 4.5% compared to the previous year and reached 513.7 billion cubic meters (372.3 million tons). The group's research notes, that in 2021, the LNG already accounts for about 40% of the global gas market, with the rest coming through gas pipelines. In 2021, about 73% of the LNG (375 billion cubic meters, or 271.8 million tons) was imported by Asian countries. In addition, only 36.6% of the world's LNG volume was sold on the spot market, i.e. in small lots, - the rest was sold through long-term contracts, thereby neglecting the market mechanism of free price formation. Due to the Russia-Ukraine war, the European Union's gas supply from Gazprom's pipelines was interrupted and Brussels is desperately looking for alternative routes.

For the first time, the idea of such an alternative in the form of the "Trans-Caspian gas pipeline" was put forward by then US President Bill Clinton in 1996. However, due to the uncertainty of the status of the Caspian Sea and the lack of delimitation of its shelf boundaries, due to the conflicting position of Azerbaijan, Iran and Turkmenistan, this project was not implemented yet.

After the annexation of Crimea by the Russian Federation in 2014, one of the components of the "Southern Gas Corridor" (SGC), supported by the European Union - the "White Stream" gas pipeline and the liquefied gas project AGRI(LNG) began to be designed. In 2007. - "Azerbaijan-Georgia-Ukraine-Romania-Hungary Interconnector" was postponed for an indefinite time. It should be noted, that these were the most promising projects for Georgia and Azerbaijan, since both of them turned aside not only Russia, but also Turkey as they neutralized the transit hegemony.

At a briefing held on November 29, 2021, the Vice Prime Minister, Minister of Economy of Georgia, Mr. Levan Davitashvili stated, that the Georgian government was working on a project in order to supply gas from the Caspian Sea shore of Azerbaijan to Europe through Georgia. According to Mr. L. Davitashvili, the project participants were the following countries Azerbaijan, Romania and Hungary and they had already started their activities in 2015 and had provided for a plan by which "... gas will be liquefied on the territory of Georgia, and then it will be re-gasified in Romania." Unfortunately, this project was stopped and had no further development", he said, adding that "... Europe is especially interested in alternative sources of gas supply, when everyone is talking about diversification of energy supply. This project has gained special relevance this year".

Mr. L. Davitashvili noted, that the evaluation of the project and the infrastructure in the territory of Georgia-Azerbaijan is underway. "It won't happen in a day or a year," he said, adding that "...first, we need to depict a complete picture...then we need to formulate a detailed action plan...and start implementing this plan step by step, including attracting investments."

Keywords:
Bleak Sea, SCG, Gas hub, LNG, Georgia, EU.

შესავალი

ევროკავშირს 4 მოქმედი „გაზის დერეფანი“ ამარაგებს: 1) ე.წ. „ჩრდილოეთის ზღვის“ მარშრუტი (ჰოლანდია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი); 2) ჩრდილოეთ აფრიკის “დერეფანი” ტუნისისა და ალჟირის სამი წყალქვეშა გაზსადენით; 3) რუსეთიდან ბელარუსის, ბალკანეთის, უკრაინის და თურქეთის გაზსადენები და 4) კავკასიის, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით ევროკავშირში ბალკანეთიდან შემავალი გაზსადენები. ამ მარშრუტებში აშკარად იკვეთება თურქეთის განსაკუთრებული ამბიცია - ის მესამე და მეოთხე დერეფნების მთავარი რგოლია. ამიტომ ამ ქვეყანამ მიზნად დაისახა გაზით ვაჭრობაში არა მარტო ტრანზიტული, არამედ „ჰაბის“ ფუნქციის შესრულებაც, რაც უბრალო სატრანზიტო რგოლის გარდა გაზის შენახვის, მისი განაწილების, ასევე საბითუმო და სპოტ-ვაჭრობის ადგილის, და რაც მთავარია, გაზით ვაჭრობისას რეგიონალური ფასწარმომქმნელის ფუნქციის შესრულებასაც გულისხმობს. ცენტრალურ ევროპაში ამ ფუნქციას ავსტრიაში მდებარე „ჰაბი“ - ბაუმგარტენი ასრულებს. თურქეთის ხელისუფლებას სურს, რომ იგი სამხრეთ ევროპისთვის არა მხოლოდ გაზის სატრანზიტო მარშრუტი, არამედ „ჰაბიც“ გახდეს.

ძირითადი ნაწილი

თურქეთში გაზი შედის რუსეთიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან. თურქეთი გარკვეულწილად თხევად გაზზეცაა დამოკიდებული, რომელიც იმპორტირებულია აშშ-დან, ყატარიდან და გამოიყენება შიდა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ყოველ წელს თურქეთში იმპორტირებული გაზის საბაჟო გადასახადმა შეადგინა 40-41 მილიარდი დოლარი, დაახლოებით 45 მლრდ კუბ. მეტრზე.[2] ქვეყანა სტრატეგიულად არის პოზიციონირებული, როგორც სატრანზიტო კვანძი რეგიონთაშორისი მილსადენებით. გარდა ამისა, 2020 წლის იანვრიდან, „თურქული ნაკადის“ მილსადენით რუსული გაზი შავი ზღვის ფსკერის გავლით შედის თურქეთში, საიდანაც ის ამარაგებს სამხრეთ ევროპის ბაზრებს. რუსეთმა და თურქეთმა 1997 წელს დაიწყეს „ცისფერი ნაკადის“ მილსადენის მშენებლობა, რომელიც 2003 წლის დასაწყისში დასრულდა და რუსული გაზით უზრუნველყო აღმოსავლეთ თურქეთის ბაზარი.

თურქეთს 3 მოქმედი ტერმინალი აქვს თხევადი გაზის (LNG) მისაღებად და რეგაზაციისათვის: ერთი მარმარა ერეგლისში და ორიც ალიაგაში. ალიაგა მდებარეობს იზმირში, ანატოლიის დასავლეთში, ხოლო ერეგლისი - სტამბოლის დასავლეთით.

თურქეთი უკვე წლიურად 40 მილიარდ კუბ. მეტრ საკუთარ გაზსაც აწარმოებს და ქვეყანა მალე გაზის ტრანზიტორთან ერთად, გაზის ექსპორტიორიც გახდება. თურქეთს სურს პოზიციონირება მოახდინოს რეგიონში, როგორც ბუნებრივი გაზის ექსპორტიორმა „საკარიას“ ოფშორული გაზის საბადოს საშუალებით. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა ფ. დონმეზმა TRT TV-სთან ინტერვიუში 2023 წლის 19 მარტს განაცხადა.[3] ამ ამბიციური გეგმების განხორციელებით, თურქეთი სერიოზულ განაცხადს გააკეთებს შავი ზღვის რეგიონულ გაზის ჰაბად გადაქცევაზე. „ახლა გვაქვს ჩვენი საკუთარი გაზი. ჩვენ მოვიხმართ დაახლოებით 55-60 მლრდ კუბ.მ გაზს წლიურად. შეიძლება ჩვენ მალე გვქონდეს 100 მლრდ კუბ.მ აირი და, თუ ეს ყველაფერი სწორად დავგეგმეთ, გვექნება 40 მლრდ კუბ.მ გაზი საექსპორტოდ“ - განაცხადა მინისტრმა.[4]

ტრადიციულად თურქეთი გაზის ტრანზიტორია აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან, რომელთა გაზზსაც ის აწვდის ევროპას. ფ. დონმეზმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ტრანზიტული მარშრუტი. „ეს იქნება ქვეყანა, სადაც იქნება გაზის საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი და ერთი წლის განმავლობაში იგეგმება მისი შექმნა“ - განაცხადა მან.[5]

გაზის ახალი თურქული საბადო „საკარია“ სახელმწიფო ენერგეტიკულმა კომპანია TPAO-მ აღმოაჩინა 2020 წლის აგვისტოში. თავდაპირველად 320 მლრდ კუბ.მ დაზვერილი აირის მარაგების მქონე საბადო, უკვე ორი თვის შემდეგ 405 მლრდ. კუბ.მ-მდე დამტკიცებულ დეპოზიტად მოგვევლინა. უკვე 2021 წლის ივნისში TPAO-მ გამოაცხადა, რომ აღმოაჩინა კიდევ 135 მლრდ. კუბ.მ დეპოზიტის მქონე საბადო „ასმარა-1“, რაც „საკარიასთან“ ერთად, ჯამში 540 მლრდ. კუბ.მ ბუნებრივ აირს შეადგენს.

რუსეთი, 2022 წლის შემოდგომაზე „ჩრდილოეთის ნაკადის“ სამი მილსადენის აფეთქების მერე, პერიოდულად მიმართავს თურქეთს, როგორც დამატებითი გაზის მიწოდების პოტენციურ წყაროს ევროპაში. მოსკოვმა შესთავაზა ანკარას „თურქული ნაკადის“ მილსადენის სიმძლავრის გაზრდა წელიწადში 62 მლრდ კუბ. მეტრამდე. თუმცა გასარკვევია, რამდენად თანახმა იქნებიან გაზის ევროპელი მყიდველები გააგრძელონ რუსული გაზის მოხმარება უახლოეს წლებში.

თურქეთი იმავდროულად ცდილობს გაზარდოს თავისი სატრანზიტო როლი აზერბაიჯანული

2 Turkey: A new emerging gas player with resources and infrastructure. https://www.mei.edu/publications/turkey-new-emerging-gas-player-resources-and-infrastructure

3 Turkey: A new emerging gas player with resources and infrastructure. https://www.mei.edu/publications/turkey-new-emerging-gas-player-resources-and-infrastructure

4 Turkish minister says Black Sea gas supplies to start by late April. REGION 19 March 2023 - 12:00; https://caliber.az/en/post/153593/

5 იქვე.

გაზის ევროკავშირში მიწოდების საქმეში და გაორმაგოს გადაზიდვები აზერბაიჯანიდან 2027 წლისთვის წელიწადში 20 მლრდ კუბ.მ-მდე. მაგრამ ევროპაში არსებობს შეშფოთება იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს აზერბაიჯანი აღნიშნული დამატებითი გაზის მიწოდებას აზერბაიჯანული საბადოებიდან და ხომ არ იქნება ეს გაზი რუსეთიდან მიღებული და შემდგომში ევროპაში ფარულად გადამისამართებული ბუნებრივი აირი. ამ ეჭვებს ამყარებს 2022 წლის ნოემბერში აზერბაიჯანში რუსული გაზის იმპორტის დაწყება.

თურქეთზე გამავალი „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (TANAP) გავლით "ტრანსადრიატიკული გაზსადენით" (TAP), 2020 წლის ბოლოდან 2023 წლის დასაწყისამდე, ევროპაში ექსპორტირებული აზერბაიჯანული გაზის მოცულობამ 18 მლრდ. კუბ. მეტრს გადააჭარბა - ნათქვამია მილსადენ კომპანია TAP AG-ის ანგარიშში. „…TAP-ის სიმძლავრე შეიძლება გაორმაგდეს ეტაპობრივად, რათა შემდგომი წვლილი შეიტანოს ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში“ - აცხადებენ TAP AG-ში.[6]

გაზის მიწოდების ამგვარი სწრაფი ზრდა საქართველოსთვისაც მომგებიანია, ვინაიდან 2026 წლამდე, ე.წ. „საუკუნის კონტრაქტით“ საქართველო „სამხრეთკავკასიურ გაზსადენში“ (რომელიც ქ. ერზერუმში TANAP-ს უკავშირდება) გატარებული გაზის 5%-ს უფასოდ, ხოლო 5%-ს შეღავათიანად, ტრანზიტის საფასურად იღებს.

2021 წლიდან TAP-ის გაზსადენით აზერბაიჯანმა დაიწყო „სამხრეთის გაზის დერეფნით“ ბუნებრივი აირის სამხრეთ ევროპაში - იტალიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში მიწოდება. მიწოდებული აირის მოცულობამ 2021 წელს 8.2 მლრდ კუბ.მ შეადგინა. 2022 წელს ექსპორტის მოცულობა პროგნოზირებული იყო, როგორც 22-23 მლრდ კუბური მეტრი, მათ შორის 11,5 მლრდ კუბური მეტრი ევროპაში, დანარჩენი - თურქეთში. პროგნოზი თითქმის სრულად შესრულდა და ევროპაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, 18 მლრდ კუბ.მ კასპიური აირის ექსპორტი განხორციელდა. საინტერესოა, როგორ ახერხებს აზერბაიჯანი ევროპაში გაზის ექსპორტის ასეთ მკვეთრ ზრდას, როდესაც პერსპექტიული გაზის საბადოები - აბშერონი, ბაბეკი, უმიდი, ყარაბაღი, ჯერ კიდევ აუთვისებელია, ხოლო „დერეფნის“ მთავარი წყაროები - „შაჰ-დენიზი 1“ და „შაჰ-დენიზი 2“ უკვე სრული დატვირთვით მუშაობენ?

რუსულმა „გაზპრომმა“ 2022 წლის 18 ნოემბერს გამოაცხადა, რომ აზერბაიჯანს 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის მარტამდე 1 მლრდ კუბ.მ ბუნებრივ აირს მიაწვდის სახელმწიფო ენერგოკომპანია SOCAR-თან გაფორმებული ახალი კონტრაქტით.[7]

ისტორიულად აზერბაიჯანისთვის გაზის მიმწოდებელი 2000-2006 წლებში სწორედ „გაზპრომი“ იყო, მაგრამ შემდეგ ქვეყანამ სწრაფად გააფართოვა საკუთარი გაზის წარმოება BP-ის მიერ ოპერირებად „შაჰ-დენიზის“ საბადოზე, რაც მას საშუალებას აძლევდა დაეფარა არა მხოლოდ საკუთარი გაზის საჭიროებები, არამედ საქართველოსა და თურქეთში განეხორციელებინა ექსპორტი. მას შემდეგ, რაც „შაჰ-დენიზის“ გაზის დიდი ნაწილი უკვე უცხოელმა კომპანიებმა შეისყიდეს, აზერბაიჯანი კვლავ დაუბრუნდა რუსეთიდან გაზის მიღებას 2017-2018 წლებში, მაგრამ შესყიდვები ისევ შეწყვიტა მას შემდეგ, რაც 2019 წელს, „შაჰ-დენიზის“ მეორე ეტაპის გაზი თურქეთში გაიგზავნა.

ამ დროიდან აზერბაიჯანი უკვე პრიორიტეტს ანიჭებს თავისი გაზის საზღვარგარეთ გაყიდვას, თავის შიდა საჭიროებებთან შედარებით. ამით ბაქო ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს სავალუტო შემოსავლები. რუსულ „გაზპრომთან“ ახალი შეთანხმება გაფორმდა მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი ემზადებოდა ზამთრის შუა პერიოდის გაზის მოხმარების პიკისთვის. თუმცა, რუსული გაზის იმპორტის განახლება ახლა დამატებით კითხვებს აჩენს, იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანმა 2022 წლის ივლისში აიღო ვალდებულება ადრე დაგეგმილზე მეტი გაზის გადატუმბვაზე ევროპაში.

საინფორმაციო სააგენტო APA-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, აზერბაიჯანულმა SOCAR-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიას აქვს „გაზპრომთან“ თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია და რომ ეს ორი ენერგო გიგანტი „...ცდილობენ თავიანთი ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციას, გაზის ნაკადების ურთიერთგაცვლის ორგანიზებით“.[8]

აზერბაიჯანული გაზის მიწოდება ევროპაში 2020 წლიდან „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) გავლით ხორციელდება, რათა ხელშეკრულებით შეთანხმებული წლიურად 10 მლრდ კუბ.მ ბუნებრივი აირი მივიდეს ევროპელ მომხმარებლებთან. ბაქოსა და ბრიუსელს შორის 2022 წლის ივლისში გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით, აზერბაიჯანულმა მხარემ პირობა დადო, რომ 2022 წელს ექსპორტს 12 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდიდა.[9]

ეს ახალი შეთანხმება, როგორც ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ენერგეტიკული ურთიერთობების გაფართოება, მოიწონა როგორც ევროკავშირმა, ასევე აზერბაიჯანმა. ევროკომისიამ შეთანხმებას უწოდა ევროკავშირის გამარჯვება გაზის მიწოდების დივერსიფიკაციის მცდელობებში. თუმცა, არასოდეს არ დაკონკრეტებულა, თუ საიდან იქნება აირის დამატებითი მიწოდების წყარო. ფაქტიურად ბაქომ ევროპაში არა დაკონტრაქტებული 12-ის, არამედ 18 მლრდ კუბ.მ გაზის მიწოდება შეძლო.

6 Azerbaijan has already sold over 18 bcm of gas to European markets, 21/11/2022. http://caspianbarrel.org/en/2022/11/azerbaijan-has-already-sold-over-18-bcm-of-gas-to-european-markets/

7 Relaunch of Russian gas supplies to Azerbaijan raises questions about Baku-Brussels deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/

8 Relaunch of Russian gas supplies to Azerbaijan raises questions about Baku-Brussels deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/

9 იქვე

აზერბაიჯან-ევროპულ „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმთან (რომელიც პასუხისმგებელია აზერბაიჯანული გაზის ექსპორტზე) დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით, Eurasianet-ის ცნობით, დამატებითი საექსპორტო გარიგებები ამ საბადოდან გაზის გაყიდვის შესახებ, უკვე დაკონტრაქტებული წლიური 10 მლრდ კუბ.მ-ის ზევით არ არის შეთანხმებული საოპერაციო კონსორციუმთან.[10] ეს აჩენს ლეგიტიმურ კითხვას: ევროკავშირ-აზერბაიჯანის 2022 წლის ივლისის მემორანდუმის შესასრულებლად ჩუმად ხომ არ იყიდება რუსული გაზი როგორც აზერბაიჯანული?

რუსული გაზის მიწოდების განახლება, ერთის მხრივ, აზერბაიჯანისთვის შეიძლება უბრალოდ იმაზე მიუთითებდეს, რომ ბაქო შეშფოთდა ზამთარში თავისი შიდა მოხმარების გაზრდით. და მართლაც, აზერბაიჯანისა და ევროკავშირის შეთანხმება მხოლოდ მემორანდუმია და, შესაბამისად, არასავალდებულო. მაგრამ განვითარებული მოვლენები ბადებს ეჭვს და ვარაუდს, რომ რაც უფრო გაგრძელდება უკრაინაში ომი, მით მეტად შეეძლება აზერბაიჯანს გამოიყენოს იაფი რუსული გაზი თავისი შიდა მოთხოვნის დასაფარად, რათა მეტი კასპიური გაზი გამოათავისუფლოს ევროპაში საექსპორტოდ.

მეორე მხრივ, აზერბაიჯანს თავისუფლად შეუძლია შეისყიდოს იმდენი რუსული გაზი, რამდენიც უნდა. არაა გამორიცხული, რომ ის იყენებს რუსულ გაზს ევროპაში კასპიური აირის მეტი მოცულობების გასაგზავნად - ფაქტიურად ეს გარიგება თავისი ეკონომიკური შინაარსით „სვოპ“ მიწოდებაა. ამდენად, გაზის რუსეთიდან აზერბაიჯანში იმპორტი გარკვეულწილად ძირს უთხრის ევროკავშირ-აზერბაიჯანის შეთანხმების სულისკვეთებას. ასევე, ეს იქნება კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რამდენად უჭირს ევროპას რუსული გაზის ალტერნატივის მოძებნა უახლოეს პერსპექტივაში, და რამდენად შეეცდება მოსკოვი ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) გაზსადენების თავისი მიზნებისათვის გამოყენებას.

ევროკავშირი 2027 წლისთვის აპირებს გაზარდოს აზერბაიჯანული გაზის შესყიდვა წლიურად 20 მლრდ კუბ. მეტრამდე 2022 წლის ივლისის მემორანდუმის თანახმად. გრძელვადიან პერსპექტივაში, აზერბაიჯანს შეიძლება რუსული გაზის შესყიდვის გარეშეც ჰქონდეს პოტენციალი ამ მიზნის მისაღწევად. ქვეყანას აქვს არაერთი აუთვისებელი საბადო, რომლებიც შეიძლება იმ დროისთვის ამუშავდეს.

მათ შორის დადასტურებულია კასპიის „აბშერონის“, „უმიდის“ და „ყარაბაღის“ ოფშორული საბადოები. ასევე, „შაჰ-დენიზის“ მე-3 ეტაპი, რომელიც მოიცავს გაზის ისეთ მარაგებს, რომლებიც ათვისების წინა სტადიაზეა. დაზვერილია, თუმცა არ არის დადასტურებული გაზის ღრმა პლასტები „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლის“ (ACG) ნავთობის საბადოს ქვეშ. ასევე, ჯერ არ დადასტურებულა „ბაბეკის“ გაზის საბადოს პერსპექტივაც.

ნორვეგიის Equinor-ისა და აზერბაიჯანის SOCAR-ის რისკის მომსახურების შეთანხმებით, დამუშავებაში მყოფმა გაზის საბადო „ყარაბაღმა“, შეუძლია მიაღწიოს წელიწადში 2 მლრდ კუბ. მეტრს. თუმცა, ეს ოფშორული საბადო მზად იქნება დასამუშავებლად მხოლოდ 2025-26 წლებში.

საფრანგეთის Total Energies-ის და აზერბაიჯანული SOCAR-ის ერთობლივი საწარმოს მიერ დამუშავებაში მყოფ გაზის საბადო „აბშერონს“ წელიწადში 5 მლრდ კუბ.მ გაზის მიწოდება შეუძლია, მაგრამ მხოლოდ 2027 წლის შემდეგ. ასევე, ექსპლუატაციაში მყოფი „უმიდის“ საბადო ამჟამად წლიურად აწარმოებს 1,7 მლრდ კუბ.მ გაზს და მისი წარმადობა შეიძლება გაიზარდოს 3 მლრდ კუბ. მეტრამდე. იმავდროულად, „ბაბეკს“, რომელიც „უმიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზეა, აზერბაიჯანის მთავრობის შეფასებით წლიურად 3-4 მლრდ კუბ.მ გაზის მოპოვება შეუძლია, მაგრამ მის ათვისებას ასევე რამდენიმე წელი სჭირდება.

2023 წელს უნდა დაიწყოს ახალი საბადოების ბურღვა „შაჰ-დენიზი 3“-ის (Shah Deniz Stage 3) და „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლის“ (ACG Deep Gas) ოფშორებზეც. მათი ათვისების შედეგები ხელს შეუწყობს დაზვერილი რესურსების მოცულობის და წარმოების პოტენციალის გაზრდას. ყველა შემთხვევაში, როგორც ჩანს, აზერბაიჯანს აქვს რეალური პოტენციალი, რომ მიაწოდოს ევროპას მისთვის სასურველი რაოდენობის გაზი. თუმცა, ყველა ზემოაღნიშნულ პროექტში, მათი შემდგომი სრულყოფისთვის საჭირო იქნება უცხოური ინვესტიციები, ტექნოლოგიები და ნოუ-ჰაუ. ეს განსაკუთრებით ეხება „უმიდისა“ და „ბაბეკის“ საბადოებს, რომლებიც გეოლოგიურად რთული ველებია და რომელთა ათვისებაშიც ამჟამად არ მონაწილეობენ დასავლური ინვესტიციები.

აზერბაიჯანში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნისათვის შეიძლება მთავარ პრობლემად იქცეს, რადგან ბევრმა დასავლურმა ენერგოკომპანიამ გამოაცხადა სამომავლო გეგმები, მომავალში შეამციროს კაპიტალური დანახარჯები ნავთობსა და გაზზე განახლებადი ენერგიის და სხვა დაბალ-ნახშირბადიანი ტექნოლოგიების სასარგებლოდ. ეს ეხება BP-საც, აზერბაიჯანის ნავთობის სექტორში ყველაზე დიდ ინვესტორს, რომლის დღევანდელი სტრატეგია მოითხოვს ნავთობისა და გაზის მოპოვების განახევრებას მომდევნო ათწლეულის განმავლობაში.

BP-ს მსგავსად, ბევრმა უცხოურმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ ეტაპობრივად შეამცირებენ ინვესტიციებს წიაღისეულ საწვავში. მათ შორისაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), რომელმაც თავის დროზე გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) საუკუნის პროექტებში, რომლებიც აკავშირებენ აზერბაიჯანულ გაზს ევროპელ მომხმარებლებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ SGC-ს პროექტებმა მაშინ მიაღწიეს წარმატებას, როდესაც ევროპაში გაზის ფასი საკმაოდ დაბალი იყო. აზერბაიჯანული გაზის მიმღები ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური

10 Relaunch of Russian gas supplies to Azerbaijan raises questions about Baku-Brussels deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/

მხარდაჭერის წყალობით, შეთანხმებული იქნა გრძელვადიანი კონტრაქტები მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული გაზის ფასები კონკურენციას ვერ უწევდა რუსულ, ან თხევადი გაზის (LNG), ევროპულ ბაზრებზე არსებულ ფასებს.

ახლანდელი სიტუაცია განსხვავებულია. ევროპაში გაზის ფასები საკმაოდ მაღალია, ხოლო იმპორტირებული უმნიშვნელო მოცულობის რუსული გაზის მიწოდება არაა სანდო, და უახლოეს წლებში, ევროკავშირის გადაწყვეტილებით, სულ შეიზღუდება. ეს აძლევს დამატებით შანსს აზერბაიჯანს, რომლის გაზიც მიიღება გრძელვადიანი კონტრაქტებით, და ის უკვე იძენს კონკურენტულ უპირატესობას. თუ ევროკავშირის მხრიდან ნაკლები პოლიტიკური მხარდაჭერა იქნება წიაღისეული საწვავის ახალი პროექტებისთვის, მაშინაც კი შესაძლოა ევროპის ბაზრის კონიუნქტურამ განაპირობოს იქ კასპიური გაზის მიწოდების ზრდა.

რუსეთ-უკრაინის ომის გამო ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) გააქტიურების პარალელურად, რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა შესთავაზა თურქეთს შექმნას ევროკავშირისთვის გაზის მიწოდების კერა - „ჰაბი“ „ჩრდილოეთის ნაკადი (Nord Stream) 1 და 2“ მილსადენების განადგურების საპასუხოდ. წინადადება, როგორც მოსალოდნელი იყო თურქეთში თბილად მიიღეს, მაგრამ ასეთი პროექტის განხორციელება, სავარაუდოდ, რთული იქნება. თურქეთს შესაძლოა ევროკავშირის მხრიდან წინააღმდეგობა შეექმნას საკრედიტო რესურსების წვდომაზე, ამიტომ ომში მყოფმა რუსეთმა პროექტის დაფინანსების უმეტესი ნაწილი თავად უნდა უზრუნველყოს. ეს პროექტი ასევე გულისხმობს, რომ ევროპის ნაწილი გააგრძელებს რუსული გაზის შესყიდვას, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უნდათ შეწყვიტონ იმპორტი და გაზარდონ წვდომა თხევად გაზზე (LNG) და ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე.

რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა თავის თურქ კოლეგა რ. ტ. ერდოღანთან ზემოაღნიშნული საკითხი განიხილა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში რეგიონული ლიდერების სამიტის ფარგლებში: „თუკი თურქეთი და ჩვენი შესაძლო მყიდველები სხვა ქვეყნებში დაინტერესებულნი არიან, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ სხვა გაზსადენის სისტემის მშენებლობა და თურქეთში გაზის „ჰაბის“ შექმნა მესამე ქვეყნებში აირის გასაყიდად, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ევროპულ ქვეყნებში, თუ ისინი ასე არიან დაინტერესებული ამით“, - განაცხადა პუტინმა.[11] თავის მხრივ რ. ტ. ერდოღანმა აღნიშნა, რომ თურქეთმა და რუსეთმა დაავალეს თავიანთ ენერგეტიკულ უწყებებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები. ს/ს „გაზპრომის“ აღმასრულებელი დირექტორის ალ. მილერის თქმით, პროექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს ახალი მილსადენების მშენებლობას არსებული „თურქული ნაკადის“ მილსადენის პარალელურად. „ბატონ პუტინთან ერთად, ჩვენ დავავალეთ ჩვენს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და რუსეთის მხარის შესაბამის ინსტიტუტს, ერთად იმუშაონ“, - განაცხადა რ. ტ. ერდოღანმა. „...ისინი ჩაატარებენ კვლევას სადაც უნდა იყოს ყველაზე შესაფერისი ადგილი, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იქ დავაარსებთ ამ სადისტრიბუციო ცენტრს.”[12] აღსანიშნავია, აგრეთვე წელიწადში 31,5 მლრდ კუბ.მ წარმადობის „თურქული ნაკადი“ (Turk¬Stream), რომელიც გადის შავი ზღვის ფსკერზე და ხმელეთზე ამოდის დასავლეთ თურქეთში. მისი ორი მილიდან ერთი გამოიყენება თურქეთის ბაზარზე გაზის მიწოდებისთვის, რის გამოც ევროპისთვის წელიწადში მხოლოდ 15,75 მლრდ კუბ.მ გაზი რჩება ხელმისაწვდომი. თურქეთი, როგორც ვხედავთ, უკვე ნაწილობრივ ასრულებს ევროპისკენ გაზის მიწოდების და შენახვის ფუნქციას. „თურქული ნაკადის“ გარდა, ის ატარებს ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) მილსადენების ნაწილს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას გაზს აზერბაიჯანიდან აწვდის. მას ასევე აქვს თხევადი გაზის (LNG) იმპორტის და რეგაზაციის ტერმინალები, ასევე რამდენიმე მიწისქვეშა გაზსაცავი.

ომამდე უკრაინას ჰქონდა 100 მლრდ კუბ.მ რუსული გაზის ტრანზიტის შესაძლებლობა, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ მან დახურა თავისი ორი სასაზღვრო გამტარი მილსადენიდან ერთ-ერთი, რუსეთის ადგილობრივი მარიონეტების მიერ სატრანზიტო გაზის მოპარვის მიზეზით. 2023 წლიდან ეს დარჩენილი მილსადენიც აღარ მუშაობს ვ. პუტინის პირადი განკარგულებით. უკრაინა და რუსეთი ასევე კამათობენ გაზის ტრანზიტის გადასახადებთან დაკავშირებით, რაც ზრდის გაზის უმნიშვნელო რაოდენობით მიწოდების საერთოდ შეწყვეტის რისკს. ამ დროს, წელიწადში 33 მლრდ კუბ.მ წარმადობის გაზის მილსადენი „იამალ-ევროპა“, რომელიც ბელორუსიისა და პოლონეთის გავლით გერმანიამდე შედიოდა, ომის დაწყების შემდეგ ასევე უმოქმედოდაა, რუსეთისა და პოლონეთის მიერ ერთმანეთისთვის დაწესებული სანქციებისა და კონტრსანქციების გამო.

„ჩრდილოეთის ნაკადის“ მილსადენები, რომელთა სიმძლავრე წელიწადში 55 მლრდ. კუბ.მ იყო, შედარებით ახალი პროექტია. ს/ს „გაზპრომში“ აღიარეს, რომ 2022 წლის სექტემბერში ამ მილსადენებზე მომხდარი აფეთქების შემდეგ, მათი სატუმბი დანადგარების და მილების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, უნდა შეიცვალოს. რუსული კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ალ. მილერმა 2022 წლის 12 ოქტომბერს აღნიშნა, რომ რემონტის დასრულებას წელიწადზე მეტი დასჭირდებოდა. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მილებიდან ერთ-ერთი დაუზიანებელია და რუსეთი ვარაუდობს, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას გაზის მიწოდებისთვის, თუ საჭირო სერტიფიცირების პროცესი შესრულდება გერმანიაში.

11 Russia moots plan for making Turkey a major hub for its gas supplies. https://intellinews.com/russia-moots-plan-for-making-turkey-a-major-hub-for-its-gas-supplies-259426/

12 Russia moots plan for making Turkey a major hub for its gas supplies. https://intellinews.com/russia-moots-plan-for-making-turkey-a-major-hub-for-its-gas-supplies-259426/

ეს ქვეყანა შეიძლება დათანხმდეს აღნიშნულს იმის მიხედვით, თუ რა სტრესს განიცდის მისი ენერგეტიკული სისტემა ზამთრობით. რამდენიმე გამოჩენილმა გერმანელმა პოლიტიკოსმა მოუწოდა ბერლინს სერტიფიცირების დაჩქარება, მაგრამ ჯერჯერობით გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის მთავრობას ეს ამოცანა კაბინეტის განსახილველად არ დაუყენებია.

ამდენად, საკუთრივ თურქეთს დამატებითი რუსული გაზის საჭიროება არ აქვს. ქვეყანა ელოდება 2023 წლის ბოლოს შავ ზღვაში საკუთარი ოფშორული „საკარიას“ გაზის საბადოს გაშვებას, რომელიც აწარმოებს წელიწადში 3,7 მლრდ კუბ.მ გაზს განვითარების პირველი ეტაპის ფარგლებში, ხოლო 2026 წლისთვის მისი წლიური წარმადობა მიაღწევს დაახლოებით 15 მლრდ კუბ. მეტრს. თურქეთმა შეიძლება მხოლოდ იმ მიზნით აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან, რომ მის ნაცვლად, „გაზპრომისგან“ შეძენილი გაზის ნაწილი ევროპაში გაიტანოს, როგორც გაზის ჰაბმა.

ის, თუ რა რაოდენობის დამატებითი რუსულ გაზს მიიღებს ევროპელი მომხმარებელი, ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც რუსულ გაზზე ძლიერ არის დამოკიდებული და აქვს უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირები მოსკოვთან, სავარაუდოდ, დააყენებს რუსული გაზის იმპორტის შეწყვეტის 2027 წელზე უფრო შორეულ ვადას, ან დააყენებს გაზის იმპორტის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების საკითხს. ევროკავშირის სხვა არაწევრი ქვეყნები, როგორიცაა სერბეთი, სავარაუდოდ, გააგრძელებენ გაზის მიღებას რუსეთიდან და თურქეთის გავლით გაზის მიწოდების გაზრდა ს/ს „გაზპრომს“ საშუალებას მისცემს შეწყვიტოს უკრაინაზე ტრანზიტი. ევროპაში შესაძლოა ასევე გაჩნდეს რუსული გაზის ახალი ბაზრები, როგორებიცაა ალბანეთი ან ბოსნია, რომლებიც ამჟამად თითქმის არ მოიხმარენ გაზს, მაგრამ სურთ გააფართოონ გაზის მოხმარება, რათა შეამცირონ დამოკიდებულება ჰიდროენერგეტიკაზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროკავშირ-აშშ-თურქეთის დღევანდელი დაძაბული ურთიერთობების ფონზე, უახლოეს წლებში ბრიუსელმა და ვაშინგტონმა მხარი დაუჭირონ თურქეთის კასპიური გაზის მონოპოლიურ ჰაბად ჩამოყალიბების იდეას და შეეცდებიან ევროპისკენ გაზის ნაკადების დივერსიფიკაციას. როგორც ზემოაღნიშნული გეოეკონომიკური პროცესებიდან ჩანს, თურქეთის კასპიური გაზის ჰაბად ჩამოყალიბებას, პრობლემები აქვს როგორც ჩრდილოეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან. ესენია:

- აზერბაიჯანის კასპიის ოფშორში ახალი საბადოების ექსპლუატაციის სირთულეები;
- „თურქული ნაკადისა“ და „ცისფერი ნაკადის“ არსებული მილსადენების დაბალი სიმძლავრით ფუნქციონირებისა და „ტრანსბალკანური გაზსადენის“ ექსპლუატაციის შეჩერების გამო ევროპის გაზზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუძლებლობა;
- „თურქული ნაკადის“ ახალი (პარალელური) მილების შავი ზღვის ფსკერზე მშენებლობის დიდი ღირებულება და ხანგრძლივობა;
- რუსეთ-აზერბაიჯანისა და რუსეთ-საქართველოს უკვე არსებული მილსადენების ინფრასტრუქტურის გამოყენებით, სამხრეთ გაზის დერეფნით (SGC) რუსული გაზის ევროპასთან დაკავშირების ხელსაყრელობა, რაც დასტურდება 2022 წლის ნოემბრიდან რუსეთიდან აზერბაიჯანში გაზის წარმატებული ექსპორტით.

აღნიშნული მიზეზების გამო, სავარაუდოდ, ევროკავშირი მეტ ძალისხმევას მიმართავს არა თურქეთში ე.წ. რეგიონული გაზის „ჰაბის“ განვითარებაზე, არამედ ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

Turkey: A new emerging gas player with resources and infrastructure. https://www.mei.edu/publications/turkey-new-emerging-gas-player-resources-and-infrastructure

Turkish minister says Black Sea gas supplies to start by late April. REGION 19 March 2023 - 12:00; https://caliber.az/en/post/153593/

Azerbaijan has already sold over 18 bcm of gas to European markets, 21/11/2022. http://caspianbarrel.org/en/2022/11/azerbaijan-has-already-sold-over-18-bcm-of-gas-to-european-markets/

Relaunch of Russian gas supplies to Azerbaijan raises questions about Baku-Brussels deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/

Russia moots plan for making Turkey a major hub for its gas supplies. https://intellinews.com/russia-moots-plan-for-making-turkey-a-major-hub-for-its-gas-supplies-259426/

კიბერპოლიტიკური აგრესია - რუსეთ-უკრაინის კიბერომის მაგალითზე

თორნიკე ზედელაშვილი
იუსტიციის სამინიტროს ციფრული მმართველობის
სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების
დეპარტამენტის თანამშრომელი,
ინტერნეტგამოცემა „ლიდერის“ დამფუძნებელი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

აბსტრაქტი

კიბერი ისეთივე მნიშვნელოვანი სივრცეა, როგორიც რეალური - მით უმეტეს, ომის დროს, როცა უამრავი მეთოდი არსებობს მტრის დასაზიანებლად და დისკომფორტის შესაქმნელად. აქედან გამომდინარე, როგორც ისტორია გვიჩვენებს, რუსეთი კიბერშეტევებს ყოველთვის ერთი და იგივე ხელწერით ახორციელებს. კიბერექსპერტების თქმით, თავდაპირველად რუსეთის ფედერაციის მხრიდან მართულმა ჰაქტივისტურმა დაჯგუფებებმა უკრაინის წინააღმდეგ გამოიყენეს მიზანმიმართული კიბერთავდასხმები კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ ასევე პარალელურ რეჟიმში საინფორმაციო ოპერაციების წინააღმდეგ აწარმოეს ბრძოლა. ამ უკანასკნელს, როგორც ცნობილია, ორივე მხარე აქტიურად იყენებს.

კიბერმკვლევარები განმარტავენ: აღმოსავლეთ უკრაინაში თავდაპირველი შეჭრის ოპერაციები კვალიფიცირდება როგორც კიბერომი, რადგან ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათში მონაწილეობდნენ და დღემდე აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩართულები არიან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აქტორები, რომლებიც იყენებენ ერთგვარ კიბერტაქტიკას, რაც რუსეთის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად არის საჭირო. ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ევროკავშირი და ევროპის წამყვანი ქვეყნები ცდილობენ უკრაინას დაეხმარონ როგორც რეალურ, ისე კიბერსივრცეში. აღნიშნულ კიბერომს აკვირდებიან საერთაშორისო დონის ექსპერტები, ორგანიზაციები, რათა გაარკვიონ, ვინ ვის მხარეს იბრძვის. არა მხოლოდ ომის დროს, კონვენციური ომის წარმოების გარეშეც, ხშირ შემთხვევაში, რთულია იმის გამოვლენა, თუ საიდან ხორციელდება კიბერთავდასხმები. თუმცა ამ შემთხვევაში სხვადასხვა ჰაკერული დაჯგუფებები თავიანთ თავზე იღებენ ამა თუ იმ კიბერშეტევას და პირდაპირ გამოხატავენ სიმპატიას რუსეთის ან უკრაინის მიმართ.

ამ ომს გააჩნია ის ძირითადი ტაქტიკურ-პოლიტიკური მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი ომი კაცობრიობას არ ახსოვს, მითუმეტეს, ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, მათ შორის - დრონების, უპილოტო თვითმფრინავების და სხვა. ასევე მრავლად არიან ჩართულნი კიბერ-ჰაქტივისტური დაჯგუფებები - „ანონიმუსი“, „ანონიმური სუდანი“, „Killnet”-ი და სხვა. ჩვენ აღნიშნულ ჰაქტივისტურ დაჯგუფებებს დეტალურად განვიხილავთ ნაშრომში და ფაქტებზე დაყრდნობით გავაანალიზებთ მათ კიბერთავდასხმებს ბოლო პერიოდის განმავლობაში, რათა უკეთ გავარკვიოთ რუსეთ-უკრაინის კიბერომის პროცესი და გამოვიტანოთ დასკვნები, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, როგორც რეალურ, ასევე ვირტუალურ სამყაროში. ფაქტები გვიჩვენებს, რომ უკრაინას აღმოაჩნდა ძალა, რათა თავი დაეცვა რუსეთის აგრესიისგან. რა თქმა უნდა, დიდი მსხვერპლის სანაცვლოდ, მაგრამ ამით მან დაამსხვრია რუსეთის უძლეველობის მითი, მათ შორის კიბერსივრცეშიც. მნიშვნელოვანია ვთქვათ, რომ აღნიშნული საკითხი, როგორც მთელ მსოფლიოს, ასევე მნიშვნელოვან წილად ეხება საქართველოსაც. მითუმეტეს, როდესაც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და უკვე დიდი გამოცდილება გვაქვს რუსეთთან ომისა თუ დაპირისპირებისა. მათ შორის, კიბერსივრცეში, წლების განმავლობაში, საქართველო რუსეთის აგრესიის ობიექტს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები:
კიბერომი, ჰიბრიდული ომი, ნატო, კიბერშეტევა, ჰაქტივისტები, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, ევროკავშირი, ჰაკერები.

Cyber-Political Aggression - on the Example of the Russian-Ukraine Cyber War

Tornike Zedelashvili
An employee of the Information Security Department
of the Digital Governance Agency of the Ministry of Justice,
the Founder of the Internet Publication "Leader",
Doctor of Political Science

Abstract

Cyber is as important a space as the real world - even more so in times of war, when there are countless methods to damage and inconvenience the enemy. Therefore, as history shows, Russia always carries out cyber-attacks with the same signature. According to cyber experts, hacktivist groups led by the Russian Federation initially used targeted cyber-attacks on critical infrastructure against Ukraine, but also waged a battle against information operations in a parallel mode. The latter is known to be actively used by both sides.

Cyber researchers explain: the initial invasion operations in Eastern Ukraine qualify as cyberwar, because if nothing else, state-sponsored actors participated in them and are still actively involved in the said process, using a kind of cybotactic that are necessary to fulfill Russia's goals and objectives. The United States of America, NATO, the European Union and leading European countries are trying to help Ukraine in both real and cyber space. This cyber war is being monitored by international level experts and organizations to find out who is fighting on whose side. Not only during the war, but also without conducting conventional warfare, it is often difficult to detect where cyber-attacks are launched from. However, in this case, various hacker groups take this or that cyber-attack on themselves and directly express their sympathy towards Russia or Ukraine.

This war has the main tactical-political characteristics, according to which we can say, that such a war is not remembered by humanity after the Second World War, especially with the use of technological achievements, including drones, unmanned aerial vehicles and others. Many cyber-hacktivist groups are also involved, including "Anonymous", "Anonymous Sudan", "Killnet" and others. In the paper we will discuss these hacktivist groups in details and based on the facts, we will analyze their cyber-attacks during the recent period to better understand the process of the Russian-Ukraine cyber war and draw conclusions about how things may develop, both in the real and virtual world. The facts show, that Ukraine has found the strength to defend itself against Russian aggression. Of course, at a great cost, but in doing so he shattered the myth of Russia's invincibility, including in cyberspace. It is important to say, that the mentioned issue concerns Georgia as well as the whole world. Especially when 20 percent of Georgia's territories are occupied by the Russian Federation and we already have a lot of experience of war or conflict with Russia. Among them, Georgia has been an object of Russian aggression in cyberspace for years.

Keywords:
Cyber war, Hybrid war, NATO, Cyber-attack, Hacktivists, Russia, Ukraine, Georgia, European union, Hackers.

შესავალი

რუსეთ-უკრაინის ომი მეორე წელია მიმდინარეობს. ამ დაპირისპირებაში თითქმის ყველა საომარი იარაღია გამოყენებული, გარდა ბირთვულისა. ამასთანავე, რუსეთი იყენებს ჰიბრიდული ომის ყველა კომპონენტს, ყოველდღიურად ბომბავს უკრაინის ქალაქებს. აქ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კიბერთავდასხმები. სანამ უშუალოდ რუსეთ-უკრაინის კიბერომზე ვისაუბრებთ, მანამდე უნდა გამოვყოთ რამდენიმე ფაქტი, რომელიც ასახავს, თუ როგორ ახორციელებს რუსეთი კიბერაგრესიას უკრაინის წინააღმდეგ - მაგალითად, 2016 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე მოხდა თავდასხმა, „რამაც ზამთარში უკრაინის რამდენიმე ქალაქი გათბობის გარეშე დატოვა. ხოლო 2017 წელს რუსეთთან დაკავშირებულმა ბოროტმა ჰაკერულმა ჯგუფებმა განახორციელეს კიბერშეტევები და დაინფიცირეს 300 000-მდე კომპიუტერი“.[1] მსოფლიო მასშტაბით ეს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კიბერშეტევად ითვლება. ყოველდღიურად იზრდება კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეები და ამას უფრო ამძაფრებს ის გეოპოლიტიკური ვითარება, რაც მსოფლიო მასშტაბით შეიქმნა. ეს ფაქტობრივად გამოიწვია რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ. 2022 წლის 24 თებერვლიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წელიწადზე მეტი გავიდა, რუსეთის არმია დღემდე განაგრძობს სუვერენული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე სახმელეთო, საავიაციო ოპერაციებსა და კიბერთავდასხმებს. რუსეთმა კიბერსივრცეში ომი აქცია ერთგვარ დამატებით იარაღად. ამ საქმეში ჩართულები არიან როგორც რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებული ბოროტი ჰაკერული ჯგუფები, ასევე დამოუკიდებელი, ინდივიდუალურად მოქმედი პირები, რომლებიც საკუთარი ინიციატივით ეხმარებიან აგრესორს, თითქოს სიმპატიების გამო. ასევე ცნობილია, რომ გარკვეული ჯგუფები და აქტორები ახორციელებენ კიბერთავდასხმებს, ანუ წინააღმდეგობას უწევენ რუსულ აგრესიას. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ უკრაინის IT არმია, რომელსაც უკრაინის მთავრობა უჭერს მხარს, ასევე ჰაქტივისტური დაჯგუფება „ანონიმუსი“ და სხვა.

ძირითადი ნაწილი

არსებობს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო მეგაკომპანიების კვლევები, მოსაზრებები და წლიური ანგარიშები, სადაც რუსეთის ფედერაცია, როგორც აგრესორი კიბერმოთამაშე, ხშირად ფიგურირებს. კომპანია Maicrosoft-მა წარმოადგინა ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ “გასული წლის განმავლობაში Maicrosoft-ის მიერ ეროვნული სახემწიფოებიდან დაფიქსირებული კიბერშეტევების 58 პროცენტი რუსეთის ფედერაციიდან იყო წარმოებული. განხორციელებული კიბერშეტევებიდან შარშან 21 პროცენტი იყო წარმატებული, ხოლო დღეს იგი 32 პროცენტს შეადგენს”,[2] რაც იმის მანიშნებელია, რომ რუსული ეროვნული სახელმწიფო აქტორების კიბერთავდასხმები სულ უფრო ეფექტური ხდება. რუსეთის ფედერაციიდან მიზანმიმართულად ხდება სხვადასხვა სამთავრობო უწყებების დაზვერვა და ინფორმაციის შეგროვება. „ისინი ძირითადად აკვირდებიან და ინფორმაციას აგროვებენ ისეთ სააგენტოებზე, რომლებიც ჩართულები არიან საგარეო პოლიტიკაში, ეროვნულ უსაფრთხოებაში ან თავდაცვაში. რუსეთის ფედერაციის კიბერსამიზნე წლის განმავლობაში იყო სამი ქვეყანა - ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და უკრაინა”.[3]

როგორც აღვნიშნეთ, ამ კიბერშეტევებში ჩართულები არიან სხვადასხვა ჰაკრეული დაჯგუფებები სხვადასხვა დონეზე. როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და წამოიწყო კონვენციური ომი, ამას წინ უძღოდა ტრადიციული კიბერთავდასხმები, რაც დღემდე გრძელდება. არსებობს ჰაკტივისტური დაჯგუფება სახელწოდებით - “ანონიმური სუდანი”(Anonymous Sudan). ექსპერტების მტკიცებით, იგი არის ბოროტი ჰაკერებით დაკომპლექტებული რუსული ჯგუფი, რომელიც პირდაპირ კავშირშია რუსულ ჰაკტივისტურ დაჯგუფება Killnet-თან. ამ ჰაკერულ დაჯგუფებას გაცხადებული აქვს, რომ რუსეთ-უკრაინის ომში მხარს რუსეთის ფედერაციას უჭერს, ამიტომ ხშირად უკრაინის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

„ანონიმური სუდანის“ ისტორიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ დაჯგუფება ახორციელებს კიბერშეტევებს ანტიისლამური აქტივობების გამო. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მიზეზი არის გადაფარვა რეალური მიზნებისა. ის გამჟღავნებული პოზიცია, თითქოს ის არის ისლამური ჰაკერული დაჯგუფება, არის გამოგონილი. ეჭვებს ამყარებს ის ფაქტიც, რომ როგორც Killnet-ის, ასევე „ანონიმური სუდანის“ ყველა სამიზნე იყო ის ქვეყანა, რომელიც ეწინააღმდეგება რუსეთის შეჭრას უკრაინაში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჰაქტივისტური ჯგუფი არ მალავს სიმპათიებს რუსეთის მიმართ, ორ დაჯგუფებას შორის მსგავსება მაინც დიდია. მაგალითად, მათი თავდასხმების დიდი წილი მოიცავს DDoS შეტევებს. 2023 წლის იანვარში „ანონიმურმა სუდანმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომ იგი დაეხმარა Killnet-ს DDoS შეტევების წარმოებაში გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის

1 CISA Central, “Cyber-Attack Against Ukrainian Critical Infrastructure”, p. 1, 2021. https://www.cisa.gov/news-events/ics-alerts/ir-alert-h-16-056-01

2 Tom Burt - Corporate Vice President, Customer Security & Trust,"Russian cyberattacks pose greater risk to governments and other insights from our annual report", Microsoft, p. 1, 2021. https://blogs.microsoft.com/on-the-issues/2021/10/07/digital-defense-report-2021/

3 იქვე.

წინააღმდეგ. აშკარაა, რომ „ანონიმურ სუდანი“ გახლავთ ჰაკერული დაჯგუფება, რომელიც სუდანშია დაფუძნეული. მას გაცხადებული აქვს, რომ მონაწილეობს კიბერაქტივიზმში და ჰაკერულ პროცესებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ორგანიზაცია ითვლება ანონიმური ქსელის ნაწილად, რომელიც წარმოადგენს ჰაქტივისტებისა და აქტივისტების საერთაშორისო გაერთიანებას. აღნიშნული გაერთიანების ფარგლებში ხორციელდება ბევრი გახმაურებული ე.წ. #OP კიბერთავდასხმა (#OP არის ერთგვარი შემოკლებული ვარიანტი კიბერსპეცოპერაციის).[4] ასეთი თავდასხმები ცნობილია, როგორც #OPIsrael-ი, #OPAustralia და სხვა.

„ანონიმური სუდანი“ ხშირად იყენებს სოციალურ ქსელ Telegram-სა და Twitter-ს განცხადებების გასავრცელებლად. თუმცა მისი მიზნები და ამოცანები მაინც ბუნდოვანია. ჩვენ ვეცადეთ, მოგვეპოვებინა სხვადასხვა კვლევები და ამ თემაზე გვემსჯელა.

„ანონიმურმა სუდანმა“ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ბევრ კიბერთავდასხმაზე აიღო პასუხისმგებლობა, მათ შორის საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და შვედეთში განხორციელებულ DDoS შეტევებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი მხრივ ცნობილია, რომ ეს კიბერთავდასხმები თითქოს განპირობებულია ანტიისლამური აქტივობების საწინააღმდეგოდ, როდესაც შვედეთში აქტივისტებმა ყურანი დაწვეს, ამას კიბერთავდასხმები მოჰყვა. დაახლოებით ანალოგიური მიზეზის საფუძველზე განხორციელდა კიბერშეტევები ჰოლანდიის სამთავრობო უწყებების ვებ-გვერდებსა და სისტემებზე, ასევე Air France-ზე, რა დროსაც მოხდა ავიაკომპანიის საიტიდან მონაცემების მოპარვა. შემდეგ ამას, დიდი ალბათობით, გამოიყენებენ შანტაჟისთვის, ფულის გამოძალვისთვის ან გაიყიდება შავ ბაზარზე. „ანონიმურმა სუდანმა“ და Killnet-მა 2023 წლის მარტში ერთობლივადაც ბევრ კიბერთავდასხმებზე აიღეს პასუხისმგებლობა, მათ შორის ლატვიის სამთავრობო უწყებებზე, ნასას სისტემებზე, უკრაინის სისტემებზე. როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად განახორციელეს DDoS შეტევები საფრანგეთის საავადმყოფოებზე, უნივერსიტეტებზე, აეროპორტებზე, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სისტემებზე. სწორედ ასეთი ფაქტების საფუძველზე არსებობს ვარაუდი, რომ „ანონიმური სუდანი“ არის რუსული ჰაქტივისტური დაჯგუფება და ანტიისლამურ კამპანიასთან ბრძოლა უბრალოდ შეფარვისთვის სჭირდებათ.

Killnet-მა რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის შემდეგ რამდენიმე თვეში DDoS შეტევები განახორციელა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების სისტემებსა და ვებ-გვერდებზე მთელ მსოფლიოში. Killnet-ის სამიზნე, აშშ-ის გარდა, ყველა ის ქვეყანა აღმოჩნდა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დახმარებას უწევდა უკრაინას. ჰაქტივისტურმა დაჯგუფებამ თებერვალში კიბერთავდასხმები დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ათზე მეტ საავადმყოფოზე „(Stanford Health, Michigan Medicine, Duke Health და Cedar-Sinai და სხვა)“.[5]

ოქტომბერში DDoS შეტევები განახორციელა ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე აეროპორტზე „(ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტი, ჩიკაგოს ოჰარის საერთაშორისო აეროპორტი, ჰარტსფილდ-ჯექსონ ატლანტას საერთაშორისო აეროპორტი და ა.შ.)“,[6] რამაც გამოიწვია ფრენების შეჩერება და პარალიზება.

Killnet-მა 2022 წლის აპრილში სრულად გადაიტანა ყურადღება რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების მხარდასაჭერად. მისი განცხადებით, „550-ზე მეტი კიბერთავდასხმა განახორციელეს, აქედან 45 თავდასხმა იყო უკრაინის სისტემებზე, რაც მთლიანი თავდასხმების 10 პროცენტზე ნაკლებია“.[7]

„მარტში ჰაკტივისტურმა ჯგუფმა კიბერთავდასხმები განახრციელა ამერიკის შეერთებული შტატების კონექტიკუტის საერთაშორისო აეროპორტზე, აპრილში კიბერშეტევები წამოიწყო რუმინეთის თავდაცვის სამინისტროს, სასაზღვრო პოლიციის, ეროვნული სარკინიგზო ტრანსპორტის კომპანიისა და კომერციული ბანკის ვებ-გვერდებზე, რის შედეგადაც რამდენიმე საათის განმავლობაში აღნიშნული ვებ-გვერდები ხელმისაწვდომი არ იყო. მაისში მასობრივი DDoS შეტევები განახორციელეს ევროკავშირის ორ წამყვან ქვეყანაზე - გერმანიასა და იტალიაზე. ხოლო ივნისში კიბერთავდასხმების ორი მნიშვნელოვანი ტალღა განახორციელეს ლიეტუვასა და ნორვეგიის წინააღმდეგ. ივლისში Killnet-მა თავისი ძალები მიმართა პოლონეთზე და მოახერხა რამდენიმე სამთავრობო ვებ-გვერდის გათიშვა. აგვისტოში კიბერშეტევები განახორციელეს ლატვიის, ესტონეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტებზე. სექტემბერში ჰაქტივისტური დაჯგუფება პირველად დაესხა თავს აზიას და კიბერშეტევები განახორციელა იაპონიაზე, მიზეზი კი იაპონიის მხარდაჭერა იყო უკრაინის მიმართ“.[8]

დაზარალებული ორგანიზაციები აღნიშნულ კიბერთავდასხმებს განიხილავენ, როგორც საშუალო დონისას, თუმცა უსაფრთხოების ზომების არმიღების შემთხვევაში ამ კიბერთავდასხმებს, შესაძლოა, დიდი პრობლემები მოჰყვეს. მაგალითად, როდესაც Killnet-მა ამერიკის შეერთებული შტატების სავადმყოფოებზე განახორციელა კიბერშეტევები, ამერიკის ჯანდაცვის ასოციაციამ განაცხადა, რომ „მათი

4 L.Sigal., “What You Need to Know About the Anonymous Sudan Hacker Group”, CYE Blog, 2023. p. 1. https://cyesec.com/blog/what-you-need-to-know-about-the-anonymous-sudan-hacker-group

5 Check Point Research Team, “The New Era of Hacktivism - State-Mobilized Hacktivism Proliferates to The West and Beyond”, p. 1, 2022. https://research.checkpoint.com/2022/the-new-era-of-hacktivism/

6 იქვე.

7 იქვე.

8 Check Point Research Team, “The New Era of Hacktivism - State-Mobilized Hacktivism Proliferates to The West and Beyond”, p. 1, 2022. https://research.checkpoint.com/2022/the-new-era-of-hacktivism/

თავდასხმები დიდი ზარალის მომტანი არ არის, მაგრამ შესაძლოა გამოიწვიოს რამდენიმე დღით მომსახურების შეფერხება“.[9]

მიჩიგანის საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დირექტორი მერი მასონი განმარტავს, რომ Killnet-ის კიბერშეტევები 2023 წლის 30 იანვარს მოხდა სავადმყოფოს თითქმის ყველა ვებ-გვერდზე (მაგ. Uofmhealth.org, mottchildren.org და სხვა). მასონის თქმით:

„არც ერთი ვებ-გვერდი, სადაც მოხდა კიბერშეტევები, არ შეიცავს პაციენტების ინფორმაციას. როდესაც თავდასხმები განხორციელდა, პაციენტებს არანაირი პრობლემა არ შექმნიათ თავიანთ ინფორმაციაზე წვდომის, ისინი ჩვეულებრივად იყენებდნენ პორტალ myuofmhealth.org-ს“.[10]

ფაქტებს რომ დავაკვირდეთ, Killnet-ისა და „ანონიმური სუდანის“ კიბერთავდასხმები არ არის დიდი ზიანის მომტანი, მაგრამ პროპაგანდა მუშაობს - ისინი ახორციელებენ ძლიერ კიბერშეტევებს. რაც თვალნათლივ ჩანს, მათი მიზანი უბრალოდ ყურადღების მიპყრობა და პრორუსული განცხადებების გავრცელებაა. ისინი თავს ესხმიან მათვრობების, ინსტიტუტების, ორგანიზაციების საჯარო ვებ-გვერდებს, რათა ფართო საზოგადოებას დაანახონ მათი გავლენა და გააჩინონ განცდა, რომ რუსეთი უძლეველია არა მხოლოდ რეალურ სამყაროში, არამედ ვირტუალურ სივრცეშიც.

როგორც აღვნიშნეთ, იმის მიუხედავად, რომ Killnet-ის კიბერთავდასხმები დიდი ზარალის მომტანი არ არის, მაინც არ შეიძლება მისი იგნორირება. ამერიკის საავადმყოფოების ასოციაციამ განაცხადა, რომ Killnet-ი არის აქტიური საფრთხე ჯანდაცვის ინდუსტრიისთვისაც:

„ხშირად Killnet-ის კიბერშეტევები არ გვაყენებს დიდ ზარალს, მათ სერვისის შეფერხებით მუშაობა შეუძლიათ გამოიწვიონ, რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე საათი, ან ერთი დღე გრძელდება. ამის მიუხედავად, იგი უნდა ჩაითვალოს აქტიურ საფრთხედ მთავრობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის თავდაცვითი ორგანიზაციებისთვის, მათ შორის ჯანდაცვის სფეროში“.[11]

ბოლო დროს Killnet-მა განახორციელა DDoS შეტევები აშშ-ის, გერმანიის, პოლინეთისა და დიდი ბრიტანეთის სამედიცინო დაწესებულებების სისტემებზე. როგორც ჰაქტივისტურმა დაჯგუფებამ განაცხადა, ამის მთავარი მიზეზი იყო ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება, გაეგზავნა საბრძოლო ტანკები უკრაინაში.

Killnet-მა განაცხადა, რომ მათ შეძლეს განეხორციელებინათ სიმბოლური DDoS შეტევები, რომლებიც მიზნად ისახავდა რუსეთის მხარდაჭერას და უკრაინის მხარდამჭერების დასჯას. მაგალითად, ერთ-ერთი „სამიზნე იყო ილონ მასკის ფართოზოლიანი სატელიტური ქსელი Starlink-ი, რომელზეც განახორციელეს კიბერთავდასხმები, რის შედეგადაც 18 ნოემბერს ბევრი მომხმარებელი ჩიოდა, რომ ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ თავიანთ ანგარიშებზე შესვლას. აღნიშნული კიბერშეტევების განხორციელებაში სხვადასხვა დაჯგუფებებიც იყვნენ ჩართულები - მაგალითად, ჰაკერული დაჯგუფება Radis, Halva, Anonymous Russian და სხვა“.[12] Killnet-მა 17 ნოემბერს „კიბერთავდასხმები განახორციელა თეთრი სახლის ვებ-გვერდზე, რომელსაც დაარქვა „სატესტო შეტევის 30 წუთი“. ამ შეტევების თაობაზე დაჯგუფებამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ვკითხულობთ, რომ მათ სურდათ უფრო დიდი დროის განმავლობაში განეხორციელებინათ თავდასხმები“.[13] თეთრი სახლი DDoS შეყევებისგან თავდასაცავად იყენებს სამხედრო დონის დაცვას - Automattic-ს. ამის შემდეგ, 22 ნოემბერს მათ განახორციელეს „კიბერშეტევები უელსის პრინცის ვებ-გვერდზე და გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ შემდეგი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სისტემა, ლონდონის საფონდო ბირჟა, ბრიტანეთის არმია და ასე შემდეგ“.[14]

ჰაქტივისტური დაჯგუფების მიზნები და ამოცანები ზედმეტად რთულ საგანს წარმოადგენს, კიბერთავდასხმების დიდი ნაწილი შეადგენს DDoS შეტევებს. უნდა დავაკვირდეთ მათ ქმედებებს, ვინაიდან რუსეთ-უკრაინის ომი აქტიურ ფაზაშია, Killnet-ის სამიზნეების სია შეიძლება გაფართოვდეს და კიბერთავდასხმებმაც მიიღოს უფრო მძაფრი, უფრო დამაზიანებელი ფორმა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ტელეგრამზე“ Killnet_reserve-ის გამომწერების რაოდენობამ მოიმატა, ბოლო პერიოდში 34 ათასიდან მიმდევრების დონემ 85 ათასს გადააჭარბა“.[15] თუ ამას შევადარებთ უკრაინის IT არმიას, მათ ჰყავთ 200 ათასზე მეტი გამომწერი. აქვე აღსანიშნავია, რომ Killnet-ს „ანონიმური სუდანის“ გარდა ასევე ჰყავს შვილობილი დაჯგუფებები - Passion Group, NoName და სხვა. ისინი თავიანთი ბოტნეტებით ეხმარებიან Killnet-ს DDoS შეტევების წარმოებისთვის. როგორც ცნობილია ბოლო პერიოდში „აღნიშნულმა ჰაქტივისტურმა დაჯგუფებამ Dark Web Marketplace-ისგან მიიღო ფინანსური

9 J.Vijayan, "Pro-Islam 'Anonymous Sudan' Hacktivists Likely a Front for Russia's Killnet Operation", Dark Reading, 2023. p. 1, https://www.darkreading.com/attacks-breaches/pro-islam-anonymous-sudan-hacktivists-front-russia-killnet-operation?fbclid=IwAR3RMbRQgQbRcMxmv-iZNGRGsvGEyuMUOK5IRfACYLzZQBPbcPmH6yo5uDA

10 B.Bracken, "Killnet Gloats About DDoS Attacks Downing Starlink", White House, p. 1, 2022. https://www.darkreading.com/threat-intelligence/killnet-gloats-ddos-attacks-starlink-whitehouse-gov

11 B.Bracken, “Killnet Gloats About DDoS Attacks Downing Starlink”, White House, p. 1, 2022. https://www.darkreading.com/threat-intelligence/killnet-gloats-ddos-attacks-starlink-whitehouse-gov

12 იქვე.

13 Bracken B., “Killnet Gloats About DDoS Attacks Downing Starlink”, White House, p. 1, 2022. https://www.darkreading.com/threat-intelligence/killnet-gloats-ddos-attacks-starlink-whitehouse-gov

14 იქვე.

15 Vijayan J. “Inside Killnet: Pro-Russia Hacktivist Group’s Support and Influence Grows”, Dark Reading, p. 1. 2023. https://www.darkreading.com/ics-ot/killnet-pro-russia-hacktivist-group-support-influence-grows

დახმარება 44 000 აშშ დოლარი“.[16]

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული კიბერუსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი რობ ჯოისი ამბობს, რომ რუსეთის ფედერაცია და მის მიერ დაქირავებული ჰაკერები ახორციელებენ თავდასხმებს უკრაინის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე. კერძოდ, ერთ-ერთ „მათ სამიზნეს წარმოადგენს დახურული წრიული სატელევიზიო კამერები, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება და კერძო ბიზნესი იყენებს გარემოს მონიტორინგისთვის“.[17] რუსი ჰაკერები ცდილობენ, კატეხონ სხვადასხვა მაღაზიებისა და დაწესებულებების უსაფრთხოების კამერები, რათა ინფორმაცია მოიპოვონ დახმარების კოლონების გადაადგილების შესახებ. ჯოისი ამბობს, რომ ისინი ასევე „აკვირდებიან რუსი ჰაკერების შესვლას საჯარო ვებკამერებში, რაც ყველასთვის ხელმისაწვდომია, თუმცა რუსი ჰაკერები ასევე ამას იყენებენ და უყურებენ დახმარების მიმწოდებელ კოლონებსა და მატარებლებს“.[18] რობ ჯოისის თქმით, „მათ იციან, რომ რუსები ასევე აკვირდებიან ლოჯისტიკურ სატრანსპორტო კომპანიებს, რათა მეტი გაიგონ უკრაინაში იარაღის მიწოდების შესახებ“.[19]

ბოლო დროს რუსეთიდან ჰაკერული საქმიანობის შესახებ ინფორმაციამ დიდი რაოდენობით გამოჟონა, ეს იმ ფონზე, როდესაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს და რუსეთის ბევრი მოქალაქეც არ უჭერს მხარს თავის ქვეყანას ამ ომში. რაც შეეხება გამოჟონილ ინფორმაციას, ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში წლების განმავლობაში არსებობს თითქოს შეუმჩნეველი ოფისი, სადაც აბრაზე გამოტანილია - „ბიზნესცენტრი“. ამ ოფისის მახლობლად თანამედროვე კორპუსებია აშენებული, მეორე მხარეს ძველი სასაფლაოა, სადაც ომის მემორიალებია წარმოდგენილი. აღნიშნული ტერიტორია ის ადგილია, სადაც პეტრე დიდი ოდესღაც წვრთნიდა თავის არმიას. ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ ოფისში ჰაკერულ საქმიანობაში გარკვეული პირები ეხმარებიან რუსეთს სამხედრო ოპერაციებში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი NTC Vulkan-ის თანამშრომლები არიან - პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერები. ერთი შეხედვით, შეიძლება მათი საქმიანობა კიბერუსაფრთხოების კონსულტაციას მივამსგავსოთ, მაგრამ აღნიშნული კომპანიისგან ინფომრაციისა და ფაილების გაჟონვამ ფარდა ახადა ყველაფერს. ათასობით დოკუმენტი გვაჩვენებს, თუ როგორ მუშაობენ ისინი რუსეთის სამხედრო და სადაზვერვო მიმართულებით ჰაკერული ოპერაციების მხარდასაჭერად, როგორ ამზადებენ თავდასხმებს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, ავრცელებენ დეზინფორმაციას და ცდილობენ ინტერნეტსივრცეში სიტუაციების კონტროლს. ასევე, ცნობილია, რომ „მათი საქმიანობა დაკავშირებულია რუსეთის სახელწიფო სამსახურებთან, როგორებიც არის: FSB, GOU, GRU, SVR და სხვა“.[20] აღნიშნული კომპანიიდან გაჟონილ დოკუმენებში ვხვდებით ისეთ საკითხებს, რომელიც ,,Vulkan-ს“ პირდაპირ აკავშირებს სახელგანთქმულ ჰაკერულ დაჯგუფება Sandworm-თან, რომელმაც უკრაინაში ორჯერ გამოიწვია ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანის უშუქოდ და გათბობის გარეშე დატოვება, კიბერთავდასხმებით ჩაშალა ოლიმპიადა სამხრეთ კორეაში და შექმნა მსოფლიოში ყველაზე დესტრუქციული მავნე პროგრამა NotPetya“.[21] ამ ინფორმაციის გავრცელება ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომელმა შეძლო, რომელმაც უკმაყოფილება გამოხატა რუსეთის შეჭრის გამო უკრაინაში. წყარომ აღნიშნული დოკუმენტები გერმანულ გამომცემლობებს გადასცა, ხოლო ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სხვადასხვა ცნობილმა გამომცემლობებმა, როგორებიც არის: The Guardian, The Washington Post და სხვა, დაიწყეს ჟურნალისტური გამოძიება, ხუთმა დასავლურმა სადაზვერვო სააგენტომ დაადასტურა, რომ აღნიშნული ფაილები და დოკუმენტები ავთენტური იყო. ფაილები შეიცავს ელექტრონულ წერილებს, პროექტების გეგმებს, კონტრაქტებს, შიდა საინფორმაციო დოკუმენტაციებს, ბიუჯეტებს და სხვა. ამ ფაილებით ირკვევა, რომ რუსი ჰაკერები არაერთხელ უმიზნებდნენ უკრაინულ კომპიუტერულ სისტემებს, ზოგიერთი მათგანი ცნობილი ისედაც იყო, ზოგიერთი არა. ასევე, შესაძლო თავდასხმები, რაც ჯერ არ განხორციელებულა. ამ ინფორმაციაზე დაყრნობით, რუსეთი როგორც რეალურ სივრცეში, ასევე ციფრულ სამყაროშიც მუდმივ კონფლიქტშია დასავლეთთან - ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დიდ ბრიტანეთთან, ნატოსთან, ევროკავშირთან, ავსტრალიასთან, ზელანდიასთან, კანადასთან და ასე შემდეგ. ასევე დოკუმენტებში წარმოდგენილია პოტენციური სამიზნეები და საილუსტრაციო მასალები, რუკა, რომელზეც განთავსებულია შესაძლო კიბერთავდასხმისთვის ნაჩვენები ობიექტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში ატომური ელექტროსადგურის შესახებ მნიშვნელოვანი დეტალები, რაც შემდგომი კიბერთავდასხმებისთვის იქნება საჭირო.

16 იქვე

17 the Guardian, “Russian hackers ‘target security cameras inside Ukraine coffee shops”, p. 1, 2023. https://www.theguardian.com/world/2023/apr/11/russian-hackers-target-security-cameras-inside-ukraine-coffee-shops?fbclid=IwAR3JWtpSmI9UvvADsMqx5aVTbM8SjpsvCIUYPX389Ff_HxSarZV_ctLoMIQ

18 the Guardian, “Russian hackers ‘target security cameras inside Ukraine coffee shops”, p. 1, 2023. https://www.theguardian.com/world/2023/apr/11/russian-hackers-target-security-cameras-inside-ukraine-coffee-shops?fbclid=IwAR3JWtpSmI9UvvADsMqx5aVTbM8SjpsvCIUYPX389Ff_HxSarZV_ctLoMIQ

19 the Guardian, “Russian hackers ‘target security cameras inside Ukraine coffee shops”, p. 1, 2023. https://www.theguardian.com/world/2023/apr/11/russian-hackers-target-security-cameras-inside-ukraine-coffee-shops?fbclid=IwAR3JWtpSmI9UvvADsMqx5aVTbM8SjpsvCIUYPX389Ff_HxSarZV_ctLoMIQ

20 L.Harding, S.Simeonova, Ganguly M.,Dan Sabbagh D.,”‘Vulkan files’ leak reveals Putin’s global and domestic cyberwarfare tactics”, The Guardian, p. 1, 2023. https://www.theguardian.com/technology/2023/mar/30/vulkan-files-leak-reveals-putins-global-and-domestic-cyberwarfare-tactics

21 იქვე.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ უკრაინის სასიკეთოდ ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში კიბერ-სივრცეში ბევრი მოვლენა ვითარდება, თუმცა არც ომის დაწყების პირველი დღეებიდან იყო მთლად კატასტროფულად საქმე, თუ გავითვალისწინებთ და გავიხსენებთ იმ პროცესებს, როგორც განვითარდა 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ. ექსპერტების ანალიზით, როგორც რეალურ სივრცეში, ასევე ვირტუალურ სივრცეში მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა რუსეთმაც. უკრაინაში რუსეთის მიერ წამოწყებულმა ომმა დაანგრია არა მხოლოდ რუსეთის უძლეველობის მითი სამხედრო თვალსაზრისით, ასევე კიბერომის თვალსაზრისითაც. ომის დაწყებისთანავე რუსეთში ჰაკერებმა გატეხეს ვიდეოპლატფორმები - Wink და IVI, რუსეთის რამდენიმე არხზე სერიალების ნაცვლად ეთერში გაუშვეს უკრაინაში დაბომბვების შესახებ „ნასტოიაშჩეე ვრემიასა“ და “დოჟდის” ვიდეოები. ომის კადრების რუსულ არხებზე გაშვების შესახებ „ანონიმუსმა“ ,,ტვიტერზე“ დაწერა და ვიდეოც გაავრცელა. „ანონიმუსმა“, რომელიც თავისუფალი, არაცენ-ტრალიზებული ჰაკერული ორგანიზაციაა და აერთიანებს ე.წ. ჰაკტივისტებს, გამოაქვეყნა განცხადება, თითქოს მათ შეაღწიეს რუსეთის უსაფრთხოების სისტემებში და გამოიტანეს რუსეთის აგენტების სიები, რასაც ეტაპობრივად გამოაქვეყნებდნენ სახელმწიფოების მიხედვით. თუ „ანონიმუსის“ ჰაკერებმა მართ-ლაც შეაღწიეს რუსეთის უსაფრთხოების სისტემებში და იქიდან რაიმე ღირებული გამოიტანეს, ეს მართ-ლაც მნიშვნელოვანი იქნება, რომ გამოქვეყნდეს.

ომის დაწყების შემდეგ ,,კიევში დაფუძნებულმა კიბერუსაფრთხოების კომპანია Unit Technologies-მა დაიწყო ჰაკერების დაჯილდოება, თუ ისინი წაშლიდნენ და დააზიანებდნენ რუსულ ვებ-გვერდებს. კომ-პანიამ ამ საქმისთვის 100 000 აშშ დოლარი გამოყო”.[22]

,,უკრაინამ ხელშეკრულება გააფორმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციასთან (Asso-ciation of Southeast Asian Nations), რის მიხედვითაც ავსტრალია და სამხრეთ კორეა აძლიერებენ სამხედრო დახმარებას. ამ პროცესების ფონზე სამხრეთ კორეა და იაპონია შეუერთდნენ ნატოს კოოპერატიულ კიბერ-თავდაცვით ცენტრს (CCDCOE), რაც რუსეთისთვის აღიქმება, როგორც ნატოს გაფართოება აზია-წყნარ ოკეანეში და ახლო აღმოსავლეთში”.[23] აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნება, აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები მოემზადონ მასშტაბური დეზინფორმაციისთვის, დაზვერვისთვის და კიბერთავდასხმებისთვის.

დიდი ბრიტანეთის უშიშროების მინისტრი ტომ ტუგენდატი საუბრობს რუსეთის მხრიდან მოსა-ლოდნელ კიბერსაფრთხეებზე. მისი თქმით, უკრაინაზე შეტევები რუსეთის მხრიდან მხოლოდ წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა და ხორციელდება სარაკეტო თავდასხმების პარალელურად:

“რუსული ბარბაროსობა სცილდება ბრძოლის ველს და მიზანიმართულად ხორციელდება ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მუდმივი საფრთხე უკრაინის კრი-ტიკული ინფრასტრუქტურის კუთხით“.[24]

ომის დაწყების პირველ პერიოდში უკრაინას ჰქონდა გარკვეული წარმატება მოგერიების თვალსაზრისით, ,,რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის დიდ ბრიტანეთს, რადგან მათ შეიმუშავეს დახ-მარების პაკეტი 6,35 მილიონი ფუნტის სახით.”[25] ეს უკრაინას ეხმარება ინციდენტების აღმოფხვრასა და კოორდინირებულ რეაგირებაზე, ინფორმაციის სწრაფად გაზიარებაზე, დამატებითი აპარატურის შეძენისთვის, ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ცნობილია, რომ ევროპის მასშტაბით რუსეთის მხრიდან კიბერთავდასხმები არ გაზრდილა. თუმცა პოლონეთი აცხადებს, რომ მთავრობის ადმინისტრაციულ სისტემებსა და ვებ-გვერდებზე კიბერთავდასხმებმა ომის დაწყების შემდეგ მოიმატა. მაგალითად, 2022 წლის ოქტომბრის ბოლოს, პოლონეთის სენატის სხდომის შემდეგ განხორციელდა სამთავრობო სისტემებზე კიბერშეტევა. პოლონეთმა პრორუსული ჰაკერული ჯგუფი NoName057[26] დაადანაშაულა. იყო ასევე მეორე ჰაკერული ჯგუფი Ghostwriter,[27] რომელიც კიბერთავდასხმებს ახორ-ციელებს ბელორუსიიდან და აქვს კავშირები კრემლის სამხედრო დაზვერვასთან. ამის შემდეგ პოლო-ნეთის პარლამენტის ზედა პალატამ ერთხმად მიიღო რეცოლუცია, სადაც რუსეთის მთავრობას ტერო-რისტული რეჟიმი უწოდეს. ასევე უნდა აღინიშნორს, უკრაინამ და აშშ-მა ბოლო პერიოდში დახურეს ცხრა ვებ-გვერდის სერვერები, რომლებიც კიბერკრიმინალებს სთავაზობდნენ კრიპტოვალუტის გადაც-ვლის სერვისებს. ასეთი ვებ-გვერდები იყო: 101crypta.com, trust-exchange.org, 24xbtc.com და სხვა.

22 A. Janofsky, “This Ukrainian cyber firm is offering hackers bounties for taking down Russian sites”, The Record by Recorded Future, p. 1, 2022. https://therecord.media/this-ukrainian-cyber-firm-is-offering-hackers-bounties-for-taking-down-russian-sites/

23 Rahman A.b.F.M., “The Next Cyber Phase of the Russia-Ukraine War Will Echo in Asia”, The Diplomat, p. 1. 2023. https://thediplomat.com/2023/02/the-next-cyber-phase-of-the-russia-ukraine-war-will-echo-in-asia/

24 National Cyber Security Centre, “Ukraine cyber defenders in UK for high-level talks”, NCSC, p. 1, 2022. https://www.ncsc.gov.uk/news/ukraine-cyber-defenders-in-uk-for-high-level-talks

25 C. Griffiths, “The Latest 2023 Cyber Crime Statistics (updated February 2023)” AAG, p. 1, 2022. https://aag-it.com/the-latest-cyber-crime-statistics/

26 S. Lyngaas, “Microsoft blames Russian military-linked hackers for ransomware attacks in Poland and Ukraine”, cnn politics, p. 1, 2022. https://edition.cnn.com/2022/11/10/politics/microsoft-russian-linked-hackers-poland-ukraine/index.html

27 B.Toulas, “Poland warns of attacks by Russia-linked Ghostwriter hacking group”, BleepingComputer, p. 1, 2022. https://www.bleepingcomputer.com/news/security/poland-warns-of-attacks-by-russia-linked-ghostwriter-hacking-group/

აღნიშნული კრიპტოვალუტის ბირჟები გარეკლამებული იყო კრიმინალურ ფორუმებზე.[28]

როგორც ვხედავთ, რუსეთ-უკრაინის კონვენციური ომის პარალელურად ციფრული მიმართულებითაც მუშაობა აქტიურ რეჟიმშია და ზარალის დათვლა ამ დრომდე ზუსტად შეუძლებელია. თუმცა, იმ ყოველდღიურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვირტუალურ სივრცეშიც დიდ ზარალს უნდა ველოდოთ. იმის მიუხედავად, რომ უკრაინას ეხმარებიან ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთი, საქართველო და სხვა ქვეყნები, მაინც ვერ ხერხდება თუნდაც ვირტუალურ სივრცეში ბოლომდე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სხვადასხვა აქტორები, რომლებიც გამოირჩევიან ჰაკერული თაღლითური და ინფრასტრუქტურის დამაზიანებელი თავდასხმებით, ცდილობენ სარგებელი ნახონ - რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი გამოიყენონ ერთგვარ ინსტრუმენტად. მაგალითად, ახალი ამბების დეზინფორმაციის გავრცელება, შემოწირულობების მოთხოვნა მავნე ბმულებით, დახმარების ფონდების სახელებით და ყალბი ვებ-მისამართებით ან ლტოლვილთა მხარდაჭერის ყალბი ვებ-გვერდებით და სხვა. კიბერსაფრთხეების ანალიტიკოსებმა შეადგინეს იმ კიბერჯგუფების ცხრილი, რომლებიც რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში არიან ჩართულები. აღნიშნული ცხრილი ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს კიბერსაფრთხეების ლანდშაფტის შესაფასებლად. რუსეთის მხრიდან დაფინანსებულმა მოწინავე საფრთხის ჯგუფებმა (APT) გამოავლინეს უნარი შეინარჩუნონ მუდმივი, ამოუცნობი, გრძელვადიანი წვდომა და უნებართვო წვდომა ქსელებში, ლეგიტიმური სერთიფიკატების გამოყენებით. რა თქმა უნდა, როგორც უკვე განვიხილეთ, რუსეთის დაქირავებული და მართული ჰაქტივისტური ჯგუფები, როგორებიც არიან Killnet-ი და „ანონიმური სუდანი“ წარმოადგენენ დიდ საფრთხეს უკრაინისთვის და ქვეყნებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ მას, თუმცა ამის გარდა კიდევ ბევრი მართული მოწინავე საფრთხის ჯგუფები არიან ჩართულები აღნიშნულ პროცესში. ისინი წარმოადგენენ კიბერშეტევების ყველაზე მაღალ რისკს, როგორებიც არიან რუსეთის APT ჯგუფები: APT28, Turla, Gamaredon, Energetic Bear, APT29, Sandworm და სხვა“.[29]

მოგეხსენებათ, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო ყოველდღიურად მუშაობენ რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უამრავ შეზღუდვასთან ერთად განსაზღვრა რუსეთის ფედერაციის მოწყვეტა გლობალური ინტერნეტსივრციდან",[30] რაც ნამდვილად შემაშფოთებელ საფუძველს იძლევა კიბერკრიმინალებისთვის, რომლებიც რუსეთის მხარეს მოქმედებენ. რუსეთის ფედერაცია ცდილობს, პარალელურად გააკონტროლოს ინფორმაციის ნაკადი, რაც ცენზურის საზღვრების დაწესებას გულისხმობს ციფრულ ეპოქაში. რუსეთი ცდილობს, დაბლოკოს, დააჯარიმოს და ცენზურა დაუწესოს ყველა დასავლური სოციალური მედიის პლატფორმას. ,,რუსეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომ სახელმწიფო ვებ-გვერდები დაუკავშირდნენ სახელმწიფოს კონტროლირებად დომეინის სისტემის სერვერებს, რათა სრულად მოხდეს გადართვა რუსული ჰოსტინგების პროვაიდერებზე".[31]

დასკვნა

ჩვენ არ ვიცით, ომი კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება. მართალია, უკრაინას ინტენსიურად ეხმარებიან მოწინავე ქვეყნები, მაგრამ ანალიტიკოსების მტკიცებით, ეს საკმარისი არ არის. რაც ხდება რეალური ომის პირობებში, თითქმის იგივე ხდება ვირტუალური ომის პირობებში, ანუ ინტერნეტსივრცეში. ამ ორი მოვლენის განხილვა განყენებულად შეუძლებელია. უკრაინას სჭირდება უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თავდაცვითი სიეტემები არა მხოლოდ იარაღის სახით, არამედ კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით. თუ ვინმე ამ საკითხს ზერელედ უყურებს, ის ცდება. კიბერსივრცის დაპყრობას შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა და საომარი ბაზებიც კი. საჭიროა დიდი ყურადღება, აღჭურვა, დაკვირვება, შესწავლა და მოქმედება.

28 E.Kovacs, "US, Ukraine Shut Down Cryptocurrency Exchanges Used by Cybercriminals", Security Week, p. 1, 2023. https://www.securityweek.com/us-ukraine-shut-down-cryptocurrency-exchanges-used-by-cybercriminals/?fbclid=IwAR0xr7MGMHg_RJ2PPh5DRrMlYCJvuoY_34j4CJzKe3A4v8v4tEnNzTuqAyA

29 Curatedintel, "Curated Intelligence Stands With Ukraine", p. 1, 2022. https://www.curatedintel.org/2022/02/curated-intelligence-stands-with-ukraine.html

30 T.Franck., "Biden vows wider sanctions on Russia in effort to cut Moscow off from the global economy", cnbc, p. 1, 2022. https://www.cnbc.com/2022/02/24/biden-vows-wider-sanctions-on-russia-in-effort-to-cut-moscow-off-from-the-global-economy.html

31 Flashpoint Team, "Understanding Russia's "Sovereign Internet": What Happens If Russia Isolates Itself from the Global Internet?", p. 1, 2022. https://flashpoint.io/blog/russian-runet-sovereign-internet/

გამოყენებული ლიტერატურა

CISA Central, “Cyber-Attack Against Ukrainian Critical Infrastructure”, p. 1, 2021. https://www.cisa.gov/news-events/ics-alerts/ir-alert-h-16-056-01

Burt Tom - Corporate Vice President, Customer Security & Trust,”Russian cyberattacks pose greater risk to governments and other insights from our annual report”, Microsoft, p. 1, 2021. https://blogs.microsoft.com/on-the-issues/2021/10/07/digital-defense-report-2021/

Sigal L., “What You Need to Know About the Anonymous Sudan Hacker Group”, CYE Blog, 2023. p. 1. https://cyesec.com/blog/what-you-need-to-know-about-the-anonymous-sudan-hacker-group

Check Point Research Team, “The New Era of Hacktivism - State-Mobilized Hacktivism Proliferates to The West and Beyond”, p. 1, 2022. https://research.checkpoint.com/2022/the-new-era-of-hacktivism/

Check Point Research Team, “The New Era of Hacktivism - State-Mobilized Hacktivism Proliferates to The West and Beyond”, p. 1, 2022. https://research.checkpoint.com/2022/the-new-era-of-hacktivism/

Vijayan J., “Pro-Islam ‘Anonymous Sudan’ Hacktivists Likely a Front for Russia’s Killnet Operation”, Dark Reading, 2023. p. 1, https://www.darkreading.com/attacks-breaches/pro-islam-anonymous-sudan-hacktivists-front-russia-killnet-operation?fbclid=IwAR3RMbRQgQbRcMxmv-iZNGRGsvGEyuMUOK5IRfA-CYLzZQBPbcPmH6yo5uDA

Bracken B., “Killnet Gloats About DDoS Attacks Downing Starlink”, White House, p. 1, 2022. https://www.darkreading.com/threat-intelligence/killnet-gloats-ddos-attacks-starlink-whitehouse-gov

Vijayan J. “Inside Killnet: Pro-Russia Hacktivist Group’s Support and Influence Grows”, Dark Reading, p. 1. 2023. https://www.darkreading.com/ics-ot/killnet-pro-russia-hacktivist-group-support-influence-grows

the Guardian, “Russian hackers ‘target security cameras inside Ukraine coffee shops”, p. 1, 2023. https://www.theguardian.com/world/2023/apr/11/russian-hackers-target-security-cameras-inside-ukraine-coffee-shops?fbclid=IwAR3JWtpSmI9UvvADsMqx5aVTbM8SjpsvCIUYPX389Ff_HxSarZV_ctLoMIQ

Harding L., Simeonova S., Ganguly M.,Dan Sabbagh D.,”‘Vulkan files’ leak reveals Putin’s global and domestic cyberwarfare tactics”, The Guardian, p. 1, 2023. https://www.theguardian.com/technology/2023/mar/30/vulkan-files-leak-reveals-putins-global-and-domestic-cyberwarfare-tactics

Janofsky A., “This Ukrainian cyber firm is offering hackers bounties for taking down Russian sites”, The Record by Recorded Future, p. 1, 2022. https://therecord.media/this-ukrainian-cyber-firm-is-offering-hackers-bounties-for-taking-down-russian-sites/

Rahman A.b.F.M., “The Next Cyber Phase of the Russia-Ukraine War Will Echo in Asia”, The Diplomat, p. 1. 2023. https://thediplomat.com/2023/02/the-next-cyber-phase-of-the-russia-ukraine-war-will-echo-in-asia/

National Cyber Security Centre, “Ukraine cyber defenders in UK for high-level talks”, NCSC, p. 1, 2022. https://www.ncsc.gov.uk/news/ukraine-cyber-defenders-in-uk-for-high-level-talks

Griffiths C., “The Latest 2023 Cyber Crime Statistics (updated February 2023)” AAG, p. 1, 2022. https://aag-it.com/the-latest-cyber-crime-statistics/

Lyngaas S., “Microsoft blames Russian military-linked hackers for ransomware attacks in Poland and Ukraine”, cnn politics, p. 1, 2022. https://edition.cnn.com/2022/11/10/politics/microsoft-russian-linked-hackers-poland-ukraine/index.html

Toulas B., “Poland warns of attacks by Russia-linked Ghostwriter hacking group”, BleepingComputer, p. 1, 2022. https://www.bleepingcomputer.com/news/security/poland-warns-of-attacks-by-russia-linked-ghostwriter-hacking-group/

Kovacs E., “US, Ukraine Shut Down Cryptocurrency Exchanges Used by Cybercriminals”, Security Week, p. 1, 2023. https://www.securityweek.com/us-ukraine-shut-down-cryptocurrency-exchanges-used-by-cybercriminals/?fbclid=IwAR0xr7MGMHg_RJ2PPh5DRrMlYCJvuoY_34j4CJzKe3A4v8v4tEnNzTuqAyA

Curatedintel, “Curated Intelligence Stands With Ukraine”, p. 1, 2022. https://www.curatedintel.org/2022/02/curated-intelligence-stands-with-ukraine.html

Franck T., “Biden vows wider sanctions on Russia in effort to cut Moscow off from the global economy”, cnbc, p. 1, 2022. https://www.cnbc.com/2022/02/24/biden-vows-wider-sanctions-on-russia-in-effort-to-cut-moscow-off-from-the-global-economy.html

Flashpoint Team, “Understanding Russia’s “Sovereign Internet”: What Happens If Russia Isolates Itself from the Global Internet?”, p. 1, 2022. https://flashpoint.io/blog/russian-runet-sovereign-internet/

ჰიბრიდული ომი, რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითი

გიორგი კბილცეცხლაშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების
მართვის მიმართულების პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

აბსტრაქტი

ომი ისეთივე ძველი საქმიანობაა, როგორც თვით კაცობრიობის ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ომის ბუნება, წარმართვის წესები და ფორმები. ავტორს ნაშრომში განხილული აქვს ზოგადად ომის მიზანი, რომელიც წარმოადგენს იძულებას, რათა შესრულდეს ომში მონაწილე ერთი მხარის ნება. ნაშრმოში ყურადღება გამახვილებულია მეოცე საუკუნის ბოლოდან არსებული კონვენციური ომების ჰიბრიდული ომით ჩანაცვლებაზე და ჰიბრიდული ომის თეორიის განვითარებაზე.

ავტორს ნაშრომში ასევე განხილული აქვს კლაუზევიცის მოსაზრებებები, რომ „ომი ძალადობის აქტია და მის გამოყენებას საზღვარი არ აქვს … ომის ფილოსოფიაში შეზღუდვისა და ზომიერების პრინციპის შემოღება სრული აბსურდია“.

წინამდებარე სტატია მოკლედ მიმოიხილავს ჰიბრიდული ომის ბუნებას, მის ფორმებსა და წარმოების წესებს. ნაშრომში ავტორი ჰიბრიდულ მოქმედებებს აღწერს, როგორც უფრო მარტივ, იაფ და ნაკლებად სარისკოს, ვიდრე ჩვეულებრივი კინეტიკური მოქმედებებია. მას აღნიშნული აქვს, რომ ჰიბრიდული ომი უფრო ბევრად რეალურია და იაფი, მაგალითად, დეზინფორმაციის დაფინანსება და მისი გავრცელება არასახელმწიფო სუბიექტების მიერ, ვიდრე სხვა ქვეყნაში ტანკების შეყვანა ან მის საჰაერო სივრცეში ავიაციის მოქმედება. ავტორი მოიხსენიებს ფრენკ ჰოფმანს და მის თეორიებს. ნაშრომში განხილულია აგრეთვე საინფორმაციო ოპერაციების დანიშნულება და მათი ზეგავლენა, როგორც სახელმწიფოზე, ასევე საზოგადოებაზე. ნაშრომში მოცემულია რუსეთ-უკრაინის ომის მიმოხილვა და რუსეთის მიერ განხორციელებული საინფორმაციო ოპერაციების მაგალითები. ასევე ყურადღება არის გამახვილებული ჰიბრიდული ომის უმნიშვნელოვანეს ელემენტზე, კერძოდ ეკონომიკაზე, მოყვანილია მაგალითები რუსეთ-უკარაინის კონფლიქტიდან.

ავტორს რუსეთ-უკარაინის ომი დაყოფილი აქვს პერიოდებად: პირველი პერიოდი - ჰიბრიდული ომის მომზადება - 2009-დან – 2022 წლის თებერვლამდე, მეორე პერიოდი - ჰიბრიდული ომის წარმოება - 2022 წლის თებერვალი - მაისი და მესამე პერიოდი - ჰიბრიდული ომის ტრანსფორმაცია კონვენციურ ომში - 2022 წლის მაისიდან დღემდე. ნაშრომში განხილულია თითოეული პერიოდის მაგალითები.

საკვანძო სიტყვები:
ჰიბრიდული ომი, ომის მიზნები, ომის შემადგენელი ნაწილები, რუსეთ-უკრაინის ომი.

Hybrid War, Example of Russia-Ukraine War

Giorgi Kbiltsetskhlashvili
Professor of State Resource Management
Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctor of Political Science

Abstract

War is an activity as old as the history of mankind itself. It can be said that along with the development of humanity, the war has changed its nature, including the rules and forms of its conduct. In the work, the author discusses the general purpose of war, which is coercion aiming to fulfill the will of one party participating in the war. The paper focuses on the replacement of existing conventional wars with hybrid war and the development of hybrid war theory.

In the work, the author has also discussed Clausewitz's views: "war is an act of violence and it has no limits... it is a complete absurdity to introduce the principle of limitation and moderation into the philosophy of war."

This article briefly reviews the nature of hybrid warfare, including its forms and methods. In the paper, the author has described the hybrid actions. According to the author they are simpler, cheaper and less risky than conventional kinetic actions. For example, he noted that financing and spreading disinformation using non-state entities is much more realistic and cheaper than bringing tanks into another country or operating aviation in its airspace.

The paper also discusses the purpose of information operations and their impact on both the state and society. The work provides an overview of the Russia-Ukraine war and examples of information operations carried out by Russia. The author has paid special attention to the most important element of hybrid war, namely the economy. He has discussed examples from the Russia-Ukraine conflict.

The author has divided the Russian-Ukrainian war into periods: the first period - the preparation of the hybrid war - from 2009 to February 2022, the second period - the conduct of the hybrid war - from February to May 2022, and the third period - the transformation of the hybrid war into a conventional war - from May 2022 to the present. The paper discusses examples from each period.

Keywords:
Hybrid war, War goals, Components of war, Russia-Ukraine war.

შესავალი

კლაუზევიცის მიხედვით „ომი არის ძალადობის აქტი, რომლის მიზანია აიძულოს მოწინააღმდეგე შეასრულოს ჩვენი ნება.“[1] შესაბამისად, ზოგადად ომის მიზანს წარმოადგენს იძულება, რომ შესრულდეს ომში მონაწილე ერთი მხარის ნება. ეს ნება შეიძლება ასახავდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მიზნებს. ამ თვალსაზრისით ჰიბრიდული ომი არ განსხვავდება კონვენციური ომისგან. აქაც ჩვენ ვხედავთ ერთი მონაწილის მისწრაფებას, რომ აიძულოს მოწინააღმდეგე შეასრულოს მისი ნება.

ძირითადი ნაწილი

ჰიბრიდული ომის მიზანი

მაშ რითი განსხვავდება ჰიბრიდული ომი კონვენციური ომისაგან? კლაუზევიცის განმარტებით „ომი ძალადობის აქტია და მის გამოყენებას საზღვარი არ აქვს … ომის ფილოსოფიაში შეზღუდვისა და ზომიერების პრინციპის შემოღება სრული აბსურდია“[2]. შესაბამისად, მისი აზრით, ომში დაშვებულია ყველაფერი თუ ეს საჭიროა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ომის ეს ხედვა ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფოების მიერ და თავის აპოგეას მიაღწია მე-20 საუკუნეში. ამის მაგალითად შეიძლება იქნას მოყვანილი ქიმიური იარაღის გამოყენება პირველ მსოფლიო ომში, ბირთვული იარაღის - მეორეში, მეორე მსოფლიო ომში მშვიდობიანი მოსახლეობისა და ქალაქების (გერნიკა, ლონდონი, დრეზდენი, ლენინგრადი და სხვა) მასიური დაბომბვები, ქიმიკატების (ჰერბიციდებისა და დეფოლიანტების - “Agent Orange”), ფოსფორისა და ნაპალმის ბომბების გამოყენება ვიეტნამში, მიწასთან გასწორებული ქალაქები ჩეჩნეთში და მრავალი სხვა.

აქ იბადება კითხვა - რამ გამოიწვია ჰიბრიდული ომის თეორიის განვითარება? ამის გასარკვევად შეიძლება მოვიყვანოთ ორი მოსაზრება. პირველი არის ის, რომ ჰიბრიდული ომი დაკავშირებულია გაურკვევლობასთან და მოწინააღმდეგის გამოვლენასთან. ჰიბრიდული თავდასხმები, როგორც წესი, აღინიშნება დიდი გაურკვევლობითა და ბუნდოვანებით. ასეთი გაურკვევლობა შეგნებულად იქმნება და ნიღბავს ჰიბრიდულ აქტორებს, რათა გაართულოს მათი დადგენა და შესაბამისად მათთვის პასუხი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანას, რომელიც არის სამიზნე, ან არ შეუძლია აღმოაჩინოს ჰიბრიდული თავდასხმა, ან ვერ დაუმტკიცოს ის სახელმწიფოს, რომელიც შესაძლოა ახორციელებდეს ან აფინანსებდეს მას. გაურკვევლობის გაჩენითა და მოწინააღმდეგის გამოვლენის გართულებით ჰიბრიდული აქტორი ართულებს სამიზნე სახელმწიფოს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასა და სტრატეგიული რეაგირების განხორციელებას.

მეორე მოსაზრება დაკავშირებულია რესურსებთან. ჰიბრიდულ მოქმედებებს, ომის ზღვარზე ან აშკარა ღია ძალადობაზე, მოაქვს შედეგი-მიუხედავად იმისა, რომ ის უფრო მარტივი, იაფი და ნაკლებად სარისკოა, ვიდრე ჩვეულებრივი კინეტიკური მოქმედებები. ბევრად უფრო რეალურია და იაფი, მაგალითად, დეზინფორმაციის დაფინანსება და გავრცელება არასახელმწიფო სუბიექტების გამოყენებით, ვიდრე სხვა ქვეყნაში ტანკების შეყვანა ან მის საჰაერო სივრცეში ავიაციის მოქმედება. ჰიბრიდული მოქმედებების ხარჯები და რისკები შესამჩნევად დაბალია, ზიანი კი რეალური. აქ შეიძლება დაიბადოს კითხვა: შეიძლება თუ არა ომის მოგება პირდაპირი ბრძოლის ან ფიზიკური დაპირისპირების გარეშე? თუმცა ამ კითხვაზე პასუხი გასცა სუნ ძიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ომის უმაღლესი ხელოვნებაა მტრის დამორჩილება უბრძოლველად.

გამომდინარე ზემოხსენებულიდან, ჩვენ შეიძლება განვიხილოთ და განვმარტოთ ის, თუ რა არის ჰიბრიდული ომი. პირველად ჰიბრიდული ომის განმარტება გააკეთა ფრენკ ჰოფმანმა[3]. ის ამტკიცებდა, რომ „ჰიბრიდული ომები მოიცავს ომის სხვადასხვა რეჟიმებს, მათ შორის კონვენციურ შესაძლებლობებს, არარეგულარულ ფორმირებებსა და ტაქტიკას, მათ შორის ტერორისტულ აქტებს განურჩეველი ძალადობისა და იძულების და კრიმინალური არეულობის ჩათვლით“. ეს იდეები იყო კიდევ უფრო გავრცელებულია ეგრეთწოდებულ ”გერასიმოვის დოქტრინაში”[4], სადაც ჰოფმანის ჩამონათვალს დაემატა არასამხედრო ზომები, როგორებიცაა პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლა, ასევე ეკონომიკური ქმედებები. აქვე გერასიმოვი ამტკიცებს, რომ განსხვავებით კლასიკური კონვენციური ომისგან, ჰიბრიდულ ომში თავის მიზნების მისაღწევად, წმინდა სამხედრო ინსტრუმენტებთან ერთად გამოიყენება პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და სხვა არასამხედრო ინსტრუმენტები.

1 Clausewitz, Carl von. 1984. On War. Edited by Howard Michael Eliot, Paret, Peter. New Jersey: Princeton University Press, p. 75.

2 Ibid.

3 Hoffman, Frank G. 2007. Conflict in the 21st century: the rise of hybrid wars. Arlington, Virginia: Potomac Institute for Policy Stadies.

4 Gerasimov, Valeri. 2016. “The Value of Science Is in the Foresight, New Challenges Demand Rethinking the Forms and Methods of Carrying out Combat Operations.” Military review. Accessed Apryl 18, 2023. https://www.armyupress.army.mil/Portals/7/military-review/Archives/English/MilitaryReview_20160228_art008.pdf

ჰიბრიდული ომის ანატომია

და მაინც, რისგან შედგება ჰიბრიდული ომი? პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს არის სამხედრო დაპირისპირება. აქ შეიძლება აღინიშნოს განსხვავებები სამხედრო ძალის გამოყენებაში, რომლებიც საომარმა მოქმედებებმა განიცადეს მე-20 საუკუნის განმავლობაში. მაგალითად, თუ პირველი მსოფლიო ომი იწყებოდა ომის გამოცხადებითა და წინასწარ რეზერვების მობილიზაციით, დაწყებული მეორე მსოფლიო ომიდან-ისეთი ფორმალობა, როგორც ომის გამოცხადებაა-აღარ გამოიყენება და დარჩა ქვეყნების კანონმდებლობაში, როგორც ისტორიის გადმონაშთი. მასზე არის აგებული ძალიან ბევრი კანონი, რომლებიც თანამედროვე, სწრაფად ცვალებად სამყაროში ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს დაბრკოლებას და ამუხრუჭებს განსახორციელებელ პროცესებს. გარდა ამისა, მე-20 საუკუნის დასაწყისის ომებისგან განსხვავებით, როდესაც მოწინააღმდეგეები იყვნენ ჩართულნი პოზიციურ ბრძოლებში, თანამედროვე საბრძოლო მოქმედებები ძალიან მობილურია, ხშირად შედგება სპეციალური ქვედანაყოფებისა და არაფორმალური გასამხედროებული რაზმების მოქმედებებისაგან. ასეთი საბრძოლო მოქმედებების ამოცანას წარმოადგენს დაბნეულობისა და არეულობის შეტანა მთავრობაში და ქვეყნის მმართველ ელემენტებში, ასევე შიშის გრძნობის დათესვა მოსახლეობაში იმისთვის, რომ მოახდინონ ქვეყნის მართვის პარალიზება და ჩაკლან მოსახლეობაში წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.

შემდეგი ელემენტი არის პოლიტიკა და დიპლომატია. აქ სამიზნე აუდიტორია შეიძლება იყოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ არსებული საერთაშორისო საზოგადოება. მოქმედების დიაპაზონი ძალიან ფართოა, დაწყებული ძალის გამოყენების პირდაპირი მუქარით, პოლიტიკური ზეწოლით, გავლენის აგენტებისა და „სასარგებლო იდიოტების“ გამოყენებით, დამთავრებული საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციებში ქვეყნის იმიჯის შელახვითა და ქვეყნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებით.

ეს ყველაფერი მჭიდროდ არის დაკავშირებული საინფორმაციო ოპერაციებთან. მსგავსი ოპერაციების დანიშნულებას წარმოადგენს როგორც ზემოქმედების მოხდენა მთავრობაზე, შეიარაღებულ ძალებსა და მოსახლეობაზე იმისთვის, რომ მოუსპონ მათ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი და გამარჯვების იმედი, ასევე ზემოქმედების მოხდენა საერთაშორისო საზოგადოებაზე, რათა მოხდეს აგრესიული მოქმედებების გამართლება. როგორც წესი, ჰიბრიდული ომის საინფორმაციო მოქმედებები იწყება გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სხვა მოქმედებები და ისინი გამოიყენება ჰიბრიდული ომისთვის სასურველი ნიადაგის მოსამზადებლად. მაგალითად, ჯერ კიდევ 2009 წელს რუსეთი უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ უკრაინა „იპარავს“ რუსულ გაზს, რომელიც განკუთვნილი იყო ევროპისთვის[5]. რუსეთის ეს და მრავალი მსგავსი საინფორმაციო კამპანიები მიზნად ისახავდა უკრაინისთვის არასანდო პარტნიორის იმიჯის შექმნას და მისი პარტნიორებისა და მოკავშირეების რიცხვის შემცირებას. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ, უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული საინფორმაციო ომის მსვლელობისას გამოყენებული გზავნილები იცვლებოდა და ეკონომიკურ შავ პიარს დაემატა ფაშიზმის მხარდაჭერისა, ეთნიკური ნიშნით დევნისა და რუსების ჩაგვრის ბრალდებები (ყველაზე ცნობილი იყო სიუჟეტი, რომელიც გავიდა რუსეთის მაუწყებლის პირველ არხზე და ეძღვნებოდა განცხადებების დაფაზე ლურსმებით გაკრულ ბავშვს)[6], რამაც კულმინაციას მიაღწია 2022 წლის 24 თებერვალს.

და ბოლოს, ჰიბრიდული ომის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი არის ეკონომიკა. განსხვავებით კონვენციური ომებისა, სადაც ეკონომიკას აქვს ომის მხარდამჭერი როლი, ჰიბრიდულ ომში ეკონომიკა გვევლინება ომის ერთ-ერთ იარაღად და მიმართულია მოწინააღმდეგისთვის ეკონომიკური ზიანის მიყენებისკენ ან ეკონომიკური ზიანის მიყენების მუქარისკენ. აქ მაგალითად გამოდგება რუსეთის მიერ გამოცხადებული სანქციები, იმპორტჩანაცვლება და რუსეთის მუქარა ევროპისთვის ენერგომომარაგების შეწყვეტის შესახებ, რაც განხორციელდა კიდეც 2022 წელს. ყველა ეს ქმედება იყო მიმართული იმისკენ, რომ მომხდარიყო ზეწოლა ამერიკისა და ევროპის ბიზნესწრეებზე და შემდგომ მათ მიერ საკუთარ მთავრობებზე ზეწოლისათვის. პრაქტიკულად რუსეთის ეკონომიკის ჰიბრიდული ომის იარაღად გამოყენების დასაბუთებათ მოცემულია თეზისი, რომ მსოფლიო, და განსაკუთრებით ევროპა, კრიტიკულად არის დამოკიდებული რუსეთის რესურსებზე (ენერგომატარებლები, ურანი, ფოლადი, ალუმინი, ტიტანი, მინერალური სასუქი და სხვა) და მათი მიწოდების გარეშე განიცდის ეკონომიკურ კოლაფსს. გამომდინარე ამ თეზისიდან, რუსეთში გადაწყვეტილებების მიმღებები ამტკიცებდნენ, რომ ამ რესურსების აკრძალვის მუქარაც კი იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ აეძულებინა ევროპა რუსეთის ნება შეესრულებინა.

5 Олег Дубина, 2009. „Ворует ли Украина российский газ?“ Вести.ру. 02 January. წვდომილი 2023 წლის 26 April. https://www.vesti.ru/finance/article/2176743

6 Юлия Чумакова, 2014. „Беженка из Славянска вспоминает, как при ней казнили маленького сына и жену ополченца.“ 1tv.ru. 12 July. წვდომილი 2023 წლის 26 April. https://www.1tv.ru/news/2014-07-12/37175

ჰიბრიდული ომის ტრანსფორმაცია კონვენციურში რუსეთ-უკრაინის ომში (2022-2023)

ყოველივე ზემოხსენებულს აქვს აზრი, როდესაც მათ ვიხილავთ განცალკევებულად, მაგრამ როგორც განაცხადა გამოჩენილმა საბჭოთა სამხედრო თეორეტიკოსმა ალექსანდრე სვეჩინმა: „უაღრესად რთულია ... ომის ვითარების განჭვრეტა. ყოველი ომისთვის აუცილებელია სტრატეგიული მოქმედების განსაკუთრებული ხაზის შემუშავება; ყოველი ომი წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც მოითხოვს საკუთარი განსაკუთრებული ლოგიკის ჩამოყალიბებას და არა რაიმე შაბლონის გამოყენებას“[7]. სვეჩინის ეს სიტყვები კარგად აღწერს სიტუაციას, რომელიც შეიქმნა რუსეთ-უკრაინის ომში.

აღნიშნული კონფლიქტი შეიძლება დაიყოს რამოდენიმე პერიოდად: პირველი პერიოდი - ჰიბრიდული ომის მომზადება - 2009-დან – 2022 წლის თებერვლამდე, მეორე პერიოდი - ჰიბრიდული ომის წარმოება - 2022 წლის თებერვალი - მაისი და მესამე პერიოდი - ჰიბრიდული ომის ტრანსფორმაცია კონვენციურ ომში - 2022 წლის მაისიდან დღემდე.

უკრაინაში ჰიბრიდული ომის პირველი პერიოდი ხასიათდება რუსეთის მხრიდან ისეთი მოქმედებებით, რომლებიც ზოგჯერ იყო განხორციელებული საპირისპირო მიმართულებებით. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე გამოხატულმა დასავლეთის (ნატო, ევროკავშირი, შეერთებული შტატები) რეაქციამ შეუქმნა რუსეთს ცრუ წარმოდგენა იმისა, რომ მის ნებისმიერ ქმედებაზე მსოფლიოს რეაქცია იქნებოდა უშედეგო ან ყველაზე მეტი-მოუტანდა რუსეთს უმნიშვნელო ზიანს. ამიტომ, 2009 წლიდან რუსეთმა დაიწყო მზადება უკრაინასთან შესაძლო დაპირისპირებისათვის. პროცესები დაჩქარდა ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობისას. ამ პერიოდში რუსეთი ცდილობდა უკრაინისთვის ეკონომიკური პრობლემები შეექმნა, ასევე იყენებდა კიბერთავდასხმებს და აწარმოებდა ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას, რომელიც შედგებოდა, ერთის მხრივ, დეზინფორმაციის გავრცელებისგან, ხოლო მეორეს მხრივ, კულტურული ექსპანსიისაგან. ყოველივე ეს მიზნად ისახავდა უკრაინული საზოგადოების, კულტურისა და ენის დაკნინებასა და საზოგადოების გათიშვას. მაგრამ 2010 წლიდან, ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რუსეთმა შეარბილა თავისი პოზიცია. მეტიც, მან მისცა უკრაინას კრედიტი-3 მილიარდ დოლარზე მეტი[8]. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა გაზის დავები, რომელთა მიზანი იყო უკრაინის გაზგანმანაწილებელი სისტემის ხელში ჩაგდება. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 2014 წელს იანუკოვიჩის გადაყენების შემდეგ, რამაც მოიტანა უკრაინის საგარეო პოლიტიკური კურსის მკვეთრი ცვლილება. ამან დააჩქარა ჰიბრიდული ომის განვითარება. რუსეთის მხრიდან იყო ჩართული არაკონვენციური და პროქსი ძალების მოქმედებები(ყირიმი, დონეცკი და ლუგანსკი), გააქტიურდა საინფორმაციო კამპანიები, ასევე ეკონომიკური ომი. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის ანექსია იყო შესრულებული დიდი დაგეგმვის გარეშე, პრაქტიკულად სპონტანურად და მიაღწია შედეგს მხოლოდ იმიტომ, რომ არც უკრაინის საზოგადოება იყო მზად წინააღმდეგობის გაწევისთვის და არც საერთაშორისო საზოგადოება. რუსეთმა ამ ქმედებების შედეგად მიიღო სანქციები, რომლებიც არ იყო ყოვლისმომცველი და ეფექტური. მეტიც, შეკავების ნაცვლად ამ სანქციებმა განუმტკიცა რუსეთს იმის რწმენა, რომ დასავლეთი დაქსაქსულია, დიდად არის დამოკიდებული რუსულ რესურსებზე და არავითარ შემთხვევაში არ შეეწინააღმდეგება რუსეთს მომავალშიც.

უკრაინაში რუსეთის ჰიბრიდული ომის მეორე პერიოდში რუსეთის მხრიდან იქნა გამოყენებული კლასიკური მიდგომები. სამხედრო ძალის დემონსტრირება (მრავალკილომეტრიანი კოლონები, ავიაციის მასიური გამოყენება, სადესანტო და სპეციალური ძალების ოპერაციები, განურჩეველი სარაკეტო დაბომბვები) მიმართული იყო, პირველ რიგში, უკრაინული საზოგადოების დასაშინებლად, ხოლო დეზინფორმაცია და პროპაგანდა მიზნად ისახავდა მსოფლიოს დარწმუნებას, რომ ომი გააჩაღა უკრაინამ და სწორედ ის არის პასუხისმგებელი მასზედ[9]. ამისათვის რუსეთის პროპაგანდამ გააცოცხლა მეორე მსოფლიო ომის აჩრდილები, ტერმინოლოგია და კლიშეები. ამის გარდა, საინტერესოა ჰიბრიდული ომის ეკონომიკური ნაწილი. რუსეთის ომის სტრატეგიიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ რუსეთმა დაიწყო ღია კონფლიქტი სწორედ თებერვალში. რუსეთის მხრიდან არაერთხელ იქნა გაჟღერებული ევროპისადმი გაზის მიწოდების შეწყვეტის მუქარა, რაც გამოიწვევდა ევროპის გაყინვასა და მისი ეკონომიკის ნგრევას. ეს მუქარა მყარდებოდა პრორუსი „ანალიტიკოსების“ კვლევებითა და დასკვნებით, რომლებიც ამტკიცებდნენ ევროპისთვის რუსული რესურსების განსაკუთრებულობასა და უალტერნატივობას. ეს მუქარა განხორციელდა კიდეც, თუმცა მოიტანა რუსეთისთვის მოულოდნელი და საპირისპირო ეფექტი. ეს ეფექტი გამოიხატა იმაში, რომ რუსეთმა ვერ მიაღწია უკრაინის იზოლაციას. მეტიც, დასავლემა დაიწყო აქტიური ქმედებები უკრაინის დასახმარებლად. ფაქტობრივად ამ კონფლიქტში დასავლეთი იყენებს ყველა ინსტრუმენტს გარდა პირდაპირი სამხედრო დაპირისპირებისა, რამაც მკვეთრად შეამცირა რუსეთის უპირატესობა ამ ომში.

მეორე პერიოდში წარუმატებლობის შემდეგ, რუსეთმა კიდევ ერთხელ შეცვალა მოქმედების სტრატეგია და გადავიდა კონვენციური ომის წარმოებაზე. ფაქტობრივად ამ პერიოდისთვის რუსეთი აგებს

7 Александр Свечин, 1927. Стратегия. Москва: Военный вестник. წვდომილი 2023 წლის 7 მაისი. https://www.klex.ru/17xp

8 2014. „Российско-украинские газовые конфликты. Досье.“ ТАСС. 16 ივნისი. წვდომილი 2023 წლის 8 მაისი. https://tass.ru/info/1128520

9 Обращение Президента Российской Федерации. 2022. http://kremlin.ru/ 24 თებერვალი. წვდომილი 2023 წლის 10 მაისი. http://kremlin.ru/events/president/news/67843/videos

ომს პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ეკონომიკურ და კიბერ სფეროებში. ერთადერთი სფერო, სადაც, მიუხედავად დიდი პრობლემებისა, რუსეთს შეუძლია რაღაც წარმატების მიღწევა, არის შეიარაღებული დაპირისპირება. პრაქტიკულად მას აღარ დარჩა მოქმედების სხვა ინსტრუმენტი. ამიტომაც უკრაინაში ის იყენებს მასიურ სარაკეტო-საარტილერიო დაბომბვებს და მიწასთან ასწორებს უკრაინულ ქალაქებსა და ინფრასტრუქტურას. მსგავსმა სტრატეგიამ ერთხელ მოუტანა წარმატება რუსეთს ჩეჩნეთის მეორე ომში, თუმცა ეს წარმატება იქნა მიღწეული იმ ფონზე, რომ იმდროინდელმა რუსეთმა მოუგო ჩეჩნეთს საინფორმაციო ომი და გამომდინარე აქედან ჩეჩნეთს არ ჰქონდა არანაირი მხარდაჭერა მსოფლიო საზოგადოებიდან, მხოლოდ რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციებიდან, რომლებიც ხშირად იყვნენ დაკავშირებულები სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებთან. თუმცა რუსეთი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ უკრაინით. ომის დაწყებიდან მსოფლიოს ესმის მისგან ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა. რუსული პროპაგანდისტული მანქანა ცდილობს ჩაუნერგოს მსოფლიო საზოგადოებას ის ნარატივი, რომ „ბირთვულმა სახელმწიფომ არ შეიძლება ომი წააგოს“.

დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

ჰიბრიდულ ომს გააჩნია იგივე მიზანი, რაც კლასიკურ კონვენციურ ომს და მიმართულია იმისკენ, რომ მოწინააღმდეგემ შეასრულოს ჩვენი ნება.

ჰიბრიდული ომის სტრატეგია შედგენილია ისე, რომ, ერთის მხრივ, არ გამოიწვიოს აგრესორის გაკიცხვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, წაართვას მოსახლეობას წინააღმდეგობის გაწევის სურვილი, ხოლო, მეორეს მხრივ, შეამციროს ამ ომში დასახარჯი რესურსები.

რაც შეეხება რუსეთ - უკრაინის ომს; ეს ომი დასრულდება უკრაინის გამარჯვებით იმისდა მიუხედავად, რომ მას მოუწევს ამ გამარჯვებაში დიდი საფასურის გადახდა. ეს მოხდება იმიტომ, რომ ამჟამად საერთაშორისო საზოგადოება აღარ დახუჭავს თვალებს რუსეთის ქმედებებზე. აქვე დავამატებდით იმას, რომ ომს იგებს არა ის, ვისაც დიდი არმია ჰყავს, არამედ ის, ვისაც აქვს უფრო ძლიერი ეკონომიკა. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთი ვერ მოუგებს ომს იმ ქვეყნების კოალიციას, რომლებიც აკონტროლებენ მსოფლიო ეკონომიკის უდიდეს ნაწილს.

გამოყენებული ლიტერატურა

Clausewitz, Carl von. 1984. On War. Edited by Michael Eliot, Paret, Peter Howard. New Jersey: Princeton University Press.

Gerasimov, Valeri. 2016. “The Value of Science Is in the Foresight, New Challenges Demand Rethinking the Forms and Methods of Carrying out Combat Operations.” Military review. Accessed Apryl 18, 2023. https://www.armyupress.army.mil/Portals/7/military-review/Archives/English/MilitaryReview_20160228_art008.pdf.

Hoffman, Frank G. 2007. Conflict in the 21st century: the rise of hybrid wars. Arlington, Virginia: Potomac Institute for Policy Stadies.

Дубина, Олег. 2009. “Ворует ли Украина российский газ?” Вести.ру. January 02. Accessed April 26, 2023. https://www.vesti.ru/finance/article/2176743.

Обращение Президента Российской Федерации. 2022. http://kremlin.ru/. თებერვალი 24. Accessed მაისი 10, 2023. http://kremlin.ru/events/president/news/67843/videos.

2014. “Российско-украинские газовые конфликты. Досье.” ТАСС. ივნისი 16. Accessed მაისი 8, 2023. https://tass.ru/info/1128520.

Свечин, Александр. 1927. Стратегия. Москва: Военный вестник. Accessed May 7, 2023. https://www.klex.ru/17xp.

Чумакова, Юлия. 2014. “Беженка из Славянска вспоминает, как при ней казнили маленького сына и жену ополченца.” 1tv.ru. July 12. Accessed April 26, 2023. https://www.1tv.ru/news/2014-07-12/37175-bezhenka_iz_slavyanska_vspominaet_kak_pri_ney_kaznili_malenkogo_syna_i_zhenu_opolchentsa.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის-ნატოს პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ეტაპზე

ლევან ნიკოლეიშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების
კვლევების მიმართულების პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია რუსეთ-უკრაინის ომის დროს ნატოს პოზიციას ეძღვნება. მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული ომის დაწყების ერთ-ერთ საბაბად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოება და მასში უკრაინის გაწევრიანება დაასახელა. რუსეთის ლიდერმა შესანიშნავად იცოდა, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანება 2022 წელს არარეალისტური გახლდათ, რაზეც მას არაერთხელ მიანიშნეს ნატოს წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა ლიდერებმა.

რუსეთმა ასევე მშვენივრად იცოდა, რომ აგრესიული ომი ჯერ საქართველოსთან, ხოლო შემდეგ უკრაინასთან ეწინააღმდეგება ეჩშმ ხელშეკრულების სულისკვეთებას. ხელშეკრულებიდან გამოსვლა კი ერთ-ერთი ეტაპი იყო მისთვის მოქმედების თავისუფლებისათვის. გარდა ამისა, რუსეთის გადაწყვეტილება ეჩშმ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და შეიარაღებაზე ბალანსის დაცვის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაც გახლდათ. რუსეთის გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებდა მოსკოვის მიერ შეიარაღების კონტროლის უგულებელყოფას, მათ შორის ურთიერთგაგების, გამჭვირვალობის შესაბამისობისა და გადამოწმების მიმართ. ნატომ არაერთხელ მოუწოდა რუსეთს შეესრულებინა ხელშეკრულება. ცხადია, რუსეთმა არ გადადგა შემხვედრი ნაბიჯები. ნატოს წევრი სახელმწიფოები მოუწოდებდნენ რუსეთს შეასრულებინა თავისი ვალდებულებები და გამოეყენებინა დარჩენილი დრო გადაწყვეტილების გადასახედად, თუმცა რუსეთი საერთოდ არ რეაგირებდა.

ნატომ თავის დროზე დაგმო რუსეთის გადაწყვეტილება გასულიყო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებიდან (ეჩშმ ხელშეკრულება), რომელიც ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის ქვაკუთხედი გახლავთ. მოგეხსენებათ, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულება (ეჩშმ ხელშეკრულება) ადგენს იურიდიულად სავალდებულო და შესამოწმებელ შეზღუდვებს მონაწილე სახელმწიფოების ჩვეულებრივი სამხედრო აღჭურვილობის ძირითად კატეგორიებზე. რუსეთი მრავალი წლის განმავლობაში არ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებს. ბოლოს, 2007 წელს შეწყვიტა ეჩშმ-ის ხელშეკრულების განხორციელება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

ნატო კი აცხადებდა მზადყოფნას ჩვეულებრივი იარაღის ეფექტური კონტროლისადმი, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების ძირითადი ელემენტისა, ყველა მოკავშირის უსაფრთხოების გათვალისწინებით, რაც ავსებდა ალიანსის შეკავებისა და თავდაცვის პოზიციას. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ასევე აცხადებდა სრულ მზადყოფნას სამხედრო რისკების შემცირების, კონფლიქტების თავიდან აცილების, ნდობის ჩამოყალიბების, გამჭვირვალობისა და გადამოწმების ხელშეწყობისკენ.

რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკური ამბიციები ცხადია მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს, თუმცა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჯერ 2008 წელს საქართველოში შეჭრა და მისი ტერიტორიების 20 %-ის ოკუპაცია, ხოლო შემდგომში 2014 წლის ყირიმის ანექსია, ერთგვარი წამახალისებელი ფაქტორი შეიქმნა რუსეთის პრეზიდენტისათვის. საერთაშორისო სამართლის დარღვევის გამო, დაუსჯელობა კიდევ ერთი ნიშანი გახლდათ ვლადიმერ პუტინისათვის, რომ ამჯერად დასავლეთისთვისაც მოეწყო გამოცდა, განსაკუთრებით მას ძალის დემონსტრირება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის სურდა.

საკვანძო სიტყვები:
ნატო, საერთაშორისო სამართალი, რუსეთის ფედერაცია, პრეზიდენტი, დასავლეთი.

The Position of the North Atlantic Alliance-NATO at the Initial Stage of the Russia-Ukraine War

Levan Nikoleishvili
Professor of Security Studies Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctor of Political Science

Abstract

This article is devoted to the position of NATO during the war between Russia and Ukraine. As you know, the President of the Russian Federation, Vladimir Putin, cited the expansion of the North Atlantic Alliance and Ukraine's accession to it as one of the reasons for the start of the mentioned war. The Russian leader knew very well that Ukraine's accession to NATO in 2022 was unrealistic, which was repeatedly pointed out to him by various leaders of NATO member states.

At the time, NATO condemned Russia's decision to withdraw from the Treaty on Conventional Armed Forces in Europe (CFE), which is the cornerstone of Europe's security architecture. As you know, the Conventional Armed Forces Treaty (CFET) in Europe establishes legally binding and verifiable limits on the main categories of conventional military equipment of the participating states. For many years, Russia did not fulfill its obligations under the agreement, finally in 2007 it stopped implementing the Treaty without a legal basis. Russia knew very well that an aggressive war first with Georgia and then with Ukraine is against the spirit of the Treaty of Ukraine. The withdrawal from the agreement was one of the stages for freedom of action for him. In addition, Russia's decision to withdraw from the EC Treaty was an action directed against Euro-Atlantic security and protection of the balance on armaments. Russia knew very well that an aggressive war first with Georgia and then with Ukraine is against the spirit of the Treaty of Ukraine. The withdrawal from the agreement was one of the stages for freedom of action for him. In addition, Russia's decision to withdraw from the EC Treaty was an action directed against Euro-Atlantic security and protection of the balance on armaments. And NATO has declared its commitment to effective conventional arms control as a key element of Euro-Atlantic security, taking into account the prevailing security environment and the security of all allies, complementing the Alliance's deterrence and defense posture. The North Atlantic Alliance also declared its full commitment to reducing military risks, avoiding misperceptions and conflicts, building trust and confidence, promoting transparency and verification.

At the time, NATO condemned Russia's decision to withdraw from the Treaty on Conventional Armed Forces in Europe (CFE), which is the cornerstone of Europe's security architecture. As you know, the Conventional Armed Forces Treaty (CFET) in Europe establishes legally binding and verifiable limits on the main categories of conventional military equipment of the participating states. For many years, Russia did not fulfill its obligations under the agreement, finally in 2007 it stopped implementing the Treaty without a legal basis. Russia knew very well that an aggressive war first with Georgia and then with Ukraine is against the spirit of the Treaty of Ukraine. The withdrawal from the agreement was one of the stages for freedom of action for him. In addition, Russia's decision to withdraw from the Treaty was an action directed against Euro-Atlantic security and protection of the balance on armaments. Russia knew very well that an aggressive war first with Georgia and then with Ukraine is against the spirit of the Treaty of Ukraine. The withdrawal from the agreement was one of the stages for freedom of action for him. In addition, Russia's decision to withdraw from the Treaty was an action directed against Euro-Atlantic security and protection of the balance on armaments. And NATO has declared its commitment to effective conventional arms control as a key element of Euro-Atlantic security, taking into account the prevailing security environment and the security of all allies, complementing the Alliance's deterrence and defense posture. The North Atlantic Alliance also declared its full commitment to reducing military risks, avoiding misperceptions and conflicts, building trust and confidence, promoting transparency and verification.

Russia's aggressive foreign political ambitions obviously stem from Russian geopolitics, but let's not forget that the invasion of Georgia in 2008 and the occupation of 20% of its territory, and then the annexation of Crimea in 2014, created a kind of encouraging factor for the Russian president. Due to the violation of international law, the impunity was another sign for Vladimir Putin that this time a test was also organized for the West, especially he wanted to show strength to the North Atlantic Alliance.

Keywords:
NATO, International law, Russian Federation, President, The West.

შესავალი

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრამ მსოფლიოს უსაფრთხოება და სტაბილურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. რუსეთის ფედერაციის ერთპიროვნული ლიდერის გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. პირველ რიგში გავიხსენოთ, რომ ვლადიმერ პუტინის მიერ 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე კრიტიკული გამოსვლაც „ერთპოლუსიანი სამყაროს იდეის“, „აშშ-ის საგარეო პოლიტიკის,“ „აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილო-ატლასნტიკური ალიანსის გაფართოების“ შესახებ უკრიტიკოდ იქნა მოსმენილი. ამ მოხსენებას შესაბამისი ყურადღება ან არ მიექცა ან უბრალოდ პრევენციული ზომები არ იქნა მიღებული. პუტინის აგრესიული ამბიცია, მას შემდეგ, რაც მან „შესძლო“ ჩეჩნური პრობლემის გადაჭრა, უკვე ევროპის ენერგოდამოკიდებულების ხაფანგში გახვევა გახლდათ, რაც მან საკმაოდ წარმატებულად მოახერხა. დღის წესრიგში დადგა შემდეგი საკითხი: არ დაეშვა ნატო-ს შემდგომი გაფართოება აღმოსავლეთით, რასაც იგი ასევე წარმატებით წარმოაჩენდა, როგორც რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საფრთხეს. შესაბამისად, მისი მთავარი ამოცანა უკვე ძალის დემონსტრირება გახდა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ, როგორც მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართულ პომპეზურ სამხედრო აღლუმებზე, ასევე პერიოდულად უცხო ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევით გამოიხატებოდა. პუტინის თავხედობის უფრო მაღალი გამოვლინება ჯერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შემოჭრა იყო, ხოლო შემდგომ 2014 წელს ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია გახლდათ. რუსეთის პრეზიდენტმა ამით თითქოს და ტესტის წინაშე დააყენა ევროპა და შეერთებული შტატები, რომლებიც ამ ფაქტებს ტრადიცული „აღშფოთება-შეშფოთებით“ დაუპირისპირდნენ. დღის წესრიგში რუსეთის მიერ ახალი ავანტურის საკითხი დადგა: გათამამებული იმით,რომ საერთაშორისო სამართლის დარღვევას, რეალურად წინ არაფერი და არავინ უპირსპირდებოდა, რუსეთის ლიდერმა პუტინმა, ამჯერად უკრაიაში შეჭრის გადაწყეტილება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ლიდერები ონლაინ ჩართვებით თუ მასთან პირადი ვიზიტების დროს ლამის ემუდარებოდნენ ეს არ გაეკეთებინა, პუტინმა აღნიშნული გადაწყვეტილება მაინც მიიღო. მანამდე გაითამაშა უშიშროების საბჭოს სხდომაზე სპექტაკლი, რითიც თითქოს და აჩვენა, რომ რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები, არათუ ერთსულოვნად ეთანხმებოდნენ მის გადაწყვეტილებას, არამედ, ლამის სთხოვდნენ კიდეც უკრაინაში შეჭრას (ერთადერთი, ვინც ხმის კანკალით ნახევრად შეეწინააღმდეგა-ფედრეციის საგარეო დაზვერვის უფროსი სერგეი ნარიშკინი გახლდათ, თუმცა მალევე დატუქსულ იქნა თავად ვლადიმერ პუტინის მიერ!).

რა იყო ძირითადი მიზეზი, რამაც რუსეთის ლიდერს უკრაინაში შეჭრა გადააწყვეტინა? ბევრ სხვადასხვა ვერსიებს შორის უფრო რეალურად რამდენიმე მიგვაჩნია:

• ვლადიმერ პუტინს სურდა, რომ მოარული მითი რუსეთის არმიის უძლეველობის შესახებ კიდევ უფრო განემტკიცებინა;

• მან მშვენივრად იცოდა, რომ უკრინა უახლოეს მომავალში ნატო-ს წევრი ვერ გახდებოდა (ამის შესახებ მას საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა და გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა პირადად მოსკოვში ვიზიტის დროს განუცხადეს), მაგრამ მას სურდა არამარტო უკრაინელების თავებიდან განედევნა ევროატლანტიკური აზრები, არამედ ამით სხვებიც დაეშინებინა;

• რუსეთის იმიჯს და სიძლიერეს კიდევ ერთხელ დაინახავდა მსოფლიო, თან ყველას აშშ-სა და ნატოს სისუსტეში დაარწმუნებდა;

• მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო სანქციებს ელოდა რუსეთის წინააღმდეგ, პუტინს არ სჯეროდა, რომ ომი დიდხანს გასტანდა. შესაბამისად, ,,გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“ პრინციპით, ამ სანქციებს ყველა დაივიწყებდა.

საინტერესოა, რომ ომის საწყის ეტაპზევე, წინ წამოიწია რეალური აქტორების თემამ; სახელმწიფოებმა და მათმა ლიდერებმა უპირობოდ დაუჭირეს მხარი უკრაინას, ზოგიც მერყეობდა, თუმცა ყველაზე საინტერესოდ კი მაინც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გამოჩნდა.

ჰიპოთეზა: რუსეთ-უკრაინის ომის დროს, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა-ნატომ, პირველ ყოვლისა, შეასრულა მასზე დაკისრებული მთავრი ფუნქცია- ალიანსის საზღვრები და უსაფრთხოება დაცულია.

ძირითადი ნაწილი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოზიცია

რუსეთ-უკრაინის ომზე საუბრისას, ცხადია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის-NATO-ს პოზიციას გვერდს ვერ ავუვლით. ომამდე რუსეთის ერთ-ერთი „პრეტენზია“ უკრაინის მიმართ, სწორედ NATO-ში გაწევრიანების საკითხი გახლდათ, მიზეზი კი მის საზღვრებთან ალიანსის მოახლობის საფრთხე იყო. სამწუხაროდ, რუსეთის ეს ერთ-ერთი მოთხოვნილება უკრაინასთან მიმართებაში, დაკმაყოფილებასთან ძალიან ახლოსაა. თუმცა, მთავარი მაინც ის ფაქტორი აღმოჩნდა, რომ NATO-მ შეძლო და შეინარჩუნა თავისი წევრი-სახელმწიფოების უსაფრთხოება, რომლის გარანტორიც სწორედ მე-5-ე მუხლია-„ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეია-

რაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად."[1] აღნიშნული მუხლი ალიანსის წევრი-სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და თავდაცვას გულისხმობს. ამ შემთხვევაში, რაც არ უნდა ახლოს იყვნენ არაწევრი სახელმწიფოები ალიანსსთან-ზედმეტი ილუზიები არ უნდა გაუჩნდეთ. თუმცა, რუსეთ-უკრაინის ომმა აშკარად დაგვანახა, რომ სამხედრო - პოლიტიკურმა ალიანსმა, არა მარტო თავისი ტერიტორიისა და თავდაცვის შენარჩუნება შესძლო, არამედ საკმაოდ სერიოზული და ქმედითი დახმარება გაუწია უკრაინას.

აუცილებლობა მოითხოვს, რომ NATO-სთან მიმართებაში კიდევ სხვა მნიშვნელოვანი დეტალიც გამოვყოთ; მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის ანუ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის არ მიცემამ (რასაც თავისი როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები გააჩნდა) რუსეთის ხელმძღვანელობა საკმაოდ გაათამამა და მან ახალი პრეტენზიები წაუყენა დასავლეთს, დღევენდელი შეცვლილი ვითარებიდან გამომდინარე, NATO-ში გაწევრიანების მსურველი ახალი ქვეყნები ვიხილეთ. მაგალითად, ფინეთი უკვე ალიანსის წევრია, რაც აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა ამ ქვეყანას სწორედ რუსეთის შესაძლო აგრესიისგან პრევენციამ და მისგან უფრო საფუძვლიანმა თავდაცვამ გადააწყვეტინა. ხოლო რაც შეეხება შვედეთს, თუკი ის შეძლებს თურქეთის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ისიც ნატოს სრულფასოვანი წევრი გახდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერსო განცხადება გააკეთა რუსეთის ლიდერმა პუტინმა: „რუსეთს არ ემუქრება საფრთხე, თუ შვედეთი და ფინეთი გაწევრიანდებიან ნატოში, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ მოსკოვი სათანადოდ უპასუხებს, თუ აშშ-ს ხელმძღვანელობით ალიანსი გააძლიერებს სამხედრო ინფრასტრუქტურას ახალ სკანდინავიურ წევრებში."[2] სხვათაშორის თუ ეს ასე მოხდა, კიდევ ერთი ლოგიკური მტკიცებულება იქნება იმისა, რომ ევროკავშირს თავისი ტერიტორიის თავდაცვის უზრუნველყოფა რეალურად არ შეუძლია. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომელთა უმეტესობა NATO-ს წევრიცაა, ნამდვილად არა აქვთ სურვილი ორი სამხედრო ბიუჯეტი და ორმაგი სამხედრო დანახარჯი ჰქონდეთ. ასევე კარგად ესმით, რომ თუ მათი სამხედრო ამბიციები აშშ-ს სამხედრო პოტენციალის მხრიდან არ იქნება უზრუნველყოფილი და მხარდაჭერილი, რეალურ უსაფრთხოებაზე და თავდაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომაც, NATO კვლავ რჩება თავდაცვის და უსაფრთხოების მთავარ გარანტორად ალიანსის ევროპულ ტერიტორიაზე. ერთადერთ საფრთხედ ცხადია ისევ რუსეთი რჩება, თავისი ბირთვული პოტენციალით. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპულ ტერიტორიაზე განლაგებულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამი წევრი ქვეყნის ბირთვული შეიარაღებაც. იმედია საქმე ასეთ დაპირისპირებამდე არ მივა, თუმცა პასუხიც ადეკვატურია იქნება, შედეგები კი კატასტროფასთან (ყველა სახის!) ძალიან მიახლოებული. უკრაინა-რუსეთის ომში, NATO-ს საკმაოდ მკაცრი პოზიცია უჭირავს და არ აპირებს რუსეთთან რაიმე სახის დათმობაზე წასვლას, თუ რა თქმა უნდა მისი ლიდერი სახელმწიფოების პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნებაც მტკიცედ იქნება შენარჩუნებული.

დასკვნა

მითი იმის შესახებ, რომ რუსული არმია უძლეველია, შეიძლება ითქვას, რომ განადგურდა - რუსეთი ხარჯავს თავის საუკეთესო ძალებს და რესურსებს უკრაინაში წარმატების მისაღწევად. პუტინმა ვერ მიაღწია თავდაპირველ ამოცანებს, ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ომი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. სამწუხაროდ, პუტინი კვლავ ინარჩუნებს ყირიმს და იბრძვის დონეცკის და ლუგანსკის „ლეგიტიმაციისთვის".

რუსეთის ლიდერებს აუცილებლად მოუწევთ გადახედონ საშინაო პოლიტიკას, კერძოდ კი საკადრო პოლიტიკას-პუტინს მოუწევს მთელი რიგი ცვლილებების შეტანა ამ მიმართულებით. რაც არ უნდა ლამაზად იყოს შეფუთული ომის შემდგომი შედეგები, ფაქტია, რომ ეს უზარმაზარი ხარჯები როგორც დაზვერვაზე, ასევე სამხედროებზე არ არის გამართლებული.

დროის საკითხია, რომ როგორც კი რუსეთში პუტინის ძალაუფლება ოდნავ შესუსტდება და დასავლეთი აუცილებლად მიიღებს ამით სარგებელს, რუსეთს მოუწევს უკრაინიდან ჯარების გაყვანა, ისევე როგორც გერმანიიდან და ავღანეთიდან.

ევროპაში მასობრივი განადგურების იარაღის სამი ტიპია განთავსებული: ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური. ნატომ შეძლო და ღიად კონფლიქტში არ ჩაერთო. მისი ალიანსის საზღვრები ხელშეუხებელია, რუსეთმა ეს იცის და წევრმა ქვეყნებმაც იციან, მათ აქვთ ძალიან სერიოზული თავდაცვითი და უსაფრთხოების ფარი: მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი ერთადერთი იარაღია ბირთვული იარაღი, ჯერჯერობით რუსეთი მხოლოდ მისი შესაძლო გამოყენებით ემუქრება. ასევე, ნატოს სამ წევრ სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) გააჩნია ბირთვული იარაღი ალიანსის ტერიტორიაზე. როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, "ატომური იარაღის ნებისმიერი გამოყენება აბსოლუტურად მიუღებელია, ის მთლიანად შეცვლის კონფლიქტის ხასიათს და რუსეთმა

1 https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

2 https://www.reuters.com/world/europe/russia-calls-finland-sweden-joining-nato-mistake-with-far-reaching-consequences-2022-05-16/

უნდა იცოდეს, რომ ბირთვული ომი არ შეიძლება მოიგოს და არ უნდა იბრძოლოს".[3] ამ და სხვა მრავალი ფაქტორის გამო, რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს გადახედოს თავის საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებით ჩრდილოატლანტიკურ ალიასთან-ნატოსთან დაკავშირებით.

გვერდს ვერ ავუვლით ვილნიუსის ნატოს სამიტს, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება რაც გაკეთდა გახლდათ ის, რომ მოკავშირეები შეთანხმდნენ ნატოს ყველაზე დეტალურ და მტკიცე თავდაცვის გეგმებზე ცივი ომის შემდეგ. ფაქტობრივად მოხდა ძველი გეგმის ადაპტაცია, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ რუსეთი არ იყო პოტენციური მოწინააღმდეგე, ამ სამიტზე ამას ხაზი გაუსვეს, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ნატო კვლავ გამოთქვამს მზადყოფნას წარმართოს პრაგმატული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში. გაიჟღერა ფრაზამ, რომ სამიტზე მოხდა შეთანხმება უკრაინის ნატოსთან უფრო მეტად დაახლოების შესახებ. სამიტზე მოკავშირეებმა ასევე დაადასტურეს, რომ უკრაინა გახდება ნატოს წევრი და შეთანხმდნენ გააუქმონ წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების მოთხოვნა. „ეს შეცვლის უკრაინის წევრობის გზას ორსაფეხურიანი პროცესიდან ერთსაფეხურიან პროცესამდე", - თქვა სტოლტენბერგმა. „ჩვენ გამოვუგზავნით უკრაინას ნატოში გაწევრიანების მოწვევას, როდესაც მოკავშირეები შეთანხმდებიან, რომ პირობები შესრულდება". მან დასძინა, რომ უკრაინა ახლა ,,ნატოსთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ოდესმე." გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოკავშირეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როდესაც ეს ომი დასრულდება, შეიქმნება სანდო ღონისძიებები უკრაინის უსაფრთხოებისთვის. ნიშნავს თუ არა ეს რეალურად უკრაინის ნატოში გაწევრიანების ვადას, ცხადია არა. ნიშნავს თუ არა უკრაინისთვის დახმარების გაზრდას, დიახ ნიშნავს, მაგრამ რამდენად დაკმაყოფილდა ამით უკრაინის პოლიტიკური ისტებლიშმენტის, კერძოდ კი პრეზიდენტ ზელენსკის თვითდაჯერებული ამბიციები- ეს უკვე სხვა საკითხია.

რა მიიღო საქართველომ ამ სამიტიდან- იგივე რაც მანამდე ჰქონდა, ნატოს კარი ჩვენთვის ისევ ღიაა, მაგრამ იქ შესასვლელად დასავლეთის მტკიცე პოლიტიკური ნება კვლავ არ ჩანს. ნატოს ვილნიუსის სამიტმა დაგვანახა, რომ ნატოს თავდაცვით გეგმებში მაინცდამაინც აქტიური როლი არ გვაქვს. რით არის ეს გამოწვეული-ისევ რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკით, თუ ნატოს ჯერ ბოლომდე არ გაუაზრებია საქართველოს სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ნატოს შემდეგი სამიტი 2024 წელს ვაშინგტონში გაიმართება, ალიანსის დაარსებიდან სამოცდათხუთმეტი წლის აღსანიშნავად, დაველოდოთ-მომავალი სამიტი მხოლოდ საიუბილეო თარიღით იქნება, თუ სხვა პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგმება, რომლითაც „ვაშინგტონი-2024"თავს დაგვამახსოვრებს.

რეკომენდაციები:

- რუსული ბირთვული საფრთხე ყოველთვის იარსებებს მანამ, სანამ რუსეთი არ მოხვდება მკაცრად კონტროლირებადი საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში;

- ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ გარკვეულ ქვეყნებში დასავლეთის მხრიდან ფსევდოლიბერალური და ფსევდოდემოკრატიული მოძრაობების მხარდაჭერა, ცალკეული სუბიექტების (ქვეყნების) საშინაო საქმეებში არცთუ იშვიათად ჩარევა და ამავე დროს ეროვნულ ინტერესებზე, ტრადიციებზე, კულტურულ ღირებულებებზე ზეწოლა აძლიერებს რევანშისტურ ძალებს ამ ქვეყნებში და საბოლოოდ აყალიბებს ანტიდასავლურ განწყობებს მოსახლეობის დიდ ნაწილში, რითაც შეიძლება რუსეთმა ისარგებლოს და რომელიც მომავალში ევროატლანტიკური ინტეგრაციის სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად მოგვევლინება;

- დასავლეთმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ასპირანტ ქვეყნებს. რაც უფრო მალე გათავისუფლდებიან ისინი რუსეთზე გარკვეული სახის დამოკიდებულებისაგან, მით უფრო ადვილი იქნება მომავალში მათი გაწევრიანება;

- უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემების გაძლიერებისა და დაფინანსების მიმართულებით.

3 https://www.reuters.com/world/europe/nato-warns-russia-severe-consequences-case-nuclear-strike-2022-09-27/

გამოყენებული ლიტერატურა

https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm?selectedLocale=ka

https://www.reuters.com/world/europe/russia-calls-finland-sweden-joining-nato-mistake-with-far-reaching-consequences-2022-05-16/

https://www.reuters.com/world/europe/nato-warns-russia-severe-consequences-case-nuclear-strike-2022-09-27/

Baker, Peter (9 January 2022). "In Ukraine Conflict, Putin Relies on a Promise That Ultimately Wasn't". The New York Times. ISSN 0362-4331. იანვარი, 2022 წელი.

Bevan, Scott (5 April 2008). "Ukraine-Georgia NATO membership a 'direct threat to Russia'". ABC News.

Brian Michael Jenkins , "Consequences of the War in Ukraine: NATO's Future"-2023 მარტი-https://www.rand.org/blog/2023/03/consequences-of-the-war-in-ukraine-natos-future.html

Hall, Gavin E. L. (14 February 2022). "Ukraine: the history behind Russia's claim that Nato promised not to expand to the east". The Conversation. მარტი, 2022 წელი.

Lister, Tim; Kesa, Julia (24 February 2022). "Ukraine says it was attacked through Russian, Belarus and Crimea borders". Kyiv: CNN. Archived from the original on 24 February 2022.
თებერვალი, 2022 წელი.

Wiegrefe, Klaus (15 February 2022). "NATO's Eastward Expansion: Is Vladimir Putin Right?". Der Spiegel. ISSN 2195-1349. Archived from the original on 15 February 2022. მარტი, 2022 წელი.

ინფორმაციული ომის მნიშვნელობა დასავლეთში

ნათელა ხაჩიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის
პროფესორ-ასისტენტი,
საერთაშორისო ურთიერთობების
აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

კაცობრიობის ჩამოყალიბებისთანავე, ადამიანს გაუჩნდა წინსვლისა და უკეთესი ტექნოლოგიური განვითარების წყურვილი. სწორედ ამ წყურვილმა ჩაუყარა საფუძველი კაცობრიობის შემდგომ განვითარებას. პროგრესისაკენ გადადგმულ ყველა ნაბიჯს შორის, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია ინტერნეტის განვითარება, რომელმაც ჩამოაყალიბა ადამიანების საერთო ენა და შექმნა კომპიუტერების გლობალური ქსელი. დღევანდელი სოციალური სინამდვილე წარმოუდგენელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე. მრავალი რევოლუციური ტექნოლოგიის მსგავსად, კომპიუტერული ტექნოლოგიებიც თავის თავში უზარმაზარ პოტენციალს ატარებს, როგორც პროგრესისათვის, ისე ბოროტად გამოყენებისათვის. ელექტრონული საშუალებების განვითარებამ დანაშაულის ჩადენის ახალი შესაძლებლობები გააჩინა, დანაშაულის კვალმა ჩვეულებრივ, რეალურ სივრცესთან ერთად ვირტუალურ სივრცეშიც შეაღწია და გაზარდა საკუთარი მასშტაბები. ქსელური ინფორმაციის ხელყოფა, კომპიუტერული თაღლითობა, მეკობრეობა, საბოტაჟი, ელექტრონული ჯაშუშობა, პორნოგრაფიის გავრცელება- ჩვენი სოციალური სინამდვილის ყოველდღიურ პრობლემებად იქცა.

კიბერდანაშაული თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გამოწვევაა. მას ხშირად XXI საუკუნის კრიმინალურ ფორმასაც უწოდებენ. მაშინ, როდესაც საზოგადოება უფრო და უფრო იყენებს თანამდეროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ხოლო სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მეტ მომსახურებას აწვდის მოქალაქეებს ელექტრონულად, კიბერდანაშაულის საფრთხე ქვეყანაში დღითიდღე იზრდება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კომპიუტერული დანაშაულები თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ პირველხარისხოვან პრობლემად იქცა. დანაშაულის ამ სახეობიდან მიღებულმა თანხებმა კი ნარკოტიკების - მარიხუანის, კოკაინის, ჰეროინის და იარაღით ვაჭრობის გლობალურ შავი ბაზრების შემოსავლებს გადააჭარბა.

გამოკვლევები უჩვენებს, რომ შედეგიანობის მიხედვით ინფორმაციულ ომში ინფორმაციული იარაღი მასობრივი განადგურების იარაღის ტოლფასია. მისი მოქმედების სპექტრი ვრცელდება ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებიდან კომპიუტერულ ქსელში ვირუსების შეყვანასა და ინფორმაციის განადგურებამდე. ინფორმაციული იარაღი აზიანებს ადამიანის ცნობიერებას, არღვევს პიროვნების იდენტიფიკაციის გზებს და ფორმებს, გარდაქმნის ინდივიდის მეხსიერების მატრიცას, აყალიბებს რა პიროვნებას წინასწარ მოცემული პარამეტრებით (ცნობიერების ტიპი, ხელოვნური მოთხოვნილებები, თვითგამორკვევის გზები და ა. შ.), რომლებიც აკმაყოფილებს აგრესორის მოთხოვნებს; მწყობრიდან გამოჰყავს სახელმწიფოს და შეიარაღებული ძალების მართვის სისტემები. მისი მიზანია მოწინააღმდეგის ცოდნასა და წარმოდგენებზე ზემოქმედება, ამასთან ცოდნაში იგულისხმება საყოველთაო ობიექტური ინფორმაცია, ხოლო წარმოდგენებში – სუბიექტური, ინდივიდუალური ხასიათის ინფორმაცია.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიების განვითარების დონე საკმაოდ მაღალია, რამაც წაშალა ინფორმაციული საზღვრები ქვეყნებს შორის. სწორად გამოყენებული ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელია მოწინააღმდეგის დამარცხება. დღესდღეობით ეს განიხილება, როგორც საინფორმაციო ომი. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს ტაქტიკური ინფორმაციის მოპოვებას, მიღებული ინფორმაციის ვალიდურობის დადასტურებას, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას - მოწინააღმდეგისა და საზოგადოების დემორალიზებისთვის ან მანიპულაციისთვის, ასევე, ხელის შეშლას მოწინააღმდეგისთვის, მოიპოვოს სარწმუნო ინფორმაცია. ინფრმაციული ომის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამანადგურებელი სიძლიერე იმდენად დიდია, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება არა მხოლოდ დამარცხებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ მისი ხალხის, როგორც ნაციონალური ერთობის, თვით არსებობის ფაქტიც კი.

საკვანძო სიტყვები:
ინფორმაციული ომი, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, ინფორმაციული უსაფრთხოება, მედიაიმპერია.

The Importance of Information Warfare in the West

Natela Khachidze
Assistant Professor of the Faculty of
Law and International Relations
of Georgian Technical University,
Doctor of International Relations

Abstract

Since the formation of mankind, man has had a thirst for advancement and better technological development. It was this thirst that laid the foundation for the further development of humanity. Among all the steps taken towards progress, perhaps the most important is the development of the Internet, which formed the common language of people and created a global network of computers. Today's social reality is unthinkable without information technology. Like many revolutionary technologies, computer technology carries enormous potential for both advancement and abuse. The development of electronic means has created new opportunities for committing crimes, traces of crime have penetrated into the virtual space as well as the real space and increased their scale - network information tampering, computer fraud, piracy, sabotage, electronic espionage, the spread of pornography and have become a daily problem of our social reality.

Cybercrime is one of the challenges of the modern world. It is often called the criminal form of the XXI century. While society is increasingly using modern information technologies, the state keeps providing more and more services to citizens electronically, the threat of cybercrime in the country is increasing day by day.

In recent years, computer crimes have become one of the major problems of the modern world. The money received from this type of crime exceeded the income of the global black markets for drugs - marijuana, cocaine, heroin and weapons.

Computer crime poses the greatest threat to the financial sector. According to the Secretary General of the United Nations, criminal groups illegally appropriate millions of funds using new technological means, "revive" huge funds obtained through crime, evade taxes, conduct complex measures to prepare, commit and disguise various crimes.

Studies show that in terms of effectiveness, information weapons in information warfare are equal to weapons of mass destruction. Its range of activities extends from harming people's mental health to introducing viruses into computer networks and destroying information. Information weapons damage: human consciousness; violates the ways and forms of personal identification; transforms the individual's memory matrix; forms a personality with predetermined parameters (type of consciousness, artificial needs, ways of self-determination, etc.) that meet the demands of the aggressor; Disrupts the management systems of the state and armed forces. Its purpose is to affect the opponent's knowledge and ideas, while knowledge means universal objective information, and ideas - subjective, individual information.

The relevance of the topic determines the goals and objectives of the research. In the conditions of modern globalization, the level of technology development is quite high, which has erased the informational borders between countries. It is possible to defeat the opponent with the help of correctly used information. Nowadays it is considered as information warfare. Information warfare may involve obtaining tactical information, validating the information received, spreading disinformation and propaganda to demoralize or manipulate the adversary and the public, as well as preventing the adversary from obtaining reliable information. The destructive power of the informational-psychological impact of the informational war is so great that not only the independence of the defeated state, but even the very existence of its people as a national unity is called into question.

Keywords:
Information war, Information-psychological, Information-technological, Information security, Media empire.

შესავალი

დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონემ მთლიანად წაშალა ინფორმაციულ სივრცეში სახელმწიფოებს შორის საზღვრები და ინფორმაციული ომის სახით შექმნა უპრეცედენტო შესაძლებლობები მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, ტრადიციული საშუალებების გამოყენების გარეშე. ინფორმაციული ომის საინფორმაციო–ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამანადგურებელი სიძლიერე თანამედროვე პირობებში იმდენად დიდია, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება არა მარტო დამარცხებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ მისი ხალხის, როგორც ნაციონალური ერთობის, თვით არსებობის ფაქტიც კი.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე გაგებით, ტერმინი „ინფორმაციული ომი“ პირველმა გამოიყენა უნგრული წარმოშობის ამერიკელმა ექსპერტმა **თომას რონამ** (Thomas P. Rona, 1923-1997) კომპანია “ბოინგისათვის” 1976 წელს გაკეთებულ ანგარიშში “იარაღის სისტემები და ინფორმაციული ომი”. არსებითად, მისმა ამ ნაშრომმა მთელი ორი ათეული წლით გაუსწრო თანამედროვეობას. მას შემდეგ, უამრავი ადამიანი შეეცადა განესაზღვრა ეს ტერმინი, მრავალი ტომი მიეძღვნა ინფორმაციული ომების თემას, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს ამ ტერმინის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება. არა მარტო მკვლევრები და პრაქტიკოსები, არამედ უწყებებიც კი ხშირად, არა მარტო ტერმინს, არამედ მთლიანად ამ სფეროს სხვადასხვანაირად განმარტავენ და სხვადასხვა სახელებითაც კი მოიხსენიებენ. ფაქტია, რომ ინფორმაციული ომების პრობლემების კვლევისადმი არ არის ჩამოყალიბებული ერთნაირი აკადემიური მიდგომა.

ინფორმაციული ომის თეორიას (პრაქტიკასაც) საფუძვლად დაედო სწორედ **თომას რონას** მიერ გასული საუკუნის 70–იან წლებში წამოწეული საკითხები. ინფორმაციული სივრცის განვითარების ტენდენციებმა, **თომას რონას** ანგარიშის დაწერიდან 20 წლის შემდეგ, მოითხოვეს კვლავ დაბრუნებოდნენ ინფორმაციული ომის პრობლემატიკას.

სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენ დროში, ტერმინი „ინფორმაციული ომი“ გამოყენებული იქნა მე–20 საუკუნის 80–იანი წლების შუა ხანებში, რაც დაკავშირებული იყო პერიოდთან, როდესაც „ცივი“ ომის დამთავრების შემდეგ აშშ–ს შეიარაღებული ძალების წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები და ამერიკელმა სამხედრო თეორეტიკოსებმა გააქტიურეს კვლევები ამ მიმართულებით. 1991 წელს ერაყში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია „ქარიშხალი უდაბნოში“ იქცა ამ ტერმინის აქტიურად გამოყენების ერთგვარ კატალიზატორად.

ზოგადი განსაზღვრებით, ინფორმაციული ომი, ესაა ყოვლისმომცველი ერთიანი სტრატეგია, რასაც განაპირობებს სარდლობის, მართვის და პოლიტიკის საკითხებში ინფორმაციის მნიშვნელობისა და ღირებულების განუზომელი ზრდა. ამ განსაზღვრებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთის ინფორმაციული ომების მოქმედების ველი საკმაოდ ფართოა და მოიცავს შემდეგ მხარეებს:

1. სახელმწიფოს ცხოვრების უზრუნველმყოფი სისტემების ინფრასტრუქტურა – ტელეკომუნიკაციები, სატრანსპორტო ქსელი, ელექტროსადგურები, საბანკო სისტემები და სხვ.
2. სამრეწველო შპიონაჟი – დაპატენტებული ინფორმაციის მიტაცება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემების დამახინჯება ან განადგურება, კონკურენტების შესახებ სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეკრება და სხვ.
3. დეზინფორმაციის წარმოების, VIP–პერსონების პირადი პაროლების, საიდენტიფიკაციო ნომრების, საბანკო ანგარიშების, კონფიდეციალური ხასიათის მონაცემების გატეხვა და გამოყენება.
4. სამხედრო ობიექტებისა და სისტემების მეთაურობისა და მმართველობის პროცესში ელექტრონული ჩარევა, „საშტაბო“ ომი, ქსელური სამხედრო კომუნიკაციების მწყობრიდან გამოყვანა.
5. მსოფლიო კომპიუტერული ქსელი- ინტერნეტი, რომელშიც მოქმედებენ კომპიუტერული სისტემები და 95% კავშირგაბმულობის სამხედრო ხაზები, გადის ღია სატელეფონო ხაზებზე.

ამრიგად, ინფორმაციული ომი, ეს კონფლიქტის ისეთი ფორმაა, რომელშიც ხდება პირდაპირი შეტევები ინფორმაციულ სისტემებზე მოწინააღმდეგის ცოდნაზე ზემოქმედებისათვის.

ინფორმაციული ომის საშიშროებაში იგულისხმება გარკვეული ძალების განზრახვა ისარგებლონ კომპიუტერებში, უკიდეგანო კიბერსივრცეში დამალული განუსაზღვრელი შესაძლებლობებით, რათა აწარმოონ „უკონტაქტო“ ომი, რომელშიაც მსხვერპლის რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი.[1]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული ომი არის სოციუმის სუბიექტებს შორის ურთიერთდაპირისპირების პროცესში სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა სისტემების ერთმანეთზე ღია ან ფარული, მიზანმიმართული ინფორმაციული ზემოქმედება სამხედრო, მატერიალურ, პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ სფეროებში გარკვეული უპირატესობის მოსაპოვებლად.

როდესაც ინფორმაციულ ომზეა საუბარი, უნდა განვასხვავოთ მისი ორი სახე: ერთი, ესაა საინფორმაციო-ტექნიკური ომი და მეორე – საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი.

საინფორმაციო-ტექნიკური ომის დროს ზემოქმედებისა და დაცვის უმთავრესი ობიექტებია საინ-

1 ვლადიმერ სვანიძე. „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“. 2015, გვ. 109-117

ფორმაციო-ტექნიკური სისტემები, (კავშირგაბმულობის, ტელესაკომუნიკაციო, რადიოელექტრონული საშუალებების და სხვ.), რომელთა განადგურებაც ხდება საპროგრამო–მათემატიკური საშუალებების დახმარებით (ვირუსების, სპეციალური ჩაშენებების, დაბრკოლებების და სხვ.).

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის დროს ასეთი ობიექტია მოწინააღმდეგე მხარეთა შეიარაღებული ძალების, სპეცსამსახურების პირადი შემადგენლობისა და მოსახლეობის ფსიქიკა. აქ იარაღად გვევლინებიან ადამიანების აზრზე, გრძნობებზე, გუნება–განწყობაზე ზემოქმედების ტრადიციული მეთოდები (დეზინფორმაცია, პრობლემის დადებითი მხარის ხაზგასმა, ტყუილ–მართალი ინფორმაციის მონაცვლეობა და სხვ.).[2]

ფსიქოლოგიურ ომში დასავლეთი მოიაზრებს პროპაგანდის და სხვა ფსიქოლოგიურ საშუალებათა გამოყენებას, რათა მოხდეს, როგორც მტრის, ასევე მეგობრების მორალზე, ემოციებზე, შეხედულებებსა და ქცევებზე ზეგავლენა. ფსიქოლოგიური ომში შესაძლებელია მოხდეს შეხედულებების და ქცევების შეცვლა ან მათი გამყარება იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ხელსაყრელი; მსგავსი ქმედებები ზოგჯერ კომბინირებულია ყალბი დროშის ტაქტიკასთან (ტაქტიკა, რომელიც მალავს მის ვინაობას და თავს წარმოაჩენს, თითქოს ის სხვაა). ფსიქოლოგიური ომის სამიზნეები არიან: მთავრობები, ორგანიზაციები, ჯგუფები, ცალკეული ინდივიდები ან ერთდროულად რამოდენიმე ან ყველა მათგანი.

გამოკვლევები უჩვენებს, რომ შედეგიანობის მიხედვით, ინფორმაციულ ომში ინფორმაციული იარაღი მასობრივი განადგურების იარაღის ტოლფასია. მისი მოქმედების სპექტრი ვრცელდება ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებიდან, კომპიუტერულ ქსელში ვირუსების შეყვანასა და ინფორმაციის განადგურებამდე. ინფორმაციული იარაღი აზიანებს ადამიანის ცნობიერებას, არღვევს პიროვნების იდენტიფიკაციის გზებს და ფორმებს, გარდაქმნის ინდივიდის მეხსიერების მატრიცას, აყალიბებს პიროვნებას წინასწარ მოცემული პარამეტრებით (ცნობიერების ტიპი, ხელოვნური მოთხოვნილებები, თვითგამორკვევის გზები და ა. შ.), რომლებიც აკმაყოფილებენ აგრესორის მოთხოვნებს, მწყობრიდან გამოჰყავთ სახელმწიფოს და შეიარაღებული ძალების მართვის სისტემები. მისი მიზანია, მოწინააღმდეგის ცოდნასა და წარმოდგენებზე ზემოქმედება, ამასთან ცოდნაში იგულისხმება საყოველთაო ობიექტური ინფორმაცია, ხოლო წარმოდგენებში – სუბიექტური, ინდივიდუალური ხასიათის ინფორმაცია.

ნახ. 1. სფეროები სადაც ვლინდება ინფორმაციული იარაღით მიყენებული ზიანი

ინფორმაციული იარაღით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება აისახება სხვადასხვა გარემოში, ესენია: სოციალური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ბიოლოგიური, ტექნოგენური, ეკონომიკური და უშუალოდ, საკუთრივ ინფორმაციულიც, რამდენადაც სახელმწიფოც, საზოგადოებაც და ადამიანიც ვლინდება ამ სფეროში (ნახ. 1).

დასავლეთი ინფორმაციულ იარაღად მიიჩნევს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების კომპლექსურ ტექნოლოგიებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია იმისათვის, რომ დააზიანოს ადამიანის ცენტრალური ნერვიული სისტემა, რაც მიიღწევა ადამიანის "უმაღლესი ნერვიული მოქმედების" მართვის შედეგად. ალბათ ყველაზე უკეთ ეს განსაზღვრება ასახავს ინფორმაციული იარაღის ნამდვილ შინაარსს. ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს და ანვითარებს ინფორმაციული უშიშროების ცნობილი მკვლევარი **ა. მანოილო**.[3]

ცხადია, რომ ასეთი განსაზღვრება აჩენს კითხვებს, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს: რატომ უნდა მივიჩნოთ ინფორმაციულ იარაღად ტექნოლოგიები და არა თვითონ ინფორმაცია? სპეციალურად შერჩეული, გაფილტრული, გამრუდებული, დამახინჯებული, ზემოქმედების ობიექტის მადეზორიენტირებელი ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია წააქეზოს ადამიანი სპონტანური, არამოტივირებული, აგრესიული,

2 ჰენრი კუპრაშვილი. ინფორმაციული იარაღის თავისებურებების ზოგიეთი ასპექტი, "საისტორიო ვერტიკალები". 2015 წ. #31 , გვ. 54

3 ალექსანდრე მანოილი,"ინფორმაციული ომი და ფერადი რევოლუციები"., 2022, გვ. 496

ასოციალური საქციელისკენ, გავლენა იქონიოს პიროვნული გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე?

იმისათვის, რათა ინფორმაცია გახდეს ფსიქიკაზე ზეგავლენის ობიექტი, აუცილებელია პიროვნების ფსიქიკის დამუშავება იმგვარად, რომ მოიხსნას ყველა (ან ძირითადი მაინც) ის ბარიერი, რომლებიც იცავენ ადამიანის "ნერვიულ მოქმედებას" აგრესიული გარე ფაქტორების ზეგავლენისაგან. მაგალითად: მდორედ, შეუმჩნევლად და თანდათანობით უნდა გადაიყვანოს იგი ამ ბარიერ შეცვლილ ან დამცველი მექანიზმების გარდაქმნის ზღვარზე მყოფ მდგომარეობაში. პიროვნებისათვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მართავ მის „უმაღლეს ნერვიულ მოქმედებას", უპირველეს ყოვლისა, ცნობიერებას. მაგალითად:

- აშშ-ის ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს გამოყენებულ იქნა ინფორმაციული იარაღის ერთ-ერთი სახეობა, იარაღი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური და მასობრივი ცნობიერების კორექტირებას. ბევრისთვის ცნობილია ფაქტი (ატიპიური) პნევმონიისა და მასთან დაკავშირებული სასიკვდილო საფრთხეების შესახებ. ძნელი არაა იმის დადგენა, რომ ატიპიური პნევმონიის ეპიდემია დაიწყო იმ მომენტში, როდესაც ერაყში სამხედრო ოპერაციის მსვლელობით საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილებამ (აშშ-ში, აგრეთვე ამ კონფლიქტში ჩართულ ევროპის ქვეყნებში) მიაღწია თავის მაქსიმუმს. ამ დროს გამოყენებულ იქნა ინფორმაციული იარაღი, რომლის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედება მიმართული იყო თითოეული, ცალკეული პიროვნებისკენ და მიღწეულ იქნა მიზანიც: მოქალაქეებს ძალიან სწრაფად დაავიწყათ შორეულ ერაყში მიმდინარე ამბები. მასმედიით დატრიალებულმა ინფორმაციამ ეფექტურად იმუშავა ადამიანების ფსიქიკაზე: „ხედავ? მზესავით ნათელია, რომ ატიპიური პნევმონიის ვირუსი სასიკვდილოა, თანაც ვაქცინაც რომ არ არსებობს!" ამ დროს, სიკვდილის ყველას ეშინია და სიცოცხლე ყველას ძალიან უნდა. როგორც კი ერაყში ამერიკელების საქმე გარკვეულწილად კვლავ მოწესრიგდა, ატიპიური პნევმონიის ეპიდემია მომენტალურად სადღაც გაქრა.
- ინფორმაციული იარაღის სახესხვაობას დასავლეთი მიაკუთვნებს შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში გამოყენებული ნეიროლინგვისტურ ტექნოლოგიებს, რომელთა მიზანია აიძულოს მოწინააღმდეგე, მოკავშირე ან კონკურენტი გახდეს ზემოქმედების წყაროს ნების შემსრულებელი. შეიძლება აქ ვინმეს დაებადოს კითხვა და თქვას: ნეიროლინგვისტური ტექნოლოგიები, ნებისმიერ დისკუსიის პროცესში, მხოლოდ და მხოლოდ ოპონენტების დარწმუნების ეფექტური მეთოდია, რომელიც იძლევა საშუალებას უკეთ გაუგოს მოსაუბრეს, სწრაფად შეისწავლოს იგი (მის შესახებ დოსიეს მოპოვების გარეშე), ამავე დროს, სწრაფად გაარკვიოს რა უნდა მას. ტერმინი „პროგრამირება" სრულებითაც არ არის შემთხვევით წამოცდენილი სიტყვა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტექნოლოგიის მოცემული კატეგორიის პირობით დასახელებაში.
- ინფორმაციული იარაღის სახესხვაობას მიეკუთვნება აგრეთვე, ბრბოს შექმნისა და მართვის ტექნოლოგიებიც, რომლებიც ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ ბრძოლაში „სახალხო აღშფოთების დემონსტრირების", ასევე, ექსტრემიზმის (მაგალითად, დარბევების) ტალღების გადავლის ინიცირების, საზოგადოებაში დაძაბულობის გაძლიერებისა და სხვა მიზნით.



ნახ. 2. ადამიანის პასუხისმგებლობის დონეების იერარქია და მათი ინფორმაციული ზემოქმედებითი სივრცე

ფსიქოლოგიის ჩარჩოებში ვითარდება ახალი მიმართულებაც – ბრბოს ფსიქოლოგია, რომელიც სწავლობს იმ პროცესებს, რომლებშიც ჩართული პატივსაცემი, ინტელექტუალური, განათლებული და კანონმორჩილი მოქალაქეები შეიძლება უცბად გადაიქცნენ ველურ ჯოგად, რომელიც თავის გზაზე სპობს

ყველაფერს. ცნობილია, რომ რეალობაში ბრბო არასდროს წარმოიშვება თავისთავად, სტიქიურად.

ინფორმაციული ზემოქმედების სივრცეში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანის პასუხისმგებლობის ხარისხი მიკრო, მაკრო და მეტა დონეებზე (ნახ. 2).

ასევე გასათვალისწინებელია ადამიანის წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი დამოკიდებულების ხარისხი. ნათელია, რომ წარსული გარკვეულწილად განსაზღვრავს არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც (ნახ. 3).

თუ შევაფასებთ გარე ინფორმაციული ნაკადების სტრუქტურას და განვახორციელებთ შიდა ინფორმაციული სივრცის მონიტორინგს, შესაძლებელი გახდება ავაგოთ ამ მოვლენის საწინააღმდეგო ზომების სისტემა. უკუქმედების ზომების სახით შეიძლება გამოვიდეს ნეგატიური ინფორმაციული ნაკადების ბლოკირება, ვიდრე ხარისხით ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის მაკორექტირებელი საგარეო მმართველობის შექმნა.

სოციალურ ქსელს, რომელიც მასმედიის ერთ-ერთ სახეობას და ინფორმაციის მიწოდების აქტიურ საშუალებას წარმოადგენს, ფართო შესაძლებლობა გააჩნია თანამედროვე სამხედრო კონფლიტში მონაწილე კომბატანტ და სამოქალაქო საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განსახორციელებლად.



ნახ. 3. წარსულის, აწმყოსა და მომავლის უერთიერთკავშირი და მათი ინფორმაციული ზემოქმედებითი სივრცე

ამისთვის დასავლეთში გამოიყენება კარგად გათვლილი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მქონე ინფორმაციის მიზანმიმართული, ინტენსიური მიწოდება კონკრეტული სოციალური ქსელის მომხმარებლისთვის, ამ ინფორმაციის თავისებურებიდან, მიზნებიდან და ამოცანიდან გამომდინარე, რეგიონის, დროის სოც. ქსელის მომხმარებელთა კატეგორიების და სხვა სახის ფუნქციური და თვისობრივი შესაძლებლოების გათვალისწინებით. ამასთან, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ატარებს ზოგად (მასიურ) და კონკრეტული (ლოკალური) ფორმის სახეს.

განვიხილოთ დასავლეთის მიერ ფსიქოლოგიური ბრძოლის წარმოების რამოდენიმე ხერხი და მეთოდი.

1. მიზანმიმართული ფსიქოლოგიური წნეხის შექმნა უშუალოდ ფრონტის ხაზზე-საბრძოლო პროცესებში ჩართული სამხედრო კონტინგენტის წინააღმდეგ. ამ შეთხვევაში მოქმედების უპირველეს მიზანს წარმოადგენს გარკვეული კონკრეტული სამხედრო გეგმის განხორციელების მხარდაჭერა და ზოგადად საბრძოლო სულისკვეთების დაცემა, დემორალიზაცია, პანიკის, მეთაურობისადმი უნდობლობის გრძნობის გაჩენა-დანერგვა.

2. ფსიქოლოგიური ბრძოლის მეორე, განსხვავებულ სახეობას წარმოადენს უშუალოდ კონკრეტული საბრძოლო გეგმის რეალიზებისას, ლოკალური ხასითის მქონე ამოცანის და მიზნის შესრულებისკენ მიმართული ფსიქოლოგიური წნეხის განხორციელება, ამ სახედრო გეგმის ლოკაციაში მყოფ აქტიურ თუ პასიურ სამხედრო ქვედანაყოფებზე.

ამ შემხვევაში ფსიქო-ემოციური წნეხის განსახორციელებლად იქმნება კონკრეტული სახის ინფორმაცია, რომელიც პასუხობს სამხედრო მოქმედების გეგმას და მიზანს და ამ გეგმის წარმატებულად განხორციელების ხელშეწყობის წინაპირობად გამოიყენება.

ერთი ასეთი კონკრეტული მაგალითია მასობრივი მესიჯების, სატელეფონო ზარების, ვირუსების დაგზავნა ფრონტის ხაზზე მყოფი მოწინააღმდეგე სამხედროების და მათი ოჯახის წევრების მისამართით, რომლებიც აუწყებენ მათი ქვედანაყოფების მძიმე მდგომარეობაში ყოფნას, ბრძოლის გაგრძელების მიზანშეუწონლობას და იმიტირებული თუ რეალური საბრძოლო მდგომარეობის აღწერას, რის შემდეგაც ეს ლოკალური სამხედრო დანაყოფი ბრძოლისუნარიანობის და მორალური სიმტკიცის ნაკლებობას განიცდის. მაგალითად, ასეთი მეთოდით სამხედროებს მიეწოდებათ ინფორმაცია (ცრუ ან ნაწილობრივ მართალი) მათი ალყაში მოქცევის, რიცხობრივი, ტექნიკური და საბრძოლო უპირატესობის მიღწევის, მათი მდგომარეობის განწირულობის და ბრძოლის გაგრძელების მიზანშეუწონლობის შესახებ.

ეს ინფორმაცია ვრცელდება, როგორც ე.წ. „დაფარულ სიმართლეზე", რომლის გამოშკარავების შემდეგ უნდა მოხდეს ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება, დეზერტირობა-დაუმორჩილებლობა და კაპი-

ტულაცია, ბრძოლის შეწყვეტა.

რა არის ე.წ. „მოდელირებული დაფარული სიმართლე ?“

„მოდელირებული დაფარული სიმართლე” მოწინააღმდეგის მიერ გავრცელებულ ინფორმაციის სახეს ეწოდება, რა დროსაც მიზანმიმართული, კონკრეტული ერთი მეთოდი გამოიყენება. ესაა დეზინ-ფორმაცია, რომელიც ვითომდა ააშკარავებს სამხედრო მეთაურობის სხვადასხვა ინსტანციების მიერ, ჯარისკაცებისთვის დამალულ ფაქტებს, როგორიცაა: მძიმე პოზიციური მდგომარეობა, მსხვერპლის რაო-დენობა, არაკანონიერი ბრძანებები, ღალატი, ინფორმაცის გაჟონვა, მეთაურების მხრიდან მოსალოდნელი საშიშროება და სხვა.

ბუნებრივია, საომარი მდგომარეობის პირობებში, მთელი რიგი ინფორმაცია, რომელიც სამხედრო ხასიათს შეიცავს, გარკვეული სახის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს და გასაიდუმლოებული ან ნაკ-ლებად გასაჯაროებულია. სწორედ ამ პრინციპის ანტიპოდს წარმოადგენს ე.წ. “მოდელირებული დამა-ლული სიმართლე”.

ამ სახის მეთოდით ინფორმაციის გავრცელება, მოწინააღმდეგის მხრიდან მეტწილად ინფორმაციის გაჟონვის იმიტაციით არის შენიღბულ-გაფორმებული. რიგ შემთხვევაში ეს ე.წ. “მოდელირებული დაფა-რული სიმართლე“ შეიცავს როგორც სრულ დეზინფორმაციას, ასევე გარკვეული ინფორმაციის ინტერ-პრეტირებულ ვარიანტს. ორივე შემთხვევაში ამ მეთოდის მიზანი სამხედრო დისციპლინის და სუბორ-დინაციის დარღვევაა, რომლის მეშვეობთ, ფაქტიურად შეუძლებელია ერთიანი კოორდინირებული ორგანიზებული წინააღმდეობის გაწევა.[4]

განსაკუთრებით ეს მეთოდი ამართლებს გენშტაბს დაქვემდებარებული ქვეყნის სამხედრო შეიარა-ღებული ძალების და მოხალისეთა გაერთიანებებს შორის დაპირისპირების გასაღვივებლად. ამის საუ-კეთესო მაგალითს წარმოადგენს ილოვაისკისა და დებალცევოს ალყის დროს არმიასა და მოხალისეთა ბატალიონებს შორის სერიოზული კონფრონტაციის და კოორდინებულ მოქმედებების შეწყვეტის ფაქ-ტების ერთობლიობა. ასეთი სახით, ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა დებალცევოს ალყის დროს (ე.წ. მესი-ჯები, 93-ე ბრიგადის მეთაურის სატელეფონო ზარები).

ამ მეთოდების გამოყენების და ინფორმაციის მიწოდების ძირითად საშუალებას სწორედ სოცია-ლური ქსელი წარმოადგენს, განსაკუთრებით ფრონტის ხაზზე, სადაც მებრძოლებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ტელევიზიასა და პრესაზე და არც დროის სიჭარბეს განიცდიან ამ მხრივ.

ევროპაში რადიკალური შეხედულებების პოლიტიკური ჯგუფები (როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სპექტრიდან) საკუთარ მედიასაშუალებებს ქმნიან. მათი აუდიტორია სულ უფრო იზრდება სოციალურ ქსელებში. ალტერნატიული რესურსების შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მეინსტრიმული გამო-ცემები მათ საგანგებოდ უგულებელყოფენ, ამიტომ სოციალურ ქსელებს თავიანთი იდეების პოპუ-ლარიზაციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან პლატფორმად აღიქვამენ.[5]

თუ ამერიკის ულტრაკონსერვატორები მხარს უჭერენ თეთრი რასის უპირატესობის იდეას, ევრო-პაში ულტრამემარჯვენეები 2015-16 წლის მიგრაციული კრიზისის შემდეგ გააქტიურდნენ. მათი მთავარი იდეა ის არის, რომ “დემოგრაფია დემოკრატიას დაღუპავს” და ახლო აღმოსავლეთიდან მიგრანტების ნაკადი ევროპის კულტურულ და პოლიტიკურ იდენტობას წაშლის.

BBC-ის ინფორმაციით, გერმანიის ულტრამემარჯვენე პარტიამ “ალტერნატივა გერმანიისთვის” (AfD) ჟურნალისტების საკუთარი ჯგუფის, სრულყოფილი ნიუსრუმის შექმნა გადაწყვიტა. მიზანი - ისეთი ახალი ამბების შექმნაა, რომელიც მათ მოსაზრებებს “სწორად წარმოაჩენს”. პარტიის ხელმძღვანელის ალის ვაიდელის თქმით, ეს იქნება ინოვაცია და ერთგვარი ალტერნატივა არსებული მედიარესურსისა, რომელიც AfD-ს არაფრად აგდებს და მასზე ყალბ ცნობებს ავრცელებს. ამისთვის პარტია გეგმავს 20 ვაკანსიის შექმნას ჟურნალისტების, პიარის და SMM-ის სპეციალისტებისათვის. ისინი AfD-ს ახალ ამბებს 24-საათიან რეჟიმში გააშუქებენ. 2021წლის სექტემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, გერმანელ ულტ-რამემარჯვენეებს, რომლებმაც ხმების 13% მოიპოვეს, ამერიკული კომანია Harris Media ეხმარებოდა. ამ კომპანიის პიარის სეციალისტები მანამდე გერმანელების თანამოაზრე ბრიტანელებთან და დონალდ ტრამპის კამპანიასთან მუშაობდნენ.

საფრანგეთში “ნაციონალურ ფრონტს” პრესასთან დაპირისპირების დიდი ტრადიცია აქვს. მარინ ლე პენი საკუთარი საინფორმაციო საშუალების შექმნას ჟურნალისტებთან პირდაპირ კონტაქტს ამჯობინებს. მას ურჩევნია პირადად შეხვდეს პრესის წარმომადგენლებს და აუხსნას მათ პარტიის პოლიტიკა.

ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ნაციონალისტურმა პარტიამ, უნგრულმა “იობიკმა” საკუ-თარი პატარა “მედიაიმპერია” შექმნა, რომელიც შედგება ონლაინ-გამოცემა Alfahír.hu-ს და ონლაინ-ტელევიზია N1TV-სგან. პოპულარულ ვებსერიებს შორისაა - რაინდების ფორმაში ჩაცმული ტელევიზიის თანამშრომლების ქუჩის გამოკითხვები. მაგ., 2019 წელს ისინი ბუდაპეშტის ქუჩებში მოქალაქეებს მიგ-რაციის და სირიის კონფლიქტის შესახებ ეკითხებოდნენ ანუ იმ თემების შესახებ, რომლებიც ყველაზე აქტუალურია ულტრამემარჯვენეების დღის წესრგში. უნგრელი ანალიტიკოსების თქმით, ამ ტელევიზიის რამდენემე სახე არხზე სამუშაოდ მმართველი პარტია “ფიდესიდან” გადავიდა. “ფიდესის” რიტორიკა ხშირად ემთხვევა ულტრაკონსერვატორი ნაციონალისტების პოზიციებს.

მეინსტრიმულ მედიასთან არის დაპირისპირებული ამერიკის ექს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომლის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი სწორედ მიგრაციასთან ბრძოლა იყო. იგი ამბობს, რომ

4 Юрий Диогенес, Эрдаль Озкайя’ “Кибербезопасность: стратегии атак и обороны”; ст.327

5 R. Wiliam “The Information Weapon: Winning Customers and Markets With Technology”. 2020, pg.352

CNN-ი, The New York Times-ი და Washington Post-ი Fake News-ს (ყალბ ცნობებს) ავრცელებენ და რომ მას მემარჯვენე-კონსევატული Fox News-ი და Breitbart-ი უყვარს.

მეინსტრიმული მედიის მხრიდან ჩაგვრაზე არამხოლოდ ულტრამემარჯვენე, არამედ მემარცხენე სპექტრის პოლიტიკოსებიც ჩივიან. რაც ბრიტანეთში ლეიბორისტული პარტიის სათავეში ჯერემი კორბინი მივიდა, გაჩნდა ისეთი ინტერნეტ-საინფორმაციო რესურსები, როგორებიცაა Novara Media, Canary და Evolve Politics-ი.

ევროპელი ულტრა-მემარჯვენეების მთავარი სივრცეა ინტერნეტ-ფორუმები, რომლებიც ახალგაზრდა, აქტიურ ადამიანებს იზიდავენ. ასეთი ონლაინ-თემების გამომწერთა რიცხვი სულ უფრო იზრდება.

საფრანგეთში პოპულარულია გვერდი Génération Identitaire, გერმანიაში და ავსტრიაში Identitäre Bewegung-ი. საერთო გერმანულ IB-ს ფეისბუკის გვერდს 2015 წლის აგვისტოში 18 ათასი ადამიანი იწონებდა, ახლა იწონებს - 68 ათასზე მეტი; ფრანგულ GI-ს ფეისბუკში დღეს 124 ათასი მომწონებელი ჰყავს, 2015 წელს ჰყავდა - 60 ათასი.

მკვეთრად იზრდება სოციალურ ქსელში ევროპელ მემარჯვენეთა პარტიული გვერდების გამომწერთა რიცხვიც. მაგალითად, თუ AfD-ს ("ალტერნატივა გერმანიისთვის") 2015 წლის ზაფხულში 130 ათასი გამომწერი ჰყავდა, ახლა - 400 ათასი ჰყავს. 2015 წლის ბოლოს საფრანგეთის "ნაციონალური ფრონტის" გვერდს 279 ათასი ადამიანი იწონებდა, ახლა - 435 ათასი იწონებს.

ბრიტანულ Novara Media-ს ფეისბუკში 43 ათასი გამომწერი ჰყავს, The Canary-ს - 157 ათასი, Evolve-Politics-ს - 134 ათასი.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი შედეგები აქვს ფეისბუკზე ბრიტანულ მოძრაობა Britain First-ს, რომელიც ნაწილობრივ მოქმედებს როგორც საინფორმაციო საშუალება. 2015 წლის ივლისში მას 80 ათასი ფოლოუერი ჰყავდა, ახლა - 1.8 მილიონი ჰყავს.

ახალი ამბების დღის წერიგისთვის იბრძვის რუსეთიც. 2017 წლის ბოლოს მოსკოვმა 23 ამერიკული მედიარესურსი "უცხოურ აგენტად" დაარეგისტრირა, მას შემდეგ, რაც აშშ-მ რუსულ Russia Today-ს ასევე "უცხოური აგენტის" სტატუსი მიანიჭა. ამასთან, ევროკავშირი უკვე რამდენიმე წელია არაერთ რუსულ მედიასაშუალებას დეზინფორმაციის სერიოზულ წყაროდ მიიჩნევს. ევროპარლამენტმა ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო ფიქრი რუსულენოვანი მედიარესურსის შექმნაზე. ორწელიწადნახევრის მუშაობის შემდეგ გადაწყდა, რომ ჯგუფ East StratCom Task-ს, 2018 წლიდან ევროკავშირი თავისი ბიუჯეტიდან წელიწადში 1,1 მილიონი ევროთი დააფინანსებს. ჯგუფი აცხადებს, რომ მისი საქმე არ არის რუსეთის მიმართ კონტრპროპაგანდა. თუმცა ის კვირაში ერთხელ აქვეყნებს "დეზინფორმაციის მიმოხილვას", რომელშიც ასახულია რუსულ მედიარესურსებში დამახინჯებული ფაქტები.

დღეისათვის მეცნიერები გამოყოფენ ცივილიზაციათა სამ სახეობას: აგრარულს, ინდუსტრიულს და საინფორმაციოს. აქედან გამომდინარე, ჩვენ აღვმოჩნდით არა მარტო საინფორმაციო, არამედ საინფორმაციო ომის ცივილიზაციის პირობებში. ფაქტია, საინფორმაციო ცივილიზაცია გადაიქცა საინფორმაციო ბრძოლის ველად, სადაც ინფორმაცია გამოყენებულია როგორც იარაღი და მისი გამოყენება შესაძლოა ისეთივე დამანგრეველი აღმოჩნდეს მოწინააღმდეგისთვის, როგორც მისი ტერიტორიის ოკუპაცია. პრაქტიკულად, ამ საშუალებების გამოყენებით ხორციელდება მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპაცია, მისი დაკავების, მსხვერპლის და ნგრევის გარეშე. ამიტომ, საინფორმაციო ომის მსვლელობა ხორციელდება მოსახლეობისთვის პრაქტიკულად, შეუმჩნევლად და ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანები მისი უნებლიე თანამონაწილეები ხდებიან.

დასკვნა

საინფორმაციო ომის ხელოვნება ითხოვს ინფორმაციის მოძიებას, შეფასებას და გადაწყვეტილების მიწოდებას რეალურ დროში, მუდმივ რეჟიმში, აგრეთვე შესაბამისი ინფრასტრუქტურების, მათ შორის ინფორმაციული კონტექსტების შექმნას. ფასეულობების სისტემა, მორალური კოორდინატები, ჩვენი ეთიკა და ესთეტიკა-ის იდეოლოგიაა რისიც გვჯერა, რასაც ვთვლით სიკეთედ და ბოროტებად. საზოგადეობა იერარქიულია, კომუნიკაცია საზოგადოებრივ ფენებს შორის განაპირობებს სისტემის სიცოცხლისუნარიანობას. კომუნიკაციის ნგრევა, ჩანაცვლება, ოკუპაცია-ეს ყველაფერი საინფორმაციო ომის მიზანია და როგორც შედეგი, იმ შემთხვევაში თუ ფართო საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული შეფასებები, სისტემა თავად იწყებს შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმის შევსებას საკუთარი კომუნიკაციური ქსელების მეშვეობით. საინფორმაციო საუკუნეში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სისტემების მოღვაწეობა პირდაპირ დამოკიდებულია საინფორმაციო კომუნიკაციის წყობასთან. ესაა უნიკალური სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს, მიუხედავად მისი ეკონომიკური და სამხედრო ჩამორჩენილობისა, საინფორმაციო კომუნიკაცების თვალსაზრისით გააჩნია შესაძლებლობა გამოიყენოს ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები. საინფორმაცო ომის (ინტერნეტის) მეთოდების ინტენსიური გამოყენებით შესაძლებელი გახდა არქაულ მესამე ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი თუ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება, რაც შესაძლოა სამხედრო დამარცხებად ჩაითვალოს.

მცნება „ინფორმაციული უსაფრთხოება“ მრავალი ქვეყნისათვის და ბუნებრივია, საქართველოსთვისაც აქტუალურია და ის უნდა შეადგენდეს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

საქართველო თავისი გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობის თვალსაზრისით კვლავ რჩება გლობალური პოლიტიკის დაპირისპირების არეალში, ამის გათვალისწინებით შემუშავებული უნდა იყოს საკუთარი საინფორმაციო თავდაცვითი კონცეფცია, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა

სვანიძე ვლადიმერ, „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“. 2015, გვ. 109-117;

კუპრაშვილი ჰენრი, “ინფორმაციული იარაღის თავისებურებების ზოგიერთი ასპექტი”, ჟურნალი “საისტორიო ვერტიკალები“. 2015 წ. #31 , გვ. 54;

მანოილი ალექსანდრე, “ინფორმაციული ომი და ფერადი რევოლუციები“. 2022, გვ. 496;

Wiliam R. “The Information Weapon: Winning Customers and Markets With Technology”. 2020, pg.352;

Диогенес Юрий, Озкайя’ Эрдаль, “Кибербезопасность: стратегии атак и обороны”; ст.327.

სისტემური კონსტრუქტივიზმი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში (უკრაინის შემთხვევა)

ნინო ოხანაშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
თავდაცვის ანალიზის მიმართულების
ასისტენტ-პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს ალექსანდრ ვენდტის „სისტემური კონსტრუქტივიზმის" თეორიის პერსპექტივიდან დავადგინოთ, თუ რა ფაქტორებმა/მოტივებმა განაპირობეს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია.

სახელმწიფოს იდენტობის განსასაზღვრად მრავალი მახასიათებელი/ინდიკატორი შეიძლება გამოიყოს. აღნიშნულ სტატიაში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მოტივები გაანალიზებულია მის იმპერიალისტურ და დიდი ძალის იდენტობაზე დაყრდნობით.

სოციალური კონსტრუქტივიზმი ყურადღებას ამახვილებს კულტურაზე, იდენტობაზე, ნორმებსა და იდეებზე, აღქმებზე, კოლექტიურ ღირებულებებზე, ისტორიულ მეხსიერებაზე. აღნიშნული თეორიის ჭრილში, სწორედ ეს ცვლადები განსაზღვრავენ საერთაშორისო პოლიტიკის ლოგიკას. კონსტრუქტივიზმი სასარგებლო თეორიაა, როგორც საგარეო პოლიტიკის გასაგებად, ასევე მის ჩამოსაყალიბებლადაც. კონსტრუქტივიზმის ჭრილში, ადამიანები გარკვეული ობიექტების მიმართ, ამ ობიექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე იქცევიან. ე.ი. სახელმწიფოებიც განსხვავებულად ექცევიან მტრებს და მეგობრებს, რადგან ისინი მტრებს საფრთხედ აღიქვამენ, მეგობრებს -არა.

სტატიაში გამოყენებულია სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდი. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის კვლევა დაეყრდნო შემთხვევის შესწავლის (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებს. კვლევის პროცესში გაანალიზდა მეორადი წყაროები - სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებობს, რათა შექმნილიყო მეცნიერული საფუძველი კვლევის გასაგრძელებლად; აგრეთვე, ქართული და უცხოური ბეჭდითი პრესა, სტატიები, ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები.

კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთის იმპერიალისტურმა იდენტობამ, ისტორიულმა მეხსიერებამ, აღქმებმა და რიტორიკამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში ყირიმის მიმართ.

ისტორიული მეხსიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. ასევე, ენა და **რიტორიკა** კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია. რუსეთის პასუხი კითხვაზე „ვინ ვარ მე" არის-დიდი და **იმპერიალისტური იდენტობის** მქონე სახელმწიფო; საკუთარ თავს **აღვიქვამ სუპერძალად**, რისკენაც მიბიძგებს ჩემი **ისტორიული მეხსიერება**; ხოლო **დასავლური ალიანსები** - როგორც **„სხვა", რომელსაც საფრთხედ აღვიქვამ**, რადგან ცდილობს ჩემი გავლენის სფეროში შემოჭრას და უკრაინის (რომელთანაც მაკავშირებს ღრმა ისტორიული და კულტურული კავშირები) ინტეგრაციას დასავლურ ალიანსებში.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსულ იდენტობასთან. რუსეთი თავის თავს დიდ ძალად ასახელებს და ცდილობს გაატაროს შესაბამისი საგარეო პოლიტიკა. საქართველოში ინტერვენციის (2008) და ყირიმის ანექსიის (2014) გათვალისწინებით, რუსეთის ხედვა „დიდი ძალის შესახებ" გამოდის წინა პლანზე, რათა არ დაკარგოს გავლენა პოსტსაბჭოთა რეგიონზე.

საკვანძო სიტყვები:
სისტემური კონსტრუქტივიზმი; რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია; იმპერიალისტური იდენტობა; ისტორიული მეხსიერება; რიტორიკა; აღქმა.

Systemic Constructivism in Foreign Policy of Russia (the Case of Ukraine)

Nino Okhanashvili
Professor of Defence Analysis Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctor of Social Sciences

Abstract

The main goal of this article is to determine what factors/motives has led to the annexation of Crimea by Russia, from the perspective of Alexander Wendt's systemic constructivism.

Many characteristic indicators can be distinguished to determine the identity of the state. In the mentioned article, the motives of Russia's annexation of Crimea are analyzed based on its imperialist and great power identity.

Social constructivism focuses on culture, identity, norms and ideas, perceptions, collective values, and historical memory. According to the mentioned theory, these variables determine the logic of international politics. Constructivism is a useful theory both for understanding foreign policy and for formulating it. In terms of constructivism, people behave towards certain objects based on the meaning of these objects. i.e. States also treat enemies and friends differently, because they perceive enemies as a threat, friends - not.

In the article has been used qualitative method of social research. The research was based on case study and qualitative content analysis methods for data collection and analysis. In the research process, secondary sources were analyzed - scientific literature, which exists around the subject to be studied, in order to create a scientific basis for continuing the research; Also, Georgian and foreign printed press, articles, materials found in electronic media.

The research has shown, that Russia's imperialist identity, historical memory, perceptions, and rhetoric were playing an important role in determining Russia's foreign policy towards Crimea.

Russia's answer to the question - "Who am I" - a state with a powerful and imperialistic identity; I perceive myself as a superpower , based on my historical memory; Western alliances – as "the other", which I define as a threat, because they try to invade my sphere of influence and put an effort to integrate Ukraine (with whom I have a deep historical and cultural ties) into Western alliances.

Russia's annexation of Crimea is closely related to Russian identity, which it cares about in the international system and historical memory. Russia calls itself a great power and tries to implement a relevant foreign policy. Given Russia's interventions in Georgia (2008) and the annexation of Crimea (2014), Russia's vision of a "great power" comes to the forefront in order not to lose its influence on the post-Soviet region.

Keywords:
Systemic constructivism; Annexation of Crimea by Russia, Imperialist identity; Historical memory; Rhetoric; Perception.

შესავალი

გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე საერთო და ღრმა კულტურული და ისტორიული კავშირების გამო, უკრაინას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია რუსეთისთვის. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, უკრაინის მცდელობა გასულიყო რუსეთის პოლიტიკური ორბიტიდან და დაახლოებულიყო დასავლურ ალიანსებთან, კრემლისთვის მიუღებელ მოვლენად განიხილებოდა. საპასუხოდ, რუსეთმა განახორციელა ყირიმის ანექსია და რუსეთის შემადგენლობაში შეყვანა. ეს იყო პირველი შემთხვევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა გააფართოვა თავისი ტერიტორია ყირიმის ანექსიით.

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციას და შემდეგ ანექსიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მოტივების გასაანალიზებლად სტატიაში გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი გავლენიანი თეორია - ალექსანდრე ვენდტის ,,სისტემური კონსტრუქტივიზმი".

სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ საკვლევ კითხვას:

სისტემური კონსტრუქტივიზმის ჭრილში, რა ძირითადმა ფაქტორებმა/მოტივებმა განაპირობა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე მოხდა შემდეგი ჰიპოთეზის გენერირება:

რუსეთის იმპერიალისტურმა იდენტობამ, ისტორიულმა მეხსიერებამ, აღქმებმა, რიტორიკამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში ყირიმის მიმართ.

დამოუკიდებელი ცვლადი: რუსული იმპერიალისტური იდენტობა, ისტორიული მეხსიერება, აღქმები, რიტორიკა.

დამოკიდებული ცვლადი: რუსეთის საგარეო პოლიტიკა.

სტატიაში გამოყენებულია სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდი. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის კვლევა დაეყრდნო შემთხვევის შესწავლის (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებს. კვლევის პროცესში გაანალიზდა მეორადი წყაროები - სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებობს; აგრეთვე, ქართული და უცხოური ბეჭდვითი პრესა, სტატიები, ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები.

ძირითადი ნაწილი

კონსტრუქტივიზმი და საგარეო პოლიტიკა

სოციალური კონსტრუქტივიზმი ყურადღებას ამახვილებს კულტურაზე, იდენტობაზე, ნორმებსა და იდეებზე, აღქმებზე, კოლექტიურ ღირებულებებზე, ისტორიულ მეხსიერებაზე. აღნიშნული თეორიის ჭრილში, სწორედ ეს ცვლადები განსაზღვრავენ საერთაშორისო პოლიტიკის ლოგიკას.[1] კონსტრუქტივიზმი წარმოიშვა 1980-იან წლებში, რომლის მიხედვითაც, სტრუქტურები აყალიბებენ იდენტობას, რომელზედაც სახელმწიფოები აფუძნებენ თავიანთ ინტერესებსა და მოქმედებებს.

სოციალური კონსტრუქტივიზმი რამდენიმე განშტოებად იყოფა, რომელთაგანაც ერთ-ერთს ალექსანდრე ვენდტის ,,სისტემური კონსტრუქტივიზმი" წარმოადგენს.

„სისტემური კონსტრუქტივიზმი" ეთანხმება ნეორეალისტურ მიდგომას - „მესამე დონეს", რომლის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სწორედ ეს ხდება კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი; სისტემურ კონსტრუქტივიზმს შეუძლია აღწეროს საერთაშორისო ურთიერთობებში გარდაქმნების, ტრანსფორმაციების სისტემური ანალიზი. სისტემური კონსტრუქტივიზმი ფოკუსირდება მხოლოდ საერთაშორისო გარემოს იდეურ და ნორმატიულ სტრუქტურაზე და უგულებელყოფს ცვლილებებს შიდა პოლიტიკურ სფეროში".[2]

„კონსტრუქტივისტები აღიარებენ საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას, მაგრამ რეალისტებისგან განსხვავებით, მათ მიაჩნიათ, რომ ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ. ანარქიას არა აქვს დამოუკიდებელი ეფექტები და ის არ ხდება მიზეზი ქვეყნებს შორის უსაფრთხოების დილემის წარმოქმნისა, არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აღიქვამენ სახელმწიფოები ერთმანეთს, როგორც მეგობრებს თუ როგორც მტრებს."[3]

რას ვგულისხმობთ, როდესაც კონსტრუქტივიზმზე ვსაუბრობთ?

- ნორმები, რწმენები, იდეები - მათი როლი საგარეო პოლიტიკაში;
- საერთაშორისო ურთიერთობების სოციალური და არა მატერიალური მნიშვნელობა;
- საერთაშორისო სისტემა არ არსებობს თავისთავად, არამედ ის ადამიანთა აღქმებშია

1 N. Okhanashvili, Causes of the Nagorno-Karabakh Conflict in the Perspective of Constructivism. International Journal of Science and Research (IJSR), 2018, P.1262.

2 ნ. ოხანაშვილი, „ამერიკა-ირანის დაპირისპირება - თეორიული ანალიზი". ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, 2020. გვ. 8.

3 ნ. ოხანაშვილი, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)". სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, თსუ, 2018. გვ. 44.

- სისტემა შედგება იდეებისგან და არა მატერიალური ძალებისგან;
- თუ შეიცვლება იდეები - შეიცვლება თავად სისტემაც.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხში უფრო მნიშვნელოვანია აღქმები, ვიდრე ფიზიკური საგნები, რადგან ფიზიკურ საგნებს ინტელექტუალური ელემენტების გარეშე დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებათ.

თუ საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი დომინანტური თეორიის - პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით, „საკუთარი ეროვნული ინტერესების მქონე სახელმწიფოები ეჯიბრებიან ერთმანეთს ძალაუფლებისა და უსაფრთხოებისთვის" (ჯეკ სნაიდერი), სოციალურ კონსტრუქტივიზმში - „იდეები, კოლექტიური ღირებულებები, კულტურა და სოციალური იდენტობები", წარმოადგენენ იმ ცენტრალურ ძალებს, რომლებიც აყალიბებენ საერთაშორისო პოლიტიკას.

რეალისტების მსგავსად, კონსტრუქტივისტებიც აღიარებენ საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას, მაგრამ მათგან განსხვავებით, თვლიან, რომ ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ.[4]

კონსტრუქტივიზმი სასარგებლო თეორიაა, როგორც საგარეო პოლიტიკის გასაგებად, ასევე მის ჩამოსაყალიბებლადაც.[5] კონსტრუქტივიზმის ჭრილში, ადამიანები გარკვეული ობიექტების მიმართ, ამ ობიექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე იქცევიან. ე.ი. სახელმწიფოებიც განსხვავებულად ექცევიან მტრებს და მეგობრებს, რადგან ისინი მტრებს საფრთხედ აღიქვამენ, მეგობრებს -არა.[6]

ნეორეალიზმისგან და ნეოლიბერალიზმისგან განსხვავებით, რომლებიც მატერიალური ძალების განაწილებაზე აკეთებენ აქცენტს, კონსტრუქტივიზმი რეალობას ვერ აღიქვამს მხოლოდ მატერიალური სამყაროს დანახვით. მაშინ როცა, რეალიზმი ფოკუსირებულია სახელმწიფოებზე, როგორც საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორებზე, რომლებიც იყენებენ მატერიალურ მოცემულობებს ძალაუფლების გაზრდისთვის, კონსტრუქტივისტული მიდგომები ხაზს უსვამენ იდეების გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებში.

სახელმწიფოს იდენტობის განსასაზღვრად მრავალი მახასიათებელი/ინდიკატორი შეიძლება გამოიყოს. აღნიშნულ სტატიაში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მოტივები გაანალიზებულია მისი იმპერიული და დიდი ძალის იდენტობაზე დაყრდნობით.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია

ყირიმის პროვინცია წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ნაწილს, სანამ 1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას არ გადასცა.

1991 წლის 24 აგვისტოს, უკრაინამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. უკრაინის დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთისთვის ერთ-ერთ უდიდეს დანაკარგად ითვლებოდა.

„ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა, რადგან „ნარინჯისფერმა რევოლუციამ" შეცვალა უკრაინის საგარეო პოლიტიკური მიმართულება. ვიქტორ იუშენკომ ღიად დააფიქსირა სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. უკრაინის „დასავლური ორიენტაცია" რუსეთისთვის ძალიან შემაშფოთებელი გეოპოლიტიკური ასპექტი იყო. რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, ხოლო უკრაინის მთავრობის შეხედულებით, მას გააჩნდა სუვერენული უფლება, თავად განესაზღვრა საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი.

2007 წლის მარტში, უკრაინამ დაიწყო ასოცირების ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები. 2013 წლის 21 ნოემბერს, რუსეთის მხრიდან, მზარდი ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის გამო, უკრაინის მთავრობამ გადაწყვიტა შეეჩერებინა ხელმოწერის პროცესი. პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა უარი განაცხადა ევროკავშირთან ვაჭრობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე. ამ გადაწყვეტილებას მასობრივი და ძალადობრივი შედეგი მოჰყვა; დემონსტრაციები კიევში და უკრაინის სხვა ნაწილებში. შედეგად, 2014 წლის თებერვალში პრეზიდენტი იანუკოვიჩი თანამდებობიდან გადააყენეს და დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბეს, რომელიც რუსეთმა არ აღიარა.

ყირიმში რუსეთმა დაამყარა კონტროლი მთავარ სამხედრო და სამთავრობო შენობებზე და სხვა სტრატეგიულ ობიექტებზე. 2014 წლის მარტში, ყირიმის სტატუსის შესახებ ჩატარდა უკანონო რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით: ყირიმის მცხოვრებლებს სურდათ რუსეთთან შეერთება, თუ უკრაინის ნაწილის სტატუსის შენარჩუნება. რეფერენდუმის შედეგად ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა.[7]

---

4 Wendt A., "Anarchy Is What States Make of It: the Social Construction of Power". Politics.International Organization, 1992, Vol. 46, No. 2, p. 6.

5 სმიტი სტივ, ამელია ჰადფილდი, ტიმ დანი, „საგარეო პოლიტიკა, თეორიები, აქტორები, ქეისები". მეორე გამოცემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021. გვ. 90.

6 სმიტი სტივ, ამელია ჰადფილდი, ტიმ დანი, „საგარეო პოლიტიკა, თეორიები, აქტორები, ქეისები". მეორე გამოცემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021. გვ. 94

7 N. Okhanashvili, "Analyzing Russia's Foreign Policy in Georgia and Ukraine after the "Color Revolutions"" NATO/DEEP and Adam Marszałek Publishing House, 2021. P. 46.

რუსეთის იდენტობის პოლიტიკა („ვინ ვარ მე“ და „ვინ არის სხვა“)

იმპერიალისტური იდენტობა/ისტორიული მეხსიერება/რიტორიკა („ვინ ვარ მე“)

იმპერიალისტური იდენტობა

კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ცენტრალური ცვლადია იდენტობა, სახელმწიფოს მიერ საკუთარი თავის აღქმა, მისი ადგილი საერთაშორისო სისტემაში. აღნიშნული თეორია სახელმწიფოების ქცევის მთავარ მოტივად იდენტობას განიხილავს.

რუსეთი დაარსების დღიდან **იმპერიალისტური იდენტობის** მქონე სახელმწიფოა. მისი საზღვრები არაერთხელ შეიცვალა ისტორიული პროცესების გამო.

„დღევანდელი რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის მემკვიდრეა, სსრკ – რუსეთის იმპერიის, რომელიც, თავის მხრივ, მოსკოვის დიდი სამთავროს პირმშო იყო. მესამე რომის იდეა, რუსულ პოლიტიკურ და რელიგიურ ისტებლიშმენტში ძალიან პოპულარული იყო და სახელმწიფო იდეოლოგიის და მისი დამპყრობლური პოლიტიკის კვაკუთხედს წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის არმიის ერთგვარი ლოზუნგი იყო: ,,რწმენისთვის, მეფისთვის და სამშობლოსათვის.“[8]

რუსეთში ჩამოყალიბებული იდეა, რომ რუსეთი მესამე რომია და მეოთხე აღარ იარსებებს, რუსეთს აკისრებდა მისიას, გაეთავისუფლებინა ქრისტიანი ძმები, რომლებიც ურჯულოთა ხელში აღმოჩნდებოდნენ. „რუსეთი თავის თავზე იღებს ამ უმძიმეს ტვირთს და თავისი სისხლის ფასად ანიჭებს თავისუფლებას დაჩაგრულ თანამოძმეებს“.[9] რუსეთის აღქმით, იგი არის განმანთავისუფლებელი და არა დამპყრობელი. შემდეგ, სსრკ-მ დაისახა მიზნად კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება მთელს მსოფლიოში, რადგან კაპიტალიზმი იყო ყველანაირი ბოროტების სათავე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სსრკ გადაიქცა მთავარ საფრთხედ და დასაბალანსებელ ძალად. სსრკ-ს მიაჩნდა, რომ მან გაათავისუფლა მსოფლიო ფაშიზმისგან და თავის თავზე აიღო დიდი განმათავისუფლებლის მისია.

პირველი მსოფლიო ომის დროს „მესამე რომის“ იდეა შესაძლებელი იყო რეალობად ქცეულიყო, რომ არა 1917 წლის რევოლუციები რუსეთში და რომანოვების იმპერიის დასასრული.

თავის მხრივ, ბოლშევიკებმაც გააგრძელეს მესამე რომის დოქტრინა, თუმცა უფრო აგრესიული და დამპყრობლური იდეოლოგიით. გარკვეულწილად შეძლეს აღნიშნული იდეის რეალიზება, რაც გამოიხატა რომანოვების იმპერიის საზღვრების აღდგენით და აღმოსავლეთ ევროპაში და აზიაში კომუნისტური რეჟიმების შექმნით. რელიგიის ჩანაცვლება მოხდა კომუნისტური იდეოლოგიით, ეკლესიის - კომუნისტური პარტიით, ხოლო მეფე - ბელადმა ჩაანაცვლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკრაინის სწრაფვა დასავლეთისადმი ეწინააღმდეგება რუსეთის, როგორც დიდი და იმპერიალისტური სახელმწიფოს იდენტობას. კონსტრუქტივისტული პარადიგმის მიხედვით, იდენტობა სახელმწიფოების პოლიტიკის ცენტრშია, ქვეყნები თავიანთ საგარეო პოლიტიკას იდენტობის ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ.

ისტორიული მეხსიერება: „ვინ ვარ მე“- სუპერძალა/ “დიდი ძალა“ (Great Power)

რუსეთი მუდმივად ახალი ტერიტორიების მიერთებით ან მათზე გავლენის გავრცელებით იყო დაკავებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი ცდილობს აღიდგინოს ძალაუფლება და გაზარდოს ძლიერება, გააფართოვოს გავლენის სფეროები, როგორც პოსტ-საბჭოთა რეგიონში, ისე გლობალურ დონეზე. რუსეთი საკუთარ თავს აღიქვამს ერთ-ერთ სუპერძალად მულტიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში.

ისტორიული მეხსიერება დიდ როლს თამაშობს რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. ვლადიმერ პუტინის პოლიტიკა განმსჭვალულია აღქმით, რომ რუსეთი წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ ძალას მულტიპოლარულ სამყაროში და მისი ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული; რომ რუსეთს შეუძლია შექმნას პოლიტიკური ამინდი საერთაშორისო სისტემაში. რუსები ისტორიულად საკუთარ თავს აღიქვამდნენ მთავარ და გავლენიან ძალად; რუსეთის ფედერაციამ ეს აღქმა საკუთარი სახელმწიფოს მიმართ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც გააგრძელა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ძალიან დასუსტებული იყო, მის პოლიტიკურ მიზანს ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბება წარმოადგენდა. დიდი სახელმწიფოები ძალიან მგრძნობიარენი არიან პოტენციური საფრთხეების მიმართ რეგიონალურ და გლობალურ დონეზე. ამ მხრივ, რუსეთის ლიდერები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანება ნატოს და ევროკავშირში რუსეთისთვის მიუღებელია.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსულ იდენტობასთან, რომელზეც ზრუნავს საერთაშორისო არენაზე და რომელსაც ისტორიულ მეხსიერებასთან აკავშირებს. რუსეთი თავის თავს დიდ ძალად ასახელებს და ცდილობს გაატაროს შესაბამისი საგარეო პოლიტიკა. საქართველოში რუსეთის ინტერვენციისა (2008) და ყირიმის ანექსიის (2014) გათვალისწინებით, რუსეთის ხედვა „დიდი ძალის შესახებ“ გამოდის წინა პლანზე, რითაც ცდილობს არ დაკარგოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ყირიმის შემთხვევა კავშირშია რუსეთის და უკრაინის საერთო ისტორიასა და კულტურასთან,

8 file:///C:/Users/MAGISTRATURA/Downloads/55.pdf (წვდომა, 22.06.2023). გვ. 2

9 გეოპოლიტიკის ხიბლი.pdf (წვდომა, 22,06, 2023). გვ. 11

იდენტობის ძირითად მახასიათებლებთან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა.

რუსეთის რიტორიკა: აღქმა „ჩვენი“ და „სხვის“ შესახებ
(„ვინ არის სხვა“ - დასავლური ალიანსები)

კონსტრუქტივისტულ პარადიგმაში სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია როგორც საკუთარი თავის განსაზღვრა, ასევე მისი მოწინააღმდეგის/მტრის იდენტობის ფორმირება. ეს განსაზღვრება განიმარტება შემდეგი კითხვების მეშვეობით: „ვინ ვარ მე“ და „ვინ არის სხვა“.

რუსეთი აფიქსირებდა პოზიციას, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, საქართველოსა და უკრაინის ჩათვლით, ზიანს აყენებდა მის ეროვნულ უსაფრთხოებას. რუსეთის ორბიტიდან გასვლა და მათი პროდასავლურ ქვეყნებად გადაქცევა კრემლისთვის მიუღებელი იყო. უკრაინა მიჰყვებოდა დასავლეთთან ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას და ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, აქტიურად ცდილობდა გამხდარიყო ევროკავშირისა და ნატოს წევრი. რუსეთმა გამოიყენა ხისტი ძალა და გაატარა აგრესიული საგარეო პოლიტიკა.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და კიევის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე ჩატარებულმა რეფერენდუმმა, რუსეთის ქმედებები „არაკანონიერი“ გახადა დასავლური სახელმწიფოების თვალში და რუსეთის ქმედება ახსნა, როგორც ანექსია.

საბჭოთა ისტორიაზე დაყრდნობით, პუტინი ამტკიცებდა, რომ 1954 წელს, ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა შეცდომა და „არაკონსტიტუციური“ ქმედება იყო, ხოლო ყირიმის რუსეთთან გაერთიანება უკანონობის ისტორიული დასასრული (თუმცა, იმ დროს ყირიმის უკრაინისთვის გადაცემა ნორმალურად ითვლებოდა, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლა არავის უწინასწარმეტყველია). პუტინმა განაცხადა, რომ **რუსეთი და უკრაინა არ არიან მხოლოდ ახლო მეზობლები, ისინი ერთ სხეულს ჰგვანან, რომ კიევი რუსული ქალაქების დედად ითვლება და ორ ქვეყანას მხოლოდ ერთად ცხოვრება შეუძლია.**[10]

პუტინის რიტორიკის მიხედვით, ის იცავდა რუსეთის მოქალაქეებს, რათა დაერწმუნებინა რუსი ხალხი ყირიმის საკითხთან დაკავშირებით, მისი ქმედებების კანონიერებაში. სიტყვა ანექსია და ოკუპაცია შეგნებულად არ გამოიყენა პუტინმა. მისი რიტორიკა „ჩვენ“ (რუსები) და „ისინი“ (დასავლური ალიანსები) ემსახურებოდა საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის მოპოვებას და შიდა ოპოზიციური განწყობის შემცირებას.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა უკრაინა თავისი გავლენის სფეროში, საკუთარი იდენტობის მახასიათებლებზე ხაზგასმით. კონსტრუქტივისტული პარადიგმის მიხედვით, გამოხატვა (რიტორიკა) უდრის კეთებას. პუტინის განცხადებით, „რუსეთი არის საერთაშორისო სისტემის დამოუკიდებელი, აქტიური მონაწილე და მას პატივი უნდა სცენ. მე მივმართავ უკრაინელ ხალხს: უნდა გაგვიგოთ ჩვენ, არავითარ შემთხვევაში არ გვინდა ზიანი მოგაყენოთ, შეურაცხყოფა მივაყენოთ თქვენს ეროვნულ გრძნობას. ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემთ უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. ყირიმი არის ჩვენი საერთო საკუთრება და რეგიონის სტაბილურობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს სტაბილურობა ამ ეტაპზე, მხოლოდ რუსეთზეა დამოკიდებული. ჩვენ ჩავატარეთ რეფერენდუმი ღიად და გამჭვირვალედ. მოსახლეობას სურს რუსეთთან მიერთება”.[11]

ანექსიის საკითხთან დაკავშირებით, რუსეთი ცდილობს არ დაზარალდეს მისი ინტერესები, რომლებიც ეფუძნება მის იდენტობას და ცდილობს შექმნას ნორმები და შესაბამისი დისკურსი იმის ხაზგასმით, რომ რუსეთი მოქმედებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით, ემოციური კავშირები გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ პოლიტიკურ არჩევანს გააკეთებს მოსახლეობა. პუტინი ამტკიცებს, რომ ყირიმის კულტურული კავშირები რუსეთთან ძალიან ძლიერია და მის ქმედებებს ყირიმში უკავშირებს ემოციურ მიჯაჭვულობას და იდენტობის იდეებს. ამიტომ, ყირიმში ძლიერი რუსული იდენტობის იდეა შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთის ინტერესის ასახსნელად.

დასკვნა

რუსეთის აგრესიული პოლიტიკა უკრაინის მიმართ რელევანტურია რეალისტური თეორიების ჭრილში ასახსნელადაც, თუმცა სტატიის მიზანს წარმოადგენდა სისტემური კონსტრუქტივიზმის პერსპექტივიდან წარმოეჩინა რუსეთის მიზნები, რომლებიც შეიძლება აიხსნას იდენტობაზე დაფუძნებული არგუმენტებით. კონსტრუქტივისტურ ნარატივში სახელმწიფოთა ინტერესები ახსნილია მათი იდენტობიდან გამომდინარე.

რეალისტური დაშვებებისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება ყველაზე მნიშვნელოვანია ერებს შორის ურთიერთობებში, კონსტრუქტივისტული თეორია ყურადღებას უფრო მეტად ამახვილებს კულტურულ და ისტორიულ ურთიერთობებზე, რომლიც რუსეთს გააჩნია უკრაინასთან. კონსტრუქტივისტული მტკიცება, რომ სახელმწიფოს იდენტობა და შემდგომი ქმედებები და ინტერესები ყალიბდებიან სოციალური ნორმებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის

10 https://www.zaoerv.de/75_2015/75_2015_1_a_167_194.pdf p. 181. (წვდომა, 27.06.2023)
11 https://www.youtube.com/watch?v=l10BsQzOGKM (წვდომა, 27.06.2023)

ასახსნელად. პუტინმა გამოიყენა ყირიმში არსებული რუსული იდენტობის გრძნობა/განცდა, რათა გაემართლებინა ყირიმის ანექსია.

რუსეთის პასუხი კითხვაზე „ვინ ვარ მე?“ არის - დიდი და **იმპერიალისტური იდენტობის** მქონე სახელმწიფო; საკუთარ თავს **აღვიქვამ სუპერძალად**, რისკენაც მიბიძგებს ჩემი **ისტორიული მეხსიერება**; ხოლო **დასავლური ალიანსები** - როგორც **„სხვა“, რომელსაც საფრთხედ აღვიქვამ**, რადგან ცდილობს ჩემი გავლენის სფეროში შემოჭრას და უკრაინის (რომელთანაც მაკავშირებს ღრმა ისტორიული და კულ-ტურული კავშირები) ინტეგრაციას დასავლურ ალიანსებში“.

ისტორიული მეხსიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. რუსეთის იმპერიულმა იდენტობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ყირიმის ანექსიაში. ის აგრძელებს იმპერიული სახელმწიფოს პრიზმიდან ხედვას, როგორც იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრე.

ენა და **რიტორიკა** კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია. საჯარო გამოსვლებში პუტინი მხარს უჭერს თავის პოლიტიკას და ცდილობს კანონიერად წარმოაჩინოს თავის ქმედებები ყირიმის ანექ-სიასთან დაკავშირებით; კერძოდ, მისი არგუმენტებით ყირიმის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯები ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მიზნად ისახავს მისი ხალხის ინტერესების უზრუნველყოფას და რომ მათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ; ყირიმი წარმოადგენს რუსეთის საერთო ისტორიას და სიამაყეს და რუსეთი იქცევა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. რუსეთის ფედერაციის ქცევის მიზეზები ღრმად არის ფესვგადგმული რუსეთისა და ყირიმის საერთო ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ოხანაშვილი ნ., „ამერიკა-ირანის დაპირისპირება - თეორიული ანალიზი“. ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, 2020.

ოხანაშვილი ნ., „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, თსუ, 2018.

სმიტი სტივ, ჰადფილდი ამელია, დანი ტიმ, *საგარეო პოლიტიკა, თეორიები, აქტორები, ქეისები*. მეორე გამოცემა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021.

Wendt A,, “Anarchy Is What States Make of It: the Social Construction of Power”. Politics.International Organization, 1992, Vol. 46, No. 2, p. 6.

Okhanashvili N., Causes of the Nagorno-Karabakh Conflict in the Perspective of Constructivism. International Journal of Science and Research (IJSR), 2018.

Okhanashvili N., “Analyzing Russia’s Foreign Policy in Georgia and Ukraine after the “Color Revolutions”” NATO/DEEP and Adam Marszałek Publishing House, 2021.

file:///C:/Users/MAGISTRATURA/Downloads/55.pdf (წვდომა, 22.06.2023).

გეოპოლიტიკის ხიბლი.pdf (წვდომა, 22.06.2023).

Merezhko Oleksandr, Crimea’s Annexation by Russia – Contradictions of the New Russian Doctrine of International Law. https://www.zaoerv.de/75_2015/75_2015_1_a_167_194.pdf (წვდომა, 27.06.2023).

The New York Times. Vladimir Putin Announces Crimea Annexation. https://www.youtube.com/watch?v=l10BsQzOGKM (წვდომა, 27.06.2023).

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევები

ნიკოლოზ სამხარაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის
მიმართულების პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

ავტორი ნაშრომში აღნიშნავს, რომ საქართველო წლების განმავლობაში თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამდა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე და ამ მიმართულებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციას იკავებდა. აღნიშნული აქვს საქართველოს მიერ 2022 წელს კანდიდატის სტატუსის ვერ მიღება და ამ მიზეზებს ხსნის ორი საკითხით: პირველი-საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მიცემის მნიშვნელობა და მეორე- აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერმა ქვეყანამ დაუმსახურებლად ვერ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რამაც დიდი იმედგაცრუება და გულისწყვეტა გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. ავტორი ასევე ეხება ევროკავშირის მიერ 2023 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ ანგარიშს.

ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებს 12 პრიორიტეტზე/რეკომენდაციაზე საქართველოს ხელისუფლების მუშაობის პროცესზე, რომელთა შესრულებასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები ჰქონდათ ევროკომისიის წევრებს. ავტორი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ 2023 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებული იყო, თუმცა, ივნისშივე ევროკავშირის მხრიდან გაჩნდა დამატებითი - უფრო კონკრეტული მოთხოვნები. ნაშრომში ჩანს, რომ ავტორს აღნიშნული აქვს ორი ყველაზე რთული და მგრძნობიარე თემა: დეოლიგარქიზაცია და პოლარიზაცია.

ნაშრომში ერთ-ერთი საკითხი რუსეთის ფედერაციას და მის ქმედებებს ეხება. ავტორს მოყვანილი აქვს მაგალითები, სადაც გამოკვეთილია და კარგად ჩანს, რომ საქართველო როგორც პირდაპირი სამხედრო აგრესიის, ასევე რუსული დეზინფორმაციის და რბილი ძალის სხვა განშტოებების მსხვერპლიცაა.

ავტორი გამოყოფს იმ ფაქტს, რომ დასავლეთში თვეების განმავლობაში მწიფდებოდა ეჭვი თითქოს რუსეთი საქართველოს იყენებდა ე.წ. „შავ ხვრელად“ და შესაბამისად ჩვენს ქვეყანას რუსეთის მიმართ საერთაშორისო სანქციებისთვის თავის არიდებაში ადანაშაულებდნენ. ასეთი სახის დეზინფორმაციასთან ბრძოლა დროს და რესურსს მოითხოვს. საქართველოს კი არ გააჩნია რესურსი, ამიტომ, ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს თუ რამდენად მტკივნეულია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის გამოყენებული ტერმინი „ოკუპაცია“ რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები:
ევროკავშირი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია, ევროპა, უკრაიანა.

Contemporary Challenges of Georgia-EU Relations

Nikoloz Samkharadze
Professor of Defence Analysis Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctor of International Relations

Abstract

In the paper, the author notes that over the years, Georgia has been taking consistent steps towards joining the European Union, and in this direction the country has taken an advanced position among the countries of the Eastern Partnership. In the paper the author has discussed the issue and reasons for Georgia's failure to receive candidate status in 2022. The mentioned reasons are explained by considering two issues: first, the author discusses the importance of giving Georgia a European perspective, and second, the author discusses and evaluates the fact that the leading country of the Eastern Partnership did not receive the status of a candidate for the European Union undeservedly. The fact caused great disappointment and heartbreak in the Georgian society. The author also refers to a report published by the European Union in February 2023.

In the paper, the author focuses on 12 priorities/recommendations and the work process of the Georgian government, on certain questions that the members of the European Commission had about the work process. The author underlines the fact that by the end of June 2023, most of the recommendations were fulfilled, however, in June, additional - more specific demands appeared from the EU. In the paper the author has mentioned two of the most difficult and sensitive topics: de-oligarchization and polarization.

One of the issues concerns the Russian Federation and its actions. The author has given examples where it is clearly visible, that Georgia is a victim of direct military aggression, as well as Russian disinformation and other branches of soft power.

The author underlines the fact that for months suspicions were brewing in the West that Russia was using Georgia as "a black hole" and therefore our country was accused of evading international sanctions against Russia. Fighting against this type of disinformation requires both time and resources.

Georgia has no resources, therefore, the author especially underlines the fact, that it is extremely painful for Georgia, that the term "occupation" is not used in any official document of the European Union in connection with the territories of Georgia occupied by Russia.

Keywords:
European Union, Georgia, Russian Federation, Europe, Ukraine.

შესავალი

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციური ნორმაა და ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველო წლების განმავლობაში თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამდა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციას იკავებდა. ის აშკარა ლიდერია ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ასოცირების დღის წესრიგის და სექტორული შეფასებების მიხედვით, თუმცა, ბევრისთვის გასაკვირად, უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, მან 2022 წელს ვერ მიიღო კანდიდატის სტატუსი და ევროპული პერსპექტივა ხვდა წილად. აღნიშნულმა ბევრი აკადემიური თუ პოლიტიკური დებატი გამოიწვია და შედეგის შესაძლო მიზეზები სხვადასხვა გზით აიხსნა. ამ კონკრეტული გადაწყვეტილების შეფასებისას სასურველია ორი მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთოს: პირველ რიგში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მიცემის მნიშვნელობა.[1] ევროკავშირმა, რუსეთის მხრიდან უკრაინაში სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყების შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება გაეხსნა გაფართოების კარი, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ორგანიზაციისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და არაპოპულარულ თემას წარმოადგენდა. პერსპექტივის მიღებით საქართველო სამეზობლო პოლიტიკიდან გაფართოების პოლიტიკის ჯგუფში გადავიდა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ევროპულ მისწრაფებას ევროკავშირმა კონკრეტული აღიარებით უპასუხა. ამ ყველაფრის პარალელურად მეორე ფაქტორიც უნდა გამოიკვეთოს - აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერმა ქვეყანამ დაუმსახურებლად ვერ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რამაც დიდი იმედგაცრუება და გულისწყვეტა გამოიწვია. ეს შეგრძნება კიდევ უფრო გამძაფრდა ევროკომისიის მიერ 2023 წლის თებერვალში გამოქვეყნებული ანგარიშით, რომელმაც დადებითად შეაფასა ევროკავშირთან საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების ხარისხი და ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის ფარგლებში გატარებული რეფორმების ეფექტიანობა. ევროკომისიამ თვითონვე - ფაქტებზე დაყრდნობით აღიარა საქართველოს მოწინავე პოზიცია სამ ახალ კანდიდატ ქვეყანასთან მიმართებით და მნიშვნელოვანი პროგრესი თითქმის ყველა სფეროში. განსაკუთრებით დადებითი შეფასება მიიღო ისეთმა მიმართულებებმა, როგორებიცაა საბაჟო კონტროლი, განათლება, მეცნიერება და ინოვაციები, ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა, სამეწარმეო და ინდუსტრიული პოლიტიკა, ფინანსური მომსახურება, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, სერვისების გადაადგილების თავისუფლება და სხვა.[2] ასევე აღინიშნა საქართველოს პროგრესი ფუნდამენტური უფლებების, ევროკავშირთან პოზიტიური თანამშრომლობის, ძირითადი თავისუფლებების და უსაფრთხოების კუთხით. ხაზი გაესვა ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფარგლებში არსებული ვალდებულებების განხორციელების თვალსაზრისით გატარებულ მნიშვნელოვან რეფორმებსაც. ანგარიშში არსებული 32 სექტორული მიმართულებიდან საქართველომ 26-ში მიიღო დადებითი შეფასება. ამ ყველაფერმა ნათელი მოჰფინა იმას, რომ ქვეყანა ყველა კონტექსტში იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს. თუმცა, მიუხედავად შედეგისა, საქართველომ გადაწყვეტილების გამოცხადების მეორე დღიდანვე ყველა სექტორის ჩართულობით (ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება, დარგობრივი ექსპერტები) დაიწყო ევროკომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის მოსანიჭებლად განსაზღვრული 12 პრიორიტეტის/რეკომენდაციის შესრულება.

ძირითადი ნაწილი

პროცესი უხვი შიდა და გარე გამოწვევების ფონზე წარიმართა და გამოიკვეთა კონკრეტული მგრძნობიარე თემები და მიმართულებები როგორც საქართველოსთვის, ასევე - ევროკავშირისთვის. კარგად ამუშავებულმა დეზინფორმაციის მანქანამ მხარეებს რიგ საკითხებზე მოლაპარაკებებსა თუ ურთიერთგაგებაში ხელი შეუშალა. ქვემოთ მიმოხილულია ის ძირითადი თემები, რომლებზეც კონსენსუსი და საერთო ხედვის ჩამოყალიბება განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. წარმოდგენილია ორივე მხარის ძირითადი არგუმენტები, რომელთა მიზანია ნათელი მოჰფინოს იმ სფეროების გარშემო არსებულ ბუნდოვანებასა თუ გაურკვევლობას, რომლებსაც ბოლო დროს ადგილი ჰქონდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში.[3]

12 პრიორიტეტი/რეკომენდაცია

ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები თვეების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდნენ ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრულ 12 პრიორიტეტზე/

1 ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221 (გადამოწმებულია 25.07.23) .

2 საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია-https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia, (გადამოწმებულია 25.07.23) .

3 ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები: გამოწვევები და შესაძლებლობები ახალ გლობალურ კონტექსტში-https://www.eeas.europa.eu/node/19772_ka, (გადამოწმებულია 25.07.23).

რეკომენდაციაზე მუშაობის პროცესს და, შესაბამისად, გარკვეული კითხვები ჰქონდათ მათ შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე, იმ პრობლემებთან, რომლებიც შესრულების დროს წარმოჩნდა და რომელთაც პოტენციურად შეეძლოთ ხელი შეეშალათ საქართველოსთვის სასურველი შედეგის მიღწევისთვის.[4]

საქართველო, რა თქმა უნდა, ღია იყო შეკითხვებისა და დისკუსიისთვის და ამ ხნის განმავლობაში ევროპელი პარტნიორებისგან დასმულ საკითხებს კონკრეტული შედეგებით პასუხობდა. 2023 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებული იყო, თუმცა, ივნისშივე ევროკავშირის მხრიდან გაჩნდა დამატებითი - უფრო კონკრეტული მოთხოვნები, რასაც ასევე კონკრეტული პასუხები და ნაბიჯები მოჰყვა. მთლიან პროცესში ორი ყველაზე რთული და მგრძნობიარე თემა გამოიკვეთა: პირველი ეხება დეოლიგარქიზაციას. როდესაც საქართველომ დაიწყო კვლევა თუ სად, როგორ და რა მექანიზმებით შეიძლებოდა მასზე მუშაობა, ერთადერთი, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში აღმოჩნდა, იყო უკრაინაში მიღებული დეოლიგარქიზაციის კანონი, რომელსაც ევროპისგან დადებითი შეფასება ჰქონდა. შესაბამისად, ეს საქართველოში ჩაითვალა კარგ და სასურველ მიდგომად და გადაწყდა უკრაინული კანონის გადმოთარგმნა და მიღება. უკვე ქართულად დამუშავებული კანონპროექტი გადაიგზავნა ვენეციის კომისიაში, რომელმაც არ გასცა რეკომენდაცია დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებაზე, ვინაიდან მათი აზრით, კანონში ასახული პერსონალური მიდგომა ვერ დაარეგულირებს პრობლემას. უნდა აღინიშნოს, რომ ვენეციის კომისიას ამ საკითხზე მუშაობა უჭირს, ვინაიდან დეოლიგარქიზაციის რეგულირება მსოფლიოში მხოლოდ სამ ქვეყანას - უკრაინას, საქართველოს და მოლდოვას მოეთხოვა. ვენეციის კომისიის მოსაზრებას ცოტა მოგვიანებით უკვე ევროკავშირმაც აუბა მხარი და 2023 წლის ივნისის მეორე ნახევარში საქართველოს მოსთხოვა არ მიეღო კანონი, რათა ხელი არ შეშლოდა კანდიდატის სტატუსის მიღებას. ამან ოფიციალურ თბილისში იმთავითვე პრობლემატური საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა. გაჩნდა კითხვები ევროპის ზოგად მიდგომებთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ დეოლიგარქიზაციის კანონი კარგი დანამატი აღმოჩნდა უკრაინისთვის, მაშინ რატომაა ზუსტად იგივე ვერსია ცუდი საქართველოსთვის. ამ უპასუხო კითხვების და თანმხლები გაურკვევლობის მიუხედავად, საქართველო დათანხმდა არ მიიღოს კანონი მესამე მოსმენით და დაელოდოს 2023 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებას, სადაც საბოლოოდ უნდა გადაწყდეს იღებს თუ არა კანდიდატის სტატუსს.

მეორე, არანაკლებ რთული საკითხი პოლარიზაციაა. ევროკავშირი გარდაუვალად მიიჩნევს საქართველოში არსებული პოლარიზების შემცირებას და ვითარების დეესკალაციას. ქართულ მხარეს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს, რომელიც უმთავრესად ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში პოლარიზაციის საზომი არანაირი შკალა არ არსებობს და, შესაბამისად, არ არის ნათელი სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელ პოლარიზაციას შორის. ეს კი არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს. პოლარიზაცია პოლიტიკური პლურალიზმის განუყოფელი ნაწილია და რთულია მოითხოვო მისი შემცირება ისეთ ქვეყანაში, რომლის პარლამენტში 9 პოლიტიკური პარტია შედის. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს დათქმა და უნივერსალური მიდგომა, რომ პოლარიზაციის რაღაც კონკრეტული ზღვარი წყალგამყოფია მისაღებსა და მიუღებელ პრაქტიკას შორის, ევროპულ კომისიას მეტი ბერკეტი აქვს ამ საკითხის სურვილისამებრ გადასაწყვეტად. ეს გარკვეულ უსამართლობის განცდას და შიშსაც კი იწვევს. თუმცა, თბილისში თვლიან, რომ სწორედ კანდიდატის სტატუსის მიღებამ შეიძლება საგრძნობლად შეამციროს პოლარიზაციის დონე, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ ელიტაშია და არა - საზოგადოებაში. საზოგადოება სრულიად კონსოლიდირებულია საერთო ევროპული მისწრაფებების და მომავლის მიმართ.

დეზინფორმაცია და რიტორიკა

მხარეებს შორის მორიგი პრობლემატური თემა რუსეთის ფედერაციას და მის ქმედებებს ეხება, რომელიც არამხოლოდ პირდაპირ - სამხედრო ძალით და ინტერვენციით აზარალებს მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოებს, არამედ საკმაოდ აქტიურად და წარმატებულად იყენებს რბილ ძალას, რათა ხელი შეუშალოს მათ ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. საქართველო როგორც პირდაპირი სამხედრო აგრესიის, ასევე რუსული დეზინფორმაციის და რბილი ძალის სხვა განშტოებების მსხვერპლიცაა. ამის ნათელი მაგალითი ბოლო დროს განხორციელებული ქმედებებია.[5]

რუსეთის მიერ საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აღდგენა და სავიზო რეჟიმის გაუქმება ევროკავშირის შეშფოთების საგანი გახდა, რასაც მოჰყვა დასავლელი პარტნიორების მხრიდან საქართველოს ხელისუფლების უმწვავესი კრიტიკა. ევროპელებისთვის ეს თემა განსაკუთრებით სენსიტიური აღმოჩნდა და მათი მხრიდან გაჩნდა ეჭვები, რომ აღნიშნული წინასწარ კარგად დაგეგმილ ამბავს ჰგავდა და არა - რუსეთის მიერ ცალმხრივად, რამდენიმე დღეში მიღებულ გადაწყვეტილებას. ზოგიერთმა ევროპარლამენტარმა ასევე საქართველოს მხრიდან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობაც კი დაუშვა.

ამის საპასუხოდ, ქართულმა მხარემ მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოს რუსეთთან არანაირი პოლიტიკური ურთიერთობები არ აქვს და ერთადერთი ფორმატი, სადაც რუსეთს ესაუბრება-არის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომელშიც ასევე ჩართულია აშშ და ევროკავშირი. საქართველო

4 12 რეკომენდაცია: რა და როგორ (არ) შეასრულა საქართველომ-https://netgazeti.ge/life/676214/, (გადამოწმებულია 25.07.23).

5 რუსული დეზინფორმაციის ტენდენციები საქართველოში უკრაინის ომის პარალელურად-https://idfi.ge/ge/tendencies_of_russian_disinformation_in_georgia_along_with_the_war_in_ukraine, (გადამოწმებულია 25.07.23).

მხოლოდ მაშინ აღადგენს რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებს, როდესაც მოხდება რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ამის თაობაზე სხვა აზრის მომწიფება თუ გაზიარება მხოლოდ მიზანმიმართული დეზინფორმაცია და სპეკულაციაა.

რაც შეეხება ფრენების აღდგენის საკითხს, საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებით არსებობს ჩარჩო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი 2010 წელს მოეწერა. 2019 წელს რუსეთის ფედერაციამ შეწყვიტა ფრენები საქართველოსთან და ეს იყო რუსეთის მიერ მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი ჩარჩო ხელშეკრულებიდან არ გასულან. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ 2023 წელს ასევე ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილება - ამჯერად ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით, არ მოითხოვდა არანაირი ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, ვინაიდან ძველი - 2010 წლის ჩარჩო ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა. შესაბამისად, ამან გააადვილა და დააჩქარა პროცესი, რადგან საჭირო გახდა მხოლოდ ტექნიკური მხარდაჭერა და არა - მოლაპარაკებების თავიდან დაწყება. ეს არის ამ საკითხის სწრაფად მოგვარების წინაპირობა და პასუხი იმ კითხვებსა თუ ეჭვებზე, რომლებიც მის გარშემო გაჩნდა. თუმცა, საქართველოს ნამდვილად შეეძლო თუნდაც ტექნიკური მხარის მოგვარების დროში გაწელვა და რუსული თვითმფრინავების მიღებაზე თანხმობის გაცემის დაგვიანება, მაგრამ ეს უკვე ორმხრივი სანქციების დაწესებად ჩაითვლებოდა. ამას კი საქართველო არ/ვერ აკეთებს ქვეყნის ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

სამაგიეროდ, საქართველო სრულად იცავს რუსეთის მიმართ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს, შესაბამისად, ქართული აეროპორტები არ იღებენ არც ერთი დასანქცირებული რუსული კომპანიის თვითმფრინავს. მართლაც, ერთადერთი ავიაკომპანია, რომელიც რუსეთიდან საქართველოში დაფრინავს არის "Azimut", რომელიც არ არის სანქცირებული და, ფაქტობრივად, ცარიელი ხომალდით გადაადგილდება - ხალხის მიზერული რაოდენობის გამო.

ამასთან, რუსეთმა საქართველოსთან 2001 წლიდან არსებული სავიზო რეჟიმიც გააუქმა, თუმცა, ეს იყო მათი სუვერენული გადაწყვეტილება და ქართული მხარე აქაც ვერაფერს შეცვლიდა.

ზოგად ჭრილში, საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ქმედებებს ორმაგ თამაშად აღიქვამს და ორი ძირითადი მიმართულებით ხსნის: პირველი - ქართველების გულის მოგება, თუმცა, ეს უფრო ნაკლებად სავარაუდოა; მეორე და უმთავრესი - რუსეთი ხედავს საქართველოს წინსვლას ევროინტეგრაციის გზაზე და სურს ამ პროცესს ყველა ბერკეტის გამოყენებით და მაქსიმალური ძალისხმევით ძირი გამოუთხაროს.

ევროპელი ბიუროკრატებისთვის მორიგი სენსიტიური საკითხი ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან გაჟღერებული კრიტიკული განცხადებები აღმოჩნდა, რომლებმაც მათთვის ბუნდოვანება გამოიწვია და კითხვის ნიშნები გააჩინა. მათ საქართველოში გამოთქმული აზრები მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკისთვის შეუფერებლად აღიქვეს. ამასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს თავისი მოსაზრება აქვს. საქართველოში თვლიან, რომ უსაფუძვლო და დაუმსახურებელ კრიტიკას და ორაზროვან მესიჯებს თვითონ კონკრეტული ევროპელი პოლიტიკოსები ავრცელებენ, რაც ხელს უწყობს სპეკულაციების მომწიფებას და აუცილებელს ხდის უსაფუძვლო კრიტიკაზე პასუხების გაცემას, რაც არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს ევროპულ ინსტიტუტებზე თავდასხმად. საქართველო ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუდმივი დეზინფორმაციის და უსაფუძვლო ბრალდებების მსხვერპლია, რაც ტემპერატურას წევს ქვეყნის შიგნით და, შესაბამისად, ქართული პოლიტიკური კლასიც უფრო ემოციურად რეაგირებს.

ორ მხარეს შორის განსხვავებული აზრების მომწიფებას საგრძნობლად უწყობს ხელს საქართველოში მიმდინარე მოვლენების საერთაშორისო მედიაში გაშუქება. ევროპელი პოლიტიკოსები ღიად საუბრობენ იმაზე, რომ მათ ქვეყნებში საქართველოდან ძირითადად უარყოფითი ახალი ამბები შუქდება, იქმნება ნეგატიური ფონი, რაც უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობაშიც აჩენს კითხვებს საქართველოს სანდოობის და ევროკავშირის რიგებში მისი ხილვის სურვილთან დაკავშირებით. მათ სჭირდებათ დამატებითი ახსნა-განმარტება, ძალისხმევა, რომ თავიანთი ქვეყნების წარმომადგენელ მედიასაშუალებებს მიაწოდონ სიღრმისეული შინაარსი და თანმხლები კონტექსტი. საქართველოც ხედავს ამ ყველაფერში დიდ პრობლემას და თვლის, რომ პრესტიჟულ დასავლურ გამოცემებში კონკრეტული ინტერესების მქონე ჯგუფების დაკვეთით გამოქვეყნებული სტატიები აზიანებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯს და ბზარს აჩენს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაუგებრობები ძირითადად საჯარო განცხადებების და დეზინფორმაციული კამპანიის ირგვლივ ტრიალებს, დასავლელი პოლიტიკოსები ქართველ კოლეგებს სწორი კომუნიკაციის წარმართვას და, ზოგადად, სტრატეგიული კომუნიკაციების გაუმჯობესებას ურჩევენ. იმისთვის, რომ აღმოიფხვრას ქაოტური მესიჯებით გამოწვეული ბუნდოვანება, ქართველებისგან ითხოვენ ღიად და თანმიმდევრულად დაფიქსირდეს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ურყევი ნება, რათა ევროკავშირმაც მეტი ძალისხმევა ჩადოს და კონკრეტული ნაბიჯებით უპასუხოს. მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა საჯარო გამოსვლებთან დაკავშირებით, ვინაიდან შეიძლება მესიჯები შიდა აუდიტორიისკენ არის მიმართული, მაგრამ მათ საერთაშორისო საზოგადოებაც ისმენს.

თავის მხრივ, სწორ მესიჯებს ითხოვს საქართველოც. ქვეყნისთვის მიუღებელია პარტნიორების და მეგობრების მხრიდან ხელისუფლების მიმართ საფუძველს მოკლებული ბრალდებები. კონსტრუქციულ კრიტიკას მიესალმებიან პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, თუმცა, ფაქტების დამახინჯება და

კონტექსტიდან ამოვარდნილად წარმოჩენა მხოლოდ ხელს უწყობს გაუგებრობას და აზიანებს როგორც საქართველოს იმიჯს, ასევე საქართველო-ევროკავშირის მთლიან ურთიერთობას. შესაბამისად, საქართველოც, მსგავსად დასავლელი მოკავშირეებისა, მიესალმება სწორი, ღია და ფაქტებზე დაფუძნებული ზუსტი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო წლებია რუსული მასობრივი დეზინფორმაციული კამპანიების მსხვერპლია. სამწუხაროდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში დასავლურმა მედია გამოცემებმაც აწარმოეს დეზინფორმაციული კამპანია საქართველოს წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების საკითხია. 9 თვის განმავლობაში ისმოდა უსაფუძვლო კრიტიკა და საქართველოს იმიჯზე მუდმივი თავდასხმა სააკაშვილის შესაძლო მოწამვლასთან, არასათანადო მოპყრობასთან და წამებასთან, მკვლელობასთან დაკავშირებით. რეალურად, რამდენიმე კვირის წინ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დადო დასკვნა და ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ეს ყველაფერი იყო ტყუილი. სააკაშვილი არც უწამებიათ, არც მოუწამლავთ და, პირიქით, ძალიან კარგ პირობებში იმყოფება ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში და არ არსებობს მისი საზღვარგარეთ გადაყვანის საჭიროება. 9 თვიანმა ქრონიკულმა კრიტიკამ და ყალბმა კამპანიამ უარესად დააზიანა საქართველოს იმიჯი, რომელიც რამდენიმე დღეში ვერ გამოსწორდება და ლაქად რჩება ქვეყანას მოცემულ მომენტში.

შეინიშნება კიდევ ერთი ტენდენცია. როდესაც ვლადიმერ პუტინი ან სერგეი ლავროვი განცხადებას აკეთებენ უკრაინასთან, ლატვიასთან, საფრანგეთთან - რომელიმე სხვა ევროპულ ქვეყანასთან დაკავშირებით, ეს ყველაფერი (სამართლიანად) იმთავითვე დეზინფორმაციად არის მიჩნეული, მაგრამ თუ ამ პირების ყურადღების ცენტრში საქართველოა, მათ სიტყვებს სრული გულისყურით უსმენენ კონკრეტული ევროპარლამენტარები და სხვა ევროპელი პოლიტიკოსები და ეჭვებს იჩენენ საქართველოს ქმედებებზე. სად გადის ზღვარი და რატომ ხდება პუტინის თუ ლავროვის საუბრების საქართველოს კონტექსტში სწორ ინფორმაციად მიღება-ამაზე პასუხი ხელიუფლებას არ მიუღია.

ამასთან ერთად, თვეების განმავლობაში მწიფდებოდა ეჭვი, რომ საქართველოს იყენებდნენ ე.წ. „შავ ხვრელად“ და რუსეთი ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო სანქციებისთვის თავის არიდებას ახერხებდა. აქაც გაჩნდა კითხვის ნიშნები საქართველოს კეთილსინდისიერებასა და ისტორიის სწორ მხარეს დგომასთან დაკავშირებით. დაუშვეს, რომ რუსეთის პირველი მსხვერპლი - საქართველო არათუ მხარს არ უჭერდა უკრაინის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთს საკუთარ ტერიტორიას უთმობდა სანქციებისთვის თავის ასარიდებლად. ეს აბსურდი და მიზანმიმართული მტრობა საქართველოს წინააღმდეგ გააბათილა ევროკავშირის, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის სანქციების კოორდინატორთა ერთობლივი ვიზიტისას გაკეთებულმა განცხადებებმა, რომელთა მიხედვითაც არსებული ბრალდებები და აგორებული ისტერია უსაფუძვლო და უბრალოდ მცდარი იყო.

დეზინფორმაციასთან ბრძოლა დროს და რესურსს მოითხოვს. საქართველოს მწირი დიპლომატიური და ადამიანური რესურსი აქვს და მას ევროკავშირთან მუდმივი კამათის ნაცვლად დასავლეთის მხარდაჭერა, მდგომარეობის ზუსტი აღქმა და გაზიარება სჭირდება. ამიტომ, განსაკუთრებით მტკივნეულად არის მიღებული ის ფაქტი, რომ ევროკავშირის არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის ტერმინი „ოკუპაცია“ გამოყენებული საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებით. ამას დაემატა ისიც, რომ, როდესაც რუსეთმა საქართველოსთან პირდაპირი ფრენები აღადგინა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებმა დემარშის წერილი გადასცეს საქართველოს ვიცე-პრემიერს, სადაც ნახსენები იყო რუსეთის მხრიდან კონკრეტულად უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. როდესაც იმავე რუსეთის მიერ ნახევრად ოკუპირებულ ქვეყანაში დემარშის წერილს წარადგენ, სადაც საუბარი მხოლოდ სხვა (თუნდაც მეგობარი) ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზეა და ეს ქვეყანა არც არის მოხსენიებული, ეს იწვევს სრულიად ადეკვატურ ბრაზს და გაუგებრობას იმაზე, თუ რა და რატომ დგას ამ ყველაფრის უკან.

და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლებისთვის მიუღებელია რიტორიკის დონეზე ხალხის და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გაყოფა, რაც გამოიკვეთა ბოლოდროინდელ განცხადებებში, რომელთა მიხედვითაც თითქოს ხელისუფლება და ხალხი ერთმანეთისგან განცალკევებულია. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ეს არის გამეორება იმ ნარატივისა, რომელსაც დიდი ხანია ვლადიმერ პუტინი იყენებს საქართველოს წინააღმდეგ, როდესაც იგი ქართველ ხალხს მიჯნავს საქართველოს ხელისუფლებისგან.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა და ზოგადი გამოწვევები

ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ კრიტიკის კიდევ ერთი მიმართულებად ბოლო დროს ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP) გამოიკვეთა. კონკრეტულად, CFSP-ის ეგიდით მიღებული რეზოლუციების დიდ რაოდენობას საქართველო არ უერთდება. შესაბამისად, ევროკავშირი თვლის, რომ საქართველო არასაკმარისად იზიარებს ორგანიზაციის საგარეო პოლიტიკას და ეს მათთვის პრობლემურია. თავის მხრივ, ქართული მხარე არგუმენტირებულად ასაბუთებს ამ ერთი შეხედვით უჩვეულო ფაქტს და ევროკავშირს რიცხვების ნაცვლად შინაარსობრივ ფონზე კონცენტრირებას სთხოვს.

მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის საქართველოს მიერთებას CFSP-ის რეზოლუციების ნაწილთან არის რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სხვა ქვეყნების მიერ აღიარების რისკი/საშიშროება. საქართველო უერთდება ყველა იმ რეზოლუციას, რომელიცაა მაგალითად

სირიაზე, ვენესუელაზე, ნიკარაგუაზე, ნაურუზე, მაგრამ არ უერთდება ისეთებს, რომლებიც აფრიკის, აზიის, ოკეანეთის თუ სამხრეთ ამერიკის კონკრეტულ ქვეყნებს ეხებათ, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ჩამოთვლილ ქვეყნებს უკვე აღიარებული აქვთ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა და, შესაბამისად, საფრთხეც აღარ არის, ხოლო, მეორე ჯგუფის შემთხვევაში - საქართველოს ფრთხილი მოქმედება მართებს და აღიარების მაღალი რისკის ფონზე უჭირს ევროკავშირთან 100%-იანი თავსებადობა. ამასთან ერთად, არსებობს სხვა პრობლემური საკითხებიც, მაგალითად კოსოვო (რომლის დამოუკიდებლობასაც საქართველო გასაგები მიზეზების გამო არ აღიარებს), ბელარუსი და ა.შ.

ეს ყველაფერი საქართველოს ეროვნულ ინტერესს და საგარეო პოლიტიკას თანაბრად ეხება, ამიტომ მხოლოდ პროცენტულობით განსჯა, შინაარსის უკანა ფონზე გადატანა და ამაზე კრიტიკის დაშენება უსამართლოა. უფრო მეტიც, საქართველო დახმარებას სთხოვს ევროკავშირს მიერთების პროცენტულობის გაზრდაში. კერძოდ, საქართველოს სურს ევროკავშირმა განვითარებადი ქვეყნებისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების პაკეტებს დაურთოს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ის ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას ვერ გახდებიან დახმარების პაკეტების ბენეფიციარები. თუ ევროკავშირი ამ თხოვნას გაითვალისწინებს, საქართველოს მხრიდან CFSP რეზოლუციების მხარდაჭერა არსებული 44%-დან მინიმუმ 80%-მდე ავა და ეს იქნება უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერის და ერთგული მეგობრობის ნიშანი.

დღეს არსებული საერთაშორისო ვითარება განსაკუთრებით სახიფათოა ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც არის საქართველო. უკრაინაში რუსეთის მცირე წარმატების შემთხვევაშიც კი (რასაც, რა თქმა უნდა, არავინ იმედოვნებს), შემდეგი სამიზნე შესაძლოა საქართველო გახდეს. სწორედ საქართველოა უკანასკნელი დემოკრატიული ქვეყანა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რომელიც სწრაფი ნაბიჯით უახლოვდება ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებს, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება რუსეთის ხელისუფლების ინტერესებს.

უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის ფონზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საგარეო პოლიტიკას. პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე საქართველო ვერ გაუმკლავდება იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე დგას როგორც ცალკე აღებული ქვეყანა, ისე - შავი ზღვის რეგიონი და მთლიანად ევროპა. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ შავი ზღვის, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონები განსაკუთრებული საფრთხეების ქვეშაა. უკრაინაში მიმდინარე ომის გარდა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობა რეგიონულ გამოწვევად რჩება. ასევე, საქართველოს ტერიტორიები კვლავ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და, მიუხედავად პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების არარსებობისა, რუსეთი ყოველდღიურად იყენებს ჰიბრიდული ომის ელემენტებს, რომლებიც მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზთან მუდმივ პროვოკაციებს, მოქალაქეების გატაცებებს და მასობრივი დეზინფორმაციის კამპანიებს.

არსებობს რიგი საკითხებისა, რომლებიც ძალიან კარგად ხსნიან საქართველოს ამჟამინდელ პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას და, რომლებიც ევროკავშირმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს როგორც ზოგადი სურათის, ისე კონკრეტული ქმედებების შეფასებისას: უპირველეს ყოვლისა, საქართველოს არ გააჩნია უსაფრთხოების არანაირი გარანტია და ფაქტობრივად მარტო ხვდება რუსეთის მხრიდან მომავალ საფრთხეებს, რომლებიც შესაძლოა უკრაინაში მიმდინარე აგრესიის ფონზე აქტიურად აღარ ჩანდეს ზედაპირზე, მაგრამ საკმაოდ ბევრი და ყურადსაღებია. რუსეთი კვლავაც ფლობს უამრავ ბერკეტს და ინსტრუმენტს საქართველოს წინააღმდეგ, რომელთაგან ერთ-ერთი ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმის ჩატარების და მისი რუსეთთან მიერთების ვარიანტია, ასევე, ოკუპირებულ აფხაზეთში 40,000-ზე მეტი ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს, რომლებიც, ფაქტობრივად, რუსული რეჟიმის მძევლები არიან. საქართველოს მართებს სიფრთხილე და პრაგმატიზმი საერთაშორისო მანევრირებისას, რათა ისედაც რთული ვითარება უარესად არ გამწვავდეს. მაშინ, როდესაც ევროპას 30 წელი დასჭირდა გაეგო რას წარმოადგენდა რუსეთის ნამდვილი სახე, ეს საქართველომ ყოველთვის ძალიან კარგად იცოდა და ეს ცოდნა ქართველებმა საკუთარი მიწის დასაცავად დაღვრილი სისხლით დააგროვეს. ეს უდიდესი გამოწვევა და საშიშროება საქართველოს დღეს აიძულებს იმოქმედოს საშუალო სტატისტიკურ ევროპულ ქვეყანაზე გაცილებით ფრთხილად და აუცილებელია ამის კარგად გააზრება და ვითარების შეფასება კონტექსტიდან ამოვარდნილი კრიტიკის გარეშე.

ამასთან ერთად, საქართველოში აწუხებთ ევროკავშირის მხრიდან ყოფილი ასოცირებული ტრიოს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, კერძოდ, საქართველოს ჩამოშორება უკრაინისა და მოლდოვისგან და რიგი ორმაგი სტანდარტების გამოვლენა. ეს უკანასკნელი გამოჩნდა ისეთ საკითხებში, როგორიცაა მაგალითად, ორმხრივი სანქციების დაწესება რუსეთისთვის. საქართველოს შემთხვევაში რუსეთისთვის ორმხრივი სანქციების დაუწესებლობა ევროპაში კრიტიკულად აღიქვეს მაშინ, როდესაც მოლდოვას მიერ მიღებული იგივე გადაწყვეტილება არ იყო საგანგაშოდ აღქმული.

დასკვნა

ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომლებზე შეთანხმებას და რომელთა მოგვარებასაც უფრო სიღრმისეული ანალიზი სჭირდება. მიუხედავად ამისა, საქართველო რჩება ევროინტეგრაციის ერთგულად და ერთადერთ ხსნას სწორედ ევროკავშირსა და, ზოგადად, დასავლეთში ხედავს. შესაბამისად, ქვეყნისთვის 2023 წელი გარდამტეხია და ჩადებული შრომის, წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების, მტკიცე - საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული კავშირების ფონზე, დადებით შედეგს ელოდება დეკემბერში.

გამოყენებული ლიტერატურა

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221 (გადამოწმებულია 25.07.23).

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია-https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia, (გადამოწმებულია 25.07.23).

ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები: გამოწვევები და შესაძლებლობები ახალ გლობალურ კონტექსტში-https://www.eeas.europa.eu/node/19772_ka, (გადამოწმებულია 25.07.23).

12 რეკომენდაცია: რა და როგორ (არ) შეასრულა საქართველომ-https://netgazeti.ge/life/676214/, (გადამოწმებულია 25.07.23).

რუსული დეზინფორმაციის ტენდენციები საქართველოში უკრაინის ომის პარალელურად-https://idfi.ge/ge/tendencies_of_russian_disinformation_in_georgia_along_with_the_war_in_ukraine, (გადამოწმებულია 25.07.23).

ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა, მექანიზმები და სააგენტოები

ქეთევან ჩახავა
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების
ასისტენტ პროფესორი,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში ნათლად არის გაანალიზებული ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP), აგრეთვე ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ჩართულობა ევროპის გაძლიერების საქმეში. ორგანიზაციის დაარსების დღიდანვე განხორციელდა სხვადასხვა მცდელობა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელი ევროპული არმია, რომელიც ევროკავშირს უსაფრთხოების კუთხით მოქმედებებში ავტონომიურობას მიანიჭებდა.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად, გაუმჯობესდა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, განახლდა ევროკავშირის რეგულაციები, ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული ლიდერობა, საფუძველი დაედო თანამედროვე საგარეო პოლიტიკას, შეიქმნა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენელის თანამდებობა. ლისაბონის ხელშეკრულებამ საფუძველი დაუდო ევროკავშირის ახალი მიმართულებების ჩამოყალიბება-განმტკიცებას. CFSP-ის ფარგლებში ევროკავშირი ავითარებს ერთიან უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას (CSDP). CFSP-ის ქოლგის ქვეშ შესაძლებელი გახდა პოლიტიკური და ორგანიზაციული მექანიზმის ე.წ. „პეტერსბერგის მისიების“ განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკურ და სამხედრო მისიების ჩატარებას ევროკავშირის სიახლოვეს. მისიები კრიზისების მართვის ოპერაციების, კონფლიქტის პრევენციის, პოსტ-კონფლიქტური სტაბილიზაციის, განიარაღების ოპერაციების და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სტრატეგიის იმ მნიშვნელოვან დეტალებსა და მიმართულებებზე, რომლებიც ევროკავშირს უსაფრთხოების სფეროში კრიზისების აღმოფხვრის მიზნით დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას აძლევს. 2018 წლის ნოემბერში საბჭოს გადაწყვეტილებით EU Global Strategy-ის ახალი მიმართულებები შემუშავდა, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სამოქალაქო CSDP. სამოქალაქო CSDP მისიები განლაგებულია ევროკავშირის ფარგლებს გარეთ და მათი ძირითადი პასუხისმგებლობაა გაამლიერონ პოლიცია, ჩაატარონ მონიტორინგი, დაეხმარონ სახელმწიფოებს უსაფრთხოების სექტორის რეფორმების გატარებაში. ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის სამოქალაქო CSDP მისიები ასევე შესაძლებელია მიმართული იყოს მიმდინარე გამოწვევების გასამკლავებლად, როგორიცაა: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ჰიბრიდული საფრთხეები და კიბერუსაფრთხოება. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია CSDP მისიების არეალზე, სააგენტოებსა და ინსტიტუტებზე, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი ახორციელებს ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკას. საუბარია ევროკავშირის რამდენიმე მნიშვნელოვანი სააგენტოს შესახებ, როგორიცაა: ევროპის თავდაცვის სააგენტო EDA, პერმანენტულ სტრუქტურული თანამშრომლობა PESCO, ასევე, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური EEAS. განსხვავებული მექანიზმების და პოლიტიკური ინსტრუმენტების მოქმედების მიუხედავად ევროკავშირი ქმნის ერთიან პოლიტიკას საერთო მიზნის, ინტერესის და ხედვის შედეგად.

საკვანძო სიტყვები:
ევროკავშირი, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, უსაფრთხოების სტრატეგია, გლობალური სტრატეგია, ევროკავშირის სააგენტოები, CSDP მისიები.

Security Policy of the European Union Mechanisms and Agencies

Ketevan Chakhava
Assistant Professor of Security Studies Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctoral Student of the Program of International Relations
of Black Sea International University

Abstract

The article clearly analyses the involvement of the EU Common Foreign and Security Policy (CFSP) and Common Security and Defence Policy (CSDP) in strengthening European Security. Since the formation of the organization several attempts have been made related to the establishment of an independent European Army that would grant the autonomy to the EU in its security actions.

As a result of the 2009 Lisbon Treaty, the Common Foreign and Security policy was developed, EU regulations were renewed, centralized governance was formed, contemporary foreign policy was founded, the European External Action Service (EEAS) was established and the position of the High Representative for Foreign and Security Policy was introduced. Under the Lisbon Treaty the new EU directions were strengthened.

Through CFSP, the EU is developing a common security and defense policy (CSDP). Under the CFSP umbrella, the "Petersberg Missions" were implemented that represents the political mechanism which envisages conducting political and military missions close to the European Union. The aim of the missions is to strengthen crisis management operations, conflict prevention, post-conflict stabilization, disarmament and international security.

The article focuses on the important details and directions of the strategy that enables the EU act independently in crisis management situations. In November 2018, by the council decision the new directions of the EU Global strategy was formed, namely a civilian CSDP. Civil CSDP are deployed outside the EU and their primary responsibility is to strengthen the policy, to monitor, and assist the states in implementing security sector reforms.

EU civilian CSDP missions can also be addressed to the current challenges, such as: terrorism, organized crime, hybrid threats and cybersecurity.

The article focuses on the CSDP missions, EU agencies and institutions under which the EU conducts its security policy. The various EU agencies are discussed, such as: European Defence Agency (EDA). Permanent Structured

Despite the different mechanisms and political means the EU creates a unified policy as a result of a mutual aims, interests and vision.

Keywords:
European Union Common Foreign and Security Policy, Common Security and Defence Policy, Security Strategy, Global Strategy, EU Agencies. CSDP Missions.

შესავალი

ევროკავშირი წარმოადგენს პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაერთიანებას, რომლის შექმნის იდეაც წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებას და შესაბამისი გარემოებების შეთავაზებას ისახავდა მიზნად. ამ პროცესების რეალიზებისთვის ევროკავშირის უსაფრთხოებაც აუცილებელი პირობა გახდა. შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელთა პასუხისმგებლობა და საქმიანობა მოიცავს საკუთარი წვლილის შეტანას უსაფრთხოების გარემოს შენარჩუნებასა და ხელ-შეწყობაში. ყოველივე ეს ზრდის ევროკავშირის როლს მოლაპარაკებების წარმოების პროცესებში, უსაფრ-თხოების პოლიტიკის შემუშავებაში და კონფლიქტების მოგვარების კუთხით ავტონომიური მოქმედების უზრუნველყოფაში. მრავალი ცდის მიუხედავად, ევროკავშირის ქოლგის ქვეშ რამდენიმე შესაბამისი სტრუქტურის შექმნის გეგმა განხორციელების გარეშე დარჩა სხვადასხვა მიზეზთა გამო.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების საკითხებს, მკაფიოდ არის განსაზღვრული ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის CFSP მიმართულებებში. იგი მიმართულია ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების უსაფრთხოების გარემოს შექმ-ნისკენ. ამიტომ, ორგანიზაციის გამოწვევას წარმოადგენს განსაზღვროს და განახორციელოს ერთიანი სა-გარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, უზრუნველყოს მაღალი საერთაშორისო ურთიერთობების წარმარ-თვა ევროკავშირსა და მის ფარგლებს გარეთ ყველა სფეროში. კერძოდ:

- დაიცვას საკუთარი ღირებულებები, ინტერესები, უსაფრთხოება, სუვერენიტეტი და მთლიანობა;
- უზრუნველყოს დემოკრატიის, სამართლებრივი რეგულაციების, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გაძლიერება და მხარდაჭერა;
- შეინარჩუნოს მშვიდობა, ხელი შეუწყოს კონფლიქტების თავიდან აცილებას და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებას;
- დაეხმაროს ქვეყნებსა და რეგიონებს, რომლებიც დაზარალდნენ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად;

ზემოხსენებული მიზნები ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნების საერთო ძალისხმევის და ღონისძიებების შედეგად, რომლებიც ასევე მოიცავს როგორც ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრ-თხოების პოლიტიკის (CFSP), ასევე, ერთიან უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) მიმარ-თულებებსაც.

2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე გაძლიერდა ევროპის საგარეო და უსაფრ-თხოების პოლიტიკა (CFSP), ჩამოყალიბდა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS). 2016 წლიდან შემუშავდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, ხოლო 2017 წლიდან შეიქმნა პერმანენტულ-სტრუქტურული თანამშრომლობა (PESCO). (Studies, n.d.). გლობალურ სტრატეგიაზე დაყრდნობით, დამტკიცდა ევროკავშირის სტრატეგიული კომპასის ინიციატივა, რომელიც დამატებითი პოლიტიკურ-სამხედრო ჩართულობით მიზნად ისახავს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფას. ზემოხსენებული მექანიზმების მეშვეობით ევროკავშირის როლი უსაფრ-თხოებისა და მშვიდობის შენარჩუნებაში მეტად წარმატებული და მნიშვნელოვანი ხდება.[1]

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომელიც დაგვეხმარა გვეწარმოებინა ცალკეული სტატიების, დოკუმენტების და ინტერნეტმასალის კლასიფიცირება, შესწავლა და გაანალიზება. დაკვირვების შედეგად ასევე გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი, რომელიც უზრუნ-ველყოფს შინაარსის უკეთ გააზრებას, გაგებას და არგუმენტირებულ გადმოცემას.

ძირითადი ნაწილი

ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის მცდელობები

ევროკავშირი შეიქმნა როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც უზრუნ-ველყოფდა წევრი ქვეყნების კეთილდღეობას. ომის შემდგომ პერიოდში რამოდენიმე ხანმოკლე ინი-ციატივა შემუშავდა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის შეკავებისკენ და ევროპის უსაფრ-თხოების დაცვისკენ. 1950 წელს საფრანგეთის ინიციატივით, პლევენის გეგმით, უნდა შექმნილიყო ინტეგრირებული ევროპული არმია გაერთიანებული სარდლობის ქვეშ. 1950 წლიდან 1952 წლამდე ეს გეგმა გახლდათ განხილვის საგანი, რომლის შედეგადაც გაფორმდა ხელშეკრულება ევროპული თავდაცვის გაერთიანების (European Defence Community) ჩამოყალიბების შესახებ. თავდაცვის გაერთიანების მსგავსად ასევე უნდა შექმნილიყო პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ექნებოდა შესაბამისი მოვალეობები და უფლებები, თუმცა იგი უარყოფილ იქნა დეგოლის მთავრობის მიერ.

1 https://www.jstor.org/stable/pdf/resrep36321.6.pdf?refreqid=excelsior%3A403dea955564bc5be26a18ac6545e795&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=&acceptTC=1

შემდეგი გახლდათ ფუშეს გეგმა, რომლის შესახებაც დაიწყო მოლაპარაკებები 1960-იან წლებში და რომელიც მიმართული იყო ახლო პოლიტიკური თანამშრომლობისკენ, თუმცა ამ გეგმამაც კრახი განიცადა. 1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარადგინეს „დავინიონის მოხსენება", რომელიც ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის საფუძველი გახდა (European Political Cooperation – EPC). მისი ძირითადი მიზანი გახლდათ: ქვეყნებს შორის კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომლებიც წელიწადში ორჯერ მართავდნენ შეხვედრებს და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს აქტიურად განიხილავდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრების გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა დანიშნეს საკუთარი წამყვანი დიპლომატიური მოხელეები(„პოლიტიკური დირექტორი") და მათი პასუხისმგებლობა მოიცავდა 15 წევრი სახელმწიფოს თანამშრომლობის გაუმჯობესებას. 1974 წელს ევროპული საბჭოს შექმნამ, რომელიც ევროკავშირის საგარეო პოლიტის მართვას უზრუნველყოფდა, EPC-ის საქმიანობა მეტად კოორდინირებული გახადა.

ევროკავშირის ძირითად ამოცანებს, როგორც ევროკავშირის მოქალაქეობის შემოღებას, მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას ევროპის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე, ასევე ევროკავშირის ერთიან საგარეო პოლიტიკას და ერთიან თავდაცვის პოლიტიკას, განსაზღვრავს 1992 წლის 7 თებერვლის მაასტრიხტის ხელშეკრულება. იგი სულ 11 მუხლისგან შედგება, რომელიც მოიცავს: საერთო პოზიციებს, ერთობლივ ქმედებებს, საერთო თავდაცვის შემუშავებას და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. მაასტრიხტის ხელშეკრულების გაფორმებამდე ევროკავშირის მიზანს წარმოადგენდა გეგმა, რომ დასავლეთ ევროპის კავშირს შეესრულოებინა ევროკავშირის სამხედრო საყრდენის ფუნქცია. 1991 წელს დასავლეთ ევროპის კავშირის მინისტერიალზე აშშ-მ გააგზავნა ე.წ. ,,ბართლომეს ტელეგრამა", სადაც ნათლად იყო დაფიქსირებული, რომ ევროპის თავდაცვის სვეტი უნდა განვითარებულიყო ნატოს მეშვეობით. ამის შემდგომ განისაზღვრა ეგრეთ წოდებული ,,პეტერსბერგის ამოცანები".

1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი დაამატა. პეტერსბერგის ამოცანები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, რომლის შედეგად ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო ისეთი კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც საჭიროებენ სამშვიდობო ოპერაციებს, ჰუმანიტარულ მისიებს და სამაშველო ოპერაციებს. ასევე, ზემოხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე შემოღებულ იქნა სსუპ-ის უმაღლესი წარმომადგენლის (1999 წლიდან გახდა ხავიერ სოლანა - საბჭოს გენერალური მდივანი) პოზიცია.

2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულება CFSP

2007 წლის 13 დეკემბერს ხელი მოეწერა ლისაბონის ხელშეკრულებას, რომელიც ყველა სახელმწიფოს რატიფიცირების შედეგად 2009 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ხელშეკრულების შედეგად განახლდა ევროკავშირის რეგულაციები, ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული ლიდერობა, საფუძველი დაედო თანამედროვე საგარეო პოლიტიკას, შეიქმნა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა. აღნიშნული თანამდებობა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საბჭოს წარმომადგენელის, საგარეო საქმეთა საბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციებსაც მოიცავს.

ლისაბონის ხელშეკრულებამ განაახლა და განამტკიცა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით დაარსდა.[2]

ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (CFSP) ამ ორგანიზაციას ეხმარება ევროპული პოლიტიკის გლობალურ წარმოებაში. CFSP-ის მიზნებია: ევროკავშირის ღირებულებების, ფუნდამენტური ინტერესების, საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება, დამოუკიდებლობისა და მთლიანობის დაცვა; დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანთა უფლებების კონსოლიდაცია და საერთაშორისო სამართლის პრინციპების მხარდაჭერა. CFSP ხორციელდება ევროკავშირის საგარეო ქმედებათა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენელის წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით. CFSP-ის განხორციელების მიზნით ევროკავშირის ამოცანაა განსაზღვროს მითითებები, ქმედებები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები და გაძლიეროს ქვეყნებს შორის სისტემური თანამშრომლობა. უფრო მეტიც, CFSP-ის ფარგლებში ევროკავშირი ავითარებს ერთიან უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას (CDSP).

ამჟამად, CFSP-ის ქოლგის ქვეშ შესაძლებელი გახდა პოლიტიკური და ორგანიზაციული მექანიზმის „პეტერსბერგის მისიების" განხორციელება, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ და სამხედრო მისიების ჩატარებას ევროკავშირის სიახლოვეს. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული მისიები ითვალისწინებს: კრიზისების მართვის ოპერაციებს, მათ შორის კონფლიქტის პრევენციასა და სამშვიდობო მისიებს, პოსტკონფლიქტური სტაბილიზაციის ოპერაციებს, სამხედრო საკონსულტაციო და დამხმარე მისიებს, ერთობლივ განიარაღების ოპერაციებს და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებას.

2 https://eplo.org/wpcontent/uploads/2017/03/EPLO_Lisbon_Reform_Treaty_and_its_Effect CFSP.pdf

ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა - ბერლინ + შეთანხმება

1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე შედგა გეგმა, რომ ნატოსა და ევროკავშირს შორის გაღრმავებულიყო თანამშრომლობა უსაფრთხოების მიმართულებით, განვითარებულიყო ეფექტური კონსულტაციის, თანამშრომლობის და გამჭირვალობის ხელშემწყობი მექანიზმი, ასევე უზრუნველყოფილიყო ევროკავშირის მიერ ნატოს სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა. ეს გეგმა განხორციელდა 2002 წლის დეკემბერში ხელმოწერილი „ბერლინი + (Berlin Plus Agreement) შეთანხმებით", რომელმაც კიდევ უფრო მეტად გაამყარა და განამტკიცა ნატოს და ევროკავშირს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა. ნატო და ევროკავშირი ერთობლივი ძალებით მოახდენენ კრიზისების აღმოფხვრას, შეიარაღებული კონფლიქტების გადაჭრას და მშვიდობის შენარჩუნებას. რაც შეეხება ბერლინი + ხელშეკრულებას, იგი ძირითადად მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

- ევროკავშირს აქვს უფლება შეაღწიოს ნატოს ოპერაციული დაგეგმვის საშუალებებში;
- ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს შესაძლებლობები - სამხედრო ძალები, შეიარაღება;
- ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს სარდლობა;
- ევროპული ოპერაციებისთვის ნატოს ძალების გამოყოფა ხდება შესაძლებელი.

ევროკავშირის და ნატოს ბერლინ + ის ფორმატში თანამშრომლობის ნათელი მაგალითია იუგოსლავიის კონფლიქტის დროს ბოსნია - ჰერცოგოვინაში ნატოს SFOR-ის EUFOR Althea- ის და მაკედონიაში ნატოს Allied Harmony-ის მისიის EUFOR Concordia მისიით ჩანაცვლება.[3]

ევროკავშირის გლობალური სტრატეგია

ბოლო წლების პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ევროკავშირმა უსაფრთხოების სტრატეგიული ავტონომიის მიმართულებით დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა. გამომდინარე აქედან, 2016 წელს ევროკავშირმა მიიღო საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი „ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია". დოკუმენტი განსაზღვრავს ევროკავშირის მოქმედების სტრატეგიულ მიმართულებებს და საუბრობს ორგანიზაციის ინტერესებზე, მიზნებსა და ამოცანებზე. ასევე, დოკუმენტი ევროკავშირს უსაფრთხოების მიმართულებით ანიჭებს ავტონომიურად მოქმედების საშუალებას.[4] დოკუმენტის მეშვეობით საბჭომ მკაფიოდ განსაზღვრა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შემდგომი განვითარება, რომელიც მოიცავს შემდეგ პრიორიტეტებს: რეაგირება გარე კონფლიქტებსა და კრიზისებზე, პარტნიორობის განმტკიცება, ევროკავშირისა და მისი მოქალაქეების დაცვა. დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირის მიდგომა კონფლიქტებისადმი არის მრავალგანზომილებიანი-შესაძლებელია ყველა ინსტრუმენტის გამოყენება, მრავალფაზიანი-შესაძლებელია კონფლიქტის ყველა ეტაპზე ჩართულობა, მრავალდონიანი-ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით და მრავალმხრივი - შესაძლებელია კონფლიქტის ყველა მხარის ჩართულობა. გლობალურ სტრატეგიაში საუბარია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გაყინული კონფლიქტების საკითხებზე მუშაობასა და ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ. 2018 წლის ნოემბერში, საბჭოს გადაწყვეტილებით, EU Global Strategy-ის ახალი მიმართულებები შემუშავდა, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სამოქალაქო CSDP.[5]

ამასთანავე, 2022 წელს, გლობალურ სტრატეგიაზე დაყრდნობით, დამტკიცდა ევროკავშირის სტრატეგიული კომპასის ინიციატივა, რომელიც დამატებითი პოლიტიკურ-სამხედრო ჩართულობით მიზნად ისახავს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფას. სტრატეგიული კომპასი მოიცავს საფრთხეების ანალიზს და განსაზღვრავს ორგანიზაციის მკაფიო მიმართულებებს: კრიზისების მართვა, მედეგობა, შესაძლებლობების განვითარება და პარტნიორობის განმტკიცება.

სტრატეგიული კომპასის მიზანია ევროკავშირი გახდეს მეტად ძლიერი და ქმედითი უსაფრთხოების პოლიტიკის გამტარებელი, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები და წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაში. იგი მოიცავს თავდაცვის პოლიტიკის ყველა ასპექტს და სტრუქტურირებულია 4 სვეტის გარშემო: მოქმედება, უსაფრთხოება, ინვესტიცია და თანამშრომლობა. სტრატეგიული კომპასის ინიციატივები წარმოადგენს შემდეგს:

მოქმედება: 5000 კაციანი სწრაფი რეაგირების ძალების განლაგება კრიზისულ სიტუაციებში; რთულ გარემოში, 30 დღის განმავლობაში, სრულად აღჭურვილი CSDP მისიის 200 ექსპერტის განთავსების მზადყოფნა; რეგულარული წვრთნების ჩატარება ხმელეთსა და ზღვებზე; სამხედრო მობილობის გაძლიერება; ევროკავშირის სამოქალაქო და სამხედრო CSDP მისიების და ოპერაციების გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და მოქნილი პროცესის ხელშეწყობით, ფინანსური უზრუნველყოფა; პარტნიორობის გაღრმავების მიზნით ევროპული სამშვიდობო მექანიზმის (European Peace Facility) სრულად ათვისება.

უსაფრთხოება: დაზვერვის შესაძლებლობების გაზრდა; ჰიბრიდული საფრთხეების დასადგენად

3 Berlin Plus agreement (europa.eu)

4 https://www.jstor.org/stable/pdf/resrep28784.pdf?refreqid=fastly-default%3Affb8000c85cb1aecfc6dc73b06202063&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=search-results

5 A Strategic Compass for Security and Defence | EEAS (europa.eu)

და რეაგირების მიზნით სხვადასხვა ინსტრუმენტების და მექანიზმების შექმნა; ევროკავშირის კიბერ თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება, რათა უკეთ მოხდეს კიბერშეტევებზე რეაგირება, ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის „EU Space Strategy" შემუშავება; ევროკავშირის „საზღვაო უსაფრთხოების" როლის გაძლიერება.

ინვესტიცია: ევროკავშირის წევრი ქვეყნების წახალისება ერთიანი შესაძლებლობებით განახორციელონ ინვესტიციები სტრატეგიული მიმართულებით; თავდაცვის ტექნოლოგიური ინოვაციების გაძლიერება სტრატეგიული ხარვეზების შესავსებად;

თანამშრომლობა: თანამშრომლობის გაძლიერება ისეთ სტრატეგიულ პარტნიორებთან, როგორებიცაა ნატო, გაერო და რეგიონული პარტნიორები, მათ შორის ეუთო, AU და ASEAN; ორმხრივი პარტნიორობის განვითარება თანამოაზრე ქვეყნებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან, როგორიცაა აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი და სხვა; დასავლეთ ბალკანეთში, აღმოსავლეთ და სამხრეთ სამეზობლოში, აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში პარტნიორობის განვითარება, მათ შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერების გზით, CSDP მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობის წახალისება და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.

ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა CSDP - სამოქალაქო CSDP

2018 წელს წევრი სახელმწიფოების მიერ ევროკავშირის ფარგლებში დაარსდა სამოქალაქო ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა. ხელშეკრულება მოიცავს სტრატეგიულ სახელმძღვანელოებსა და რამდენიმე პოლიტიკურ ვალდებულებას, რომელიც CSDP მისიების გაძლიერებას და ქმედითუნარიანობას უსვამს ხაზს. ხელშეკრულებაში ნათლად არის განსაზღვრული სამოქალაქო ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით წარმოებულ მისიებში ადამიანური რესურსების მინიმუმ 70 პროცენტამდე გაზრდა.[6]

2003 წლიდან ევროკავშირი ჩართულია CSDP მისიებში, მათ ეწოდებათ სამოქალაქო მისია, რადგან სამოქალაქო სამეთაურო რგოლით იმართებიან, ხოლო სამხედრო მისიები მოქმედებენ სამხედრო სარდლობის მეშვეობით. სამოქალაქო CSDP მისიები განლაგებული არიან ევროკავშირის ფარგლებს გარეთ და მათი ძირითადი პასუხისმგებლობაა გააძლიერონ პოლიცია, სამოქალაქო სამსახურები, ჩაატარონ მონიტორინგი, დაეხმარონ სახელმწიფოებს უსაფრთხოების სექტორის რეფორმების გატარებაში. ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის სამოქალაქო CSDP მისიები ასევე შესაძლებელია მიმართული იყოს მიმდინარე გამოწვევების გასამკლავებლად, როგორიცაა: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ჰიბრიდული საფრთხეები და კიბერუსაფრთხოება.

აღშანიშნავია, რომ CSDP საერთაშორისო მისიების მოქმედების არეალი მოიცავს კოსოვოს (EULEX), საქართველოს (EUMM), ერაყს (EUAM), ლიბიას (EUBAM), მალის (EUCAP Sahel Mali). ისინი ასევე ჩართულნი არიან ეუთოს და გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის სააგენტოები და ინსტიტუტები, რომელთა ფარგლებშიც ევროკავშირი ახორციელებს კონტრიბუციებს და მოქმედებს უსაფრთხოების მიმართულებით. რამდენიმე მათგანია: ევროპის თავდაცვის სააგენტო EDA,[7] პერმანენტული სტრუქტურული თანამშრომლობა PESCO,[8] ასევე ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური EEAS.[9]

ევროპის თავდაცვის სააგენტო შეიქმნა 2004 წლის 12 ივლისს მინისტრთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით და წევრი სახელმწიფოების კრიზისების მართვის სფეროში ევროპული თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. EDA მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება და სამხედრო თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, EDA მართავს ერთობლივ პროექტებს, რათა მოხდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტექნოლოგიების და კვლევით სფეროში განვითარება. მისი მეშვეობით ხდება დადგენა თუ რა სჭირდებათ შეიარაღებულ ძალებს, სად არის ხარვეზები და როგორ უნდა მოხდეს მათი შევსება. EDA PESCO-სთან თანამშრომლობით ეხმარება ქვეყნებს ერთად შეიმუშაონ ახალი პროექტები. EDA უზრუნველყოფს ერთობლივ სამხედრო ტრენინგებსა და წრთვნებს, იგი ასევე მოიცავს კიბერუსაფრთხოების მიმართულებას.

ზემოხსენებული მექანიზმების დახმარებით ევროკავშირის როლი უსაფრთხოების კუთხით უდაოდ გაიზარდა და გაძლიერდა. ნატოს და ევროკავშირის სტრატეგიული თანამშრომლობაც მეტად განმტკიცდა. მათ აქვთ საერთო მიზნები, ინტერესები, პასუხისმგებლობები, მოქმედებები და გამოწვევები.

6 https://www.jstor.org/stable/pdf/resrep36290.10.pdf?refreqid=fastly-default%3Affb8000c85cb1aecfc6dc73b06202063&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=search-results

7 https://eda.europa.eu/

8 https://www.jstor.org/stable/pdf/resrep14131.pdf?refreqid=fastly-default%3Affb8000c85cb1aecfc6dc73b06202063&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=search-results

9 https://www.eeas.europa.eu/eeas/european-union-military-staff-eums_en

დასკვნა

ევროკავშირი აძლიერებს შიდა უსაფრთხოების პოლიტიკას წევრ ქვეყნებთან, ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან განსაკუთრებული თანამშრომლობის საშუალებით. ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის და ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მეშვეობით ევროკავშირის როლი, როგორც არამხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის, არამედ როგორც უსაფრთხოების სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორის როლი კიდევ უფრო მეტად განვითარდა და გაძლიერდა. ორგანიზაციის ფარგლებში არსებული ინსტრუმენტების გამოყენება ევროკავშირს შესაძლებლობას აძლევს ხელი შეუწყოს საკუთარი მოქალაქეების დაცვას, კიბერუსაფრთხოებას, უზრუნველყოს დემოკრატიის, სამართლებრივი რეგულაციების, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გაძლიერება და მხარდაჭერა, შეინარჩუნოს მშვიდობა, უზრუნველყოს კონფლიქტების პრევენცია და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება.

მიუხედევად იმისა, რომ ევროკავშირი მოქმედებს სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით, კოორდინირებს ევროკავშირის სხვადასხვა სააგენტოებისა და სტრუქტურების მეშვეობით, არსებობს საერთო ხედვა, მიზანი, ინტერესი და შესაძლებლობა, რაც ამ მექანიზმების ერთიანად და ეფექტურად მუშაობის მთავარი და ძირითადი პრინციპია.

გამოყენებული ლიტერატურა

https://www.jstor.org/stable/pdf/resrep36321.6.pdf?refreqid=excelsior%3A403dea955564bc-5be26a18ac6545e795&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=&acceptTC=1

https://eplo.org/wpcontent/uploads/2017/03/EPLO_Lisbon_Reform_Treaty_and_its_Effect CFSP.pdf

Berlin Plus agreement (europa.eu)

(https://www.jstor.org/stable/pdf/resrep28784.pdf?refreqid=fastly-default%3Affb8000c85cb1aecfc6dc-73b06202063&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=search-results)

A Strategic Compass for Security and Defence | EEAS (europa.eu)

https://www.jstor.org/stable/pdf/resrep36290.10.pdf?refreqid=fastly-default%3Affb8000c85cb1aecfc6dc-73b06202063&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=search-results

(https://eda.europa.eu/)

(https://www.jstor.org/stable/pdf/resrep14131.pdf?refreqid=fastly- default%3Affb8000c85cb1aecfc6dc-73b06202063&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=search-results)

(https://www.eeas.europa.eu/eeas/european-union-military-staff-eums_en)

საქართველო, როგორც „რუხი ზონა“ და პლაცდარმი ჰიბრიდული აგრესიის საწარმოებლად

ქეთევან მესხიძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
სოციოლოგიის დოქტორი

აბსტრაქტი

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ომისა და მშვიდობის პრობლემა. თუმცა, ბევრია შემთხვევა, რომელსაც შესაძლოა პირობითად ეწოდოს „არც ომი“ და „არც მშვიდობა.“ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა **საქართველო, როგორც „რუხი ზონა“, შუალედური რგოლი ომსა და მშვიდობას შორის და სივრცე მრავალი პრობლემის კონცენტრაციისთვის.**

„რუხი ზონები“ მოიცავს აგრესიულ სახელმწიფოთა სტრატეგიებს მაღალი ფსონებით, რომელშიც თითოეული მონაწილე ღია ან ფარული მეთოდების, პროვოკაციებისა და კონფლიქტების საშუალებით იყენებს ზემოქმედებისა და დაშინების სხვადასხვა ინსტრუმენტს „ომის საბოლოო მიზნების“ მისაღწევად.

ამჟამად არსებული საინფორმაციო სივრცის მილიტარიზაციის პროცესი, იწვევს გეოპოლიტიკური ბალანსის შესაცვლელად ძალისმიერი მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული შეხედულებების ცვლილებებს. ყველაზე მისაღები ხდება მეთოდები, რომლებიც თავისი ბუნებით ზღუდავენ ესკალაციის შესაძლებლობებს, თუმცა, ქმნიან რიკებს მნიშნელოვანი სივრცეების ქაოტიზაციისთვის. (მატოსი, ვისაკრო 2020. 195).

თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების გამოცდილება ადასტურებს, რომ სამხედრო ძალის გამოყენება ძვირი ჯდება, ყოველთვის არ იძლევა მოსალოდნელი ეფექტის მიღების საშუალებას და არცთუ ისე ხშირად მივყავართ გაუთვალისწინებელ შედეგებამდე.

აღნიშნული გარემოება მკვეთრად ზრდის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში „დიდ მოთამაშეთა“ ინტერესებს სახელმწიფოთაშორისი კონკურენციის ინსტრუმენტების - განსაკუთრებით, „რუხ ზონებში“ მოქმედებებისა და კლასიკური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ არსებული სამხედრო-ძალისმიერი მეთოდების მიმართ.

ადრე ამ კატეგორიის მეთოდების გამოყენებას (ინფორმაციული, ფსიქოლოგიური და კიბერნეტიკული ზემოქმედების ტექნოლოგიებზე დაფუძნებული) სიფრთხილით ეკიდებოდნენ: ჯერ კიდევ ხუთი-შვიდი წლის წინ, ეს მეთოდები არასრულყოფილი იყო და არ იძლეოდა გარანტირებულ შედეგს, გამოირჩეოდა მაღალი რისკით თავდასხმის ორგანიზატორთა და წარმმართველ ძალთა შესახებ მონაცემთა გამჟღავნების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, უმთავრესად შერწყმული იყო და გამოიყენებოდა პირდაპირი სამხედრო აგრესიის უფრო საიმედო, მძლავრ და კარგად დამკვიდრებულ მეთოდებთან ერთად. ამჟამად, აღნიშნული მეთოდები წარმატებით გამოიყენება „რუხ ზონებში“, განსაკუთრებით, ჰიბრიდული ომების სახით, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს და მოიცავს სხვადასხვა - პოლიტიკური, ინფორმაციული და სამხედრო-ძალისმიერი ხასიათის ინსტრუმენტებს, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევაში პოლიტიკის, როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო საშუალებების გამოყენებით გაგრძელების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები:
„რუხი ზონები“, აგრესიული სახელმწიფოები, სამხედრო-ძალისმიერი მეთოდები, ჰიბრიდული ომი, გეოპოლიტიკური ბალანსი.

Georgia as a „Gray Zone“ and a Springboard for Hybrid Aggression

Ketevan Meskhidze
Associate Professor of Security Studies Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Abstract

Throughout the history of human development, one of the important issues is the problem of war and peace. However, many cases could conditionally be called „neither war“ nor „peace“ (Mazarr 2015. 57). From this point of view, **Georgia is particularly interesting as a „gray zone“, an intermediate link between war and peace and a space where many problems are concentrated.**

The „Grey zones“ include aggressive state strategies with high stakes, in which each participant uses various tools of influence and intimidation through overt or covert methods, provocations, and conflicts to achieve the „ultimate goals of war“ (Hoffman 2014. 46).

The currently existing process of militarization of the information space leads to a change in views associated with the use of forceful methods of changing the geopolitical balance. The most acceptable methods are those that, by their very nature, limit the possibilities of escalation, but create haystacks for the chaos of meaningful spaces (Mattos, Visacro 2020. 195).

The experience of modern military conflicts confirms that the use of military force is expensive, does not always give the expected effect, and rarely leads to unforeseen consequences.

This circumstance sharply increases the interest of „major players“ in the system of international relations towards the instruments of interstate competition, especially in actions in the „gray zones“ and forceful methods below the classical conflict threshold.

Previously, the use of methods in this category (based on information-psychological and cybernetic influence technologies) was treated with caution: even five to seven years ago, these methods were imperfect and did not give a guaranteed result, they were characterized by a high risk in terms of disclosing data about the organizers and driving forces of the attack. Therefore, it was mainly combined and used with more reliable, powerful, and well-established methods of direct military aggression. Currently, the mentioned methods are successfully used in “gray zones”, especially in the form of hybrid wars, which are a complex phenomenon and include various - political, informational, and military-power tools, which in some cases allow the continuation of politics using both military and non-military means (Mattos, Visacro 2020. 186).

Keywords:
„Gray zones“, Aggressive states, Military-power tools, Hybrid war, Geopolitical balance.

შესავალი

ისტორია აჩვენებს, რომ ომი არა მხოლოდ წარმოადგენს საზოგადოების განვითრების ყველა ეტაპის განუყოფელ ელემენტს, არამედ დიდი ხანია ინტეგრირებულ იქნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იქცა ამ უკანასკნელის განვითრებისა და ცვლილებების თავისებურ განმსაზღვრელ ფაქტორად. ამასთან, ომის არსი და მნიშვნელობა, მიზნები და მიზეზები, სამხედრო პრობლემების გადაჭრის მეთოდები, განისაზღვრება თავად სოციალური რეალობის ცვლილებებითა და მისი ევოლუციით.

ადრეული პერიოდისა და XX საუკუნის ომების უმეტესობის რეალურ მიზეზს სხვისი ტერიტორიების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების სფეროების ხელში ჩაგდება და მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლა წარმოადგენდა.

ამჟამად, სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების ახალ ფორმად იქცა ჰიბრიდული ომი, რომელიც რთული შიდა სტრუქტურის მატარებელია და მიმდინარეობს როგორც ინტეგრირებული სამხედრო-პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური, ინფორმაციული და კულტურულ-მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა შეიარაღებული ძალებისა და არარეგულარული ფორმირებების კომბინირებული გამოყენებით.[1]

თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების გამოცდილება ადასტურებს, რომ სამხედრო ძალის გამოყენება ძვირი ჯდება, ყოველთვის არ იძლევა მოსალოდნელი ეფექტის მიღების საშუალებას და არცთუ ისე ხშირად მივყავართ გაუთვალისწინებელ შედეგებამდე.

აღნიშნული გარემოება მკვეთრად ზრდის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში „დიდ მოთამაშეთა“ ინტერესებს სახელმწიფოთაშორისი კონკურენციის ინსტრუმენტების - განსაკუთრებით, „რუხ ზონებში“ მოქმედებებისა და კლასიკური კონფლიქტის ზღვარს ქვემოთ არსებული სამხედრო-ძალისმიერი მეთოდების მიმართ.

ძირითადი ნაწილი

ჰიბრიდული ომის ფენომენის წარმოშობამ, რომელმაც 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დასაწყისში თავი იჩინა, როგორც თანამედროვე სამხედრო სტრატეგიების მნიშნელოვანმა კომპონენტმა, ახალი თვისებრიობა შესძინა თანამედროვე მრავალგანზომილებიან კონფლიქტებს.

სამხედრო მოქმედებათა ჰიბრიდულ სცენარებში, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა **„რუხი ზონებისა“ და ჰიბრიდული ომის ფენომენს, რომელიც წარმოდგენილია როგორც მთავარი სტრატეგიული გეგმის მზიდი კონსტრუქცია**, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე სამხედრო მოქმედებათა მთავარ მიმართულებას.

თანამედროვე ომის ძრითადი არსი ამჟმად და სამომავლოდ იგივე რჩება და დიდწილად დამოკიდებული **იქნება ბრძოლის წარმოების სტრატეგიაზე, მეთოდებსა და საშუალებებზე.**

„რუხ ზონებში“ წარმოებული ჰიბრიდული ომის სტრატეგიის მნიშვნელოვან მახასიათებელს სწორედ **მისი განხორციელების ეტაპობრივი მიდგომა წარმოადგენს**, რომლის არსი მდგომარეობს არა ცალკეული ოპერატიულ-ტაქტიკური მიზნების მიღწევაში, **არამედ „უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის“ შედეგად, ტაქტიკურ დონეზე მიმდინარე ერთი შეხედვით უმნიშნელო ფაქტებისა და მოვლენებიდან მცირე ზვავის ფორმირებაში, რომლებიც იძენენ სტრატეგიული კატალიზატორის როლსა და უნარს სრულიად ახალი რეალობის ჩამოსაყალიბებლად**, რასაც შეუძლია გავლენის მოხდენა მთელი სამხედრო კამპანიის მიმდინარეობაზე. ცხადია, ასეთი მიდგომა, ართულებს მოწინააღმდეგის შეკავების ამოცანას, ბალანსის შენარჩუნებასა და მოითხოვს კოორდინირებული კონტრ-ზომების გატარებას.[2]

„უთანხმოება და შეხლა-შემოხლა“ განუყოფლადაა დაკავშირებული **დაუძლურებისა და გამოფიტვის** ფაქტორთან, რომლის ზემოქმედებასაც არასათანადო ყურადღება ექცეოდა სამხედრო თეორიებში.

ჰიბრიდული ომის **გამოფიტვისა და დაუძლურების სტრატეგია** გათვლილია მრავალ წელზე და მოიცავს ქმედებების ფართო სპექტრს, სამხედრო და არარეგულარული შეიარაღებული ფორმირებების, აგრეთვე ეკონომიკის, სამხედრო უსაფრთხოების, კულტურულ-მსოფლმხედველობრივი სფეროების ქაოტიზაციის ოპერაციის ერთიანი ჩანაფიქრისა და გეგმის ფარგლებში გამოყენებას კიბერ-შეტევებთან ერთად. აგრესორი სახელმწიფო ფარულად, ომის ფორმალურად გამოცხადების გარეშე ახორციელებს შეტევას მოწინააღმდეგე ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურებზე, კულტურულ-მსოფლმხედველობრივ სფეროზე, სამართალდამცავ ორგანოებსა და რეგულარულ არმიაზე.

ახალი თაობის კონფლიქტების სტრატეგიის უმნიშნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორს **ოპერატიულ დაგეგმარებაში „რუხი ზონების“ ცნების, როგორც ჰიბრიდულ საომარ მოქმედებათა თეატრის გაჩენა და გამოყენება** წარმოადგენს. ჰიბრიდულ სბრძოლო მოქმედებათა თეატრის მომზადება კომპლექსური ამოცანაა, რომლის გადაჭრა მოითხოვს როგორც მოსაზღვრე ტერიტორიის, ისე ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზსა და გაცვლას.[3] ასეთი ამოცანის

1 J.Votel, Unconventional Warfare in the Zone, Joint Force Quarterly Issue 80; 2016, p.101;

2 C.V Clausewitz- a book on war and military strategy; Paperback, 11;2013, p.59-90.

3 J. Chambers, Countering Gray-Zone Hybrid Threats; Modern War Institute, 2016, p.26.

გადაჭრისთვის მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება თანამედროვე ოპერაციული გარემოს ჩამოყალიბებას, რომელზეც განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს გეოპოლიტიკა, რომლის მნიშვნელოვან კატეგორიად გვევლინება „პოლიტიკური სივრცის“ ცნება, რომელიც შემოსაზღვრულია საზღვრებით და წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ნიშანთვისებას და გამოდის მისი უსაფრთხოების ფაქტორად. **საზღვრების გეოპოლიტიკური პრობლემა თავს იჩენს ყოველთვის, როდესაც იწყება ბრძოლა პოლიტიკური სივრცის კონტროლის, მიერთებისა და ათვისებისთვის.**

„რუხი ზონები“ წინასწარ იქმნება სახელმწიფოებსა და რეგიონებში, რომლებიც შერჩეულია, როგორც პლაცდარმი მთავარ მოწინააღმდეგესთან დასაპირისპირებლად, **ეტაპობრივი, თანდათანობითი, მდორედ მიმდინარე.**

აგრესიის საშუალებით, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგე ქვეყნის შესასუსტებისა და დესტაბილიზაციისკენ. ამ მიზნით, „რუხ ზონებში“ ფართოდ გამოიყენება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ზემოქმედება, „პროქსი ძალები“, მეხუთე კოლონა და სპეციალური ოპერაციების ძალები დასახული მიზნების მისაღწევად. ამასთან, დაპირისპირება „რუხ ზონებში“ ვითარდება ომის არსის გაგების საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ზღვარს ქვემოთ, რომელიც ამ უკანასკნელის თანახმად კვალიფიცირდება როგორც აგრესია და შეუძლია სამხედრო საპასუხო რეაგირების პროვოცირება.[4]

ჰიბრიდულ საომარ მოქმედებათა თეატრის მომზადებისთვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს:

ა) საპროტესტო მოძრაობისთვის, შემდეგ კი როგორც გარე დაინტერესებული ძალების შეიარაღებული ფორმირებებისთვის, ისე შიდა შესაძლებლობების გამოსაყენებლად მდგრადი დაფინანსების წყაროების ძიება;

ბ) ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში საპროტესტო საზოგადოებრივი ჯგუფების გამოვლენა, რომლებსაც შეუძლიათ არაძალისმიერ, შემდეგ კი ძალისმიერი ხასიათისა და შესაძლო სამოქალაქო ომამდე მისულ დაგეგმილ აქციაში მონაწილეობა;

გ) პრაქტიკული ლოზუნგების განსაზღვრა, რომლებიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება საპროტესტო საზოგადოებრივი ჯგუფების რეალურ მოთხოვნებთან, რომელთა მოქმედება საბოლოო ჯამში, შესაძლოა გამოყენებულ იქნას არსებული ხელისუფლების დელეგიტიმაციისა და გატეხვისთვის;

დ) პოლიტიკური გაერთიანებების განსაზღვრა და ლიდერების მომზადება, რომლებსაც უნარი შესწევთ სათავეში ჩაუდგნენ პოლიტიკურ პროტესტს;

ე) ქვეყნის შგნით და საზღვარგარეთ სპეციალიზირებულ ბანაკებში საველე მეთაურებისა და ბოევიკების მომზადება ძალისმიერი აქციებისთვის, საზღვარგარეთ სამობილიზაციო პუნქტებისა და დაქირავებულ პირთა გადასროლის მარშრუტების ორგანიზება, იარაღისა და ორგტექნიკის წინასწარ

დასაწყობება;

ვ) ოპოზიციის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და მისი ექსპანსიის განხორციელება რეგიონებში, უპირველეს ყოვლისა, ოპოზიციის მიერ სამამულო და საზღვარგარეთის ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კოორდინირებული გამოყენების საშუალებით; დიდი მნიშნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას;

ზ) ძირგამომთხრელი საქმიანობის, მომარაგების, კავშირისა და არსებული ვითარების მონიტორინგის მართვის ქსელების სტრუქტურის აგება/ორგანიზაცია;

თ) დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო საზღვრის ფარულად გადმოკვეთისთვის ადგილის შერჩევასა და ბოევიკთა კონსპირაციულად განთავსებას მათ შესაძლოა გამოყენების ადგილთან ახლოს.

ისეთ პირობებში, როდესაც ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური არსებობის ფაქტორად იქცა, ახალი საფრთხეების წინააღმდეგ წარმატებით დაპირისპირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება ომთან დაკავშირებით ახალი ცოდნის დროულად ჩამოყალიბებასა და ამის საფუძველზე სახელმწიფოს სტრატეგიის განსაზღვრაზე მთლიანობაში.

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრისას, მიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ორ უმთავრეს კომპონენტს: **„ხისტ“, უხეშ ძალას, რაც ნიშნავს ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური ძლიერებით განპირობებულ იძულების უნარს და „რბილ“ ძალას**,[5] როდესაც ქვეყანა იზიდავს სხვა ქვეყნებს თავისი კულტურით, პოლიტიკური იდეალებითა და პროგრამებით. „რუხ ზონებში“ ოპერაციების დაგეგმვისთვის განმსაზღვრელი ზემოქმედება აქვს **ე.წ. „ჭკვიანი ძალის“** გამოყენების კონცეფციას, რომელიც აგებულია „ხისტი და რბილი ძალის“ რესურსებისა და შესაძლებლობების კომბინირებისა და კოორდინირებულად გამოყენების უნარზე. აღნიშნულ კონტექსტში „რუხი ზონების“ სივრცის ფორმირებისთვის აქტიურად ხდება სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტების გამოყენება. საქართველოსთვის, როგორც ჰიბრიდული ომის მსხვერპლი სახელმწიფოსთვის, რომლის წინააღმდეგ წლების განმავლობაში აქტიურად ხორციელდება ჰიბრიდული ომი „მცოცავი“ ოკუპაციისა თუ იძულების ფართო სპექტრის გამოყენებით, პრინციპულად ახალი არაფერია.

უკვე არაერთი წელია რაც რუსეთი ქმნის „რუხ ზონებს“ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და იყენებს მას პლაცდარმად ჰიბრიდული ომის საწარმოებლად. ასე მოხდა საქართველოს შემთხვევაშიც.

ჯერ კიდევ 1991 წლიდან, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო ამაოდ ცდი-

4 M.Mazarr, Mastering the Gray Zone: Understending a Changing Era of Conflict. Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press, 2015, p.38.

5 J.Nye Soft Power: The means to Success In World Politics; New York: Oxford University Press, 2015;

ლობდა თავი დაეღწია რუსული პოლიტიკური სივრცისგან და კურსი დასავლეთისკენ აიღო. ამის საწინააღმდეგოდ, რუსეთი ახდენდა არეულობებისა და სამოქალაქო ომების პროვოცირებას საქართველოს ორ რეგიონში - აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მხარს უჭერდა სეპარატისტულ მოძრაობას და ინსპირირებას უკეთებდა შეიარაღებულ დაპირისპირებას. 1992-1993 წლებში მოახდინა მათი ოკუპაცია და სამშვიდობო ძალების სტატუსით იქ ჯარი შეიყვანა.[6]

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ისე როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, შეიქმნა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ამით რუსეთმა ჩადო ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც მაშინ უნდა ამოქმედებულიყო, როდესაც რუსეთის ჰეგემონიას კავკასიის რეგიონში, კერძოდ კი საქართველოში, საფრთხე დაემუქრებოდა. მრავალი წლის განმავლობაშ კრემლი უწყვეტ რეჟიმში ატარებდა ანტიქართულ პოლიტიკას, რომელიც იდეოლოგიურად მიმართული იყო ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციისა და ქართველების მიმართ გაუცხოებისკენ.

აფხაზები და ოსები ფლობდნენ ფართო უფლებებს ავტონომიის ფარგლებში. არსებობდა ყველა პირობა აფხაზური და ოსური კულტურის განვითარებისა და ენობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. ისტორიული მემკვიდრეობა იყო დაცული და არ არსებობდა არანაირი ობიექტური მიზეზი ამ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტის აღმოცენების თვალსაზრისით.

სისხლისმღვრელი დაპირისპირება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, იყო სრულად ინსპირირებული და მართული კრემლის მიერ.

1994 წელს კრემლმა თავის მიზანს მიაღწია, რუსეთმა შეძლო შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება, რომლის შედეგადაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ იქნა ორი სეპარატისტული ანკლავი, რომლებიც პირდაპირ მოსკოვის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ.

ამ რეგიონების მეშვეობით რუსეთი ზემოქმედებას ახდენდა საქართველოს განვითარებაზე, მის საგარეო-პოლიტიკურ კურსსა და ორიენტაციაზე. სამშვიდობო სტატუსით განათვსა თავისი ჯარები კონფლიქტურ რეგიონებში და უზრუნველყო კიდეც მათი იქ ყოფნა შესაბამისი შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით.[7]

მოსკოვი მთლიანად აკონტროლებდა ვითარებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. **თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების განთავსების შედეგად საქართელომ დაკარგა არამარტო დე-ფაქტო ტერიტორიული მთლიანობა, არამედ, ნაწილობრივ, თავისი სუვერენიტეტიც**.

სოხუმსა და ცხინვალში ჩამოყალიბდნენ სეპარატისტული ხელისუფლებები, რომლებიც მოსკოვიდან დანიშნული ჩინოვნიკების მიერ იმართებოდნენ. ისინი კრემლიდან ფინანსდებოდნენ და მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ რუსეთზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ დონეზე.

არაკონტროლირებადი ტერიტორიების გამოყენება კი ხდებოდა იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტისთვის. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი გახდა თავისებური „შავი ხვრელი", რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა საყოველთაო კონტრაბანდა და ამ თვალსაზრისით **განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერგნეთის ბაზრობა**, საიდანაც საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში ხდებოდა უკანონო საქონლის მასიური შემოდინება.[8]

კრემლი მიზნად ისახავდა შეენარჩუნებინა სტატუს-კვო საქართველოში, კერძოდ, კონფლიქტურ რეგიონებში. მას არ აწყობდა კონფლიქტის დარეგულირება, რამდენადაც ამით იგი კარგავდა თბილისზე ზეწოლის ბერკეტებს. ამიტომ, წლების განმავლობაში, მშვიდობიანი მოლაპარაკებები, სადაც რუსეთი წარმოადგენდა მთავარ მოქმედ პირს, ფაქტობრივად ატარებდა ფორმალურ ხასიათს. რუსეთმა შექმნა ილუზია, რომ მხოლოდ ის წარმოადგენდა მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტს და სხვა ალტერნატივა არ არსებობდა.

კონფლიქტურ ზონებში რუსეთისთვის სასურველი პირობები დაირღვა მას შემდეგ, რაც 2003 წელს ახალგაზრდა, პროდასავლურად განწყობილმა ჯგუფმა მშვიდობიანი გზით შეცვალა კორუმპირებული ხელისუფლება და გამოაცხადა, რომ ქვეყანას წარმატებული დემოკრატიის მაგალითად აქცევდა. საქართველოს პრეზიდენტისთვის ქვეყნიდან რუსული ჯარების გაყვანა ერთ-ერთ პრინციპულ ამოცანას წარმოადგენდა. საქართველოს ხელისუფლების არაერთი დაჟინებული მოთხოვნისა და მთელი რიგი მოლაპარაკებების შედეგად, 2005 წელს რუსეთმა დაიწყო საქართველოდან ჯარების გაყვანა.[9] 2007 წლისთვის ლიკვიდირებულ იქნა სამხედრო ბაზები ბათუმში, ვაზიანსა და ახალქალაქში.

თუმცა, სტამბოლის შეთანხმება ბოლომდე არ შესრულებულა და დარჩა სამხედრო ბაზა „გუდაუთა" სეპარატისტული აფხაზეთის ტერიტორიაზე. ბაზების საკითხის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ახალი კონცეფციის შემუშავება კონფლიქტის დასარეგულირებლად.

6 საქართველოს პარლამენტის დადგენილება - ,,რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანიბის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქარველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნის შესახებ"; თბილისი, 2008, გვ 9.

7 საქართველოს პარლამენტის დადგენილება - რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანიბის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქარველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნის შესახებ; თბილისი, 2008, გვ.9

8 კუხიანიძე ა., კუპატაძე ა., გოცირიძე რ. კონტრაბანდა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გავლით. თბილისი, 2004. ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრის კვლევის შესახებ მოხსენება. https://bit.ly/3xjejFH pdf; (გადამოწმებულ იქნა 17.05.22)

9 საქართველო, რუსეთი, თანხმდებიან ორი რუსული ბაზის დახურვაზე. RFERL Newsline, 1999.

აქ მოიაზრებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობაც. შემუშავებულ იქნა წინადადებების მთელი პაკეტი ორივე კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში, რომელიც მაღალი ხარისხის ავტონომიასა და მორიგების სამეტაპიან პროცესს ითვალისწინებდა: **დემილიტარიზაციას, ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და პოლიტიკურ მორიგებას**. ქართული ხელისუფლება სთავაზობდა ფართო ავტონომიას აფხაზეთსა და ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზური და ოსური ეთნოსების განვითარების შესაძლებლობებს.[10]

დონორი სახელმწიფოების დახმარებითა და დაფინანსებით, საქართელომ **დაიწყო კონფლიქტის ზონაში რეაბილიტაციის პროგრამა**. ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაეხმარებოდა ორი ერის დაახლოებასა და რეგიონის აღორძინებას. თუმცა, საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებს შედეგი არ მოუტანია.

რუსეთი სეპარატისტული ანკლავების საშუალებით ცდილობდა საკუთარი გავლენის გაძლიერებას მთელ საქართველოში და საბჭთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგული პოზიციების აღდგენას.

2000 წელს რუსეთის პრეზიდენტი გახდა კგბ-ს ყოფილი ოფიცერი ვლადიმერ პუტინი, რომელიც აცხადებდა, რომ **„საბჭოთა კავშირის დანგრევა იყო საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ და მიზნად დაისახა მისი აღდგენა**.

პუტინის სათავეში მოსვლის შემდეგ კვლავ დაიწყო დაპირისპირება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან და მსოფლიო ისევ აღმოჩნდა ახალი „ცივი ომის“ საფრთხის წინაშე. მოსკოვი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ნატოს გაფართოებას. მის გაღიზიანებას იწვევდა ალიანსში აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გაერთიანება. ამასთან, რიგში იდგნენ საქართველო და უკრაინა, რომელთა დაკარგვა კრემლისთვის კატასტროფის ტოლფასად აღიქმებოდა.

საქართველოს კრემლის პოლიტიკაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რამდენადაც საქართველო წარმოადგენდა კავკასიის გასაღებს და თუ იგი აკონტროლებდა თბილისს, აკონტროლებდა მთელ კავკასიას. რუსეთს კავკასიაში სრული ჰეგემონობისთვის დამატებითი მოტივაციაც ჰქონდა - იგი სრულად ჩაიგდებდა ხელში შუა აზიისა და კასპიის ნედლეულის დასავლეთში გატანის გზებს.

აზერბაიჯანში სურდათ მხარდაჭერის მიღება გაზსადენის მშენებლობისთვის, რათა ამ რეგიონიდან მომხდარიყო გაზის მიწოდება სამხრეთ ევროპის გავლით, რასაც რუსეთი ეწინააღმდეგებოდა, რამდენადაც ის აკონტროლებდა ბაზარს და არ სურდა შესაძლო კონკურენციიას არსებობა. **დაიწყო დიდი გეოპოლიტიკური თამაში და დაპირისპირების მთავარ წერტილებად გადაიქცნენ საქართველოს კონფლიქტური რეგიონები**, სადაც რუსებს ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდათ.

XXI საუკუნის დასაწყისიდან საქართველო ნელ-ნელა შორდებოდა რუსულ ორბიტას. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მკაფიოდ გამოხატული პროდასავლური კურსი აიღო, რაც გახდა რეალური საფრთხე რუსეთის იმპერიის აღორძინებისთვის.

უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხებოდა ღირებულებათა ახალ სისტემას, რომელიც სრულ შეუსაბამობაში იყო რუსულ მენტალიტეტთან. უფრო მეტიც, საქართველო ახდენდა ამ ღირებულებათა ექსპორტს პოსტ-საბჭოთა სივრცეშიც.

გარდა ამისა, საქართველო პრობლემებს ქმნიდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ ევროპაში ბუნებრივი აირისა და ნავთობის ერთ-ერთ მთავარ მიმწოდებელს წარმოადგენს რუსეთი, რომელსაც კონკურენციას უწევენ სამხრეთ კავკასიაში არსებული საბადოები, რაც არის ევროპაში რუსული გაზის ექსპორტის ალტერნატივა. კერძოდ, რეგიონში ენერგეტიკული პროექტები ვითარდება აზერბაიჯანის ნახშირწყალბადის რესურსების ირგვლივ, რაც იწვევს რეგიონით ისეთი დიდი მოთამაშეების დაინტერესებას, როგორებიცაა: შეერთებული შტატები, ევროკავშირი და რუსეთი. **აზერბაიჯანმა შეიმუშავა თავისი ენერგეტიკული სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში საკუთარი ენერგოუსაფრთხოებისა და საერთაშორისო ბაზარზე კასპიის აუზებიდან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტზე დაყრდნობით, რუსეთის გვერდის ავლით**.

საქართველო კი, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ჩართულია მთელ რიგ ენერგეტიკულ პროექტებში, როგორებიცაა: **ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, ბაქო-თბილისი-ერზრუმის** გაზსადენი (რომელიც ასევე ცნობილია როგორც სამხრეთ კავკასიის გაზსადენი), **ტრანსატლანტიკური გაზსადენი „TANAP“-ი**, საიდანაც ბუნებრივი აირი ევროპის ქვეყნებს მიეწოდება.

გარდა ამისა, 2008 წლის შემოდგომისთვის იგეგმებოდა შეთანხმება ახალი გაზსადენ „ნაბუკოს“ პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც სერიოზულ პრობლემას შეუქმნიდა რუსეთის გაზის ევროპაში ექსპორტს.

ამდენად, სეპარატისტულ რეგიონებში ინსპირირებული არეულობის მიზანი ნათელი იყო: საქართველოს ხელში ჩაგდება და მისი საგარეო პოლიტიკური კურსის 180 გრადუსით შემობრუნება.

2007 წლიდან, ვიდრე რუსეთი საქართველოსთან გამოუცხადებელ ომს აწარმოებდა (რუსეთმა საქართველოს გამოუცხადა ეკონომიკური ბლოკადა, შეწყდა ყოველგვარი პროდუქტის შეტანა, გამკაცრდა სავიზო რეჟიმი, დაიწყო რუსეთში მცხოვრები ქართველების მასიური დევნა და დეპორტაცია), რუსეთსა და აშშ-ს შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა, რომლის მიზეზი **კოსოვოს მოსალოდნელი აღიარება და აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკის ანტისარაკეტო სისტემების განთავსების პროგრამა გახდა**.

10 საქართველოს პარლამენტის დადგენილება - ,,რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქარველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნის შესახებ“; თბილისი, 2008, გვ.11.

ანტისარაკეტო სისტემის დანერგვა ევროპის თავდაცვის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. თუმცა, რუსეთი მის საზღვრებთან ასეთი შეიარაღების განთავსებას აღიქვამდა საფრთხედ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულების ნაწილად.[11]

ასე, რომ, **ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, ანტისარაკეტო სისტემის განთავსება ევროპაში, კოსოვოს აღიარება, შუა აზიის ენერგორესურსების რუსეთის გვერდის ავლით გატარება დასავლეთისაკენ** - ეს იყო ის პრობლემები, რომლებიც პუტინს უნდა გადაეწყვიტა. დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაში საქართველო ცენტრალურ როლს იღებდა.

მართლაც, 2008 წლის დასაწყისში მსოფლიო პოლიტიკაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. თებერვალში, **კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება**[12] რუსეთმა აღიქვა როგორც გამოწვევა დასავლეთის მხრიდან და დაპირდა, რომ სათანადოდ უპასუხებდა.

კრემლი გაღიზიანებას არ მალავდა და პირდაპირ აცხადებდა, რომ ჰქონდა წინასწარ მომზადებული გეგმა, რომელშიც იგი სეპარატისტული რეგიონების აღიარებას გულისხმობდა. საპასუხო რეაგირება არ დაყოვნებულა. 2008 წლის 21 მარტს რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატამ - დუმამ მიიღო რეზოლუცია, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ეძლეოდა რეკომენდაცია მომხდარიყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.[13]

ეს რეზოლუცია წარმოადგენდა არა მხოლოდ გაფრთხილებას საქართველოსთვის, არამედ, კრემლი მოქმედებდა **წინასწარ მომზადებული გეგმის შესაბამისად, რომელიც უახლოეს მომავალში ომში უნდა გადაზრდილიყო** და ელოდებიოდა შესაბამის ვითარებას.

2008 წლის აპრილის დასაწყისში, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა ნატო-ს მორიგი სამიტი, სადაც ერთ-ერთ საკითხს ალიანსის გაფართოება და საქართველოსა და უკრაინისთვის „მაპის“ სტატუსის მინიჭება წარმოადგენდა, ალიანსის წევრობასთან დაკავშირებით. 4 აპრილს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე ეტაპზე ნატო თავს იკავებდა საქართელოსა და უკრაინისთვის „მაპის“ სტსტუსის მინიჭებისგან, თუმცა, იქვე ნათქვამი იყო, რომ „საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატო-ს წევრი,“ რაც რუსეთისთვის საკმაოდ მტკივნეულ და უფრო მეტიც, პირადი ღირსების საკითხად იქცა - არ დაეშვა ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოსა და უკრაინისთვის „მაპის“ სტატუსის მინიჭება.

ალიანსში კი იმედოვნებდნენ, რომ ასეთი გადაწყვეტილება ერთის მხრივ დაამშვიდებდა თბილისს, მეორეს მხრივ კი არ გამოიწვევდა კრემლის გაღიზიანებას, თუმცა, სინამდვილეში ყველაფერი პირიქით მოხდა. ნატოს სამიტიდან ორი კვირის შემდეგ, 2008 წლის 16 აპრილს, პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის საფუძველზეც რუსეთის ფედერაცია პირდაპირ კავშირს ამყარებდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებთან, რაც **ფაქტიურად უკვე ომის გამოცხადებასა და საქართველოს ტერიტორიების პირდაპირ ანექსიას ნიშნავდა**.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი დაგმობილ იქნა საერთაშორისო საზოგადოების მიერ, კრემლმა უკან არ დაიხია და დაიწყო სრულმასშტაბიანი ომისთვის მზადება. აფხაზეთში ადგილი ჰქონდა სამხედრო კონტინგენტისა და შეიარაღების ზრდას. კონფლიქტის რეგიონში ხდებოდა მძიმე ტექნიკის ინტენსიური გადასროლა. ამასთან, ადგილი ჰქონდა აგრესიულ პროვოკაციულ ქმედებებს.

სამშვიდობო მანდატის საფარქვეშ აფხაზეთში ასევე გადაყვანილ იქნა სადესანტო ნაწილები ფსკოვიდან და ნოვოროსიისკიდან. იმევე პერიოდში ცხინვალის რეგიონშიც გადასროლილ იქნა 250 ჩეჩენი მებრძოლი, ჩეჩნეთის შენაერთის „ვოსტოკი“-ს ბატალიონიდან, რომელიც იმავდროულად რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს მთავარ ნაწილს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, რუსეთმა აფხაზეთში განათავსა სარკინიგზო ჯარების ქვედანაყოფი[14] და დაიწყო რკინიგზის აღდგენა, რაც ასევე კრემლის აგრესიული გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. რკინიგზა უზრუნველყოფდა საქართველოში ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის სწრაფ გადასროლას. 2008 წლის გაზაფხულზე, რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის ნაწილები უკვე იყვნენ განლაგებული კონფლიქტის ზონაში (ოჩამჩირე, ბაბუშერა, ბომბორა, სოხუმი, გაგრა, გუდაუთა, ჯავა).

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიქცევას სეპარატისტულ რეგიონებში დაძაბულობის ზრდასთან დაკავშირებით. ამასთან, დასავლეთშიც კარგად ხედევდნენ, რომ საქართელოში მოსალოდნელი კონფლიქტი ევროპის უსაფრთხოების სისტემას არაეფექტურად აქცევდა და რეგიონულ გეოპოლიტიკას მთლიანად ცვლიდა. ამიტომ, მოლაპარაკებებში ოფიციალურად შემოვიდა ევროკავშირი.[15]

თბილისში ჯერ ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი კომისარი ხავიერ სოლანა ჩამოვიდა, რომელიც შეეცადა ეკონომიკური პროექტების დაწყებით ვითარების განეირტალებას,

11 ა.აკსაკოვა, თ.ვანჰუვერტი, რ.უიტმანი, ვულფი ს.- ,,საქართველო; კონფლიქტის გადაჭრა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში“, ევროპული პოლიტიკის ცენტრი, 2009, გვ.9.

12 საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისის ანგარიში; ტომი II, სექტემბერი 2009, ვგ.40;

13 საქართველოს პარლამენტის დადგენილება - ,,რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანიბის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქარველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნის შესახებ“; თბილისი, 2008, გვ.13.

14 Georgia and Russia: Clashing over Abkhazia, International Crisis Group Policy Report, June 5, 2008. https://bit.ly/3mFSprk (გადამოწმებულ იქნა 17.05.22)

15 Solana: EU Seeks Deeper Engagement in Abkhazia, 2008,06.06.08 https://bit.ly/3Qi96qn (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

განსაკუთრებით, აფხაზეთთან ვაჭრობის დაწყების კუთხით. შემდეგ კი მოლაპარაკებებში გერმანიაც ჩაერთო. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანც ვალტერ შტაინმაიერის მიერ შემოთავაზებულ იქნა სამშვიდობო გეგმა და შეხვედრა შედგა აფზახეთის დე-ფაქტო რეჟიმის ხელმძღვანელ სერგეი ბაგაფშთან. მოსკოვს მჭრო ურთიერთობები ჰქონდა გერმანიასთნ და აქედან გამომდინარე, იგი უფრო ეფექტურ მედიატორად იქნა მიჩნეული მოსკოვსა და თბილისს შორის.[16]

საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაზრდილმა ყურადღებამ საქართველოს მიმართ, კრემლი იძულებული გახადა კორექტივები შეეტანა საკუთარ გეგმაში და დაძაბულობა ე.წ. სამხრეთ ოსეთისკენ გადაიტანა. აქცენტირება ხდებოდა ვითარების მიზანმიმართულ დაძაბვასა და პროვოკაციებზე. რუსეთის ფედერაციის გეგმას საქართველოს სრული ოკუპაცია წარმოადგენდა. ამასთან, ცხინვალი უფრო ახლოს იყო თბილისთან, ვიდრე აფხაზეთი და აქედან გამომდინარე, გეგმის სისრულეში მოყვანაც აქედან უნდა დაწყებულიყო.

2008 წლის 15 ივლისს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს საზღვრებთან ახლოს, როკისა და მამისონის უღელტეხილებთან დაიწყო სამხედრო სწავლება „კავკასია-2008“, რომელიც უპეცედენტო იყო თავისი მასშტაბით ბოლო ოცი წლის განმავლობაში.[17]

ამასთან, საგულისხმოა, რომ სახმელეთო სწავლებასთნ ერთად, აქტიურ ფაზაში მიმდინარეობდა სამხედრო-საზღვაო წვრთნებიც. რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტმა მონაწილეობა მიიღო რვა სამხედრო სწავლებაში, რომელთაგან სამი მათგანი ორიენტირებული იყო დესანტის გადმოსხმაზე.

სწავლების დასრულების შემდეგ, სამხედრო ნაწილები თავის დისლოკაციის ადგილებს არ დაბრუნებიან. მათი უმეტესობა ცხინვალის რეგიონში, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან ახლოს განთავსდა.

ამასობაში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაძაბულობამ და აფეთქებებმა იმატა. თითქმის ყოველ დღე ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ ინციდენტებს. ოსურმა ფორმირებებმა დაიწყეს სროლები ქართული სოფლების მიმართულებით. დაიწყო ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვაც. არტილერია უტევდა მშვიდობიან მოსახლეობას და ქართული სამშვიდობო ძალების საგუშაგოებს. ფრონეს ხეობაში სოფლები ავნევი და ნული ალყაში მოაქციეს.

ცხინვალის რეჟიმმა დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება სამხედრო მოქმედებებისთვის ემზადებოდა.

ქართული შეიარაღებული ძალები ინტენსიურ წვრთნებს გადიოდნენ. ეს უკვე აღარ იყო 90-იანი წლების ის ქართული ჯარი, რომელიც რუსი ინსტრუქტორების დახმარებით დაქირავებულმა ჩრდილოკავკასიელებმა და კაზაკმა მოხალისეებმა დაამარცხეს აფხაზეთში. მთთან გამკლავებას ისინი ადვილად შეძლებდნენ, თუმცა, რუსეთის უზარმაზარ არმიასთან ამის გაკეთება რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა.

ქართული კონტრდაზვერვის ცნობით, როკის გვირაბის გავლით რუსეთიდან შეიარაღებული ნაწილები შემოდიოდნენ და ქართულ სოფლებს ალყაში აქცევდნენ. 7 აგვისტოს, გამთენიისას, კვლავ დაიბომბა ქართული სამშვიდობო ძალების საგუშაგო, რასაც უკვე მსხვერპლი მოჰყვა. დაინგრა ქართული სოფლები - თამარაშენი და ქურთა. საქართველოს მთავარსარდალმა გასცა ბრძანება თავდაცვითი ოპერაციის დაწყების შესახებ, რომლის მიზანი იყო რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, საცეცხლე პოზიციების ჩახშობა და რუსეთის ფედერაციის რეგულარული ჯარების გადაადგილების აღკვეთა როკის გვირაბიდან.

ქართველების პირველი შეტევა იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ მოწინააღმდეგის სრული პანიკა გამოიწვია. ქართული მხარე ზუსტად ბომბავდა იმ პოზიციებს, საიდანაც ცეცხლი მოდიოდა. ფლანგებმა მოქმედება სწრაფად დაიწყეს. ამან კიდევ უფრო დააბნია ცხინვალში გამაგრებული მეომრები. ისინი მიხვდნენ, რომ ალყაში ექცეოდნენ და ჯავისკენ გაიქცნენ.

ქართული ჯარის ასეთ წარმატებას არავინ ელოდნენ. მოსკოვი გეგმავდა ხანგრძლივ საომარ მოქმედებებს, ამის ნაცვლად კი ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა უმოკლეს ვადაში შეძლეს სეპარატისტების განეიტრალება. თუმცა, ეს ჯერ არაფერს ნიშნავდა.

მთავარი ის იყო, მოახერხებდნენ თუ არა ქართველები ძარის გზის გადაკეტვას და თლიაყანის სიმაღლის აღებას. ამ შემთხვევაში, ჩრდილოეთიდან წამოსული დამხმარე ნაწილები გაშლას ვერ შეძლებდნენ და ვიწრო ხეობაში ქართული არტილერიის სამიზნედ იქცეოდნენ. ეს კარგად ესმოდათ მოსკოვშიც. ამიტომ, **8 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტმა დიმირტი მედვედევმა განკარგულება გასცა მშვიდობის იძულების ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით** და რუსეთმა ღიად დაიწყო საბრძოლო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ.

რუსეთს კავკასიაში ყველაზე ბრძოლისუნარიანი და ჩეჩნეთის ომში გამოცდილი ქვედანაყოფები ჰყავდა განლაგებული, მათ შორის 58-ე არმია, რომელიც როკის გვირაბით შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე და დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ქართული არმია რამდენიმე დღის განმავლობაში აკავებდა მოწინააღმდეგის მასზე ბევრად აღმატებულ ძალებს. თუმცა, რუსეთს ჰქონდა უპირატესობა როგორც ცოცხალი ძალის, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ქართულმა შენაერთებმა თანდათანობით დაიწყეს პოზიციების დაკარგვა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

16 Georgia's UN Envoy Meets Abkhaz Leader in Sokhumi; 2002, https://bit.ly/3mDc4Ih (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

17 M.E Sharpe „The Guns of August 2008. Russia's War in Georgia.“ EDITED BY SVANTE E. CORNELL AND FREDERICK STARR, New York, 2009, p.91.

ბრძანების მიღების შემდეგ, ქართული არმია სრულად გამოვიდა ცხინვალის რაიონიდან.[18]

ოკუპაციურმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი. რუსმა სამხედროებმა ააფეთქეს გრაკალთან სარკინიგზო მაგისტრალი და ერთმანეთს მოწყვიტეს დასავლეთ და სამხრეთ საქართველო. აგრეთვე მოხდა ფოთის პორტის ბლოკირება და რუსი ოკუპანტები არ უშვებდნენ საქართველოსკენ მომავალ არცერთ ხომალდს. გადაკეტილ იქნა ცენტრალური მაგისტრალი გორთან, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთნამეთთან აკავშირებდა. შემდეგ, რუსი ქვედანაყოფები იკავებენ ზემო აფხაზეთსა და ფოთს, მათი კონტროლის ქვეშ ექცევა გორი, ხაშური და ქარელი; ისინი ჩნდებიან კასპის რაიონშიც და ახდენენ ახალგორის ოკუპაციას.

საკუთარი სიცოცხლის, გმირობისა და თავდადების ფასად, ქართველმა სამხედროებმა საშუალება არ მისცეს რუსეთის ხელისუფლებას განეხორციელებინა თავისი გეგმა და მოიგეს დრო. თბილისის ომის დაწყების პირველივე დღიდან საერთაშორისო თანამეგობრობა მოუწოდებდა ორივე მხარეს ცეცხლის შეწყვეტისა და რეგიონიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

12 აგვისტოს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ჯერ კიდევ საფრთხე ემუქრებოდა, თბილისში ჩამოვიდნენ პოლონეთის, ლიტვის, ესტონეთის,

დაცვა. ლატვიისა და უკრაინის ხელმძღვანელი პირები ჩამოვიდნენ, რათა გამოეცხადებინათ საკუთარი მხარდაჭერა საქართველოსთვის. ესენი იყვნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც არცთუისე შორეულ წარსულში თვითონ იყვნენ საბჭოთა ოკუპაციის მსხვერპლნი.

2008 წლის ოქტომბრის დასაწყისში, მსოფლიო თანამეგობრობის დახმარებით შესაძლებელი გახდა რუსი ოკუპანტების გაყვანა საქართველოს შიდა რეგიონებიდან, თუმცა, **რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია**. მისი სამხრდრო ბაზები ისევ რჩება ამ ტერიტორიებზე და განაგრძობენ ე.წ. „მცოცავ“ ოკუპაციას. რუსეთის ინტერესებში შედის რეგიონებში კონფლიქტების გაყინვა, რათა შეინარჩუნოს „კონტროლირებადი არასტაბილურობა“ სამხრეთ კავკასიაში, საკუთარი გავლენის გაზრდის მიზნით.

განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს შეიარაღებულმა ბრძოლამ მეორე პლანზე გადაინაცვლა. მომავლის ომებში, მიუხედავად ბრძოლის განსხვავებული მეთოდების აქტიურად გამოყენებისა, გადამწყვეტი როლი მაინც მიენიჭება შეიარაღებულ ბრძოლას. სამხედრო ძალა არა მხოლოდ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, არამედ, გააძლიერებს კიდეც თავის პოზიციას, დიდ წონას შესძენს წინააღმდეგობის გაწევის არაძალისმიერ მეთოდებს. ამასთან, ძალისმიერი ზემოქმედება იქნება არჩევითი ხასიათის მატარებელი.

დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნული რომ შევაჯამოთ, 2008 წლის აგვისტოს ომმა ცხადყო, რომ იგი ნაკარნახევი და მართული იყო გარედან. კავკასიის რეგიონში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი იდეილოგიურად და მენტალურად განსხვავებული - რუსული და დასავლური სისტემა.

შეძლებს დასავლეთი საკუთარი ღირებულებების დაცვას, რომლის გამოც საქართველო გახდა რუსული აგრესიის მსხვერპლი - მათი ღირსების საკითხსაც წარმოადგენს. XXI საუკუნეში მსოფლიო თანამეგობრობას აქვს ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ბერკეტი იმისთვის, რომ ტერიტორიებს, სადაც ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას, არ ეწოდებოდეს სახელმწიფო. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, მთელი ცივილიზებული საზოგადოების ღირსების საკითხიცაა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შვედი მკვლევარის - სტოკჰოლმში მდებარე უსაფრთხოებისა და განვითრების პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორისა და ერთ-ერთი დამფუძნებლის - სვანტე კორნელის თვალსაზრისი საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მომავალთან დაკავშირებით, რომელიც აცხადებს, რომ „საქართველომ უნდა გამოიჩინოს დიდი დიპლომატიური ძალისხმევა, რათა თავის პარტნიორებს ყურადღება გაამახვილებინოს იმ ტენდენციებზე, რაც კარგა ხანია რუსეთის საქციელში შეინიშნება. ასევე, დასავლეთმა უპასუხოს ისეთი აქტიური ქმედებებით, როგორიცაა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, ან ევროკავშირის მიერ სასაზღვრო ხაზების მონიტორინგის გაძლიერება. მაგალითად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერსონალის მუდმივ რეჟიმში განთავსება რისკის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, შესაძლოა, რუსეთისთვის შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს "ბორდერიზაციის" გაგრძელების პროცესში, რადგან აშკარაა, რომ ამჟამად რუსეთს არაფერი უშლის ხელს".[19]

საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მომავალთან დაკავშირებით, შვედი მკვლევარი აქცენტირებს იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა „საქართველომ საკუთარი თავი ევროპისთვის უფრო მიმზიდველი გახადოს.... ქართველებმა სტრატეგიულად უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რა სჭირდება ევროპას და „როგორ შეგვიძლია ჩვენ მათი დახმარება“. ევროპაში ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ საქართველოს ისინი თავდაცვისთვის სჭირდება. ამიტომ მათთვის ასეთი განმარტებაა საჭირო: „მე გთ-

18 J.Votel J, Unconventional Warfare in the Zone, Joint Force Quarterly Issue 80., 2016.

19 ს.კორნელი, სტატია: „აშშ-ისა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს“, 2018; https://civil.ge/ka/archives/220209 (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

ხოვთ არა იმას, რომ დამიცვათ, არამედ მომცეთ საშუალება, რომ თავად შევძლო საკუთარი თავის დაცვა“.[20]

საქართველოს, როგორც ჰიბრიდული ომის მსხვერპლისა და „რუხი ზონის“ არსებული ვითარებისა და პროცესების გათალისწინებით, სადაც კვლავაც აქტიურ

ფაზაშია „მცოცავი ოკუპაცია“, ქვეყნის გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ მისი დაყოფის მისწრაფება და საპასუხო რეაგირების პროვოცირება ჰიბრიდულ ომზე, რომელსაც ადგილი აქვს ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა მოწყვლად ნაწილში, მნიშვნელოვანია ქვეყანამ შეძლოს და განავითაროს ისეთი მოდელის ფორმირება, რომელიც უდიდესი ხარისხით პასუხობს მომავლის გამოწვევებს, რათა საშუალება მიეცეს მოქნილად მოახდინოს ადაპტირება სამომავლო ცვლილებებთან - პოლიტიკურ, სამხედრო-ტექნოლოგიური სფეროსა და „რუხი ზონების“ გამოწვევებთან.

ცხადია, რომ **„რუხ ზონებში“ მოქმედებებსას პატარა ქვეყნებისთვის მიზანშეწონილია ტრადიციულ ძალთა ორგანიზებისგან განსხვავებული, ალტერნატიული მოდელების გამოყენება**.

„რუხი ზონის“ კონფლიქტები წარმოადგენს სრულმასშტაბიანი ომის საუკეთესო ალტერნატივას. ამიტომ, ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, რაციონალური და გონივრული იქნება **კონვენციური სამხედრო ძალის ჰიბრიდულ ძალად გარდაქმნა** წარმატების შანსების გასაზრდელად „რუხ ზონებში“ დიდ ძალასთან დასაპირისპირებლად.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მაგალითმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ტრადიციული მოდელით ჩამოყალიბებული ძალები ვერ შეძლებენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას „რუხ ზონებში“ სტრატეგიული მნიშვნელობის არაერთი მიახლოების მარშრუტის მფლობელ ძლიერ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებისას. ამიტომ, მოვლენათა კატასტროფული შედეგების თავიდან ასაცილებლად და აგრესორისთვის სათანადო პასუხის გასაცემად ქართულმა სახელმწიფო ძალოვანმა უწყებებმა უნდა იფიქრონ აღნიშნული მიმართულებით ინოცაციური მიდგომების შემუშავებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

აკსაკოვა ა., ვანჰუვერტი თ., უიტმანი რ., ვულფი ს. (2009) - საქართველო; კონფლიქტის გადაჭრა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ევროპული პოლიტიკის ცენტრი;

ევაკუირებული ბავშვების მორიგმა კოლონამ დღეს ცხინვალი დატოვა; https://bit.ly/3mGNLcx (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

კუხიანიძე ა., კუპატაძე ა., გოცირიძე რ. კონტრაბანდა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გავლით. თბილისი, 2004. ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრის კვლევის შესახებ მოხსენება. https://bit.ly/3xjejFH pdf; (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

მალაშხია, შ. კონფლიქტების ანატომია, თბილისი: გამომცემლობა ფორმა 2011;

რუსული სადესანტო ხომალდები შავ ზღვაში სამხედრო წვრთნებს გამართავენ; https://bit.ly/3mEqvvz (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

საქართველო და ნატო - ნატოს სამიტები; https://bit.ly/3aUqf9q (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

რუსეთის გენერალი დაიჭრა საქართველოს აჯანყებულ რეგიონში.
https://reut.rs/3aJD0mS (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

საქართველო აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთმა მის სოფლებს ცეცხლი გაუხსნა; Kavkazskiy Uzel 6.07.2008, https://bit.ly/3mBc2k8 (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

საქართველო, რუსეთი, თანხმდებიან ორი რუსული ბაზის დახურვაზე. RFERL Newsline, 1999, https://bit.ly/3O7NRWb (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

საქართველოს პარლამენტის დადგენილება - რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანიბის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქარველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნის შესახებ; თბილისი, 2008;

საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისის/ანგარიში; ტომი II, სექტემბერი 2009;

საქართველო აცხადებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ჯარი უკან იხევს. Civil Georgia 10.08.2008. https://bit.ly/3zr3GDo (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

Abbasov, Shanin. „Azerbaijan & Turkmenistan: Renewing Caspian Sea Energy Dispute.“ Eurasianet. org, 11 July 2012. https://bit.ly/3xF7D5V (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

Georgia and Russia: Clashing over Abkhazia, International Crisis Group Policy Report, June 5, 2008. https://bit.ly/3mFSprk (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

Georgia's UN Envoy Meets Abkhaz Leader in Sokhumi; 2002, https://bit.ly/3mDc4Ih (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

General Joseph Votel (2016) et al., „Unconventional Warfare in the Gary Zone," Joint Forces Quarterly 80, no. 1st

20 ს. კორნელი, სტატია: „აშშ-ისა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს“, 2018; https://civil.ge/ka/archives/220209 (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);

Quarter, January 17;
Clausewitz C.V. (2013) - a book on war and military strategy; Paperback, 11;
Chambers J. (2016) Countering Gray-Zone Hybrid Threats; Modern War Institute;
Hoffman F. "On Not-So-New Warfare: Political Warfare vs. Hybrid Threats," War on the Rocks, July 28, 2014;
Mazarr M. (2015) Mastering the Gray Zone: Understending a Changing Era of Conflict. Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press;
Mattos M., Visacro A. Article: Winning in multi-domains is not enough: thoughts on the new doctrine and the gray zone conflicts; US Army Combined Arms Center, Rio de Janeiro, v. 14, n. 50, 2020;
Nye J. (2005) Soft Power: The means to Success In World Politics; New York: Oxford University Press;
Reports: Russia will not Revoke April 16 Decision, 2008. https://bit.ly/3aUpQDW (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
Solana: (2008) EU Seeks Deeper Engagement in Abkhazia, 06.06.08 https://bit.ly/3Qi96qn (გადამოწმებულ იქნა 17.05.22);
Sharpe M.E (2009) „The Guns of August 2008. Russia's War in Georgia." EDITED BY SVANTE E. CORNELL AND FREDERICK STARR, New York;
კორნელი ს. სტატია: „აშშ-ისა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს", 2018; https://civil.ge/ka/archives/220209.

შავი ზღვის რეგიონში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიზნები ცივილიზაციურ კონტექსტში

შადიმან ბიწაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში სამოელ ჰანტინგტონის ცნობილი ნაშრომის „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიის ფონზე, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტები ცივილიზაციათა შორის დაპირისპირების ანარეკლს წარმოადგენს, განხილულია რუსეთის სტრატეგიული მიზნები შავი ზღვის რეგიონში.

1. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ერთმანეთს ცვლიან კონფლიქტები:
2. დინასტიური (დასრულდა 1648 წელს ვესტფალიის სამშვიდობო ზავით).
3. ერებს შორის (დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ).

იდეოლოგიური (ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომი პერიოდი ,,ცივი ომის“ დასრულებამდე).

ს. ჰანტინგტონის აზრით „ცივ ომში“ დასავლეთის გამარჯვება არ წარმოადგენდა ცივილიზაციურ გამარჯვებას. დასავლური ფასეულობების (საბაზრო ეკონომიკა, ლიბერალური დემოკრატია, ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებები...) და აღმოსავლურის (კოლექტივიზმი, ტრადიციონალიზმი, პატერნალიზმი, რელიგიურობა...) დაპირისპირება მომავალშიდაც გაგრძელდება და გაგრძელდება ისლამის, ბუდიზმის, სინტოიზმის, კონფუციანელობისა და ინდუიზმის გაძლიერებასთან ერთად. ზემოთ აღნიშნულ ცივილიზაციებს ს. ჰანტინგტონმა დაამატა სლავური მართმადიდებლური (რუსული) ცივილიზაცია. დღეს დასავლური ცივილიზაციის მიზანია არ მოხდეს სლავური მართმადიდებლური ანუ რუსული ცივილიზაციის მეთაურობით ერთიანი კავშირის შეკვრა მის წინააღმდეგ.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რუსული მართმადიდებლური ცივილიზაციის ჩამოყალიბების პოლიტიკური და რელიგიური ასპექტების მიმოხილვას, რომლებმაც დიდწილად განსაზღვრეს თანამედროვე რუსეთის აგრესიული ბუნება და ხასიათი.

რუსეთის ახალი საზღვაო დოქტრინის გაანალიზების შედეგად, ნაჩვენებია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნები შავი ზღვის რეგიონში, რომელიც ცივილიზაციათა გადაკვეთის არეალს წარმოადგენს.

2022 წლის 31 ივლისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის ახალ საზღვაო დოქტრინას, რომლის ძალითაც 2015 წლის 17 ივნისის საზღვაო დოქტრინა ძალადაკარგულად გამოცხადდა. ისტორიულად რუსეთი წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან საზღვაო სახელმწიფოს მისი სივრცითი და გეოფიზიკური მახასიათებლებით, აგრეთვე ადგილითა და როლით გლობალურ და საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნული სტატუსი რუსეთმა დაიმსახურა არამარტო გეოგრაფიული (გასასვლელი სამ ოკეანეში და საზღვაო საზღვრის სიგრძე) მდებარეობიდან გამომდინარე, არამედ იმ დიდი წვლილისთვისაც, რომელიც ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა და ზღვაოსნებმა შეიტანეს მსოფლიო ოკეანის შესწავლისა და საზღვაო მეურნეობების შექმნის კუთხით.

რუსეთის ფედერაციის ახალი საზღვაო დოქტრინა წარმოადგენს ფუძემდებლურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს საზღვაო პოლიტიკას. მისი სამართლებრივი ბაზა ეფუძნება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას. ახალმა საზღვაო დოქტრინის რეალიზებამ უნდა განამტკიცოს მომავალში რუსეთის, როგორც საზღვაო სახელმწიფოს პოზიციების გამყარება და შექმნას ხელსაყრელი პირობები იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დგანან ქვეყნის ნაციონალური ინტერესების წინაშე. საზღვაო პოლიტიკა ითვალისწინებს ქვეყნის მიზნების, ამოცანების და მიმართულებების განსაზღვრას, თუ როგორ უნდა გაატაროს ქვეყანამ საკუთარი ინტერესები ეკონომიკურ ზონებში, შიდა წყლებში, კონტინენტურ შელფზე და ღია ზღვებში. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ნაკარნახევია აშშ-სა და ნატოს ქვეყნებთან გართულებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით. შეიძლება ითქვას, რომ „წითელი ხაზები“ გავლებულია როგორც ხმელეთზე, ასევე საზღვაო და საოკეანო სივრცეებშიდაც, რომლებიც რუსეთისათვის წარმოადგენენ სასიცოცხლოდ აუცილებელ ზონებს. ასეთი ზონების რიცხვს კი უპირველესად მიეკუთვნებიან აზოვისა და შავი ზღვის აკვატორიები.

ახალ საზღვაო დოქტრინაში რუსეთისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ზონებში პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ეკონომიურ და საინფორმაციო მეთოდებთან ერთად გადაწყვეტილია გამოყენებულ იქნას სამხედრო-ძალისმიერი მეთოდიც, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ყირიმის ანექსია 2014 წელს. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება უდიდეს ზიანს მიაყენებს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემას.

საკვანძო სიტყვები:
ცივილიზაციათა შეჯახება, კონფლიქტები, შავი ზღვის რეგიონი, საზღვაო დოქტრინა, პოლიტიკური და რელიგიური ასპექტები, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა.

The Goals of Russia's Aggressive Policy in the Black Sea Region in the Context of Civilization

Shadiman Bitsadze
Associate Profesor of Security Studies Program of Magistrature
of LEPL - David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Abstract

The article reviews Russia's strategic goals in the Black Sea region in light of the theory of Huntington's "clash of civilizations", according to which the modern conflicts in the world are the reflection of the confrontation between civilizations.

Conflicts changing each other in the system of international relations:

1. Dynastic (ended in 1648 with the Peace of Westphalia),
2. Among Nations (began after the Great French Revolution),
3. Ideological (after the October Socialist Revolution, before the "Cold War" ended)

According to Huntington, the West's success in the Cold War does not mean a "civilizational" victory. The confrontation between Western values (market economy, liberal democracy, individualism, human rights...) and Eastern values (collectivism, traditionalism, paternalism, religiosity...) will continue in the future and, most importantly it will continue with the significant strengthening of Islam, Buddhism, Shintoism, Confucianism and Hinduism. The above-mentioned civilizations Huntington added the Slavic Orthodox (Russian) civilization. Today, the goal of Western civilization is to prevent a form an alliance against it under the leadership of the Slavic Orthodox or Russian civilization.

A special place in the work is devoted to the review of the political and religious aspects of the formation of the Russian Orthodox civilization, which largely determined the aggressive nature and character of modern Russia.

As a result of the analysis of the new naval doctrine of Russia, the country's foreign policy goals in the Black Sea region, which is an area of intersection of civilizations, are shown.

On July 31, 2022, the President of the Russian Federation V. Putin signed a new naval doctrine of the Russian Federation, by which the naval doctrine of June 17, 2015, was declared invalid. Historically, Russia is one of the leading maritime states with its spatial and geophysical characteristics, as well as its place and role in the global and international arena. The mentioned status was earned by Russia not only due to its geographical (access to three oceans and the length of the maritime border) but also due to the great contribution made by famous Russian scientists and sailors in terms of the study of the world ocean and the creation of marine farms. Russia deserved the mentioned status not only due to its geographical position (access to three oceans and the length of the sea border) but also due to the great contribution of famous Russian scientists and navigators to the study of the World Ocean and the creation of farming the sea.

The new maritime doctrine of the Russian Federation is the basis document that determines the maritime policy of the state. Its legal basis is founded on the Constitution of the Russian Federation, the implementation of which should strengthen Russia's position as a maritime state and create favorable conditions for solving the tasks facing the country's national interests in the future. The maritime policy involves setting the country's goals, objectives, and directions in how the country should pursue its interests in economic zones, inland waters, the continental shelf, and the high seas. Such an approach to issues is dictated by the complicated political situation with the USA and NATO countries, taking into account the Russia-Ukraine war. It can be said that the "red lines" are drawn both on land and in the sea and ocean spaces, which are vital areas for Russia. These zones primarily include the waters of the Azov and Black Seas.

In the new naval doctrine, along with political, diplomatic, economic and informational methods, it has been decided to use the military force method in the vital areas for Russia, a clear example of which is the annexation of Crimea in 2014. Development with such a scenario of events will cause the greatest damage to the system of international security.

Keywords:
Clash of civilizations, Conflicts, Black Sea region, Maritime doctrine, Political and religious aspects, International security system.

შესავალი

ცივილიზაცია წარმოადგენს ადამიანთა კულტურული ყოფის უმაღლეს ფორმას, რომელსაც დამახასიათებელი ნიშნების ფართო სპექტრი გააჩნია. ისინი განასახიერებენ გარკვეული ერების კულტურულ თვითმყოფადობას. მსოფლიოს ცივილიზაციებიდან შვიდი უკვე გაქრა - მესოპოტამიის, ეგვიპტის, კრეტა-მიკენის, კლასიკური (ბერძნულ-რომაული), ბიზანტიური, ცენტრალურ-ამერიკული და ანდების. ხუთი ცივილიზაცია თანამედროვე ეტაპზე აგრძელებს არსებობას - ჩინური, იაპონური, ინდუისტური, ისლამური და დასავლური.

მრავალი მეცნიერი და მათ შორის სამოელ ჰანტინგტონი არსებულ ცივილიზაციებს ამატებს სლავურ - მართლმადიდებლურ ცივილიზაციას, როგორც ცალკე მდგომს ბიზანტიური და დასავლეთ ქრისტიანულისაგან. ჰანტინგტონის მიხედვით არსებულ ცივილიზაციებს შორის დაპირისპირება იქნება მომავალში მსოფლიოში კონფლიქტების განმსაზღვრელი, რადგან იდეოლოგიურმა დაპირისპირებებმა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ყოველგვარი აზრი დაკარგა. დასავლური ცივილიზაციის დაპირისპირება ზოგიერთ მათგანთან (ისლამური, სლავურ-მართლმადიდებლური...) ფაქტიურად სახეზეა და როგორც პოლიტიკური მოვლენების განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, მომავალში ამ დაპირისპირებამ შესაძლებელია უფრო მძაფრი ხასიათიც მიიღოს, რადგან კონფლიქტში მყოფ ცივილიზაციებს გააჩნიათ „ძირეული“, საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები. საერთაშორისო წესრიგს ანუ მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სტრუქტურას დიდწილად სწორედ აღნიშნული ინტერესების განხორციელება განაპირობებს.

ძირითადი ნაწილი

„მართლმადიდებლური ცივილიზაცია,“ როგორც რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის საფუძველი

თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია ოფიციალურად მიღებული თეორიის თანახმად, კიევის რუსეთს განიხილავს, როგორც რუსული ცივილიზაციის „ აკვანს”, რაც ფაქტების დამახინჯებისა და ისტორიის ფალსიფიკაციის ნათელ ნიმუშს წარმოადგენს.

აღმოსავლეთსლავური სახელმწიფო-კიევის რუსეთი ჩამოყალიბდა IX საუკუნეში, რომლის გაქრისტიანებაც მოხდა 988 წელს მთავარ ვლადიმირ სვიატოსლავის ძის მიერ. XII საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის პროცესი, რომლის შედეგადაც ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო წვრილ სამთავროებად დაიშალა, რომელთა შორისაც, დროთა განმავლობაში, სამი პოლიტიკური ცენტრი დაწინაურდა - ვლადიმირ-სუზდალის, გალიჩ-ვოლინის სამთავროები და ნოვგოროდის რესპუბლიკა. აღნიშნულ პროცესს თან დაერთო მოღოლ-თათართა შემოსევები, რაც 1220 წელს კიევის აღებით დასრულდა და ქვეყნის ოკუპაციამ XV საუკუნის ბოლომდე გასტანა.

გალიჩ-ვოლინის სამთავრო, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, განიცდიდა ევროპის გავლენას, გააჩნდა რა მასთან მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობები, რამაც თავისი გავლენა იქონია ამ პოლიტიკურ ერთეულზე. რაც შეეხება ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს, მან დაკარგა კავშირები ევროპასთან, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროცესი. ,,ოქროს ურდოსთან“ არსებულმა ფართო კონტაქტებმა შეცვალეს ვლადიმირ-სუზდალის (მოგვიანებით მოსკოვის) სამთავროს სახელმწიფოებრივი სისტემა და მისცეს მას აღმოსავლური შეფერილობა, რაც მართვის დესპოტურ ხასიათში გამოიხატა. სწორედ აქედან მომდინარეობს თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის დამახასათებელი ნიშნები - ცბიერი, ვერაგული და მეზობელი ხალხების ტერიტორიების ოკუპაციისადმი მიდრეკილი იმპულსები.

XIV-XVI სს-ში მიმდინარეობდა მოსკოვის ირგვლივ „რუსული მიწების“ შეგროვების პროცესი და ხდებოდა ნაციონალური თვითშეგნების, როგორც ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის ფორმირება. 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებისა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, რუსეთის გარდა არ დარჩა არცერთი მართმადიდებლური სახელწიფო, რომელიც თურქების აგრესიას გადაურჩა. უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე ბრძოლაში დაიღუპა. მისი ძმა თომა პალეოლოგი კი რომში გაიქცა ოჯახთან ერთად. რომის პაპმა პავლე II-ემ 1467 წელს მოსკოვის მთავარს ივანე III-ს, დაქვრივების შემდეგ, ცოლად შერთო თომას ქალიშვილი სოფიო პალეოლოგი. პაპს დინასტიური ქორწინებით 1439 წელს დადებული ე.წ. „ფლორენტიის უნიის“ აღდგენა სურდა, რომლის ძალითაც რომის პაპი გაერთიანებული ქრისტიანული სამყაროს ხელმძღვანელად ცხადდებოდა.

ტრადიციის ძალით ბიზანტიის იმპერიის გერბი-ორთავიანი არწივი მოსკოვის სამთავროს გერბი გახდა, ხოლო რუსეთი „ყველა მართმადიდებელი ერის“ მფარველად გამოცხადდა. ფსკოვის წმინდა ელიაზარის სახელობის მამათა მონასტრის იღუმენის ფილოფეის მიერ მიმდინარე ისტორიული პროცესი შემდეგნაირად იქნა შეჯამებული-„ორი რომი დაეცა, მესამე დგას, მეოთხე აღარ იქნება“. რუსეთის მართმადიდებლურმა მესიანისტურმა იდეამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში უმთავრესი ადგილი დაიკავა,

განსაკუთრებით XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, როდესაც მართმადიდებელმა ერებმა (სერბები, ბერძნები, რუმინელები, ბულგარელები...) რუსეთის დახმარებით დაიწყეს განთავისუფლება ოსმალეთის იმპერიის უღლისაგან. მართმადიდებლური სარწმუნოების მატარებელი ერების „განთავისუფლება“ პრინციპში სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსეთის სახელმწიფოს აგრესიული, დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც ის „წარმატებით“ ატარებდა და ატარებს დღესაც.[1]

იოსებ ტორონჯაძე თავის ნაშრომში „პუტინის საგარეო პოლიტიკა“ აღნიშნავს:

,,ცივილიზაციონისტებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ რუსული ღირებულებები განსხვავდებოდა დასავლურისაგან და ყოველთვის ცდილობდნენ მათ გავრცელებას მთელ მსოფლიოში, დასავლეთის გარდა. მათი პასუხი რუსეთის უსაფრთხოების დილემაზე იყო უფრო აგრესიული, ვიდრე შედარებით უფრო სტატუს-კვო-ზე ორიენტირებული ატლანტისტებისა. როგორც საგარეო პოლიტიკური ფილოსოფია, ცივილიზაციონიზმი მომდინარეობს ივანე მრისხანეს „რუსული მიწების შეგროვებისა“ და „მოსკოვი - მესამე რომის“ პოლიტიკიდან. ზაპადნიკებისა და ატლანტისტებისაგან განსხვავებით, ცივილიზაციონისტები უპირისპირდებიან დასავლურ ღირებულებათა სისტემას, ამტკიცებენ რუსეთის კულტურულ და რუსეთზე ორინეტირებული ცივილიზაციის უპირატესობას. მაგალითად, XIX საუკუნეში ცივილიზაციონისტები იცავდნენ სლავური ერთიანობის ცნებას და მათი პანსლავიზმის იდეოლოგია გავლენას ახდენდა მეფის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული ხედვის ზოგიერთი წარმომადგენელი მტკიცე მხარდაჭერას უცხადებდა მართლმადიდებლური ქრისტიანობის ღირებულებებს, მაშინ როდესაც სხვები ხედავდნენ რუსეთის, როგორც სხვადასხვა რელიგიების სინთეზს“.

რუსეთის აგრესიული ბუნება, რომელიც სლავურ მართმადიდებლობაზეა დაფუძნებული, თანამედროვე ეტაპზე იდეურ-ფილოსოფიური მოძრაობის- „ევრაზიულობის“ საფუძველს წარმოადგენს. „რუსულ-ევრაზიული თვალსაზრისით ევროპაა ყოველივე, რაც რუსული საზღვრიდან დასავლეთით ძევს, ხოლო აზია - რაც რუსეთიდან სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. თვით რუსეთი არც აზიაა და არც ევროპა“ - ასე ჟღერს ევრაზიელების ძირითადი გეოპოლიტიკური თეზისი. ამიტომ არ არსებობს არც „ევროპული“ და არც „აზიური“ რუსეთი, არის მხოლოდ მისი ნაწილები, რომლებიც მდებარეობენ ურალის აღმოსავლეთით და დასავლეთით. ,,ევრაზიელების აზრით, რუსეთი არც აზიაა და არც ევროპა, იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ გეოგრაფიულ სამყაროს.“ აღნიშნულ „გეოგრაფიული სამყაროში“ ანუ პოსტსაბჭოთა სივრცეში „სურს“ რუსეთს იყოს მშვიდობისა და სტაბილურობის „გარანტი“.[2]

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციალური და ფილოსოფიური კვლევების ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ალექსანდრე პანარინის აზრით „თუ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში დასავლური ვექტორი წამყვანი გახდება, ეს დასავლეთთან მის შეჯახებას გამოიწვევს, ვინაიდან რუსეთი, როგორც ცივილიზაციის მატარებელი ქვეყანა, არ დაკმაყოფილდება მიმბაძველის, „მეორე ევროპის“ როლით და შეეცდება დამკვიდრდეს ევროპაში, როგორც მართმადიდებლური სამყაროს ლიდერი.“

დასავლეთის ცივილიზაცია თანამედროვე ეტაპზე თავისი დიდების ზენიტშია, „არა დასავლურ“ ცივილიზაციებში კი შეიმჩნევა „საკუთარ ფესვებთან“ დაბრუნების მძაფრი პროცესი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შავიზღვისპირა ქვეყნები, თურქეთის გარდა, მართმადიდებლურ სამყაროს მიეკუთვნებიან, მოდერნიზებული იმპერიის საგარეო-პოლიტიკური გათვლები შორეულ პერსპექტივაში ადვილი გამოსაცნობია.

რუსეთის აგრესიის გეოპოლიტიკური მიზეზები შავი ზღვის რეგიონში

რესეთის სამხედრო „აღორძინება“ ზოგიერთი დასავლელი ექსპერტის აზრით ყველაზე მეტად შავი ზღვის რეგიონშია საგრძნობი. 1945 წელს საბჭოთა კავშირმა დაწოლა განახორციელა თურქეთზე მონტრეს შეთანხმების გადახედვისა და ბოსფორის სრუტის ერთობლივი გაკონტროლების შესახებ, რასაც საპასუხოდ ტრუმენის „შეკავების“ დოქტრინა მოჰყვა. ცოტა მოგვიანებით თურქეთი, საბერძნეთთან ერთად „ნატოს“ წევრი გახდა. 1950 წელს ხმელთაშუა ზღვაში განთავსდა აშშ-ის მე-6 ფლოტი. 1967 წლიდან მას უპირისპირდება რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მე-5 ოპერატიული ესკადრა.

„ცივი ომის“ დასრულებამდე შავი ზღვა წარმოადგენდა „ფრონტის საზღვაო ხაზს“ დაპირისპირებულ ბლოკებს (ნატო, ვარშავის ხელშეკრულება...) შორის. შავი ზღვის რეგიონს უმნეშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია. აქ გადის დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის საკომუნიკაციო არტერიები, რაც რეგიონს ერთგვარ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინად წარმოაჩენს.

1 რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესს სინამდვილეში შავი ზღვის სრუტეების გაკონტროლების სურვილი განსაზღვრავდა. სწორედ ამიტომ ინგლისმა მარმარილოს ზღვაში საკუთარი ფლოტი შეიყვანა და რუსებს განადგურებით დაემუქრა თუ ისინი „ცარგრადთთან“ გამოჩნდებოდნენ! ვარლამ დონაძე, ბოსფორი და დარდანელი. (საკითხის ისტორიის ნარკვევი). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.1983, გვ. 115.

2 რუს ნეოევრაზიელებს გააჩნიათ ტრადიციული ინტერესები კავკასიის მიმართ (განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის!), რაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით არის განპირობებული. ისინი კავკასიას „რუსეთის შიდა გეოპოლიტიკის“ ზონად მიიჩნევენ თავიანთი სანუკვარი მიზნების გზაზე - გავიდნენ „თბილ ზღვებზე“.

ვახტანგ მაისაია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004 წ.წ.) (სახელმძღვანელო) თბილისი: სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, შავი ზღვა, რომელიც ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგს წარმოადგენს, ძირითადი დაპირისპირების ადგილად იქცა, ხოლო რუსეთ-უკრაინის ომმა აღნიშნულ დაპირისპირებას სულ სხვა დინამიკა შესძინა. რუსეთს დღეს მართავს უშიშროებისა და სამხედრო ელიტა, რომელშიდაც მტკიცედაა გამჯდარი დასავლეთზე საკუთარი უპირატესობის განცდა, განსაკუთრებით სამხედრო ძლიერების კუთხით. აღნიშნულ სტერეოტიპს ისინი „წარმატებით“ იყენებენ რუსეთის, როგორც მტრული ქვეყნებით გარშემორტყმული ციხე-სიმაგრის იმიჯის წარმოსაჩენად.

უკანასკნელ წლებში, რუსეთმა გეგმაზომიერად დაიწყო თავისი სამხედრო მანქანის მოდერნიზება, გაატარა გარკვეული რეფორმები და პარალელურად აწარმოებდა შეუწყვეტელ საინფორმაციო კამპანიას საკუთარი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად - მოეპოვებინა ზესახელმწიფოს სტატუსი და შავი ზღვის რეგიონი გადაექცია საკუთარი გავლენის ზონად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კონტექსტში. დასახული მიზნის რეალიზებისათვის რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ, რის შედეგადაც საქართველომ, მართალია დროებით, მაგრამ მაინც დაკარგა შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთის 200 კილომეტრი. „რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიმდინარე მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო თუ რაოდენ შიშობდა დასავლეთი, განსაკუთრებით კი ევროპული ქვეყნები კრემლთან რაიმე სახის კონფრონტაციაში შესვლას, როდესაც ისინი „ვერ იჯერებდნენ“, რომ რუსეთი ძალის გამოყენებით შეიჭრა, უკვე ხელმეორედ, სუვერენულ მეზობელ სახელმწიფოში მისი ტერიტორიების მიტაცების მიზნით.“

დასავლეთის არაადეკვატური ქცევიდან გამომდინარე, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შემდეგ, მოახდინა ყირიმის ანექსია და ხელი შეუწყო უკრაინის აღმოსავლეთით - დონბასისა და ლუგანსკის რაიონებში სეპარატიზმის გაღვივებას, რომელიც მალე შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა და რეგიონში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი მნიშნელოვნად შეფერხდა. ოკუპირებულ ყირიმის ნახევარკუნძულზე მილიტარიზაციის შეუქცევადი პროცესები დაიწყო.

ყირიმის ანექსიის დეტალური განხილვა არ შედის ჩვენს ინტერესებში - უბრალოდ ვახდენთ ფაქტის კონსტატაციას. სამხედრო ოპერაციის დაგეგმვასთან ერთად მაღალ დონეზე იყო „დამუშავებული“ რუსული საზოგადოებაც, რომელიც მთელი სისრულით იზიარებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას მომხდარის გამო. ანექსიის შემდეგ მოსკოვმა დაჩქარებული ტემპით დაიწყო შავი ზღვის ფლოტის გაძლიერება, რადგან გეგმავდა თავისი კონტროლი გაევრცელებინა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქერჩის სრუტესა და აზოვის ზღვაზე.

ყირიმი შავი ზღვის გეოპოლიტიკურ კონფიგურაციაში

შავი ზღვა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა დაპირისპირების ასპარეზს მართლმადიდებლურ (რუსეთი-სსრკ), მუსლიმურ (თურქეთი) და კათოლიკურ-პროტესტანტულ (ევროპა) სამყაროებს შორის.

1853-1856 წლების ყირიმის ომს, რომელსაც სრულიად სამართლიანად „ნულოვან“ მსოფლიო ომსაც უწოდებენ, საფუძვლად დაედო პალესტინაში „წმინდა ადგილების“ ფლობის საკითხი, ანუ ეკლესიურ-პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავდა სამხედრო-პოლიტიკური პროცესების განვითარებას ბალკანეთში, შავი ზღვის აუზსა და კავკასიაში. 1856 წლის 18 მარტის პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რუსეთმა დაკარგა შავ ზღვაში ფლოტის ყოლის უფლება, მაგრამ შეინარჩუნა ყირიმის ნახევარკუნძული და რაც მთავარია სევასტოპოლი, რისთვისაც მას მოუწია დაეთმო ყარსი-მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქციის მატარებელი ცენტრი, რომლის დაბრუნებაც მოგვიანებით მაინც მოახერხა.

ყირიმი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში იყო დიდი სახელმწიფოების მეტოქეობის ობიექტი, რომლის ფლობის პრეტენზია გააჩნდათ და გააჩნიათ დღესაც რუსეთს, თურქეთს და აშშ-ს, რომელიც თავის დროზე სერიოზულად განიხილავდა ყირიმელი თათრების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პროექტს აშშ-ს პროტექტორატის ქვეშ.

1954 წელს ყირიმი ხრუშოვის გადაწყვეტილებით უკრაინის სსრ-ს გადაეცა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ 1991 წლის 20 იანვარს, რეფერენდუმის შედეგად, შეიქმნა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა. იმავე წლის 24 აგვისტოს უკრაინამ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ყირიმი ავტონომიის სტატუსით შევიდა დამოუკიდებელი უკრაინის შემადგენლობაში.

„1991 წლამდე შავი ზღვა რუსეთის სასტარტო ხაზს წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის რაიონში თავისი სამხედრო-საზღვაო ძლიერების პროექციის თვალსაზრისით, მაგრამ 90-იანი წლების შუახანებში რუსეთი დარჩა შავი ზღვის სანაპიროს მცირე ზონითა და ყირიმში, საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის ნარჩენების ბაზირების უფლებების შესახებ უკრაინასთან გადაუჭრელი სადავო საკითხების ამარა.“ რუსეთი, რომელმაც ბალტიის ზღვაზე დაკარგა ორი უდიდესი პორტი-რიგა და ტალინი, უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ფაქტიურად რჩებოდა ოდესის პორტისა და ყირიმის გარეშე!

1997 წელს რუსეთმა და უკრაინამ დადეს ხელშეკრულება („მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ!), რომლის ძალითაც მოხდა შავი ზღვის ფლოტის გაყოფა და რუსეთმა

კუთვნილი ფლოტის ბაზირებისათვის არენდის უფლებით მიიღო სევასტოპოლის ბაზა 2017 წლამდე. მოგვიანებით, 2010 წლის შეთანხმებით, არენდის უფლებამ გადაიწია 2042 წლამდე, მაგრამ პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ ეს შეთანხმება გააუქმა.

2008 წლის 19 მაისს აშშ-ის სენატის ზედა პალატამ მიიღო N523 რეზოლუცია უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერის შესახებ. რუსეთის მმართველი ელიტისათვის ცხადი გახდა, რომ მოვლენების შესაბამისი განვითარება აუცილებლად გამოიწვევდა ყირიმის (და შესაბამისად - შავი ზღვის!) დაკარგვას, რაც მტკივნეული დარტყმა იქნებოდა მოსკოვის იმპერიული ამბიციებისათვის. ითვალისწინებდა რა ყირიმის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას (ვინც აკონტროლებს ყირიმს, აკონტროლებს შავი ზღვის აკვატორიას!), რუსეთის ხელისუფლებამ გადადგა რადიკალური ნაბიჯი და 2014 წლის მარტში მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაცია.

2019 წლის 23 დეკემბერს ვლადიმერ პუტინმა საზეიმოდ გახსნა ქერჩის ხიდი, რომელსაც რუსეთში სიმბოლურად „ყირიმის ხიდსაც“ უწოდებენ. ხიდი, რომელიც გადაჭიმულია ქერჩიდან ტამანის ნახევრკუნძულამდე-სიგრძით 19 კილომეტრია და შედგება, როგორც საავტომობილო, ასევე სარკინიგზო მონაკვეთებისაგან. დასავლეთის მხრიდან აღნიშნულ ფაქტს ერთობ რბილი რეაგირება მოჰყვა - უკრაინის კუთვნილი გემების მოძრაობას ხელი არ უნდა შეშლოდა აზოვის ზღვაში მდებარე პორტების გამოყენების დროს. რუსეთმა აღნიშნული ფაქტით პრინციპში დაასრულა ყირიმის „შემოერთების“ პროცესი და მნიშვნელოვნად გაიმყარა გეოსტრატეგიული პოზიციები შავ ზღვაზე. როდესაც რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ანექსია, დასავლეთმა ეს „არ შეიმჩნია“ და რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკის გატარება დაიწყო. ევროპის მიერ დაშვებული შეცდომა რუსეთისათვის ერთგვარი წახალისება აღმოჩნდა, რასაც შუაგულ ევროპაში სისხლისმღვრელი ომი მოჰყვა რუსეთსა და უკრაინას შორის.

2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული იქნა დოკუმენტი შავი ზღვის რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ, მაგრამ კონკრეტულად, რა ნაბიჯებია გადასადგმელი რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, მასში არაფერია ნათქვამი. გასულ წელს 28-30 ივნისს ქალაქ მადრიდში გამართულ ნატოს სამიტზე მიიღეს ნატოს ახალი „სტრატეგია 2030“, რომელშიდაც განხილულია რეგიონში შექმნილი ვითარება და დასახულია მიზნები მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირების მიზნით.

რუსეთის ახალი საზღვაო დოქტრინა ყირიმის ინტეგრაციის ფორმატში

2022 წლის 31 ივლისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის ახალი საზღვაო დოქტრინის დამტკიცების ბრძანებას. 2015 წლის სამხედრო საზღვაო დოქტრინაში ცვლილებების შეტანა განსაზღვრა იმ სამხედრო პოლიტიკურმა სიტუაციამ, რომელიც შეიქმნა შავი ზღვის რეგიონში. განახლებული დოკუმენტის მიხედვით რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს შავ ზღვაში დაჩქარებული წესით სტრატეგიული პოზიციების აღდგენა და განმტკიცება და მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება რეგიონში. რუსეთს გააჩნია ტრადიციული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მას უნდა ჰქონდეს წვდომა „თბილ ზღვებზე,“ უნდა შეძლოს შავი ზღვის „სამხრეთის“ ფლანგის გაკონტროლება და გავლენის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპისა და ლევანტის ქვეყნებში.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის აუცილებელია მოხდეს შავი ზღვის ფლოტის პირადი შემადგენლობის გადაიარაღება-მოდერნიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლება ყირიმსა და კრასნოდარის მხარის სანაპიროზე. ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიიდან გამომდინარე, გასაგებია რატომ დაეკისრა ახალი დოქტრინის ფარგლებში შავი ზღვის ფლოტს განსაკუთრებული როლი. დოქტრინის მიხედვით, ყირიმის ნახევარკუნძულის ინტეგრაციის დასაჩქარებლად აუცილებელია ყირიმის საპორტო სანაპირო ინფრასტრუქტურის გადახალისება, ყირიმის სატრანსპორტო საბორნე ხაზის ამოქმედება „ყირიმი-კრასნოდარის მხარის“ მიმართულებით და სატრანზიტო პოტენციალის რეალიზაცია საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორების განვითარების პარალელურად.

დოქტრინის შესაბამისად, აუცილებელია გემთმშენებლობისა და გემთშემკეთებელი კომპლექსების განვითარება ყირიმის საწარმოების შესაბამისი პოტენციალის გათვალისწინებით, აგრეთვე წარმოებისა და ტექნოლოგიების მოდერნიზაცია. დოქტრინაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რეგიონში საზღვაო ტურიზმის აღორძინებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ტურიზმისა და რეკრიაციის განვითარება, ზღვისპირა ცნობილი კურორტების ათვისება, საზღვაო-სატრანსპორტო კომუნიკაციების სიმძლავრეების გაზრდა ტურისტულ ზონებში მგზავრთა მზარდი ნაკადის გადაადგილების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ყირიმის, აზოვისა და ხმელთაშუაზღვის აუზების პორტებთან საკრუიზო მიმოსვლის აღდგენის მიზნით.

საზღვაო ტურიზმის აღორძინებისათვის აუცილებელ საჭიროებადაა მიჩნეული ზღვის ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, აგრეთვე დაინტერესებულ საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით. დოქტრინა გადის წმინდა სამხედრო

ასპექტების ჩარჩოებიდან და ყურადღებას ამახვილებს ჰიდრომეტეოროლოგიური, ჰიდროფიზიკური და სეისმოლოგიური მოვლენების დაჩქარებული ტემპით პროგნოზირების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სანაპირო ზონის მოსახლეობას, წყალქვეშა ნავთობსადენებს და ობიექტებს. ამასთან ერთად გათვალისწინებულია სადაზვერვო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და თევზჭერის მეურნეობის განვითარება შესაბამისი კადრების მომზადების გზით.

სრულიად გასაგები მიზეზების გამო ახალ დოქტრინაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთის საზღვაო პოლიტიკას ხმელთაშუა ზღვაში. დოქტრინის მიხედვით, აღნიშნულ რეგიონში რუსეთის საზღვაო პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია რეგიონი გადაიქცეს პოლიტიკური სტაბილურობისა და კეთილმეზობლურ ზონად. უზრუნველყოფილი იქნას რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფნა რეგიონში და ხელი შეეწყოს საკრუიზო ნაოსნობის განვითარებას ყირიმისა და კრასნოდარის პორტებიდან საკრუიზო გადაზიდვების კუთხით ხმელთაშუა ზღვის აუზისა და ლევანტის ქვეყნებთან. თუ როგორი პოლიტიკური სტაბილურობისა და კეთილმეზობლური ზონების შექმნა შეუძლია რუსეთს, მან ეს შავი ზღვის რეგიონში „შესანიშნავად“ დაამკიცა.

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონში ისახება მომავალი საერთაშორისო წესრიგის კონტურები. მიმდინარე ომი ისეთი ომების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც დიდხანს გრძელდება, რადგან მოწინააღმდეგე მხარეებისათვის არ არსებობს შესაძლებელი კომპრომისების მისაღები ზონა. უკრაინის ხელისუფლებისათვის მიუღებელია ნებისმიერი შედეგი თუ იგი არ ითვალისწინებს უკრაინის მხრიდან ყველა იმ ტერიტორიის კონტროლს, რომელსაც ქვეყანა ფლობდა ომის დაწყებამდე. რუსეთმაც თავის მხრივ გადააჭარბა საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაში და მიუხედავად იმისა, რომ მოახდინა უკრაინის გარკვეული ტერიტორიების ანექსია, გაუძნელდება სრული პრეტენზია ქონდეს ზესახელმწიფოს სტატუსზე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც დასავლეთი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე - მიუხედავად პოლიტიკური, დიპლომატიური და სასანქციო წნეხისა, ომის შეჩერება ვერ მოხერხდა. დასავლეთის გაცხადებულმა სტრატეგიამ- შეიარაღებითა და ფინანსებით დაუჭიროს მხარი უკრაინას, შესაძლებელია ომი სულ სხვა ფაზაში გადაიყვანოს.

შავი ზღვის რეგიონში განვითარებული უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური მოვ ლენები ცხადყოფენ, რომ საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს- ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანებას და ამით გარკვეული უსაფრთხოების გარანტიების შექმნას ალტერნატივა არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიწაძე, შადიმან. 2011. „ევრაზიოლობის“ გეოპოლიტიკური საფუძვლები. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „აღმაშენებელი“. N11, თბილისი: თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბჟეზინსკი, ზბიგნევ. 2014. „დიდი საჭადრაკო დაფა“ ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი.“

ტორონჯაძე, იოსები. 2008. პუტინის საგარეო პოლიტიკა. თბილისი: ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია.

ჩხეტიანი, დავით. 2018. ჰიბრიდული ომი, სტრატეგია და ტაქტიკა. თბილისი: საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია - გეოდეზიის დეპარტამენტი.

Колосов В.А, Н.С Мироненкою. 2002. Геополитика и политическая география. Москва: Аспект Пресс.

Панарин А,С. 1995. Россия Цивилизационном процессе (Между атлантизмом и Евразийством). Москва: Институт Философии РАН.

Президент Российкой Федерации, 2023. Морская доктрина Российкой Федерации. http://www.kremlin.ru/acts/news/69084 ბოლო წვდომა 05.06.2023

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 30

ISBN-978-9941-8-5748-5